

652  
1961/2



2  
1961

Հայաստանի Հանրապետության  
Մշակույթի նախարարություն

ՎՓՎԿ



ლიტერატურულ-მხატვრული და  
საზოგადოებრივ-პოლიტიკური  
შუქნალი

საქართველოს საბჭოთა მფარეზების  
კავშირის აპარის განყოფილების  
ორბანო

## შ ი ნ ა ა რ ს ი

- პ. ლოკია—საფესურებთან (მოთხრობა) . 3
- ბ. სალუჟაძე—ლექსები . . . . . 18
- ქ. მუაშია—ლექსები . . . . . 20
- რ. ართილაძე—ლექსები . . . . . 22
- ფრ. ხალვაში—გაყოფა (მოთხრობა) . . 23
- ლ. ნუცუბიძე—ლექსები . . . . . 27
- ნ. ნარსია—შენ რომ არ იყო... (ლექსი) . 28
- ახალგაზრდა კომედიანი—ლექსები . . . 29
- ჯ. ნიძაბაძე—ღამის სტუმარი (ლექსი) . 32
- ბ. სანადირაძე—რაფსოდია ფოთოლცვე-  
ნის უამს (მოთხრობა) . 33
- ა. ჩხანიძე—ლექსები . . . . . 42
- ნ. ჯალალონია—ლექსები . . . . . 44
- ლ. შრანკი—პორტრეტი (მოთხრობა, გერ-  
მანულიდან თარგმნა გ. კე-  
ჭელმაძემ) . . . . . 46

### კრიტიკა და პუბლიცისტიკა

- რ. სირაძე—რევინიონიზმი და დოგმატი-  
ზმი შეუთავსებელია მარქსიზმ-  
ლენინიზმთან . . . . . 51
- ალ. ჩავლეიშვილი—პოეტური მადლისა  
და ლიტერატურული  
კრიტიკის საკითხები . 56
- შ. ჭურჩიძე—პატრიოტული მოტივი ვალა-  
ქტიონ ტაბიძის რევოლუცი-  
ამდელ ლირიკაში . . . . . 61

### ლიტერატურული კალენდარი

- ა. შერვაშიძე—შეგჩენკო და სექარტ-  
ველო . . . . . 70

858

2

1961

მარტი  
პირილი

### მოგონებანი

ე. ლუკა'მვილი — შეხვედრები ქართველ  
მოდერნიზმთან . . . . . 73

### ხელოვნება

ბ. ჯინჭარაძე — კრიმანჭული . . . . . 75

### აჭარის წარსულიდან

შ. მებრძლიძე, ს. მალაქელიძე — 1844  
წლის აჯანყება აჭარაში . . . . . 78

აზ. ახვლედიანი — მახინჯაურის ეტიმო-  
ლოგიისათვის . . . . . 81

### წიგნის თარო

ვ. მოგოლაძე — ჰ. აბაშიძის „წერილები“ 83

ს. არმელაძე — წიგნი დავით გურამი-  
შვილზე . . . . . 84

ი. ბიბილიაშვილი — შ. იოსელიანის  
„რჩეული“ . . . . . 86

### სატირა და იუმორი

ბ. ჩხანიძე — სანთებელა (მოთხრობა) . . . 88

შ. შუბლაძე — ყოჩივარდა (იგავ-არაკი) . 90

რ. მიშველაძე — საბავშვო ნაწარმოები  
(მოთხრობა) . . . . . 91

### საზღვარგარეთ

უცხოეთის კულტურული ცხოვრების  
ქრონიკა . . . . . 94



რედაქტორი შოთა ქუჩიძე

სარედაქციო კოლეგია:

ბ. ახვლედიანი, ნ. გვარიშვილი, პ. ლორია, მ. ვარშანიძე (პემგ. მდივანი),

აღ. ჩავლეიშვილი, ფრ. ხალვაში.

## პაკობე ღოკია

### ს ა ზ მ ხ უ რ ე ზ თ ა ნ

ზარის წკრიალზე ვიწრო სარკმელი გაიღო და დარაჯმა გამოიჭვრიტა.

— თქვენ ვისთან? — იკითხა მან.

— დირექტორთან. — უპასუხა ტანწერწეტა გოგონამ, სარკმელთან რომ დგა.

— იქნებ მმართველთან? — წასჩურჩულა გოგონას ახოვანმა ვაჟმა, რომელიც იქვე ატუხულიყო.

— ჰო. იქნებ მმართველთან. მე როდი ვიცი რას უწოდებენ ამ ქარხნის უფროსს — დირექტორს თუ მმართველს.

— მმართველს. ბიძიკო. მმართველს. — მოაშველა დარაჯმა და სარკმიდან ახალგაზრდების ჯგუფი შეათვალიერა.

ექვსნი იყვნენ. ოთხი ვაჟი და ორი ქალი.

— ბლომად ყოფილხართ. ეს რა შემთხვევის გამო მოგსურვებიათ ჩვენი ქარხნისაკენ გამოლაშქრება?

— სამუშაოდ, მოვედით, ძია, სამუშაოდ. — თითქმის ერთხმად უპასუხეს ახალგაზრდებმა.

— სამუშაოდ? — მხრები შეათამაშა დარაჯმა. — რაღაც არ გეცხართ მუშებს. ეს თქვენი პასუხი ვერ ჯდება ჭკვამი.

— არა, ძია, ჩვენ პირველად ვართ აქ. — სხვებს დაასწრო წერწეტა გოგონამ. — კომკავშირის კომიტეტმა გამოგვაგზავნა.

— სტაჟი უნდა მოვიბოგოთ, ძია, კაცო. — დაუმატა ქოჩორმომშვეებულმა ვაჟმა.

— შემდეგ თქვენც მშვიდობით და თქვენი ქარხანაც. — წამოიჭიმა მეორე ჭაბუკი.

— გასაგებია, გასაგები. — თქვა დარაჯმა. — ცრუ ფუტკრები ყოფილხართ, ბევრს რომ ბზუიან და თაფლი და სანთელი არ მოაქვთ. კარგი, ეს ჩემი საქმე არაა. თქვენისთანა ორი ფუტკარი მეც მეზრდება სახლში. მამ მმართველის ნახვა გწადიათ? ახლავე დაუურეკავ. რამდენი ხართ? ექვსი... კომკავშირის კომიტეტიდან... ასე მოვახსენებ. ჩამოსხედით მანდ და დამელოდეთ. — სარკმელს დარაბა ჩამოათარა და ჯიხურში შევიდა.

ახალგაზრდები სკამძელზე ჩამოსხდნენ და ალაპარაკდნენ.

არ შეიძლება ითქვას, მხიარულ გუნებაზე იყვნენ, თუმცა ბევრს ხუმრობ-

დნენ და ოხუნჯობდნენ. თითოეული მათგანის გულში აქამდე განუცდელი მღელვარება, შიში, დარდი თუ სევდა ტრიალებდა. ისეთი სევდა, როგორც ეუფლება ხოლმე ყაზარმაში პირველად შესულ ახალწვეულს, ან სკოლაში მიყვანილ პატარა ბავშვს, უცხო ამხანაგებსა და გარემოში რომ დატოვეს მშობლებმა.

— გახსოვს, ნანული, შარშან ამ დროს წაღვერში რომ ვისვენებდით და დროს ვატარებდით? — გაიხსენა ერთმა ვაჟმა და ტანწერწეტა გოგონას შეაჩერდა.

— როგორ არ მახსოვს. თალიკო რომ ტყეში გაგვებუნა და ძლივს ვიპოვეთ.

— მახსოვს, მახსოვს! — გადაიკისკისა თალიკომ და ცქრილა თვალები ეშმაკურად მინაბა.

— მახსოვს, მახსოვს, — ერთმანეთს აყვნიენ ახალგაზრდები და ნიკო ლორთქიფანიძის „ბებრების“ — ბეგლარისა და ეკატერინეს დიალოგები გაიმეორეს.

— მართლა ძალიან ცუდი იქნება, ბავშვებო, სიბერე. — თქვა მომცრო ტანის ახალგაზრდამ. — ვერ წარმომიდგენია, ჩვენი თალიკო მოხუცებული, მოხრილი და სახედანაოჭებული.

— კარგი ერთი. ნუ ფილოსოფოსობ, თუ ძმა ხარ!.. — შემოწყრა თალიკო. — იმ დრომდე თუ მივალწიე, მაშინაც მეყოფა მაგაზე დარდი და ფიქრი.

— რატომ, რატომ! ადამიანი აქედანვე უნდა ფიქრობდეს სიბერესა და სიკვდილზე...

— ფუ, სიკვდილი! — უფრო გაჯავრდა თალიკო. — არც კი მინდა გავიხსენო იგი.

— გეყოფათ უაზროდ ლაპარაკი! — უკმაყოფილოდ გადახედა ამხანაგებს ნანულიმ. — სხვა საქმე ვერაფერი იპოვეთ?

— საქმე გვეპოვა, აქ მოვიდოდით?

— მართალია.

— ჰოდა, თუ საქმეზე მოდით, საქმეზე ილაპარაკეთ.

— საინტერესოა, რა სამუშაოს მოგვცემენ? — იკითხა ერთმა.

— ნეტა არც მიგვიღებდნენ. — თქვა ქოჩორმოწვებულმა. — ხუმრობ. უოველ დილით აქ მოსვლას და საღამომდე გაჩერებას!

— ვინ ხუმრობს მერე! — შემოხედა ნანულიმ. — საერთოდ, ცხოვრება ხუმრობა არაა. მით უმეტეს ჩვენი ასაკის ადამიანებისათვის, რომლებსაც მეტი მოვალეობა და ტვირთი გვაწევს, ვიდრე წინაპრებს.

— ესეც ახალი ამბავი! — წამოიძახა ტანმორჩილმა ვაჟმა. — განა წინაპრებმა ნაკლები ცეცხლი გამოიარეს?

— ჰოდა, ის არის საქმე, იმ ცეცხლიდან გამოტანილ განძს რომ მოუფელით და ვეპატრონებით. — და ნანული სარკმელს მიაღვა, მაგრამ ამ დროს დარაჯმა ჭიშკარი გააღო და ახალგაზრდები მიიპატიჟა.

ეზო განიერი და კარგად გაშენებული იყო. შიგ რამდენიმე სხვადასხვა სივრცე-სივანის შენობა იდგა. ახალგაზრდები ცნობისმოყვარეობით აცეცებდნენ თვალებს და შორიდან უჭვრეტდნენ მანქანებთან ჩამდგარ ადამიანებს, რომლებიც ხელშეუცვლელად და ბეჯითად საქმიანობდნენ.

„აქ უნდა გვატაროთ ორი წელიწადი?“ ეკითხებოდნენ ახალგაზრდები თავისთავს და მოასფალტებულ ბილიკს მისდევდნენ.

\* \* \*

მმართველი მოადგილესთან ერთად მაგიდაზე გაშლილ ნახაზებს დაჰყურებდა. ახალგაზრდების დანახვაზე ნახაზები მოადგილეს გადასცა.

— მობრძანდით! — მიმართა მან ახალმისულთ, სათითოოდ ხელი ჩამოართვა და სავარძელზე ანიშნა. — გთხოვთ!

— გმადლობთ. — და ახალგაზრდები ჩამოსხდნენ.

— თქვენთან ვართ. — წამოიწყო ნანულიმ. — კომიტეტმა გამოგვაგზავნა. მომართვა გვაქვს. — ჯიბიდან ორად გაკეცილი ქალაღი ამოიღო და მმართველს მაგიდაზე დაუდო.

— ვაჲ. — თქვა მმართველმა, ჯერ ახალგაზრდებს მოავლო თვალი და მერე მომართვაზე დართული სია წაიკითხა. — ნანული ლომადე. ეს რომელია?

— მე გახლავარ. — მიუგო ნანულიმ.

მმართველმა სიამოვნებით ახედა კენარივით აშოლტილ ქალიშვილს.

— თედო ცივაძე?

— მე ვარ. — წამოდგა ქერა ახალგაზრდა.

მმართველს ისიც დაუჯდა თვალში.

— თალიკო უზნაძე?

— აჲ ვარ. — მორცხვად ამოიძახა ბავშვივით უმანკო სახის ლამაზმა თვალცქირილა გოგონამ.

მის შეხედვაზე მმართველს ტუჩებზე ღიმი აუთამაშდა.

— პავლე ცერცვაძე მე გახლავართ. — ამოკითხვას დაასწრო პირხმელმა, შავგვერდმანმა ბიჭმა. წამოდგა და ჯარისკაცივით გაიჭიმა.

— კეთილი, კეთილი. დაბრძანდით! — უთხრა მას მმართველმა და შემდეგი ამოკითხა.

— მე ვარ ბორის თორაძე. — უპასუხა მაგიდასთან ყველაზე ახლოს ჩამომჯდარმა ლამაზმა და ახოვანმა ყმაწვილმა, რომელიც სხვებთან შედარებით უკეთესად იყო ჩაკმულ-დახურული.

— მაშ, ალექო ზოიძე თქვენ იქნებით. — ქოჩორჩამოშვებულ ვაჲს შეხედა მმართველმა.

— დიახ, გახლავარ. — და ზოიძე წამოდგა.

— მაშ, ასე, მეგობრებო! — დაიწყო მმართველმა. — თქვენ კომკავშირელები ხართ... ჩვენი ქვეყნის...

მაგრამ ნანულიმ შეაწყვეტინა.

— ბოდიში, ორი კავშირგარეშე ახალგაზრდა გვირეგია, მაგრამ საიმედო და მტკიცე ამხანაგებია.

— სწორია. — დაუდასტურეს ახალგაზრდებმა.

მმართველი დაუსახელებლად მიხვდა, რომელი იყო ის ორი კავშირგარეშე ახალგაზრდა, რადგან პავლე ცერცვაძისა და თალიკო უზნაძის აწითლებულმა ლოყებმა გასცა ისინი.

— არა უშავს, — თქვა მმართველმა. — ყველა თავისი საქციელითა და საქმიანობით დაფასდება... მაშ, ასე, ამხანაგებო! თქვენი სურვილია იმუშაოთ ჩვენთან, ქარხანაში, და კვალიფიკაციას დაეუფლოთ...

— სტაჲი მოვიპოვოთ. — წამოიძახა თორაძემ, მაგრამ მმართველს არ უგონია და განაგრძო:

— კარგი საქმეა, ყმაწვილებო, მაგრამ უნდა გაგაფრთხილოთ, რომ ჩვენთან სულ სხვა გარემო და პირობებია, ვიდრე სკოლაში გქონდათ. თქვენ აჲ საქმე გექნებათ ჩარხებთან, მანქანებთან, ელდენტან, გაზთან, ცეცხლთან, სხვანაირად რომ ვთქვათ, ცოცხალ, მაგრამ შეუფენებელ საგნებთან, რომლებიც მცირე შეცდომასაც არ გაპატიებენ. ამიტომ საჭიროა სიფხიზლე, სიმარჯვე და, რაც მთავარია, დისციპლინა. ამას გარდა, პირველ ხანებში მოგიწევთ არც თუ

რსე სახარბიელო დაეალებების შესრულება და, იმედია, შეგნებულად შეხვდებით. გასაგებია?

— გასაგებია. — არც თუ ისე ხალისით დაუდასტურეს ახალგაზრდებმა.

— მაშ, ხვალღან ვიწყებთ მუშაობას. საშვებს დღესვე მიიღებთ. როგორ? ერთ საამქროში გსურთ მუშაობა? ამის შესახებ შემდეგ მოვითათბირებთ, ვინ სად გამოდგება და რომელი რის უნარს გამოიჩენს.

მმართველმა კადრების განყოფილების მუშაკი გამოიძახა და ახალგაზრდების სამუშაოზე დაშვების გაფორმება დაავალა.

## 2.

მეორე დღეს ახალგაზრდები დაქმულ ადგილას შეგროვდნენ. ერთხელ კიდევ ჩაუარეს მშობლიურ სკოლას და იქაურობა სიყვარულით მოათვალიერეს.

ბევრი საამური წუთი შემორჩენოდათ ხსოვნაში გაფრენილი დღეებიდან. აქ გაეცნენ ისინი ლამაზდიან „დედა-ენას“, აქ შეისწავლეს მშობლიური და უცხოური ლიტერატურა, გეოგრაფია და ბოტანიკა, ფიზიკა და მათემატიკა. აქ მიიღეს პიონერული ფიცი და წითელი ყელსახვევები, აქ შევიდნენ ლენინურ კომკავშირში, აქ იგრძნეს პირველი სიყვარულის ნაპერწკლის ანთება და დაეწაფნენ სატრფიალო ლექსებსა და აფორიზმებს. აქ დაჰყვეს თერთმეტი წელიწადი. მოვიდნენ ახალდაჩიტულები და წავიდნენ დავაყვაცებულნი.

ქარხანაში ექვსეული სამად გაანაწილეს და სხვადასხვა საამქროს მიამაგრეს. მაგრამ გოგონების გარდა, დაზგებს არც ერთი არ გააკარეს. ვაყებს უფრო მძიმე, თავმოყვარე ჭაბუკისათვის სათაკილო საქმე გაუჩინეს: ლითონის ხაჭრებისა და ნარჩენების გადაზიდვა, გამურული ჩარხებისა და მანქანების გაწმენდა-დაზეთვა, ხელსაწყოების წესრიგზე მოყვანა, ქვებისა და აგურების ზიდვა... ზოგს ეზოს არხებისა და თხრილების ამოწმენდაც კი დაავალეს.

ასეთმა სამუშაომ დააფრთხო ახალგაზრდები. შინ მიმავალნი ნანულის წაესივნენ. შენ გაკვებრიყვე და შენვე გამოასწორე წახდენილი საქმეო.

— ასეთ სამუშაოზე ერთი საათიც არ გავჩერდები! — კატეგორიულად განაცხადა ცივაძემ. — ინსტიტუტი მამაჩემსაც არ დაუმთავრებია. მაგრამ...

— დღემდე არ თაკილობს აგურების ზიდვასა და კედლების აყვანას. — დაასწრო ნანულიმ.

— მაგით რა გსურს თქვა? — შეურაცხყოფა იგრძნო ცივაძემ. — ცოტა გამომუშავება აქვს, თუ ცოლ-შვილს ცუდად ინახავს?

— ვინ ამბობს ცოტა გამონუშავება აქვს, ან ცოლ-შვილს ცუდად ინახავსო?! — შეეკამათა ნანული. — მე მინდა ვთქვა, რომ არ თაკილობს. შენ ვინ ბრძანდები? არ გინდა იმუშაო! იქნებ სხვებიც ასე ფიქრობენ?

— ყველამ რომ თავი დაანებოს და წავიდეს, მე მაინც უნდა დავრჩე, უნდა ვიმუშაო. — ჩაილაპარაკა პავლე ცერცვაძემ და შეშვებული ქამარი შემოიჭირა.

— ეს არაა ახალი ამბავი. შენ მუდამ ეთიშებოდი ამხანაგებს. — უკმეხად შეხედა მას ბორის თორაძემ.

— შენ არც უმაღლესში შესვლის სურვილი გაწუხებს მაინცადამაინც, — დაუმატა ცივაძემ.

— ეჰ, — ამოიოხრა პავლემ. — უმაღლესში შესვლის სურვილიც მაწუხებს, ბავშვებო, და სხვა რამეც, მაგრამ...

— მაგრამ? — ჩაეძია თორაძემ.

— ოჯახური მდგომარეობა, ჩემო ძმაო, ოჯახური მდგომარეობა არ მაქ-

ლევს უმაღლესში შესვლაზე ფიქრის საშუალებას. საბრალო დედა ორ ობოლს გვზრდიდა. ძილი მისთვის არ იყო და მოსვენება, ჭამა-სმა და ჩაცმა-დახურვა. ჰოდა, სანამ უმცროსი ძმა წამოიზრდებოდა, დედაჩემს უნდა მივეშველო.

ასეთმა პასუხმა ყველა დაამუნჯა. თალიკომ ცრემლი ვერ შეიკავა და პირი იბრუნა. ნანულისაც აეწვა გული.

— ეგ სულ სხვა საქმეა. — ჩაილაპარაკა თორაძემ. — მე კი, რომ მომეწადინებინა, წელსაც მოვეწყობოდი.

— რასაკვირველია, — ვერ მოითმინა ნანულიმ. — შენი სამიანებით სადაც წარსდგებოდი...

— შენ დარდი ნუ გაქვს. — იწყინა თორაძემ. — ფული სამიანებს კი არა, უფრო დაბალ ნიშნებს აკეთილშობილებს.

— ფულიო?! — იფეთქა ცივაძემ, — კომკავშირელი მაინც არ იყო!.. როგორ გაბედე ამის თქმა?!

— ერთი შენც! კომკავშირელი კი არა, დიდი თანამდებობის პირები არ თაკილობენ ფულების მოშველიებას. — აუღელვებლად თქვა თორაძემ და პაპიროსი გააბოლა.

ყველამ შეურაცხყოფა იგრძნო, მაგრამ არავის არაფერი უთქვამს.

იცნობდნენ თორაძის ოჯახის შესაძლებლობას: ბორისის მამა, პატივცემული ლევან თორაძე, ქალაქში ერთ პატარა შეუქმნეველ ობიექტს ხელმძღვანელობდა. ბევრმა არც კი იცოდა ამ ობიექტის არსებობა. მცირე ხელფასიც არ ჰქონდა ლევანს. ყოველ შემთხვევაში, ისეთ ოჯახს, როგორც თორაძისა იყო, საცხოვრებლად ეყოფოდა.

ლევანი არ იყო ცუდი მუშაკი. თაღლითობა და მოტყუება არ იცისო, ამბობდნენ მასზე. ქურდობა არ ჩაუდენია, არ გაუფლანგავს, თავს არავის დასხმია. სხვის ჯიბეში ხელი არ ჩაუყვია. ღმერთმა დაიფაროს! ცხოვრობს მშვიდად და წყნარად. ცოლ-შვილს ჭამა-სმას არ აკლებს და ჩაცმა-დახურვას. ზაფხულობით აგარაკზე გზავნის. მტერ-მოყვარეშიაც არ არის გამოწყვეტილი. პურღვინო უყვარს და გულუხვია. ამ ბოლო დროს საკუთარი სახლიც წამოჭიმა და შესანიშნავადაც მორთო, მაგრამ, როგორც თვითონ ამბობს, ეს დიდი ხნის დანაზოგია.

ბევრი კითხულობს: საიდან, რომელი წყაროებიდან ექაჩება ამდენ ქონებასა და ფულსო, მაგრამ ლევანს ქონაგებიც ჰყავს:

მომჭირნე კაცია, გროშს გროშზე აწებებს, ინახავს, აგროვებს და ყველაფერი ამის შედეგიაო.

თუ ასეა, რატომ სხვები ვერ ახერხებენ ამას? — არ ცხრებიან ურწმუნო თომები.

სხვები?

სხვებთან თორაძეს რა საქმე აქვს? ვისაც როგორ სურს და შეუძლია, ისე იცხოვროს. საკუთარი საბნის სიგრძეზე გაწვართოს ფეხები.

და ყველაფერი ეს ბორისმა ახალგაზრდებს რომ შეახსენა, არასასიამოვნო რეაქცია გამოიწვია. ცივაძეს სხვებმაც მისცეს მხარი და ბორისი მაგრად შეახურეს.

თორაძე ახლა მიხვდა, მამის გაფრთხილებას რომ უღალატა, მაგრამ უკან არ დაიხია და მაგალითები მოიშველია. ორი-სამი უნიჭო ახალგაზრდა დაასახელა, უპატიოსნო გზით რომ მოეწყო უმაღლეს სასწავლებელში.

— მაგრამ ჩვენ ასეთები უნდა ვამხილოთ! — თქვა ნანულიმ და ამხანაგებს გადახედა.

სამუშაოდან მისულ შვილებს სხვადასხვანაირად შეხვდნენ ოჯახებში.

ნაწული მშობლებმა ისე მიიღეს, როგორც პირველ დღეს სკოლიდან დაბრუნებული. მამამ მიულოცა და შუბლზე აკოცა, დედა მოეხვია და მოეფერა. მერე საოჯახო სუფრა გაშალეს და ერთად მიუსხდნენ.

ცივაძეს საყვედური უთხრა დედამ, ფაქიზად არ გიმუშავნია. მეტისმეტად გამურულხარ, გაუფრთხილდი, ასე ნუ გაიმურებიო. მერე მაინც მოეფერა. შეაქო. მამაშენს მივწერ, ასეთი გზა რომ აირჩიე და გაეხარდებო.

თვალცქირიალა თალიკოს დედა ალერსით შეეგება, მაგრამ ეს ალერსი ნაძალადევი იყო, ნაღვლიანი. ამ დროს იქ თალიკოს თანაკლასელი ელიკო ჯამაშვილი იმყოფებოდა, რომელიც ცოდნითა და უნარით ამხანაგებს ბევრად ჩამორჩებოდა, მაგრამ სასწაულმოქმედი ხელის წყალობით უნივერსიტეტში მოწყობილიყო და ამყობდა (ბორის თორაძემაც მოიხსენია ეს ქალიშვილი, როგორც „გაიმასქნებით“ მოწყობილი).

ამბობდნენ, ელიკოს მამამ ძმაბიჭები და ფულები დაატრიალაო.

შნო აქვს და ღმერთმა ხელი მოუმართოსო, ამასაც ამბობდნენ...

ელიკო მხიარულად და ამყად შეხვდა თანაკლასელს, ცოტა თავისებურად წაიტრახახა კიდევ და ამან უფრო მოუშხამა გული თალიკოს. გამოთხოვები-სას მაინც გულკეთილად დალოცა და წარმატება უსურვა.

ალეკო ზოიძეს მამამ გაუღო სახლის კარი და სამუშაოდან მოსული შვილი მხარზე ხელგადადებული სახლში შეიყვანა.

— ასე უნდა. შვილო, ასე! — მხნედ უთხრა მან შვილს. — ადამიანი შრომამ შექმნაო. ადამიანმა კი ქვეყანა შექმნა და დაამშვენა. — მერე ცოლს გასძახა, სუფრა გაშალე, შვილთან ერთად ვისადილოთო.

პავლე ცერცვაძეს წიგნებში თავჩარგული უმცროსი ძმა დახვდა. ბავშვს კერძი მოემზადებინა და დედისა და ძმის მოლოდინში გაკვეთილებს მიჯდომოდა. ძმა რომ დაინახა, წამოხტა, სიხარულით შეეგება და მოეხვია.

— მიგიღეს? გამუშავეს?

— კი, მიიღეს. მამუშავეს. აწი უმამობას არ გაგრძნობინებ.

და როცა სამსახურიდან დედა დაბრუნდა და პავლეს მოეხვია, ამაზე უტკბესი და ულამაზესი სურათი ამ ოჯახში არასოდეს დახატულა.

ბორის თორაძესაც კეთილად შეხვდა მშობელი დედა, მეტად სათუთი გულისა და შვილის მოყვარული, პატივცემული დარეჯანი.

ბორისმა ნაღვლიანი ოხვრით უპასუხა დედის ალერსს.

— რა იყო, შვილო, რა ამბავია? — შესძახა ქალმა.

ბორისმა ხელი ჩაიქნია, პაპიროსი ამოიღო და გააბოლა.

— არ მეტყვი რა გჭირს?

— რა უნდა ვითხრა. აწი იქ წამსვლელი არა ვარ.

— რატომ, შვილო? რატომ, შემოგველოს დედა, ჩემო მოსწრებულო!

— უნაგიანი რკინებისა და თუნუქების თრევა რომ მდომებოდა, აღარც იმ წიგნებს შევაკლავდი თავს. — და ბორისმა დედას ხელები აჩვენა.

— დიდუუ, ჩემი სიკვდილი. — შეიცხადა დარეჯანმა. — რაა, შვილო, აგი? რას ჰგავს ეს? ღმერთო კი მომკალი, ასეთი სამუშაოსათვის ვაკვდი და ვაწყდი ერთადერთ შვილს? ეს არის მაგათი შეპირება, კარგ სამუშაოზე მოვაწყობთო?! დაიცა, მოვიდეს მამაშენი! თუმცა სულ მისი ბრალია, დაიჩემა, ახლა რომ შვილი უმაღლესში მოვაწყო და ეს საქმე მოვაჭახრაკო, რას იტყვი-

ანო!.. სხვებთან მე რა მესაქმება! რაც უნდათ, ის თქვან. ღმერთო, შენ ჰკითხე ასეთი კანონ-სამართლის მოძღონს. ადამიანს კეთილად ცხოვრების საშუალებას არ აძლევენ. სულ იმ ენატარტალა ნანულიეს ბრალია, თორემ შენ ასეთ სამუშაოზე არ წახვიდოდი. რას ამბობს ახლა ის სასიკვდილე?

— როგორი სამუშაოც არ უნდა იყოს, მაინც უნდა ვიმუშაოთო, იძახის. სხვებიც აიყოლია. კომკავშირელები ვართ, უკან ვერ დავიხევთო.

— „კვიცი გვარზე ხტისო“, ტყვილა კი არაა ნათქვამი. — ანდაზა მოიწველია დარეჯანმა. — როგორც მშობელია, ისეთი შვილი ჰყავთ. თავის დღეში მოსვენება არ იციან. ოღონდ სამუშაო იყოს და არაფერს ითაკილებენ.

სწორედ ამ დროს ოჯახის უფროსიც მოვიდა და, გააუბული ცოლი რომ დახვდა, მიზეზი ჰკითხა.

— ნახე ერთი, ეს შენი მოსწრებული ვაჟიშვილი რას გავს! ნახე ჩვენი იმედი და სადგამური რა დღეშია! — უმატა ცეცხლს დარეჯანმა. — ლევან, შენ თუ ახლავე რაიმე ზომები არ მიიღე...

— რა იყო, დარეჯან, რა მოხდა?! — თქვა ლევანმა და შვილს შეხედა. — არ მეტყვი, შვილო, რა გჭირს? ხომ არ დამარცხებულხარ?

— შეტი დამარცხება გინდა, კაცო? დახედე ეოთი, ხელეები რას უვავს საბრალო ბავშვს. — გული აიჩვილა დარეჯანმა.

— მიჩვენე, შვილო, ხელი! — მივარდა ლევანი შვილს.

ბორისმა ცალი ხელი გაუწოდა.

— არაფერი ემჩნევა. მაჩვენე მეორე!

ბორისმა ანთებული პაპიროსი ერთი ხელიდან მეორეში გადაიტანა და თავისუფალი ხელი გაუწოდა.

— ვერაფერს ვამჩნევ. — თავი ჩაიქნია ლევანმა.

— როგორ თუ ვერაფერს ამჩნევ, ადამიანო? — გაცეცხლდა დარეჯანი. — ანას ვერ ხედავ, რა საშინლად დაუკაწრია?

— მერე ეს რა დიდი უბედურებაა, შე კაი ქალო? — ცოლს შეხედა ლევანმა. — შეუჩვეველი ხელი პირველად ასე ზიანდება და კოჟრდება. მაგრამ მერე თანდათან შეეჩვევა და...

— იმის მეტი მაგის მომგონმა არ იხაროს, ჩემი შვილი მასეთ მუშაობას არ შევაჩვიო! — აკაპასდა ლევანის მეუღლე. — მე მაშინ შევცდი და დავაშავე, როცა შენ დაგიჯერე და, როგორც კი სკოლა დაამთავრა, მაშინვე თბილისში არ გავეშურე.

— გაეშურე, თორემ ერთბაშად არ მოგეწყო. რაეც გაეშურებოდი, ისე გამოემურებოდი. — უთხრა ლევანმა და სავარძელში ჩაეშვა.

— მე ვიცი, მოვაწყობდი თუ არა. — თავი ასწია დარეჯანმა. — მასეთებს აწყობენ?! თუ კი ატესტატი ავალებინე და სამიანები ოთხიანებად და ხუთიანებად ვაქციე, როგორ ფიქრობ, უნივერსიტეტში ვერ ჩავარიცხვინებდი?!

მშობლების დავა-კამათი ბორისს მალე მოეწყინა, დედას ხუთთუმნიანი გამოართვა და გასასეირნებლად გასწია.

ცოლ-ქმარი კარგა ხანს კამათობდნენ.

დარეჯანი ამტკიცებდა, რომ იგი თავის დროზე ბორისს ისე ჩაარიცხვინებდა უმაღლესში, გამოცდაზეც არ გაიყვანდა.

— ღმერთო დიდებულო! — წამოიძახა ლევანმა. — თუ ასეთი სასწაულ-მოქმედი იყავი, აქამდე რას აკეთებდი?

— ვინ დამანება, ვინ? — შემოსწყრა დარეჯანი. — რამდენჯერ მითქვამს, ერთადერთი შვილი გყავს, მისთვის ნურაფერს დავაშურებთ-მეთქი.

სეთ დროს სესხა და ვალს დებულობენ, თუმცა ჩვენ რა გვჭირდა საამისკენ მადლობა ღმერთს, სასესხებლად არავის მივადგებოდით.

კოლ-ქმრის დავა აქ შეწყდა. ლევანმა დათმო და დარეჯანის გამარჯვება აღიარა.

დარეჯანმა კი სამოქმედო გეგმა შეიმუშავა, ხარჯთ-აღრიცხვა შეადგინა და წამხდარი საქმის გამოსწორება ივალდებულა.

4.

ახალგაზრდები მალე შეეგუენ ახალ ვითარებას. მართალია, ზოგიერთმა პირველ დღესვე თქვა, ხვალ სამუშაოდ არ გამოვალო, მაგრამ მეორე დღეს სხვებს დაასწრო. გასაკვირი ის იყო, რომ ბორის თორაძეც არ გამოეთიშა ამხანაგებს.

ყველაზე უფრო ცივადის საქციელი უკვირდათ. იგი სამუშაოდ გამოდიოდა, ბეჯითად მუშაობდა. დავალებას გადაჭარბებით ასრულებდა, მაგრამ ყველას ეჩხუბებოდა და ესაყვედურებოდა. საამქროს უფროსსაც არ ინდობდა და მმართველსაც ეკამათებოდა.

ერთხელ იქამდე მივიდა საქმე, რომ მმართველმა მისი განთავისუფლების განკარგულება გასცა. მაგრამ საამქროს უფროსმა არ დაანება.

— ძნელად გასახედნი მოხვერი კარგი ხარი დგება, ამხანაგო ალექსი. — უთხრა მან მმართველს. — ჩვენ მოგვანდე მაგის გაწვრთნა და ნახავთ. როგორი სპეციალისტი გამოვა.

საქმეში ქარხნის კომკავშირის ორგანიზაციაც ჩაერია.

— ჩვენ აქ სტაჟის მოსაპოვებლად მოვედით და არა მუდმივ მუშებად! — მკვახედ მიახალა ცივადემ მდივანს.

— მართალია, — წამოეშველა მას ზოიძე, მაგრამ ნანულის ნაწყენი გამოხედვა რომ შენიშნა, სწრაფად შეწყვიტა სიტყვა და თავი ჩაღუნა.

— მაშ, თქვენ აქ დროს გასატარებლად მოსულხართ და არა სამუშაოდ! — გადმოხედა მათ მდივანმა. — გასაგებია, გასაგები.

— ნუ გვემუქრები, ამხანაგო! — არ დათმო ცივადემ. — ჩვენ კომკავშირელები ვართ და კომკავშირულ ენაზე გველაპარაკე.

— კეთილი, კეთილი. — მშვიდად თქვა მდივანმა. — კომკავშირულად მოგელაპარაკებით, მაგრამ აქ არა, საღამოს, აქტივის კრებაზე...

აქტივის კრებიდან კი ცივადე ოფლში ვაწურული გამოვიდა.

— სად ეყოფილვართ, რა გვინახავს, სად გვიცხოვრია! — ეუბნებოდა იგი შინ მიმავალ ამხანაგებს და თავს იქნევდა.

— არ ჰქონია ჩვენს საქმეს საშველი და ისაა. — ჩაილაპარაკა ზოიძემ და ცვალები ნანულისაკენ გააპარა, არ გაიგონოსო. — ორ წელიწადს აქ ვიმუშავებ და მერე შევძლებ უმაღლესში გამოცდების ჩაბარებას?

— სწორია!

— მართალია!

— რაა, ბავშვებო, სწორი? — შემოწყრა ჭაბუკებს ნანული. — საღამოობით არ შეგიძლიათ წიგნზე მუშაობა? გადახედეთ, როგორ მუშაობენ ჩვენი ტოლები კოლმეურნეობებში! სკოლაშიაც დადიან, საგნებსაც ამხადებენ და კოლმეურნეობასაც ეხმარებიან.

— ჰო, ეს სწორია. — გამოტყდა ცივადე. — ჩვენს რაიონში მეთუ კლასის ორი მოსწავლე გოგონა შრომის გმირიც კი გახდა ჩაის ფოთლის კრეფაში.

— ლენინის ორდენოსანი მოსწავლეები ჩვენს რაიონშიაც არიან. — ჩაი-  
ლაპარაკა ზოიძემ.

— ისინი სულ ღიბა გმირები და ორდენოსნებია. — ვერ მოითმინა თო-  
რაძემ, რომელიც ამ ბოლო ექვს იშვიათად ებმებოდა კამათში.

— ვითომ რატომ?

— თითქოს არ იცი რატომ! იმიტომ, რომ ყველაფერს ნაცნობ-მეგობ-  
რობით აღწევენ.

— როგორ? — წამოიძახეს აქეთ-იქიდან.

— როგორ? — ღიმილით გაიმეორა ბორისმა. — როგორ მივიღე მე აღ-  
გებრაში ხუთიანი? დედაჩემი ახლაც მამადლის, შენს მასწავლებელს ისეთი  
საჩუქარი მივართვი, ათ ხუთიანად ღირდაო.

— შენ ყველგან თაღლითებსა და გაიძვერებს ხედავ. — შენიშნა ნანუ-  
ლიმ. — იმიტომაც იყო, იმ შენს მასწავლებელს რომ დაატოვებინეს სკოლა და  
პედაგოგიური მოღვაწეობა აუკრძალეს.

— ვითომ სხვაგან არ მოიპოვებინა მისთანები?

— მოიპოვებინა და იმთაც არ დაადგებათ კარგი დღე.

იმ დღის შემდეგ თორაძეს ერთი სიტყვაც არ დასცდენია ამხანაგებთან.  
არც საყვედურობდა, არც წუწუნებდა, არც ზედმეტ სიტყვას იტყოდა. დადიო-  
და თავის დროზე და სხვებთან ერთად გადაიცვამდა ლურჯ ხალათს, გავილო-  
და სამუშაოდ, მაგრამ...

ხან თამბაქოს აბოლებდა, ხან გაკაწრულ ხელს იხვევდა, ხან კუჭი ჰქონ-  
და აშლილი და გარბოდა, ხან წყუროდა...

ერთხელ მმართველმაც კი შენიშნა მუშაობის დროს პირში პაპიროსგაჩ-  
რილი და უსაყვედურა.

— რა გქნა, პატივცემულო მმართველო, — თავი მოიკატუნა თორაძემ.

— დაჩვეული ვარ. თუ არ მოვწიე, თავბრუ მესხმის, ლებინებას მაწყებინებს.  
ცუდად ვხდები...

მმართველმა ყურადღებით შეათვალიერა ეს ლომივით ვაჟკაცი.

— თუ სნეული ხართ, ექიმს უნდა მიმართოთ და იმკურნალოთ, თორემ  
აქ, მუშაობის დროს, თამბაქოს საბოლებლად როდი გვცალია, — მერე საამქ-  
როს უფროსი მოიხმო და თორაძის ამბავი ჰკითხა.

— პირველ დღეებში თითქოს არ სურდა ქარხანაში მუშაობა, ჟინიანობ-  
და და წასვლით გვემუქრებოდა, მერე წესიერად დადის, ხმასაც არ იღებს,  
მაგრამ, როგორც ხედავთ, არაფერს აკეთებს.

— აფსუს. რა შესახედავი ვაჟკაცია!

— მაგრამ მეტად განებივრებული და თავაშვებული, ამხანაგო ალექსი.

— ეტყობა, ეტყობა. — დაეთანხმა მმართველი. — საინტერესოა, რო-  
გორი ოჯახის შვილია.

— ვერაფერს გეტყვით, ამხანაგო ალექსი. თორაძეები ჩვენს ქალაქში...  
თითქმის არც შემხვედრია. — და საამქროს უფროსი სამუშაოს მიუბრუნდა.

### 5.

დილის ათ საათზე ქარხნის ალაყაფთან მანქანა მისრიალდა.

მანქანიდან კოხტად ჩაცმულ-დახურული ქალი გადმოვიდა, მძღოლს  
უთხრა დამელოდეო, ჯიხურის გვერდით ცალფა კარი შეაღო და ქარხნის  
ეზოში შევიდა, მაგრამ დარაჯი დაუდგა წინ.

— სად მიბრძანდებით, პატივცემულო? — თავაზიანად მიმართ მან-  
ქალს.

— თქვენი საქმე არაა! — მკვახედ ესროლა ქალმა.

— რას ბრძანებთ! მე მხოლოდ ეს საქმე მომიჩინეს და ამიდანაც მათვის უფლებით? მიბრძანეთ, ვისთან მიბრძანდებით და საშვებს მოგართმევთ.

— ესლა მაკლია, ანგარიში ჩაგაბაროთ. მე თქვენ ქუჩის ქალი ხომ არ გგონივართ? ალბათ, საქმე მაქვს და იმიტომ მოვედი.

— მაპატიეთ, მაგრამ ქარხანაში უსაშვებოდ შესვლა აკრძალულია. — გაკერპდა დარაჯა.

— აქ ქარხანა კი არა. საპყრობილე ყოფილა. — გაჯავრდა სტუმარი, ჯერ ზიხურში შეიხედა, მერე მიბრუნდა და დაცხრა.

— თქვენი უფროსის ნახვა მინდა.

— გასაგებია. ახლავე მოვახსენებთ. თქვენი გვარი?

— ჯიხვაძე! — მოწყალებასავით მიუგდო ქალმა.

— გმადლობთ. — დარაჯმა მმართველს დაურეკა და უცნობი ქალის სურვილი გადასცა. „

— აი, ხომ ხედავთ, ყველაფერი რიგზეა. ახლავე გამოგიწერთ საშვებს. მიბოძეთ პასპორტი. ან პირადობის მოწმობა. ან სხვა რომელიმე დოკუმენტი.

— ესეც ახალი ამბავი... თქვენი აზრით, მე შემოპარული ჯაშუში ვარ. გადაცმული დივერსანტი. უცხოეთის დაზვერვის აგენტი. საზღვრის დამრღვევი. მკვლელი, ყაჩაღი! მაშ, მე საბჭოთა მოქალაქე არ ვყოფილვარ!!!

— როგორ გეკადრებათ, პატივცემულო!

— მაშ, რას ნიშნავს, დოკუმენტები წარმოგიდგინოთ, ანკეტები შეგივსოთ, ავტობიოგრაფია დაგიწეროთ... ბარემ გამაშიშვლეთ და გამჩხრიკეთ.

დარაჯმა მაინც თავისი დაიჩემა.

ქალბატონმა შეატყო ვერას გახდებოდა და მოლბა.

— შემნახველი სალაროს წიგნაკი გამოდგება?

— ყოველ შემთხვევაში... რახან სხვა არაფერი გაქვთ...

ქალმა ლამაზი ხელჩანთა გახსნა, წიგნაკი ამოიღო და მიაწოდა.

დარაჯმა საშვები გამოწერა, მიართვა და აუხსნა მმართველის კაბინეტი როგორ ეპოვნა.

— გმადლობთ, — გულჯავრიანად მიუგდო ქალმა და ნაჩვენები მიმართულებით წავიდა.

ქარხნის მმართველი ალექსი ბირთვაძე კაბინეტში მარტო იჯდა, კარი რომ შეირხა და ქალის სახე გამოჩნდა.

— შეიძლება?

— მობრძანდით! — წელში გასწორდა მმართველი, მერე წამოდგა, სტუმარს მიეგება, ხელი ჩამოართვა და დაბრძანება სთხოვა.

ქალი მაშინვე ჩაჯდა სავარძელში.

წუთით სიჩუმე ჩამოვარდა, რომლის დარღვევა ისევ სტუმარმა იკისრა.

— თქვენ მე ვერ მიცნობთ. — დაიწყო მან. — პირადად ვერც მე გიცნობდით, თუმცა ბევრი კარგი მსმენია თქვენზე. — ცოტა იყუჩა და განაგრძო. — თქვენთან ერთი მნიშვნელოვანი საქმე მაქვს. არა, ჩემთვის არის ის მნიშვნელოვანი. თორემ თქვენთვის რას წარმოადგენს... უნდა მიშველოთ, უნდა დაგმეხმაროთ როგორმე. — და მოელვარე თვალები ოდნავ მილულა.

— რით შემიძლია გემსახუროთ?

— სამსახურს არ დაგიკარგავთ. — დამშვიდებით უთხრა სტუმარმა. — საქმე შემდეგში გახლავთ... ჩემი ერთადერთი ვაჟი თქვენთან მუშაობს...

— ქარხანაში?

— დიახ, სკოლის დამთავრების შემდეგ პირდაპირ აქ გამოგზავნეს. რაც კანონია და ჩვენი პარტიის მიერ დაწესებული, გვერდს ვერ შევუვლით... ჩემმა შვილმაც ისეთი წვრთნა უნდა მიიღოს, როგორც სხვებმა. რახან უმაღლესში შემსვლელთ მუშაობის ორი წლის სტაჟს სთხოვენ, მე არ მინდა ეს უპირატესობა ჩემს შვილს აკლდეს. კანონი კანონია... თქვენ რას იტყვით.

— სრული ჰემმარიტებაა, ქალბატონო... მაშ, თქვენი ვაჟი ჩვენთან მუშაობს? საკვირველია, რატომ არ ვიცნობ... ჯიხვაძე... ჯიხვაძე...

— ბოდიში, ბატონო, — შეაჩერა ქალმა, — ჯიხვაძე ეს ჩემი ქალიშვილობის გვარია. შვილი კი მამის სახელზე მყავს ჩაწერილი.

— აა, გასაგებია. ქმართან, ალბათ...

— რას ბრძანებთ, ბატონო! ღმერთმა დამიფაროს! მე და ჩემი მეუღლე იშვიათი მეგობრები ვართ, მაგრამ ეს ისე, უბრალო ამბავია. საოჯახო მეურნეობის უკეთ მოწესრიგების მიზნით. თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს. რაც ჩემს გვარზეა, მე, ჩემს მეუღლესა და ჩემს შვილს ეკუთვნის. და ჩემი ქმრის ქონებაც ჩვენთვის განუყოფელია, მაგრამ... თქვენ რა დაგიმალათ, ცხოვრებაში საჭიროა ხოლმე ასეთი ფორმალური ამბები.

— გასაგებია, გასაგებია. — ახლა მიხვდა ბირთვამე როგორ პიროვნებასთანაც ჰქონდა საქმე და უხერხულად აათამაშა თითები.

— დიახ, ეს უბრალო ამბავია. — განაგრძო სტუმარმა. — რაც შეეხება ჩემს ვაჟს, ბორის...

— თორაძე. — დაასწრო მმართველმა.

— დიახ, დიახ, გცოდნიათ. ბორისი ჩემი შვილი გახლავთ. თავდაბალი და უწყინარი ბავშვია. მისგან ერთ ხმამალ სიტყვას ვერ გაიგონებთ. სულ ოთხებითა და ხუთებით დაამთავრა სკოლა. სხვებსავე თამამი და გაბედული რომ იყოს... მასწავლებლებმა დამიჩაგრეს, თორემ ოქროს შედალს მიიღებდა. ახლა მუშაობა დაიწყო, სტაჟს მოვაგროვებო, შვილო. თავდადებულად მუშაობს საბრალო ბიჭი. თქვენ, ალბათ, კარგად არ იცნობთ, თორემ...

— როგორ არა. ძალიან კარგად ვიცნობ. — შუბლი შეიკრა ბირთვამემ.

— მაშ, მისი ამბავი ყველაფერი გეცოდინებათ.

— ყველაფერი არა. მაგრამ... ზოგი რამ ვიცი.

— მერე, როგორი შეხედულების ბრძანდებით მასზე? — დაინტერესდა ჯიხვაძის ქალი.

— როგორ გითხრათ. შესანიშნავი ყმაწვილია, თვალადი, ტანადი, ლამაზი. ბევრი ინატრებს მისთანა შვილს...

— დიახ, დიახ. — პირიდან გამოსტაცა სიტყვა ბირთვამეს სტუმარმა. — ქვეყანა შემომნატრის...

— მაგრამ ამ გარეგნულ სილამაზეს არ ამშვენებს ის თვისებები, რომლებიც ყველა ჭაბუკისათვის საჭირო და აუცილებელია.

ჯიხვაძის ქალს ფერი ეცვალა.

— მაგალითად?

— მეტისმეტად თაღლითი, ზარმაცი და გაიძვერა.

— რას ბრძანებთ! — აწრიალდა ჯიხვაძის ქალი.

— ჰემმარიტებას. სრულ სიმართლეს.

— მერე, თქვენი აზრით...

— თუ არ გამოსწორდა, სამუშაოდან გავათავისუფლებთ.

სტუმარი ჩაფიქრდა.

— რა გეწყობა, რახან ასეა მისი საქმე, გამითავისუფლებთ, მაგრამ ნა-  
მუშევარს ნუ დაუკარგავთ.

— როგორ გეკადრებათ, ჩვენს ქვეყანაში ნაშრომი ვის დაკარგვია?!

— არც ცუდ დახასიათებას მისცემთ?

— მაგასაც შევასრულებთ. არ მივცემთ ცუდ დახასიათებას. ახალგაზრდა  
კაცია. ჩაფიქრდება, დაუკვირდება და იქნებ გზა იპოვოს.

— დიდი მადლობელი ვართ, ჩემო ბატონო! თქვენზეა დამოკიდებული  
ჩემი ვაჟის მომავალი. თქვენი ნაწყალობები მოწმობა და დახასიათება გაუხ-  
სნის გზას საბრალო ბავშვს.

— მე რა ისეთი მოწმობის მოცემა შემიძლია, ქალბატონო! ორი თვეა ჩვე-  
ნთან მუშაობს და ესაა. — უთხრა მმართველმა.

ჯიხვადის ქალმა სავარძელი ახლო მისწია, ხელჩანთიდან რაღაც ქაღალდ-  
ში შეხვეული ამოიღო, აქეთ-იქით მიმოიხედა და ფრთხილად დირექტორის  
მავადაზე შეაყოცა.

— ვითომ ის ორი თვე ორ წელიწადად რომ... ამისათვის... ჩვენც სინდის-  
ნამუსის ხალხნი ვართ. — თვალი შეხვეულისაკენ გადაიქნია, რათა მმართველ-  
საც შეენიშნა იგი.

ბირთვადეს ცივი ოფლი დაასხა.

— მე თქვენ გთხოვთ, როგორც დედა, როგორც... — გათამამდა სტუმარ-  
ი. — თქვენც მამა ხართ, შედით ჩვენს მდგომარეობაში..

ბირთვადეს ახლა ოფლი შეაშრა და თვალები ამოუსისხლისფერადლა.

— დიახ, მამა ვარ და ჩემი ქალიშვილი მეორე წელია მუშაობს თანბა-  
ქის ფაბრიკაში.

— თქვენი ჭირინე! — ჯაღრიჯა დარეჯანი. — თქვენს იქით გზა არა  
მაქვს. უნდა მიშველოთ რამე, იხსნათ საბრალო ბავშვი. ამით თქვენ არაფერი  
დაგიშავდებათ. ჩემს ოჯახს კი...

— მაპატიეთ, ქალბატონო. თქვენ სიყალბის ჩადენას მთავაზობთ. ეს, სხვა  
რომ არა იყოს რა, შეურაცხყოფაა. ვფიქრობ, არ დამიმსახურებია იგი.

— ბოდიში, ბატონო! — შეცბა ქალი. — თქვენი შეურაცხყოფა სრლიადაც  
არ მიფიქრია, მაგრამ... მე მგონია, თქვენს პიროვნებას ჩირჭი არ მოეცება,  
თუ თქვენ...

— გთხოვთ ამაზე ნუ ვილაპარაკებთ. მე კომუნისტი ვარ და...

— დიახ, დიახ, ვიცი, ჩემო ბატონო. — დაასწრო მოძალადე ქალბატონმა.  
— ჩემი ქმარიც თანამდებობის კაცი გახლავთ და... — ცბიერად გაიღიმა.

— სამწუხაროა, რომ თქვენს ადგილას ის არ არის ახლა აქ. — ბრაზი  
მოერია ბირთვადეს. — მასთან უფრო პირდაპირი ვიქნებოდი.

— არა უშავს, პატივცემულო! — მშვიდად თქვა ჯიხვადის ქალმა. —  
ამ საკითხში ჩვენ შეთანხმებული ვართ. შეგიძლიათ ენდოთ მის ღირსებასა და  
ჩემს პატიოსან სიტყვას... ამჯერად ეს ათი იყოს და შემდეგ... — მაგიდაზე  
დადებული ნივთი მმართველისაკენ მიაჩოჩა.

ბირთვადე შეკრთა და წამოვარდა.

— მაცდურო! — შესძახა მან. — ახლავე აიღეთ ეს ნივთი და აქედან გა-  
სეცალეთ, თორემ... ბედი თქვენნი, რომ ქალი ხართ და შვილის დედა...

— ბოდიში. — გაწბილებულმა გაიძვერა ქალბატონმა ათროლოებულ

ხელი მოავლო შეხვეულს, ხელჩანთაში ჩადო და დამდულრული ძალივით გამოვარდა.

— როგორ უნდა მოვექცე ახლა ამ გაიძვერას? — ჩაფიქრდა ბირთვამე. გამოვედევნო ამ. საქმეს და მსვლელობა მივცე, თუ გემრიელ ლუკმასავით ჩავყლაპო შეურაცხყოფა?

პასუხს არავინ იძლეოდა.

ბოლოს, კადრების განყოფილების მუშაკი გაჰოძახა და ბორის თორაძის საბუშაოდან განთავისუფლების განკარგულება მისცა.

6.

პირველი ორი თვე საყვედურებსა, წუწუნში და ბუზღუნში გავიდა. ახალგაზრდებს ძალიან უჭირდათ შეუჩვეველი საქმე. განსაკუთრებით განეზივრებულად აღზრდილები შეწუხდნენ, მაგრამ ღრუბელმა გადაიარა, ახალგაზრდების ნაღველიც გადაიტანა და საყვედურები, წუწუნი და ბუზღუნიც გაიყოლია. მხოლოდ ივალექირილა თალიკოს შერჩა მოწყეხილობა და დარდი.

ყველაზე უწინ ნანულიმ შენიშნა ამხანაგს უგუნებობა და ამბავი ჰკითხა.

არა, სამუშაოს სიმძიმე არ აწუხებს თალიკოს. არც ჩანმრთელობას ეძღურის, მაგრამ... გულმოკლული და ნაწყენი კი არის. ვისზეა ნაწყენი? ყველაზე, ვინც ხელისუფლების გამოცემულ და დადგენილ კანონს არ ემორჩილება, გვერდს უვლის და აბუჩად იგდებს. რატომ არ უნდა იყოს თალიკო ნაწყენი, როცა ის აქ მუშაობს, სტაყს აგროვებს და მასზე ბევრად სუსტი და უღირსი თანაკლასელი უმაღლესში მოეწყო და ცხვირაწეული ძალიდან გადმოჰყურებს!

თალიკოს მათი გვარები არ დაუსახელებია, მაგრამ ნანული მიხვდა, რომ ერთ-ერთი იმათგანი ელიკო ჯამაშვილი იყო.

— არა უშავს, შეფერილი ლითონი ოქროს ვერ შეცვლის. შეიძლება პირველად ვინმეს შეაპარო და მიაჩეხო, მაგრამ მალე გამოიცინობენ. — სანუგეშებლად უთხრა მან ამხანაგს.

ერთადერთი პავლე ცერცვაძე იყო, თავიდანვე მხიარულად და ხალისიანად რომ მუშაობდა.

პირველი ხელფასი რომ ჩაითვალა და შინისაკენ გაეშურა, სიხარულისაგან მიწას ფეხს არ აკარებდა. ამდენი ფული არასოდეს არ ჰქონია თავის განკარგულებაში. ახლა აქვს და იყიდის რაც სურს, გამოიყენებს როგორც უნდა. თუნდაც თავის დიდი ხნის ნატვრას აისრულებს და ფოტოაპარატს შეიძენს... არ ეყოფა? არა უშავს, იაფფასიანს იყიდის. ან მეორე ხელფასამდე დაიცდის.

მაგრამ...

დათოს ფორმის ტანსაცმელი რომ არა აქვს? დედა რომ წუხდა ამის გამო?

ახლა არის საშუალება. პავლეს აქვს ტყული. ფოტოაპარატის ყიდვას ყოველთვის მოესწრება.

პავლეს კმაყოფილებით აუთრთოლდა გული.

და შინ მისულმა ჭაბუკმა პირველი ხელფასი დედას ჩააბარა.

რაც შეეხება ბორის თორაძეს, დიდად არ შეწუხებულა, ქარხნიდან რომ დაითხოვეს. ახლა მას ხედავენ და ხვდებიან ქუჩაში, ბაღში, კინოში, თეატრში, რესტორნებში, სასაუზმეებში. დადის თამამად, ამაყად, ახალი მოდის ტანსაცმელში, უქამროდ, გულგაღებლივ, თმაჩეჩილი. დილით რომ ფარდაგივით მოჭრელებული პერანგი აცვია, საღამოს საბნისპირივით მოხატულ მაისურათი გამოდის. ახალი ამქრები გაუჩენია და მათთან ტრიალებს. ყოფილ

ამხანაგებს ჰაერში ხელის აქნევით ესალმება და ფარისევლურად უღიმის. ფულადი მუდამ აქვს და გულუხვი და ხელგაშლილია.

ქალბატონი დარეჯანი ქარხნიდან შვილის გამოყვანის მიზეზად სულ სხვა რამეს ასახელებს.

— ყველას ვერ ვაჭამე, ბატონო. ყველას ვერ მივეცი. მმართველმა ცალკე რომთხოვა, მოადგილემ ცალკე. აბა, საამქროს უფროსი ხომ ვერაფრით გავაძლევ... ბავშვი მაინც სუსტად მყავდა და ცოტას მოვაპატივებ.

ქმარს კი ტუქსავს და რისხავს. აქედანვე აფრთხილებს, „ვოლგა“ იქნება საჭირო, თუ „მოსკვიჩი“ იქმარებს.

რას ფიქრობს?

ვარიანტი მრავალია, მაგრამ მათში ორია მთავარი.

უპირველეს ყოვლისა, სტაჟის მოჭახრაკება. ეს არც ისე ძნელია. ყველა ბირთვამქსავით სულელი კი არ იქნება, ეზოში „ვოლგა“ შეუყვანო და ორი წლის სტაჟის მოცემა დაიზაროს.

მეორე ვარიანტი უფრო რთული და ძნელია, მაგრამ იმსაც ეშველება.

„ყველას თავის დარდი აქვს, წისქვილს წყლის დარდი აქვსო“.

თორაძის მეუღლესაც აქვს თავისი დარდი და მაღალი ღმერთის მოშველების იქელი.

## 7.

თანდათან სახალისო გახდა ქარხანაში მუშაობა. პატივმოყვარე თვლიდა ცვაძეც კი გახალისდა და გამხიარულდა. ისე ამაყად დგას დაზვასთან და მუშაობს, თითქოს მასთან ერთად დაბადებულა და აღზრდილაო.

თვალცქირილა თალიკოც აცქრილდა და აუყუუნდა. მის ცხოვრებაში ბევრი ახალი ამბავი მოხდა. ყველაზე მთავარი ის არის, რომ კომკავშირის რიგებში მიიღეს და მოწინავე ბრიგადის წევრი გახდა. კიდევ ისიც, რომ ქარხნის კლუბთან არსებულ დრამწერში ჩაეწერა და საქალაქო დათვალეერების დროს დიდი მოწონება დაიმსახურა.

ბევრმა ურჩია, სამედიცინო ინსტიტუტში შესვლა გადაიფიქრე და ხელოვნების სამსახურში ჩადექიო.

თალიკოს გული ერჩევა. ხომ არ აჯობებს. მიიღოს მიწვევა, თეატრში შევიდეს და მსახიობობა აირჩიოს პროფესიად?

— ხომ გეუბნებოდი. — უთხრა ერთხელ მას ნანუკიმი. — ოქროსფრად დაფერილი ლითონი ოქროს ვერ შეცვლის-მეთქი? აი, ნახე. — და „ახალგაზრდა კომუნისტ“ გაუწოდა. — ხედავ, რა სამარცხვინო საქმე ჩაუდენია! ყალბი საბუთებით მოწყობილა ის საძაგელი.

სხვისი ცუდი ადამიანს არ უნდა გაეხარდეს, მაგრამ თაღლითობით უმაღლესში მოწყობილ ელიკო ჯამაშვილისა და მისთანების გარიცხვა და გაზეთში გამოქვეყნება თალიკოს ესიამოვნა.

უსაქმოდ ხეტიალმა და უაზრო ცხოვრებამ ბორის თორაძე უფრო შორს გასტყორცნა. ხულიგნობისა და დებოშისათვის რამდენიმე ღამე მილიციაში გაათია. მერე თანდათან „წინ წავიდა“ და ამჟამად ციხეში იჯდა ამხანაგის შეურაცხყოფისა და დაჭრისათვის.

პატივცემული დარეჯანი ნირს არ იტეხდა. მისი შვილის გაუბედურებას ახლაც სხვებს აბრალებდა და ბრუნოსა და მართალს წყევლიდა.

— გამიბრძვივს, მომიტყუეს, შემიცდინეს გულალალი და კეთილშობილი ბავშვი. — ამბობს იგი და სავსე ხელჩანთით დაძვრება „საბრალო ბავშვის“ გამოსახსნელად.

-- ჩვენ აქედან არ უნდა გაგვეშვა, ამხანაგებო, თორაძე. — თქვა ქარხნის

კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ერთხელ... — აქ უნდა გამოგვეწოთ და გამოგვეზარდა იგი, წესიერ ადამიანად გვექცია... მე მგონია, ამხანაგი ალექსი აჩქარდა...

— მართალი ხართ, ამხანაგო, მაგრამ არა მგონია რომელიმე თქვენგანი სხვანაირად მოქცეულიყო... ყველა ლითონი როდი უმჯობესდება წოთობის შედეგად. — განაცხადა ბირთვადემ.

მაინც ბევრი რამ არ თქვა მმართველმა. ვერც აქ, კრებაზე, ვერც დირექციაში, ვერც სხვა ადგილას და ეს უთქმელობა ლოდად აწევს და აწუხებს მას.

არც კი იცის, კარგად მოიქცა თუ ცუდად, ქრთამის მიმტანი მაშინვე რომ არ დააკავა და არ გამოამყდენა. საბჭოთა ადამიანის მორალი ავალეზდა საქვეყნოდ ემხილა გაიძვერა და მაცდური დედაკაცი, მაგრამ ყოველთვის როდი გამოაქვს ადამიანს სწრაფი და სწორი გადაწყვეტილება! დაიბნა მაშინ ბირთვადე, მაცდურმა დედაკაცმა მონუსხა იგი. შემდეგ გვიან იყო. სინდისგარეცხილი ქალისაგან უარესიც იყო მოსალოდნელი. შეეძლო ეთქვა, ქრთამი მოძიხოვა, შეეძლოე, დაიწუნა და ასეთი რამე მომიგონაო. უფრო უარესსაც მოჩმახავდა. აილო ფული, მიითვისა და საქმე კი არ გამოიკეთაო.

ამიტომ იტყვიან, გახარწილ ლემს განერიდეთ.

თორაძის საქმეს სასამართლო გაარჩევს და თავის სიტყვას იტყვის. ახლა მას ევალეზა იფიქროს გზაბნეული ქაბუკის გამოსწორების საშუალებებზე.

მიიწურა მეორე წელი. მოახლოვდა გადაფრენის დრო და ახალგაზრდებმაც ფრთები აიწყვეს. მზად იყვნენ გასაფრენად, მაგრამ სხვადასხვა მხრითა და მიმართულებით.

პავლე ცერცვაძე და თედო ცივაძე აქვე რჩებოდნენ ქარხანაში და დაუსწრებელზე მოსაწყობად საჭირო ცნობებს აგროვებდნენ.

ზოიძე ნანულისთან ერთად ფიქრობდა თბილისში წასვლას და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში შესვლას.

თალიკო თეატრში გადაიყვანეს, როგორც ნიჭიერი და კარგი მომავლის მქონე ახალგაზრდა მსახიობი.

ქარხანაში ახალგაზრდების ახალ-ახალი ნაკადი მოდიოდა. ახალი ხასიათები, ახალი გმირები და მოწუწუნენი, ახალი ნანულები. ცივაძეები, ზოიძეები, თალიკოები და, როგორც მუდამ, თორაძეებიც ჩნდებოდნენ, მაგრამ ახლა ქარხნის კომკავშირის კომიტეტს ჰქონდა გამოცდილება და იცოდა, თუ როგორ მოპყრობოდა ურჩისა და თვითნება ახალგაზრდას, რომ მისგან შრომისმოყვარე და წესიერი ადამიანი გამოეჭედა.

ალექსი ბირთვადემაც იცოდა, როგორ მიეღო ქალბატონ დარეჯანის მსგავსი არსებანი, თუ ოდესმე მათთან მისვლას მოისურვებდნენ.

ქარხნის კოლექტივიც მზად იყო მიეღო ახალგაზრდობის ახალ-ახალი ცვლა, გამოეზარდა, გამოეწოთ და, თუ რომელიმე უფრო მეტი ცოდნის მიღებას მოისურვებდა, კეთილად გაეშვა და გზა დაელოცა.

ასევე კეთილი სურვილებით გაისტუმრეს ჩვენი ნაცნობი ახალგაზრდებიც ახალ საფეხურებზე ასასვლელად.



## გიორგი საღუჯაძე

### მთიდან ქარი მოიმღერის

მთიდან ქარი მოიმღერის,  
თუ შავი ზღვის ზვირთებია,  
ასე ტურფა გაზაფხული  
მიწას ჯერ არ ღირსებია.

სიხარულმა აგვამღერა,  
გული მკერდში აღარ ცხრება,  
ხულოს მთები შემართულან  
მეხორუმე ვაჟკაცებად.

ზღვისპირეთო, შენი მიწა  
ველარავინ გადათელოს.

გადიმებით შემოგცქერის  
მშობლიური საქართველო.

ჩემო მხარევ, გაიხარე,  
ფორთოხლების დადგი ხვავი.  
იყავ მუდამ საოცნებო,  
თვალწარმტაცი სანახავი.

იყავ მუდამ ასე უხვი,  
ასე კარგი, ასე ტკბილი,  
შავ ზღვასავით მოქუხარი,  
ხიხანივით მხარგაშლილი.

### იმა სუმაჟი სპორტის სასახლეში

აღუბლისფერი ფონი და სახე,  
შემოხაზული ტუშით...  
მე ეს პორტრეტი შემთხვევით ვნახე,  
ვნახე და ჩამრჩა გულში.

სპორტის სასახლე ჰგავდა ქარიშხალს,  
ჰქუხდა მოსკოვის ტაში.

მისმა სიმღერამ ფრთები აისხა,  
გაფრინდა ანდის მთაში.  
ხან გაისმოდა ბულბულის სტვენა,  
ხან მეხთა ტეხის ექო.

მან იცის მზის და ბალახის ენა,  
ეს მაღლი ჯილდოდ ერგო.  
სახეზე შუქი გადაჰფენოდა  
მწიფე ფორთოხლის ფერი...

ტიროდა პერუ, პერუ მღეროდა  
და იცინოდა პერუ.

და ხმა გადიქცა გიტარის სიმაღ.  
მუსიკად იქცა ქალი.

ჯუნგლების ჰანგებს მღეროდა იმა,  
მწვანე წყვილიადით მთვრალი.  
გარეთ მოსკოვის (ა იყო რუსი  
და თეთრი იყო მიწა.

იმა ისმენდა დარბაზის ქუხილს,  
პერუს ხედავდა იმ წამს.

აღუბლისფერი ფონი და სახე  
შემოხაზული ტუშით.

სპორტის დარბაზში სცენაზე ვნახე  
იმას თვალეების ნუში.

მოსკოვი, 1961 წ.

\* \* \*

აბა ვის ვკითხო შენი სახელი,  
ვიცი, არ მეტყვის მოსკოვის ღამე,  
ვიცქერ და მესმის შორი ძახილი —  
ქართული სიტყვა გულს დაძიამებს.  
სიხარულით ვარ სავსე ყელამდი,  
ეს გრძნობა გულში ღამეს გაითევს.  
თბილისში, ალბათ, არც შემხედავდი,  
მაგრამ აქ თვალი რად ამარიდე?  
ახლა რუსთველის პრესპექტზეც  
ბარდნის,

დასეირნობენ შენი ტოლები —  
ტუჩებზე ვარდი, ლოყებზე ვარდი  
და მოციმციმე შავი თოლები.

თბილისში ყოფნა გულს ისე უნდა,  
ახლა ოცნება ისე კამკამებს!...  
აო გაექცევი უეცარ გუხდას.  
არც საყვედურით დახრი წამწამებს.  
გარეთ ფიფქების არის ბალეტი...  
მივდივარ, მაგრამ მიმყვები დარდად —  
მოკითხვას მაინც დამაბარებდი  
დედასთან, დასთან ან მეგობართან.  
მკოდნოდა მაინც მისი სახელი,  
ვინც უშფოთველი ძილი წამართვა.  
მამინ ეს ლექსი და ეს ძახილი  
არ იქნებოდა უმისამართო.

მოსკოვი, 1961 წ.

\* \* \*

არემღმა თორმეტჯერ ჩამოჰკრა ზარი,  
სასტუმროს ოთახს ჰკეტავ.  
ფანჯრებს აწყდება მოსკოვის ქარი.  
შენ გესიზმრება დედა.  
შენ გესიზმრება მაგნოლიები,  
ხედავ ვარდიბის ბრიალს.  
ციხფერ ვაზაში ლურჯი იები  
თავს მოწიწებით ხრიან.  
ზღვა იყურება ღია ვუანჯრიდან,  
შენ გითვალთვალებს თითქოს  
თეთრი თოლია სადღაც გაფრინდა,  
საით — არ იცის თვითონ.

შენც საიუკენღაც გული მიგიწევს,  
საით — ხომ არც შენ იცი...  
დასალიერი წითლად გიზგიზებს,  
ზეცა კოცონზე იწვის.  
შემდეგ ფოთლებზე აცეკვდა წვიმა,  
შემდეგ გავარდა მეხი.  
თვლებში შიშმა გაიციმციმა,  
მოშვილდულ წარბებს შეხრი.  
ჯამოგელვიძა... კვლავ რეკავს ზარი,  
ცა ჰგავს ვეება ეკრანს.  
სტუმრად მოვიდა მოსკოვის ქარი.  
მოსკოვი ბრწყინავს თეთრად.

მოსკოვი, 1961 წ.

\* \* \*

ჩემი ოცნება ისევ შენია...  
ისევ იქა დგას ის ხე,  
თითქოს ფოთლებიც არ გასცვენია,  
იმ ზაფხულზე რომ ესხა.  
შენი ფეხის ხმა მიყვარდა ისე,  
ვით საოცნებო გამა...  
არ დავავიწყდი, მომაგნო ისევ  
გადაკარგულმა ქარმა.  
ისევ მომაგნო დარდმა ტიალმა,

თითქოს დაგშორდი გუშინ.  
ისევ ის ცეცხლი დაატრიალა  
ამ წუთით დამცხრალ გულში.  
მიწას მაისი გვირგვინად ადგას.  
ღრუბლები მიაქვთ ქარებს  
და გული მწყდება, რომ შენ ხარ  
სადღაც --  
ჩემი ცხოვრების გარეთ.



## ქსენია მუხომია

### ნ უ მ ო ა გ ო ნ ე ბ

თუმც არ გაკლებდნენ ზრუნვას და ალერსს,  
 გული გტკიოდა მაინც რატომღაც.  
 დედა მალავდა ნაღვლიან თვალებს,  
 შენს ვაჟკაცობას გულით ნატრობდა.  
 შენი გაჩენის ბედნიერ თარიღს  
 მამა ვერ შეხვდა ღიმილის მჩენი,  
 ვერ გიხუტებდა მკერდში მხურვალედ  
 და არც ტიტინი სმენია შენი.  
 ის ბრძოლის ველზე დაეცა მკვდარი,  
 როცა ღრუბლებით ცა შეიმოსა.  
 ის ბრძოლის ველზე დაეცა მკვდარი  
 და შენ სიცოცხლე გადმოგილოცა!  
 შემდეგ რამდენი ქროდნენ ქარები,  
 ქვეყნად რამდენმა წყალმა იდინა!  
 დრომ გაუხუნა დედას შავები,  
 გულში ტკივილი დარჩა ტკივილად...  
 ახლა შენს წერილს მოელის დედა,  
 შენი სიცოცხლის მზეზე მლოცველი,  
 დადის და გხედავს, სიზმარშიც გხედავს,  
 სულ შენთან არის ფიქრით, ოცნებით.  
 მისწერე ხშირად, ნუ დაახანებ,  
 დედობის წმინდა ვალი გავალებს.  
 შენა ხარ მისი დღეცა და ხვალეც,  
 წარსულიც, აწმყოც და მომავალიც.  
 შიში, ლოდინი განა არ კმარა?  
 შენ გაახარე და გაუმართლე.  
 წლობით ელოდა სამკოთხა ბარათს.  
 ნუ, ნუ აგონებ დღეებს უმძაფრესს!  
 ნუ მოაგონებ დარდს და კაეშანს,  
 ჩუხილს, ქარიშხალს, უღიმილო ცას...  
 როცა ბრძოლაში მამა დაეცა  
 და შენ სიცოცხლე გადმოგილოცა.

## თორემ უთქვენოდ რა მემღერება?

ცხოვრება ჩვენი ზღვაა გაშლილი,  
 ზღვა უნაპირო და უსასრულო.  
 ხან ამიტაცებს გრძნობა ბავშვით,  
 მინდა მხარულით სივრცე გავცურო.  
 ზოგჯერ კამკამა ზვირთთან ვთამაშობ,  
 ზოგჯერ მათხიხის ძღვრიე ტალღები.  
 ხან ასე ვფიქრობ, ყინვა დამაზრობს,  
 ხან კი მგონია დავიდავები;  
 ხან თითქოს მთასაც შევეჭიდები.  
 მეხს და ქარიშხალს გავუმკლავდები,  
 ისევ ვმალდები, ისევ ვდიდდები  
 და უცებ ისევ ვპატარავდები.  
 გულში იმედის მიდგას ნათელი.  
 ხან ნეტარების, ხან აღტკინების:  
 ხან ბედნიერი და უდარდელი  
 ცაში ვარსკვლავებს ვეპოტინები  
 და მინდა,  
 მინდა ამაყად ფრთაშლილს  
 კარები არსად გამომიკეტონ,  
 სახლშიაც, კარშიც, მიწაზეც, ცაშიც,  
 მყავდეს ურიცხვი ძმა და მოკეთე.  
 ოცნების კოშკი ერთად ავაგოთ  
 და ამ მღელვარე გზებით ვიაროთ,  
 შენც, ნათესავო. შენც ამხანაგო,  
 შენც, შორეულო ჩემო ტრფიალო;  
 გავინაწილოთ ლხინიც და კენესაც,  
 ჩუმი ოხვრა თუ ჩუმი ვედრება,  
 დეკემბრის სუსხი, მაისის თქეში  
 და გაზაფხულის ახავერდება,  
 სხივთა ციმციმი, თამაში ფერთა,  
 სიმღერაც, ცრემლიც, ბედნიერებაც...  
 მეც თქვენთან ერთად, მეც თქვენთან ერთად,  
 თორემ უთქვენოდ რა მემღერება?





## ჩვენს ათობიანსა

### ჩ ა ნ ჩ ქ ე რ ე ბ ი

საკუთარ ჩრდილს ვაიტაცებს  
ორბი ზევით გაფრენილი,  
ქვევით მოჩანს ჩანჩქერები,  
მოჩანს მზეზე გასაშრობად  
მანდილივით გაფენილი.  
შალალ მთასაც ნადრევი  
გაზაფხული დაჩენია,  
ჩანჩქერია ეს მართლაც, თუ  
ზამთარს თოვლი დარჩენია?  
გაზაფხულით ნაამები  
ჩავეჭყეროდი ჩანჩქერს გუშინ,  
დაე მისი სიყვარული

სამუდამოდ ჩამრჩეს გულში.  
რად იციან ჩანჩქერებმა  
სულში ასე ჩაჩერება.  
ჩანჩქერებში ჩამავალ მზის  
ჩატეხილი ჩანს ჩქერები,  
ჩუჩჩუხით და ჩხრიალითა  
ჩამორბიან ჩანჩქერები.  
ჩამორბიან, მაგრამ მაინც  
ისღა რჩებათ ნაკლად გულში,  
რომ დაოლილნი, დაქანცულნი  
ვადადიან ნაკადულში.

### მ თ ა უ ი

სულში სითბოს და სინათლეს  
ასე უხვად ღვრის  
სიკაშკაშე ღამისა თუ  
ბრწყინვალეობა დღის,

საცალფეხო ბილიკებიც  
ბუნლს არასდროს ღლის,  
აქ სიკვდილიც უსათუოდ  
ერთ სიცოცხლედ ღირს.



## შირონ ხაჯაში

### გ ა ყ მ უ ა

როცა ძმები იყოფიან, ხშირად ისეთი რაღაც ხდება ოჯახში, რომ მერე ერთ წელიწადს მთელი სოფელი ამაზე რას არ ლაპარაკობს.

მე და ჩემმა ძმამ იმდენი ჭკუა ვიხმარეთ, რომ გადავწყვიტეთ: მშვიდობიანად გავიყოთ, რა გვაქვს საჩხუბარი და სადაო? რაღაც ერთ გორიცაში ჩასატევი ჯამ-ჭურჭელი, საბძელი, ძველი სახლი, ორი ძროხა და მისი მიმყოლი ველარ უნდა გავინაწილოთ?

ძმა ჩემზე უმცროსია და, რა თქმა უნდა, ცოლიც გვიან მოიყვანა. მართალი გითხრათ, სულ რაღაც ორმოცი დღეა ცოლი მოიყვანა. ჩემთვის რომ დავფიქრდები ხანდახან, შემრცხეება ცოტა, იმიტომ, რომ რაფერ გინდა თავი გამოყო კაცმა ორმოცი დღის მოყვანილ რძალს რომ გამოეყოფი, შშობლებსაც მიატოვებ და, რადგან ჯერ ცალკე სახლი არ ავიშენებია, ისევ იმ ძველ სახლში ივლი, მაგრამ სხვა მხრიდან გამოჭრი კარებს, რომ შენს ოთახში შესავალიც გამოყოფილი გქონდეს, რათა ძმას, მამას, დედას და რძალს აღარ შეხვდე კიბეზე.

ანაზე რომ დავფიქრდები, მართლადა გული შემეკოჭება. მაგრამ რა ვქნა?! ჩემი ცოლი ისე შემიჩნდა, რომ საშველი არ ადგება. ამბობს, მირჩევნია უმარილო ლობია ვჭამო, ოღონდ ჩემი ერქვასო.

ეკ, ახლა რა ძალიან მაგონდება დედაჩემს რომ ვპირდებოდი: დედი, ჩემი ქალი სულ „შენი სულის ჭირიმეს“ გარდა თუ რამეს გეტყვის, ერთ დღესაც აღარ შევინახავ-მეთქი. ოღონდ შენ მითხარი, დედი, ჩემი ცოლი თუ რამეს გაწყენინებს-მეთქი.

მაგრამ მერე, ქალი რომ მოვიყვანე, შევხედე, რომ ცოლმა დამიწყო ნელ-ნელა ფუჩფუჩი: დედაშენმა დღეს ასე მითხრა და ეს რასაც ნიშნავს კი ვიციო, მარა ვითმენ, არაფერს ვებნევი, შენ თვითონ უთხარიო. მერე უფრო და უფრო მოუხშირა ასეთებს. ბოლოს მეც მეწყინა და ვუთხარი:

— დედი, მე მეგონა, შენ გაწყენინებდა ჩემი ქალი... აქ კი პირიქით ხდება. ბოლოს და ბოლოს, სხვისი შვილია, დედი, ხომ იცი. ამხელა რამე ეწყინება, და გადაუხზაზე საჩვენებელი თითის ფრჩხილი შუაზე.

დედამ თავი ჩაჰკიდა, რაღაც მძიმედ ჩაფიქრდა, არაფერი არ მიპასუხა და ნეც დავრწმუნდი, დამნაშავეა-მეთქი. და რადგან თვითონ გრძნობს, ბევრი საყვედური აღარ ვუთხარი. დედამ იფიქრა, იფიქრა და ერთი უცებ ისევ მე

შემხედა, კალთაში მწოლ ჩვილს რომ გაუღიმებს მშობელი, ისე გამიღმა და რალაც სულ სხვანაირი სიხარულით აკანკალებული სიტყვები გამომიწოდა:

— შვილო, მალე ქალს ვადა უთავდება... კაი ხანია ძამაშენს ცაცხვის ლამაზა აქვს შენახული შენი ბაღისთვის. რომ დეიბადება, მაშინ ხომ ვერ ირბენ!.. ეილე და წეილე და შენ თვითონ რაფერიც გინდა, მოახვეწიე აკვანი. ქალს უთხარი, შვილო, მუფურთხილდეს. ვუშინ მე გავუჩავრდი — ნუ ირბენ-მეთქი და ეწყინა: გეიქცა და სარის ღობეს გადაახტა. მე აღარაფერს ვეტყვი, თვარა ვარესი რომ ქნას? შენ მუვარე, შვილო! — მერე გახედა, ჩემი ქალი მოდიოდა ბოსტნიდან. მიბრუნდა და სამზარეულოში შევიდა.

ამის შემდეგ, ასე ორი-სამი თვე კიდე გავიდა. დედას ბევრჯერ ეწყინა. მაგრამ ერთ დღეს ჩემი შვილი დაიბადა, ვაჟი დაიბადა და დედაჩემს ისე გაეჭარდა, რომ დეიმალა და იქ გადარეულივით იცეკვა მარტომ. ჰო, ჰო, იცეკვა. ჩემი პატარა დაი კარებში უჭიტივებდა და იცეკვაო, ჩუმად მიიხრა.

ახლა უკვე სამი შვილის მამა ვარ და მართლაც დროა ცალკე ვაშენო ცხოვრება, მაგრამ ეს გაყოფა, როგორც ვითხარით, ცოტა უხერხულ დროს შეერჩია.

შეერჩია, მაგრამ თქვენ რომ იცოდეთ...

გულშიამ უკვე მთლად გაივსო ჯავრით ქალი და, სუყველამ რომ დაიძინა, ზურჩულით ჩხუბი დამიწყო:

— ხვალ თუ არ გარიგდით და ჩემი მე არ მხვდა, დაეყრი ამ ბაღებებს და წავალ... წავალ, ჰო...

გულში ვფიქრობდი: ეს ბაღნები მტეხს წელს, თორემ ჯანდაბაშიც წასულხარ. მერე ამ ბავშვებს მართლა რა ვუყო, თვარა...

ჰოდა, მეც ვერაფერი ვუთხარი და ეგონა დავაჯერე, ან შევაშინეო და ამიტომ უმატა ლაპარაკს და მერე დამერე ზურჩულში ანგარიშებიც გაურია:

— რა გვაქ ახლა, აგერ მოვთვალეთ. ის სანარცხე ქვაბი რომაა. აქეთ უნდა დარჩეს. მეორეს გადის, მარა რა ვქნა. აგერ სახლი მათ არ რჩებიან! გააკეთებონ და იხმარონ. ყველაფერი მათ რჩებიან.

პაწაი კაპჭანიც მე მინდა. იცოდე. იმაში იმფერი ფხალობიო კეთდება.. შენ გიყვარს ფხალობიო, თვარა მე რა მენაღლება! სამი ტაფა რომაა. დააწყე ცეცხლაპირ და რუმელიც უნდა ამეირჩიოს შენმა ძმამ. ორი შენ წეილე. შენ ბაღნები გყავს და იმას... ახლა თუ დედაშენმა ის მისი ქალაჯო არ იკრა პირში, არ იქნება თუ?!

გობი და ცალფენა სუფრაც დადვი ცეცხლაპირ. ამეირჩიოს... ჩვენ ხუთი ვართ, ისინი სამი რჩებიან. ისიც ძველ ბინაზე. დუფიქრდი ამას კარქათ. მემრე ხომ მე ააფერს ვიტყვი... კაცი ხარ!.. სამფენს ლაპარაკიც არ უნდა, შენ არ გააკეთებდი?! კევრისხელა ზრუფი აქ შენს ძმას, წევდეს და დაარტყას ჩაქუჩი და ექნება. წაჭიკარტული აქს თვალები წიგნის კითხვით. შენ თხარე, თესე და მას აჭამე... მივაყრი, არ უნდა?! ერთი ვნახავ, რას იქს მემრე. იმ წიგნებით თუ ჭადი იჭმება, ერთი იმასაც ვნახავ... შემძრალა ამხელა ჩოყლაყი და ფოშტაში აღამებს. მაინც რამე იცოდეს, ან ერთი-ორი შავრი შინ მოქონდეს! ჯვალი წავა, ჯვალი მუა. შენ ამას არ უკვირდები... გეტყვი, — ცხვირს გააშვერ. ძმები სხვაც ყოფილან, მარა რავარც ყველაი რიგდება ოჯახში, ისე რიგდებიან ისინიც.

აჰა, ზამთარი მოდის, ძროხებინა დავაბათ, ალაფი არაა. მე რომ ჩემი მეყოლიბა, დროზე წავალ ღელე-ღურდნებში და მოვბოლი ბალახ-ბულახებს. ლეშსს გავახმობ, მოვზიდავ და ვაჭმევ კარქათ და მოვწველი და ვჭამ. ასეა...

ახლა რატომნა ვქნა!.. ნუ ხუჭავ თვალებს, ნუ! არ დაგაძინებ... ენა ამეილე, თქვი რაცხა. გაარიგო უნდა ორად თუ არა ხვალ ქონება?..

მართლა მინდოდა ძილში გაპარვა, მაგრამ ისეთი ქალი მყავს, ძილსაც კი ვაუფებს ჩემთან მოახლოებას და შორს გადენის.

— კი, კი გავარიგებ... — ვუპასუხე ბუნდოვნად და მეორე მხარეზე გადავბრუნდი.

მეორე დღე მშვიდობიანად დავალამეთ, მაგრამ ასე ვახშობობის ხანს, ისევ აღუღდა ქალი. ასე იყო მუდამ. ჭამის წინ იცოდა ატება.

მეც ავიღე და ვთქვი სათქმელი. მამაჩემი ბუხართან იჯდა, დედაჩემი აკვანს არწევდა, ახალი რძალი ჭადს ტეხდა, ჩემი ცოლი კეჟერას მყავს იღებდა დერგიდან და რაღაცას გაჯავრებით არახუნებდა, მაგრამ, ალბათ, ჩემი ნათქვამი გეიგონა, მოეწონა და გასუსულდა, რა მოხდებო. ყველა გასუსულდა. სწორედ ამ დროს ჩემი ძმა დაბრუნდა ფოსტიდან, უამრავი გაზეთები მოიტანა, სექსზე დაყარა და ჯორჯოზე ჩამოჯდა. ჩვენ გაზეთები გამოწერილი არ გვქონდა. მაგრამ ის მაინც ზიდავდა. ეს, ალბათ, იმიტომ, რომ ჩემი ცოლი ერთხელ ეჩხუბა: ვინც სამსახურშია, ყველას რაცხა მიაქ მუდამ შინო. გაზეთის მეტი რა ქონდა ჩემ ძმას სამსახურში და ზიდავდა გაზეთებს.

— რა დაგემართათ, რას გაჩუმებულხართ! — გაიკვირვა ბოლოს ჩემმა ძმამ.

ავიღე და გვეიმეორე ჩემი ნათქვამი, რაც თანახმად ჩემი ცოლის გამუდმებული მოთხოვნისა, ჩვენი ოჯახის ორად გაყოფას შეეხებოდა.

— კი, ძიაე!.. — ოდნავი კმაყოფილებით თქვა მან. — გავარიგოთ! მართალი ხარ...

— ბიძა დავისწროთ. მაინც სხვაა... — ვუთხარი.

— არავითარი ბიძა მაგას არ უნდა! დავჯდეთ აგერ და გავარიგოთ... — გადაწყვეტილად დაამთავრა მან.

გამიკვირდა. მე შეგონა, ეწყინებოდა ძმას.

რაც გვებადა. მოვზიდეთ, ცეცხლისპირს დავაწყვეთ

მამაჩემი რატომღაც წამოდგა, ერთი სიტყვაც არ გვითხრა, ისე გვეიდა მეზობელ ოთახში და იქ ჩამოჯდა ჯორჯოზე. ვერ გაუძლო. ალბათ, როგორც უნდა შეეხედა ჩვენთვის — მისი ორადორი შვილისათვის, ერთად რომ ეღარ მოწყობილან და მის აგებულ ოდაში ბუხართან დამსხდარან, რათა ასე მალე გაინაწილონ ყველაფერი და აქ აღარასდროს აღარ დასხდნენ ერთად. შვილების გაყოფას მე ჩემი თვალით ვერ შევხედავო, ხშირად უთქვამს მამაჩემს.

არც ჩვენი ახალი რძალი ჩაგვერია საქმეში. ისიც მიიმალა. ალბათ, რცხვენოდა. დედაჩემი იჯდა სექვის ბოლოში, მაგრამ ერთ დერ სიტყვასაც არ ამბობდა.

დავრჩით მე და ჩემი ძმა პირისპირ.

შუათანა ტავა, შარშანდელი მოკალული, აღარ ჩანდა, არც ხელგობა იყო მოტანილი, კაპჭანიც მაკლდა თვალში და კიდევ რაღაცები, მაგრამ აღარაფერი ვთქვი, რადგან ვიცოდი, ჩემი ცოლის ნახელავი იქნებოდა ეს და, რომ მეთქვა, ატყდებოდა ერთი ამბავი.

ძმას ენაც არ დაუძრავს.

გადაწყობილი ნივთები და ჯამ-ჭურჭელი ჩემს ცოლს გამუდმებით მიქონდა მესამე ოთახში ეზოდან.

ბუხარში საკიდარზე ერთი შუათანა კარდალი ეკიდა. რომელშიც ლობიო იხარშებოდა.

ის კარდალი ძმას რჩებოდა.

ყველაფერი რომ გადაზიდა, ჩემი ცოლი ახლა გამზადებულ ვახშამს მიუბრუნდა. ბავშვები იქ, ჩვენს ოთახში, ჩაკეტა, მეც წადიო, ითხრა და გამზადებულ ვახშამს მიუბრუნდა. კარდალიდან ნახევარი ლობიო ციცხვით გადმოსხა, ნახევარზე მეტი ჭადიკ ამოტეხა კეციდან და თავისი ახალი ოჯახისაკენ გააქანა.

რძალმა ვახშამი მასანდარაზე დააწყო და მიგვიწვია. ცალფეხა სუფრაც ჩვენთან წვილეს და ამიტომ მასანდარაზე მიგვიწვია.

ისე, გამიჭირდა მაშინ ძალიან, ადგომა და ცალკე ოთახში გასვლა სავახშმოდ. გაჩენიდან ხომ ერთად ვიყავით?!

მაინც ავდექი და ჩვენს ოთახში გავედი. ვერც მადლობა ვუთხარი ვერავის, ვერც ბოდიში.

ლობიო ძალიან მემწარა და ორიოდე ლუკმის 'შემდეგ ძველ ჭილოფზე წამოვგორდი და მალე კიდევ ჩამთლიმა.

კარგად გათენებული არც კი იყო, რომ ერთი კვნესა და ხმაური გავიგონე მეზობელ ოთახიდან. მალე ძმამ დამიძახა, ძამა ცუდად გახდაო. ავდექი, საჩქაროდ ჩავივი და კარი გავადე. მაგრამ ქალი გადაძელობა წინ.

— არ გიშვებ, გაყოფა მე გაყოფად ვიცი... ჩემი — მე, მისი — მას...

— ქალო, გადი იქით, ძამაჩემია ავად...

— მამაშენი მისია. ავატყოფიც მისია... იმდენი ირბინე ექიმებზე, კპარა. ახლა თითონ წვედეს. სიკტილი სხაა. ავატყოფი მისია...

მი მიგონა მართლა გადავირიე-მეთქი, ისე ამივარდა ცეცხლი თავში და ისე მთლად დავბუყდი.

ვიფიქრე, დავახრჩობ-მეთქი, წავატანე ხელი და, ჩალის კონას რომ ისვრიან, ისე ვისროლე ქალი უკან, სექვისკენ. არც მიმიხედია მისკენ, გავვარდი ეზოში და მალე მამაჩემს თავზე დავადექი.

მე რომ შევედი, მამას თვალები ახელილი ჰქონდა, მაგრამ წავდექი თუ არა, თავი კედლისკენ გადააბრუნა, თითქოს პირი ამარიდა. ეს ოდნავ მეწყინა და გამიკვირდა.

აღელვებულმა ჩემმა უმცროსმა ძმამ მორიდებით, თან რალაც დამნაშავესავით შემომხედა და მითხრა:

— გეგონა, წედან ქალი რომ გეუბნებოდა... მერე ეს გაყოფაც...

ხმაურზე ჩემი ბავშვიც წამოვივიდენ, მოვარდენ და გარს შემოგვესიენ. მამამ შუადღემდე ძლივს გასტანა.

მე და ჩემი ძმა დაღონებული, აცრემლებული ვიდექით და ერთმანეთს შევეყურებდით დამნაშავეებსავით.

მაგრამ მე მაინც სხვანაირად მიმიძიდა ეს ყველაფერი და გულში გადაწყვეტილად ვამბობდი. — ათი შვილიც რომ მყავდეს, დღეიდან ასეთ ქალთან აღარ ვიცხოვრებ-მეთქი.

ვიცი, მეზობლები გამამტყუნებენ, მაგრამ რა ვქნა, საკუთარ გულში ყველას ვერ ჩაახიდიბ.

რა იციან მეზობლებმა...





## დიდი ნუსხებიძე

### გუნდა მესროლეთ!

გულს მიხარებდა სიცივე ზამთრის  
და პეპლებივით ფანტელს ვიჭერდი,  
ნაწნავის რხევით და თეთრი ბაფთით  
თოვლში მახრჩობდნენ ცელქი ბიჭები:  
ახლაც თოვს, მიწას ფანტელი ბარდნის,  
გაიფრთხილეს მკერდში ლექსებმა...  
გული რატომღაც მევსება დარდით,  
გული რატომღაც დარდით მევსება.  
ბუდისპირს ახლა ჩიტი აღარ ზის.  
მხრებდათოვლილი დგანან ფიჭვები,

გარეთ კისკისებს გოგო ლამაზი,  
გუნდებს ესვრიან ცელქი ბიჭები.  
გავცქერი, თითქოს დავმარცხდი ომში!...  
აბა, რაღაა დასაფარავი!  
მეც სათამაშოდ გამოველ თოვლში,  
გუნდებს არ მესვრის მაინც არავინ.  
გულდაწყვეტილი ვრჩები ესოდენ,  
დამეკარგება ეშხი სიმღერის,  
ჰეი. ბიჭებო, გუნდა მესროლეთ.  
თორემ დამახრჩობს შიში სიბერის!

### ბაკათი სოფელში

დავდივარ, შენზე ვფიქრობ.  
შძინავს, სიზმარში გხედავ.  
ჩემო შავტუხა ბიჭო,  
ჩემო ლამაზო ბიჭო,  
წინ შემოგევლოს დედა!  
ალბათ, ბაბუას თეთრ ცხენს  
ივლზე ჩირითით უტევ...  
ნუ აფრთხოვ, ბიჭო, მერცხლებს, —

დიდი კაცი ხარ უკვე!  
ტყეში დაკაწრულ ფეხებს  
სიზმრად გიხვევდი წუხელ.  
გულმა სიმღერა დაგმო,  
ლექსი ყლორტშივე ახმა.  
სიცოცხლეც, ჩემო კარგო,  
დედის იავ და ვარდო,  
ნეტავი როდის გნახავ?!



## ნორჟი ნაისია

### შენ რომ არ იყო...

ნე მელანდება თეთრი ქოშებით  
სადღაც მიჰქრი და ნისლში ეხვევი.  
ქარი გარბევს და მოგდევს ქოშინით  
და ქართან ვდაობ... და ქაოს ვეხლები.  
თითქოს გიხმობენ, სადღაც ყრიაო  
აღმასები და... მიხვალ ბავშვური.  
ღე, ვით არწივი, მოვფრენ ყრიალით  
და ჰაერს ვამსხვრევ ფრთების ტყლაშუნით.  
და მელანდება თეთრი ტუნდრები,  
ველზე მიხვალ და... მხრებზე გათოვს შენ.  
შენ დაიღალე და შენ დუნდები  
და არვინ გითბობს ხელებს გათოშის.  
მოდო, მოფრინდი ტოროლასავით,  
მე აგაშორებ ყველა სიავეს.  
შენ სუსტი ხარ და მე შენ გასწავლი.  
ყინულზე ფეხი როგორ სრიალებს.  
მერე და მერე მე შენ გიამბობ,  
როგორ იწვიან სულში განცდები.  
მერე და მერე სულ იკიავებ  
და შენი ტრფობით დავიქანცები.  
შენ მოიღერებ, ალბათ, მაღალ ყელს,  
ბავებზე ღიმი ალარ დაშრება.  
მერე და მერე აგრე გავამხელ  
წლებს გარდასულებს, თოვლს და ბავშვობას.



## ახალგაზრდა პოეზიების დამსახე

### გივი კლიაშვილი

#### ს ი მ ლ ე რ ა

აბა, რა ვიცი, ვის რა მონუსხავს —  
 ღვინო, ქალი თუ ცხოვრება მშვიდი.  
 მე კი?.. სიმდიდრე? ო, არა, სულ სხვა,  
 უფრო ძვირფასი და უფრო დიდი.  
 როცა აჰყვები ცთუნებას საშიშს  
 და გასურს გაექცე მზეს და სინათლეს,  
 ნე მიყვარს იგი, ვინც მოვა მაშინ  
 და პირში გეტყვის მწარე სიმართლეს.  
 მე მწვავს, ვით სწვავდა გრძნეულ მინდიას.  
 ბუნების ეშხი და სილამაზე,  
 როცა სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია  
 და შენ მომავლის რწმენით ხარ სავსე.  
 მე მიყვარს სულზე უტკბესად ბავშვი,  
 მე მიყვარს ყველა მამა და დედა.  
 ვინც მამობაში, ვინც დედობაში  
 ერის დიდების საწინდარს ხედავს.  
 ღვინო, ქალი თუ ცხოვრება მშვიდი.  
 აბა, რა ვიცი, ვის რა მონუსხავს, —  
 ო, მე კი სულ სხვა, ო, მე კი სულ სხვა,  
 უფრო ძვირფასი და უფრო დიდი.

### არჩილ ხალვაში

#### შ უ ქ უ რ ა

<p>           ღამეა. ზღვაში ნავი დგას მარტოდ            და ნაპირისკენ გზას ველარ იგნებს.            მეთევზეები, აღვსილნი ბრაზით,            ჩასჩერებიან ქაფიან ზვირთებს.            წუთით ძლიერმა ქარმა დაჰბერა,         </p>	<p>           ბურუსი ღამის ცად აიტაცა,            და ნაპირიდან შუქურამ ლალად            სხივების კონა ნავს მიაწარცხა...            და ნაპირისკენ წავიდა ნავი...         </p>
---	--

## ბალადა რუსთველზე

სადაურსა სად წაიყვან, ღმერთო,  
 ამ დიდ გზებზე ვინ სად დაივანა! —  
 ჯვრის სენაკში კელაპტარი ენთო  
 და ქრებოდა სანთელივით ძალა...  
 — გული მიწევს, იქ სამშობლო მიხმობს.  
 ეგრე მიხმობს იმ განდგომის დღიდან,  
 ერთი აზრი, ერთი დარჩა გრძნობა,  
 ოჰ, მამულო შენი ხილვა მინდა.  
 ოღონდ დამრჩეს ცოტა მუხლში ღონე,  
 იქ სამშობლოს ტკბილი მიწა მელის,  
 დიდო ღმერთო, შეისმინე ლოცვა,  
 მასთან მოვეკდე, მისი მიწის მტვერი...  
 ბინადარი სარეცელზე ჩასთვლემს...  
 'ხელში დროშას აფრიალებს გაშლილს.  
 ხმა მოესმის...  
 — რუსთაველო, რას გამატან ქართლში!  
 თვალს გაახელს,  
 მწარ ღიძილში ფერმკრთალდება ღაწვი.  
 — არა,  
 ღმერთო, აღარა მაქვს განძი!  
 — მაშინ გული გამატანე, ბერო.  
 თუ არ გიღირს სასოება გარჯად.  
 — არა,  
 გული სამშობლოში დამრჩა.  
 გამრა ბაგე და დადუმდა ენა,  
 ღონე მიხდილს აერია დიქრი...  
 ნუთუ მართლა არაფერი დარჩა...  
 სასოებით დაიძახა — „წიგნი“.  
 სადაური სად მომკვდარა, ღმერთო,  
 ამ დიდ გზებზე ვინ სად დაივანა! —  
 ჯვრის სენაკში კელაპტარი ჩაქრა.  
 ამობრწყინდა უკვდავების ძალა.

## ამიკან მიქაუჯაძე

### წ ი ნ ა კ ა რ ი

ორბელიანი წინაპარი არა მყოლია,  
 არც სეფეწული — დიდებული ბაგრატოვანი,  
 არაბულ რაშზე ამხედრებულს არ უქროლია,  
 დიდებას ვისას ფერფლად გახდის ქამთა თოვანი.  
 სვეტიცხოველში ზარზემით არ ულოცნია,

არ უმშვენებდა შუბლს გვირგვინი მოოქროვილი.  
კაცი მწევარზე არასოდეს გადაუცვლია,  
ღრუბლებში ციხეს არ იგებდა, ქართლს  
განდგომილი...

ის გლეხი იყო, მცირე ყანის, ფაცხის ამარი,  
გულს უღონებდა მონის ბედი ქვეყნის  
მარჩენალს...

ის არ ყოფილა მეფეთ-მეფე, ერისმთავარი,  
შაგრამ მამული სწორედ იმან გადაარჩინა.

## იუკი ჯინჯარაძე

### დ ე დ ა ს

— შენ დიდი ხარო, სიღინჯე გმართებს...  
რა საჭიროა ამის თქმა, დედი.  
რად მოსწყინდებათ ნავარდი მართვებს,  
როს ალტაცება დაპყვება გვერდით?!  
მე სხვა ფიქრები მესიტყვებიან  
ერთი პატარა მანდილოსანის.  
როს ჩემი პირმშო გეტყვის ბებიას,  
მეც დავბრძენდები მამილოსავით.

## პატიანი თეზაძე

\* \* \*

პატარობისას მე და ჩემი ძმა  
ხშირად ვპარავდით ბებიას ჩირებს.  
ვივსებდით მუქს და ვივსებდით უბეს,  
მოკლე შარვლებზე არ გვექონდა ჯიბე.  
არ გვექონდა მაშინ არც იმის დარდი,  
თუ მოვიდოდა სტუმარი ვინმე.  
ბები არაყა რომ გამოიტანდა.  
გავუცრუებდით შენახულ იმედს.  
გავუცრუებდით... და ბები მაინც

წარბს არ შეხრიდა მასპინძლის წესზე.  
შემდეგ, სტუმარი რომ წავიდოდა,  
თუ იყავითო, გვეტყოდა, სხვენზე.  
ჩვენ კი ენაზე გვეკერა მუდამ:  
სულ არაფერი ვიცით, ბებია.  
ჰმ!.. ბების მაშინ თვალს აკლდა  
თორემ,  
ჰკუა არასდროს არა ჰკლებია.



## ჯანსუღ ნიქაბაძე

### ღამის სტუმარი

ზმანება ღაღო ასათიანის ყოფილ ოთახში.

დარაბებს მძიმედ აწყდება ქარი,  
და სულში ატანს იანვრის თოში...  
შორით რომ ბრწყინავს, ვარსკვლავი  
თუ ყამარ ქალის ზღაპრული ქოში.

იქნება ცეცხლი უნთია მეხრეს  
და გუნებაში დასცინის ზამთარს,  
იქნება მცხეთით წამოსულ გლეხებს  
შემოაღამდათ თბილისის კართან...

მე კი მარტო ვარ, როგორღა არ ვთქვა.  
ეხ. სიმარტოვე ძნელია, ძნელი,  
უხმოდ ვსაუბრობ საკუთარ თავთან  
და ცივ ოთახში არავის ველი.

ჰა, თითქოს ვიღაც მოაწვა კარებს  
და უხმაუროდ იღება კარი,  
გუმანდაკრული გავდივარ გარეთ,  
არავინ არ ჩანს, არავინ არი.

დავხუჭავ თვალებს და ისევ ვახელ,  
გაოცებული და უნაღველო,

თვალწინ იეღვებს ნაცნობი სახე  
და აწეული თეთრი საყელო.

დგას აივანზე მხრებდათოვლილი.  
ვუმზერ, ის არი, თითქოს არ მჯერა,  
მოვა, ხელს მხრებზე დამკრავს  
ტოლივით  
და ნუგეშით მიწვდის მარჯვენას.

სუფრაზე ჩნდება ქათქათა შოთი  
და ერთი კვარტი ჭაჭის არაყი.  
არა, სრულიად არა ვარ ლოთი.  
მაგრამ ულხინოდ ყოფნაც არა ღირს.

გარეთ, კვლავ ქარი გრიალებს  
რისხვით,

ქარს მოსვენება არა აქვს წამით,  
და ჩემს ოთახში დილაძე ისმის:  
შესვი, დალიე, გაამოს, ამინ!

... განთიადისას ღვინით და შფოთით  
დადლილს ჩამესმა შრიალი წყნარი,  
სუფრაზე იდგა დაცლილი ბოთლი  
და ჭრიალებდა გახსნილი კარი.



## ბიოგრაფიული სანაღიკაჲ

### რავსკოლია ფოთოლცვენის ქაშს

თეატრის შესასვლელთან გამხდარ დედაბერს ვარდები გამოართვი და ნატოს გაუწოდე. დაისი დგებოდა. კუთხის გავლისას, სადაც დაფლეთილი საგამოდლო ფურცელი გადააგდე წელან, უკვე არაფერი ჩანდა. მტვერსასრუტ მანქანებს პირწმინდად აეხვეტათ ქუჩა. ახლალა იგრძენი, რომ საშინლად დაილაღე. თანაც პრიფესორ ახმეტელისათვის უნდა დაგერეკა, უნდა დაგერეკა ახლავე, რადგან იმ წუთს მხოლოდ ახმეტელს შეეძლო დაგხმარებოდა. მისი ნაცნობობის იმედი გქონდა, მაგრამ ხელი ჩაიქნე და მანქანაში ჩაჯექით. „რატომ ხარ ასე დაღვრემილი?“ — გკითხა ნატომ. „არ ვიცი, გუშინ მთელ ღამეს ვმეცადინებოდი და თავი მტკიოდა“. „გუშინ შენ სვამდი“. — თქვა მშვიდად ნატომ და შემოგხედა. პო. შენ დაგავიწყდა, რომ თედოსთან სვამდი გუშინ. თედო ხომ შენი ყველაზე უახლოესი მეგობარია ამ უზარმაზარ ქალაქში და შენ მოგწონს, როცა თედო ამბობს: „მე ყველაფერი უნდა გამოვართვა ცხრვრებს, მე ვჩქარობ“. შენ ვაგახსენდა, რომ იგი ოდესღაც პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სწავლობდა საგზაო მშენებლობის ფაკულტეტზე. მერე მიანება თავი. „ხომ სვამდი გუშინ“, — თქვა ისევ ნატომ. „შეშაკმა დალახეროს, ალბათ, ვსვამდი“. ქარი ქროდა. თვალები დახუჭე, მოგეჩვენა, თითქოს ყველაფერი ეს სიზმარში ნახე. ეს საღამო, გამოცდაზე ჩაჭრაცა და გაცრუებული ოცნებაც. ქუჩა ძალიან გრძელი იყო, ძალიან გრძელი, და შენ ვაგახსარდა, როცა ვაიარეთ ოთხი ქუჩის გზაჯვარედინს ახლო. მანქანამ სვლას უკლო. ჩამავალი მზის შუქმა მოლიანად გაანათა ნატოს სახე. ფრთხილად ჩამოგიცილა. ვიბის პატარა სარკე ამოიღო და თმები შეისწორა. ქერა თმები ჰქონდა, ბუნებრივად ქერა თმები და იგი ამყობდა ამით. იმ წუთს საოცრად მიმზიდველი ჩანდა, ლამაზი.

მანქანა გააჩერებინე. გადმოსვედით. საზაფხულო კაფეში რამდენიმე კაცი იჯდა. ისინი ნაყინს შეექცეოდნენ. ბუფეტის იქით. „შენობაში, ვილაც მამაკაცი უკრავდა ფორტეპიანოს. მზის ნაყური სხივი დათინათინობდა მაგიდებზე, ხეთა ჩრდილები გაწოლილიყო ტროტუარზე, მაგრამ ნატო სულაც არ ფიქრობდა უკანასკნელი შუქით აელვარებულ ხეებზე. იგი ფორტეპიანოს უსმენდა. ხანდახან ბორბო წამოუჭროლებდა, ფოთლებს მოაყრიდა, შენობათა სარკმლებს მიახეთქებდა და ისევ მიყუჩდებოდა. ნატო დროდადრო ასწევდა

თავს. იმ წუთს მასზე უმშვენიერესი არავინ გეგულებოდა, თან სიამაყეც გეუფლებოდა, რომ იგი შენს გვერდით იჯდა, რომ შეგეძლო მის ხელზე დაგედო ხელი, მიპფერებოდა, იგი თავჩაქინდრული იჯდა, იჯდა მიმწუხრზე, როცა მზე ჩადიოდა და ხეებს შრიალით ცვიოდა ფოთლები. სწორი, ნატიფი მკლავებით მაგიდას დაყრდნობოდა და იმ წუთს იგი მეოცნებეს გავდა. მებუფეტე ქალმა ფანჯარა გააღო და ფორტეპიანოს ხმა ასლა უფრო მძლავრად გადმოიღვარა. გადაიხარე და ნატოს მხარზე დაადე ხელი. იგი არ განძრეულა. ამან კიდევ უფრო გაგათამამა და თქვი: „წამოხვალ ზღვაზე?“ „ზღვაზე? კარგია, მაგრამ შენ ხომ უნდა ისწავლო?“ „შენ თუ გინდა, წავიდეთ. შენთვის ყველაფერს გააკეთებ“. შინ ნატოს შეხედე და მან გაიღიმა. მერე ცაზე ვარსკვლავები გაჩნდნენ. ყველგან სიჩუმეს დაესადგურებინა, მხოლოდ მამაკაცი ისევ უკრავდა ფორტეპიანოს. „ეს ბრამსია“. — თქვა ნატომ. „ეს რაველია, მორის რაველი“. თქვი შენ. „პო, — თქვა ნატომ. — ფრანგები ამბობენ, რაველი ბეთოვენზე დიდიაო“. სკამის ზურგს მიეყრდნო, იგი უცდიდა, როდის აალაგებდა მომტანი ცარიელ ჭიქებს. მერე შემობრუნდა. „რა კარგია, — გაიღიმა ნატომ, — რა კარგია იჯდე ასე და უსმენდე რაველს. ღმერთო ჩემო, რა კარგია!“ როცა შეხედე, მის თვალებში ელვა ციმციმებდა, ნაზი, ფაქიზი ელვა, ათასი ანთებული სანთლისაგან წარმოქმნილი. და უცებ მოგიჩვენა, რომ არ იყავი მისი ღირსი. რომ იგი ასეთი ფაქიზია და წმინდა. ბუფეტში გახვედი და სიგარეტი იყიდე. და როცა სიგარეტს ყიდულობდი, იგრძენი, რომ ნატო თვალს არ გაცილებდა. ხელი დაუქნიე და ანიშნე — წავიდეთო.

მოსახვევთან ნატო ავტობუსს გაჰყვა. ამ ღამით იგი მეორე ცვლაში მუშაობდა. სიგარეტი გააბოლღე და სანაპიროსკენ გაისეირნე. სანაპიროზე უზარმაზარი ხეები იდგნენ და ხეებს ფოთლები ცვიოდა. ფოთლები ეყარა ყველგან, სველ მოაჯირზე, ტელეფონის ჯიხურთან, გაზონებში. შენ უსმენდი ფოთლების შრიალს. გსიამოვნებდა. მახლობელ ბაღთან გაუხვიე და ახმეტელს მიაკითხე. ყურადღებით მოგისმინა, თვალებში თანაგრძნობა უკრათოდა, მაგრამ რამდენიმეჯერ მაინც უკმაყოფილოდ გააქნია თავი. „ამას უკვე აღარ ველოდი თქვენგან“, — თქვა ახმეტელმა, როცა მანქანაში ჯდებოდი. ახმეტელს საკუთარი მანქანა ჰყავდა. მანქანა ახალი იყო, ბზინავდა და უნდა გენახათ, ეს ჩია ბერიკაცი, ჩიბუხს წამითაც რომ არ იცილებდა პირიდან. რა აღგზნებით მართავდა საჭეს. იგი შენი შორეული ნათესავი იყო. პირველად საღამოს გაზეთის რედაქციაში გაიცანი და ნახევარსაათიანი საუბრის შემდეგ თავისი ბინის ტელეფონი მოგცა. ახმეტელმა გაგაოცა თავისი მეხსიერებითა და ყურადღებით. იგი დიდი ერუდიციის ადამიანი ჩანდა. ზეპირად იცოდა გალაკტიონი და გამომშვიდობებისას გთხოვა დაგერეკა. „მამ, თქვენი აზრით, უკვე ყველაფერი გადაწყდა?“ „გადაწყდა“, — უბასუხე. „გაისისათვის უკეთ მოემზადეთ. მუშაობაც სცადეთ. რედაქციების კმაყოფაზე ჯდომა არაფერს მოგცემთ. თუ გინდათ, მე მოგაწყობთ. აქვე, ჩემთან დარჩებით, საღამოობით კი მოსამზადებელ კურსებზე ივლით — ეს უკეთესიკია. მე ზვალვე დავრეკავ ქარხანაში“. შენ მოგეჩვენა, ეს ჩია ბერიკაცი თითქოს მასხრად გიგდებდა. იქნებ, შავ მუშად გიშვებს სადმე? აპა, ვაუბი? თქვენ ბევრი კარგი გამოიკეთეთ, ფიქრობ. მაგრამ შავ მუშად... უკაცრავად, მე იმისთვის არ ჩამოვსულვარ, რომ შავ მუშად დავდგე. „გმაღლობთ, — ეუბნები, — ეს ძალიან კარგია, მაგრამ მუშაობას ჩემს ქალაქშიაც შეეძლება“. ახმეტელმა გოაცებით შეგხედა. მერე სვლას უკლო და მანქანა გააჩერა. „თქვენ შეყვარებული გყავთ?“ — გკითხა უცებ. შენ გაიცინე. ეს კითხვა უცნაურიც იყო და მოულოდნელიც. პროფესორმა კი ღუმილი თანხმობად მიიღო და კიდევ

უფრო გაიბადრა. ...ასეც ვიციდი, სხვანიარად ვერც ავხსნიდი თქვენს უარს. ნაადრევი პროფესიონალიზმი დაგლუპავთ. თქვენს ასაკში ნამდვილად ნაადრე-  
ვია მწერლობა პროფესიად გაიხადოს კაცმა. თქვენ მისმენთ? კარგად სწერდე,  
არ ნიშნავს დიდი ხელოვანი იყო. ხშირად ბევრი რამ უკუღმა ხდება ხოლმე.  
ჭერ მწერლობას სწავლობენ, მერე კი ცხოვრებას“. უსაზღვრო ნაღველი დაგე-  
უფლა. მერე შუქფარზე ისევ აინთო მწვანე შუქი და თქვენ დაიძარით.

\* \* \*

მეორე დღესაც გაღეშოლი მივიყვანეს შინ. თავი გიბრუოდა. ბუზღუნებ-  
დი: მეტს აღარ დავლევ, ჯანდაბამდე გზა ჰქონია ყველას, მე კი აღარ დავლევ  
მეტს. შენ გწყინდა, რომ ინსტიტუტში არ მივიღეს. შენ გეგონა ყველა გზა მო-  
გეპრა და კუნძულზე აღმოჩნდი. მერე და ეინ იყო ამაში დამნაშავე? აი დროს-  
ტარებისა და თავისთავზე დიდი წარმოდგენის ნაყოფი. ნელა გაიარე დერეფა-  
ნი და კარები შეაღე. დეიდა ელისაბედი სავარძელში ისეგნებდა. „საღამო  
მშვიდობისა“, თქვი შენ. დეიდა ელისაბედმა ვაილიმა და თქვა, რომ ჩინებული  
ვახშამი მოგიმზადა. მადლობა გადაუხადე. წაიბორძიკე და ელისაბედი მიხვდა,  
რომ ამოდ გაისარჯა. მერე მაგიდიდან ფურცელი აიღო და გამოგიწოდა. შენ-  
თვალეები გებლიტებოდა, მაგრამ მაინც საჩქაროდ გამოართვი, შეგეშინდა, რად-  
გან დედა გყავდა ავად. მაგრამ დეპეშა რედაქციიდან იყო. შენ ამაყად ასწიე  
თავი და დეპეშა ელისაბედს გაუწოდე. იგი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ შენ  
არა ხარ ქარიფანტია ჭაბუკი, რომ შენ საზოგადოება გიცნობს და რედაქცია  
გთხოვს ნარკვევები სწერო მათთვის. დეიდა ელისაბედს უკვირს. რა გაკავში-  
რებს თედოსთან, თუმცა თედო მისი მკვიდრი დისშვილია. „აჰ, — ამოიოხრებს  
ელისაბედი, — თქვენ იხსნით მას, ანზორ. მე თქვენი იმედი მაქვს. ცოდო არაა,  
ასეთი დედ-მამიშვილი რესტორნებსა და საეჭვო ადგილებში ფლანგავდეს  
დღეებს? მაგრამ თქვენ იხსნით მას. ანზორ, თქვენ ეს შეგიძლიათ“.

შენ უკვე იცი, სინდისი არ მოგცემს ნებას მეთვჩვიებზე წირო, წერო  
უბრალო ადამიანებზე, რომლებიც მომავალს ქმნიან. იმ წუთს შენ ნამდვილად  
არ გქონდა ნება. და შენ გაიცინე. ჩუმად, ნაღვლიანად გაიცინე თავისთავზე.  
„სანამ ვართ, ადამიანებს უნდა გვიყვარდეს ერთმანეთი“, აი რა გაიფიქრე შენ.  
მერე საწოლ ოთახში გახვედი და ბალიშზე დაეშვე. შენ სიზმარი ნახე. სიზმარ-  
ში გეცვა მოკლე შარვალი, იყავი პატარა. ძალზე პატარა და გულუბრყვილო.  
შენ დარბოდი დაბის ჭინკა ბიჭებთან და იჭერდი კიბორჩხლებს. მაშინ შენ  
ბედნიერი იყავი.

\* \* \*

ოთახში ზიხართ. ჩუმად ზიხართ და უცებ ნატო ამბობს: „რატომ არ უკ-  
რავ? რაც შენთან ვარ, ერთხელაც არ გაკარებხიარ როიალს, მე კი მუდამ მათ-  
როლოებს. როცა როიალს ვხედავ“. ..ოჰო. — თქვი შენ. — მაშ შენ დაკვრაც  
იცი?“ მან ვაილიმა. „არა, კარგო, — თქვა მან, — ის, რაც მე ვიცი, არ შეიძ-  
ლება დაკვრად ჩაითვალოს. მამაჩემს კი ისე უნდოდა პიანისტი ვყოფილიყავი!..  
მაგრამ მამა ფრონტზე დაიღუპა“. „დედა?“ — სცადე გეკითხა კარგა ხნის შემ-  
დეგ. ნატოს ხმა ჩაუწყდა. მერე ჩაახველა და ჩუმად განაგრძო: „დედა ლამაზი  
იყო, ჩემზე ბევრად ლამაზი. გათხოვდა. ოთახი დამიტოვა და წავიდა“. ..მერე?“  
..მერე არაფერი. დედას დავავიწყდი უკვე. ახლა სხვა საზრუნავი აქვს. გოგო  
და ბიჭი შეეძინა. ერთხელ... ჰო, ერთხელ დავურეკე, თუ შეიძლება გინახუ-  
ლო-მეთქი. არა, საყვარელო. — მეუბნება, — ახლა არ შეიძლება, ჩვენთან  
სტუმრებია და არ შეიძლება. მეზობლის ხელით ფული გამომიგზავნა. უკან გა-

ვუბრუნე. ვიფიქრე, ამის შემდეგ მაინც მოვა-მეთქი, მაგრამ... შენ უკვე გმტრალეობოდა ნატო. იგი დაღლილი და ფერმკრთალი იჯდა შენს წინ. მერე ცრემლი შეიშრალა, წამოდგა. ოთახში ბნელოდა. „იქნებ სინათლე ავანთო?“ — ჰკითხე. მან თავი გააქნია. მერე როიალთან მივიდა, დაიხარა და კლავიშებს მიუახლოვა თავისი თეთრი ხელები. ნატომ აიღო რამდენიმე ჩუმი აკორდი, გაიბრძინა შავსა და თეთრ კლავიშებზე, მერე მობრუნდა და თქვა, რომ როიალი საუცხოოა. მაგრამ შენ სხვა რამეზე ფიქრობდი, ფიქრობდი შენს პატარა სახლზე და დედაზე. ფიქრობდი დღეებზე, როცა ყველაფერი ვარდისფერი შუქით მოვარაყებულნი გეჩვენებოდა და უბრალო შემთხვევამ ცხოვრების სარკეში ჩაგახედა. შენ ეკითხებოდი თავისთავს: რატომ უნდა ხდებოდეს ასე, რატომ? ხომ არიან ათასობით და ასი ათასობით დედები, რომლებიც თავიანთ შვილებს არ ტოვებენ ბედის ანაბრად?

ნატომ ისევ აიღო აკორდი. „რა ტკბილი ხმა აქვს. — თქვა მან. — თითქოს წყარო წკრიალებს, ისეთი ტკბილი ხმა აქვს“. „ეს შენ უკრავ ასე და იმიტომ“. პაპიროსს მოუკიდე და მოწვევა დაგავიწყდა. ნატოს უყურებდი. მისი თითები თავისუფლად დაცურავდნენ კლავიშებზე და უნებურად შეცბი, რადგან მელოდია თანდათან გამოიკვეთა და გაგიტაცა. ეს იყო საოცრად იღუმალაო მელოდია, წვიმასა და ქარის შრიალში დარხეული. შენ ხედავდი თითქოს მავთულეებზე ნოტების ნიშნებივით ჩამომსხდარ ჩიტებს. ხედავდი უსასრულო გზას, რომელიც მდინარესავით მიიკლავნებოდა მწვანე ტყეებს შორის... მერე გათოვდა. მერე ქარის შრიალში ზარების წკრიალი შემოიჭრა და შენ მიხვდი. ვიღაც მოკვდა... აი, რაზე რეკდნენ მწუხრის ზარები... მერე მელოდია მინავლდა. შენ გამოერკვეე და, როცა მოიხედე, შენიშნე — ნატო გაქვავებული იჯდა, ღრმა ფიქრებს გაეტაცნა. „რაზე ფიქრობ?“ „ცხოვრებაზე. მე დავიღალე, ცხოვრება კი დულს. სანამ მუშაობას დავიწყებდი, აუტანლად მძიმე მეჩვენებოდა ყველაფერი. არ ვიცოდი რა მეღონა. ჰოდა, აი ნაცნობმა გოგონამ წამიყვანა კატონის ფაბრიკაში... იქ სულ ახალგაზრდებია, ჩემი თანატოლები. გამომუშავება კარგია, მაგრამ მინდა ვისწავლო, მეტი ვიცოდე. მინდა ყოველმხრივ ბედნიერი ვიყო“.

\* \* \*

კვირას ძალზე კარგი ამინდი შეხვდა. ავტობუსით წყლის კიოსკთან მიხვედი და თედოს დაელოდე. ბევრი არ გიცდია. თედო მალე მოვიდა თავის გოგონასთან ერთად. „ნატო სადღაა?“, კეითხა თედოს გოგონამ. „არ ვიცი, — იცრუე, — მგონი თეატრში აპირებდა წასვლას“. „ოჰო, ჩვენი პაწია ცივილიზებული ხდება, — თქვა თედომ და სათვალე გაისწორა. — შენ კი დღეს ჩინებულად გამოიყურები ახალ კოსტუმში. მე შენს ადგილას წავიქეიფებდი კიდევ“. „აი ბრწყინვალე იდეა“, წამოიძახა თედოს გოგონამ. შენ გინდოდა გეთქვა, რომ სმის თავი არა გაქვს და, თუ თედო ვინმესთან პიკნიკზე მიდის, უმჯობესია შინ გაბრუნდე. თანაც ერთ საათში ნატოს უნდა შეხვდე. მაგრამ არაფერი თქვი და თედოს წაყვიე.

კარები ახოვანმა ჭაბუკმა გააღო. „მე თედო ვარ, ტედი, — თქვა თედომ, — მე კვაჭაძეს ვეძებ, ბონდო კვაჭაძეს“. „მობრძანდით“, თქვა ახოვანმა. ვერც კი მოასწართ გონს მოსვლა, რომ კვამლში გახვეულ დარბაზში მოხვდით. კედლები უცხოელი კინოვარსკვლავების სურათებით იყო აჭრელებული. „დღეს ბონდიკოს დღეობაა, — წაგჩურჩულა თედომ, — მაგრამ ჩვენ არაფერი ვიცი“. თავი დაუქნიე, თუმცა არ იცოდი, რა ჰქონდა გუჟანში. ბონდოს გაფითრებულ სახეს რომ მოჰკარი თვალი, მიხვდი, საქმე კეთილად არ დაგვირ-

გვინდებოდა. „ქეიფობთ?“, ორაზროვნად გაიღიმა კეთილმა ტედმა და ჰიკმა გამოსცალა. „როგორც ხედავთ“, ძლივს ამოილაპარაკა ბონძიკომ. „ეს ოქრო ჰიკია, — უთხრა თედომ შენზე... — მწერალი. იგი ისტიტუტში არ მიიღეს. მაგრამ მაინც ჩვენზე დიდია. შენ კი არაფერს წარმოადგენ. იგი ათი თავით მა-  
 ლლა დგას შენზე“. ბონდო კვაჭაძე, აბა რა კვაჭი იქნებოდა, რომ ასეთ დროს შეურაცხყოფა ერთი ყურიდან მეორეში არ გაეშვა. მან ნახევრად შიშველი გო-  
 გონები წარმოგიდგინათ. თედომ ერთი გადახედა მათ, მერე კოქტეილიან კათ-  
 ხას წაეტანა. „ანანასები, შეხედე, ანზორჩიკ, რა გემრიელი ანანასებია. აი, მწამს, ხალხი ცხოვრობს“. ჩაგხურჩულა თედოს შავთვალამ. ქალი-  
 შვილებმა მაგნიტოფონი ჩართეს და ოთახი ყურისწამლებმა ჰანგებმა აავსო. შენ ნატოზე ფიქრობდი და ინანე, რომ თედოს გამოჰყევი. რომელიღაც წი-  
 თცლტრენჩიანმა ყმაწვილმა დრო იხელთა და თედოს შავთვალა გაიწვია. თე-  
 დო ჯერ ვერ ხედავდა მათ. ვერ ხედავდა, როგორ ცეკვავდნენ და ერთმანეთს უღიმოდნენ. როცა მოიხედა, თედოს ბრაზი მოერია: „აი, შენი ჩა-ჩა-ჩა“, თქვა ნან, კონიაკის ბოთლს ხელი დაავლო და წრეში გადახტა. ყველაფერი აირია. ყმაწვილმა დროზე უშველა თავს, ბოთლი გრიალით მიენარცხა კედელს. მერე სინათლე ჩაქრა. და არ გახსოვს იმ არეულობაში, როგორ გააღწიე გარეთ. თე-  
 დო ძუნძულით მოგდევდა. მოსახვევთან შეჩერდით და შავთვალას დაელო-  
 დეთ, მაგრამ იგი არ ჩანდა. „თუ არ მოვა, ნურც მოვა, ეშმაკსაც წაუღია, — გაბრაზდა თედო, — დრო მოვა თავისი ფეხით მოიბრუნს, მაგრამ გვიანდა იქ-  
 ნება“. არ იცი რატომ, მაგრამ თედო წინანდელზე მოტეხილი გეჩვენა და მან თქვა, რომ მობეზრდა ყველაფერი ეს, დიდი ხანია მობეზრდა და მეტის ატანა აღარ შეუძლია. არც შინ უნდა მისვლა. მან თქვა, რომ ბოლოსდაბოლოს და-  
 წმუნდა, რომ ცხოვრებისაგან ხელგაშლით ის იღებს ყველაფერს, ვინც სამაგი-  
 ეროს აძლევს. მას ეზარება ეს ტიპები, რომლებიც „ჩა-ჩა-ჩას“ ცეკვავენ და სვამენ კოქტეილს, რომ ეს ნამდვილი ვაჟკაცების საქმე არაა. ისინი თავს იტ-  
 ყუილებენ და მასაც ატყუებენ. ოდესღაც ეგონა, რომ ეს კარგი იყო, მაგრამ ახლა... თუმცა უკვე გვიანია. „არაა გვიანი“, — უთხარი შენ. „მართლა? —  
 დაეკვებით გითხრა მან. — მაშ არა ვარ წყალწაღებულნი?“ „არა ხარ“, უთხარი შენ. იმის ხმაში მოულოდნელად იმედიანი ტონი შენიშნე.

\* \* \*

ნატომ რამდენიმე წუთით გაგასწრო. იგი მთელ საათს იცდიდა და წავიდა. როცა დერეფანში გახვედი, ელისაბედი შეგხვდა. იგი ყოველთვის გაშინებდა თავისი სიმკაცრით. პიჯაკი გამოიცვალე და, როცა კიბეზე ჩადიოდი, ელისა-  
 ბედმა დაგაწია: „ჰო, კინლამ დამავიწყდა, წელან ის გოგონა იყო თქვენთან“... ის... ნატო, გაგიელვა, მაგრამ არაფერი გითქვამს. შეამჩნიე, დიასახლისის სახე აელეწა, თვალი მოგარიდა. „იგი ძალიან ლამაზია, — განაგრძო ელისაბედმა, — ძალიან ლამაზია და მე მწყინს, რომ ეს არ დამთავრდება კარგად. ასეთი ამბები არასოდეს არ მთავრდება კარგად“. „ახლა დამთავრდება“. დეიდა ელისა-  
 ბედმა თავი ასწია, გაოცებით შემოგხედა. „თქვენ ძალიან კარგი ხართ. თქვენს მერე თედომ წიგნების კითხვას უმატა. უფრო დასერიოზულდა თითქოს, მაგ-  
 რამ ამ გოგონას დანებეთ თავი. იგი ობოლია. იგი მთელ საათს იჯდა ჩემს ოთახში და მივხვდი, უყვარდით. ასეთ გოგონებს კი ძლიერი სიყვარული შე-  
 უძლიათ. დიახ, ჩემს გამოცდილებასა და ორმოცდაცამეტ წელიწადს ენდეთ. თქვენ მას არასოდეს შეირთავთ. ის მყუდრო ოჯახზე ოცნებობს, ერთგულ ქმარზე ოცნებობს...“ „გმადლობთ“, — თქვი დაბნეულმა. ყველაფერი, რაც

მოსმინე, იმდენად მოულოდნელი იყო, ზვირიანად ვერაფერი მოისახრე... მე, საუბედუროდ, არა მყავს შვილი. მაგრამ რომ მყოლოდა, იგივეს ვეტყვდი. — აქ ხმას დაუდაბლა. ღრმად ამოისუნთქა. — არ გეწყინოთ“. ბარბაციტ დაწვივი კიბზე. ქუჩას მიაშურე. ათასი ფიქრი გიტრიალებდა — ინსტიტუტი... თედო... ნატო... მთელი ეს თვე, რომელიც ქალაქში გაატარე, მოგეჩვენა თითქოს ბნელ სარდაფში იჯექი და უცებ გამოხვედი გარეთ. ჰაერში წვიმის სურნელი იგრძნობოდა. ეს გსიაშოვნებდა, მაგრამ აზრი, რომ ხელაღ ასეთივე უშინაარსო დღე გელოდა, მოსვენებას გიკარგავდა. შენ არ იცოდი, რა უნდა გაგეკეთებინა ხელ. ისევ ტყუილი, ისევ მიბაძა, ისევ ერთი მუჭა უსაქმურების კომპანია. შენ ამის ძალა არ გქონდა, არც სინდისი მოგცემდა ხებას. და უცებ გაგახსენდა ინსტიტუტის მიმღები კომისიის მდივანი, რომელმაც გულდაწყვეტილად გადაშალა შენი მოთხოვნების წიგნი, როცა ისტორიის გამოცდაზე სიტყვაც არ გითქვამს. შენ გაქცევა გინდოდა. გინდოდა, რაც შეიძლება ჩქარა გადაკარგულიყავი აქედან... მაგრამ ნატო?..

\* \* \*

მზე საშუალოდღეზე დგას. მის სხივებში გახვეულა ბალი. ნატო მერბზე ზის. „იცი, — გეუბნება იგი, — პირველად მეგონა, რომ შენც ისეთივე იყავი, როგორც აი ის შავთვალა და მისი მეგობრები ცენტრალური ქუჩიდან. ისინი რა, მათ ხომ არაფერი აღარდებთ. მათთან რომ ილუბებოდე, არავინ მოგეშველება. ფეხის გამოშლას კი ელოდე... ეს იციან“... ნატო ჩუმად ლაპარაკობდა, ძლიერ ჩუმად და შენ გინდოდა გეყვირა: „ნატო! ნუ შემოყვარებ! შენ შეცდი ჩემში, ვერ ხედები, რომ რამდენიმე დღეში მეც უნდა მიგატოვო, გავიქცე“, მაგრამ ნატო ისევ ჩურჩულებდა და არ შეგიჩერებია. „ჰო, მეც მოვიტყუილე, რომ ინსტიტუტში მოვეწყვე. ანუ ყველაფერს მიჯერებ იმიტომ, რომ მე წიგნებს ვწერ. როგორ შეიძლება... შენ კი ისეთი კარგი ხარ, ისეთი კარგი, ისეთი ნაზი“... ნატო შეერთა, შემოგხედდა. „მე ოდესღაც გითხარი, — განაგრძე შენ, — რომ ჩვენ ვეებერთელა სახელი გვაქვს და მანდარინების ბალი, რომ მამაჩემი დიდი კაცია, შენ კი დაიჯერე“. „მე არაფერი არ მინდა, — თქვა ნატომ ისე, რომ არც ერთი ნაკვთი არ შეტოვებია სახეზე. — ეს სულ არაა მთავარი. როცა შენ ლაპარაკობდი, მაშინვე მივხვდი. რომ ტყუილი. მე ხომ თვალეზე გატყობ, — აქ ისევ გაიღიმა. შემოგხედდა და გაიღიმა. — შენ ხომ თავი გინდოდა მოგეწონებინა, თუმცა სულ არ გჭირდებოდა ეს“. „მე კიდევ მაქვს სათქმელი“. „ჰო? — განგებ გაიოცა. — მაგრამ მე უკვე ვიცი“. „იცი?“ „ჰო, ინსტიტუტში არ მიგიღეს“. ნაღვლიანად გაუღიმა. ამ ჭკვიანმა და ლამაზმა გოგონამ ყველაფერი იცოდა. შეგრცხვია. „შენ ესეც არ უნდა დაგემალა, — თქვა მან, — შენ გეგონა მიგატოვებდი, ცხვირს ავიბზეკდი“. „ჰო, შენ არა ხარ ასეთი, მაგრამ მე სხვა რამ უნდა მეთქვა“, „მართლა?“ ერთხანს სიჩუმე ჩამოწვა, მერე შენ თქვი: „მე მინდა, რომ არასოდეს დავცილდეთ ერთმანეთს. შენ ყოველთვის იქნები ჩემთან?“ იგრძენ როგორ დაგუსხს ტანში და, სანამ იგი რაიმეს მოიფიქრებდა, ისევ განაგრძე: „შენ არასოდეს მეპატიეები სახლში. ყოველთვის მაცილებინებ თავს და გამომშვიდობებისას ხელზე მიჭერ, ნახვამდის კარგო, შინ კი არასოდეს მეპატიეები“. ნატომ დიდხანს გიყურა. შეატყვე ლელავდა. მერე ნაღვლიანად გაიღიმა: „ეს არ შეიძლება, — თქვა ბოლოს, — მე თუ შენთან მოვდივარ, ეს იმიტომ, რომ იქ დეიდა ელისაბედი. ჩემთან კი არ შეიძლება, მე მარტო ვცხოვრობ“.

ვიღაცამ სტვენით გაიარა ხეივანი. ნატო წამოდგა.

\* \* \*

ეს სამი დღეა თედო არ გამოჩენილა. ვერსად მიაგენი. ნაცნობი ბიჭები, ასე მრავლად რომ იყრიდნენ თავს წყლის კიოსკთან, ცალყბად გიქცევდნენ. „აჰ, ტედი? ვინ იცის, ვინ იცის...“ და აი ერთ საღამოს, როცა აბაზანას იღებდი, გაიგონე ნაცნობი ხმა. მერე თედომ სამჯერ დააკაქუნა სააბაზანოს კარზე და რადიოლა ჩართო. როცა გამოხვედდი. იგი სავარძელში იჯდა. „რას კითხულობ?“ — ჰკითხე შენ. „არაფერს, წერილია“. „მეც ვხედავ, რომ წერილია, მაგრამ შენ იშვიათად იღებ წერილებს“. „ხომ არ გგონია, რომ მილიციიდანაა? საბედნიეროდ, მილიციას მეტად არ შეეფიქსება“. ეს ახალი ამბავი იყო შენთვის. თედომ კი ისევ წერილში ჩარგო თავი. მერე უბიდან სურათი ამოიღო და გამოგიწოდა. „მოგწონს?“ შენ კმაყოფილებით დააქნიე თავი. „ახალი მსხვერპლია?“ მან გაოცებით შეგხედა. შენ მაშინ ვერ მიხვდი ამას. მაგრამ ახლა, როცა დრომ განვლო, შენ იცი, რომ თედოს ეწყინა. ეწყინა, რომ ვერ გაუთე. სურათი გამოგართვა და კითხვა განაგრძო. „დღეს მე ხომ არ მიპირებ ნეკნების ჩამტვრევას?“ „სიამოვნებით გავაკეთებდი ამას, მაგრამ სტუმრებს არ სცემენ“. „მაშ, შემოიძლია მშვიდად ვიყო. იქნებ, მისი უდიდებულესობა კაფეში ივანშემებს?“ „გმადლობთ, მოხუცო, მაგრამ დღეს უარს ვამბობ. არ მცალია. მე პასუხი უნდა მიეწერო ერთ ქალბატონს“. „აჰ, ქალბატონს. — განგებ გაიძეორო შენ, — ნუთუ ქალბატონს არ შეუძლია დილამდე მოიცადოს?“ „არ შეუძლია“. „აი ეს მესმის“, — წამოიძახე ხმამაღლა, ჭიქები გამოიტანე და შეავსე. „ჩვენებური არაყია, წინიდან გამომიგზავნეს. მაშ, შენს ქალბატონს გაუძარჯოს“. სულმოუთქმელად გადაჰკარით. მერე თედომ თქვა, რომ ეს ჭაჭა კი არა, ნამდვილი ცეცხლია, რომ კარგა ხანია უკვე არაფერი დაუღევია. მერე ფეხბურთის მატჩებზე ილაპარაკეთ, მერე ნაცნობი ლამაზები გაიხსენეთ და თედომ თქვა, რომ იგი უკვე დაჰკვიანდა, რომ ყველაფერი ის, რასაც აკეთებდა, აბსოლუტური უაზრობაა, სისულელეა, რომ წელს მოსამზადებელ კურსებზე შევა და გაისიდან ისევ ისწავლის, ოღონდ დაუსწრებლად. გაცეხული უსქენდი, ვერაფრით წარმოიდგენდი, რომ თედოს ოდესმე ასეთი აზრი დაეზადებოდა. იგი ზანტად წამოღდა, კარებთან შებრუნდა: „იცი, ახლა კიდევაც ვნანობ, რომ ინსტიტუტში ვერ მოხვდი. შენ ხომ ხეძი თხოვნით ჩამოხვედი?! ჰოდა, ვერ წარმოიდგენ, როგორ ვნანობ ჩვენ ორივემ ბევრი დრო ტყუილ-უბრალოდ დავკარგეთ, ძალიან ბევრი დრო“...

\* \* \*

შუადღემდე ამაოდ უცდიდი თედოს. ქვევით, სახლის შესასვლელთან, ტელეფონის ჯიხური იდგა. წვრილი ფულისათვის ჯიბეში ჩაიყე ხელი, რათა ახმეტელისათვის დაგერეკა, მაგრამ ერთბაშად გამობრუნდი, შენთვის ჩაილაპარაკე „არ ღირს“. მერედა ეს ხომ უკანასკნელი ღამეა? მოსახვევთან ისევ გამობრუნდი და ჯიხურს მიაშურე. პროფესორი შინ იყო და მან თქვა, რომ ვიღაც ცნობილი კინორეჟისორი ჰყავს სტუმრად. „ახლავე მოდი, მანქანა დაიქირავე და ახლავე მოდი“. — თქვა პროფესორმა. „ცოტა შეუძლოდა ვარ. — იცრუე შენ, — თანაც ხვალ მივემგზავრები, საშინლად მომბეზრდა ყველაფერი ეს“. „მე მესმის თქვენი, — თქვა ახმეტელმა. — კარგია, რომ ასეთი აზრი დაგებადათ. თქვენ ხომ არა გწყინთ, რომ მუშაობა შეგთავაზეთ?“ „არა, პირიქით, თუ ადამიანი დავდექი, თქვენ უნდა დაგიმადლოთ“. „ოჰ, არა, — თქვა პროფესორმა. — მე მხოლოდ ის გითხარით, რომ კაფეებში ხეტიალით ვერაფერს შექმნით, თქვენ მისმენთ? ჰოდა, აი გეთაყვა, უბრალო ადამიანებთან იცხოვრეთ და იპოვით მას, რასაც ეძებთ“. გამომშვიდობებისას პროფესორს ხმა გაეზზარა. „ჩემო ბიჭუნო, იქნებ შეძლო და მოირბინო ჩემთან?“ ცრემლები მოგქცალა. გინდო-

და ახლავე გაქცეულიყავი მასთან, გინდოდა მის მკერდზე მიგეყრდნო თავი და გეთქვა, რომ არა ხარ ამდენი ზრუნვის ღირსი, რომ ყველაფერს დაუჭერებ და ყოველთვის მისწერ ბარათებს.

მერე შენ თედოს დაურეკე. არავინ გიპასუხა. უხალისოდ დაჰკიდე მილაკი. გარეთ გამოდი. შენ იცოდი, რომ ნატო ამელამ მორიგე იყო კატონის ფაბრიკაში და უსაზღვრო სევდამ შევიპყრო. თანაც ს-ნდისის ქენჯნა ივრძენი, რადგახ უხეშად მოეპყარი გამგზავრების წინ. როგორ იცხოვრებს იგი უშენოდ? როგორ მოაწყობს მომავალს? ახლა ეს აზრი წამითაც არ გასვენებდა. შენ გაგახსენდა, როგორ ოცნებობდა იგი ოჯახზე, მერე ბავშვებზე... შინ არ წასულხარ. იქვე გაუხვიე და კინოთეატრთან გაისეირნე. თვითონაც არ იცოდი, რა გსურდა. მერე ყვავილების ფარდული დაინახე. ფარდულში შემოდგომის ყვავილებმა მოგტაცეს თვალი. და შენ უნებურად გაიფიქრე, რომ ძალიან კარგი იქნება, თუ დეიდა ელისაბედს ყვავილებს მიუტანდი. საღამოს გაზეთებისათვის რიგი დაიკავე და, როცა შინ დაბრუნდი, ყვავილებიც წაიმძღვარე. კუთხეში ნაცრისფერ-სვიტრიანი ქალიშვილი იდგა. როცა ოციოდე ნაბიჯი დარჩა თქვენს შორის, მიხვდი, ეს ნატო იყო. „აი სასწაული“. გაიფიქრე შენ. იგი ხომ წელანაც აქ იდგა, როცა ტელეფონით ელაპარაკებოდი ახმეტელს. ახლოს მიხვედი. მან ყვავილები დაინახა და უბრალოდ თქვა: „მე შეგიშალე, ალბათ, ხელი. შენ წელან ჩამიარე და ვერ შემინიხე. ახლა ვხედავ, ხელი შეგიშალე“. „სისულელეა, — თქვი შენ, — მე ხვალ მივემგზავრები და უკანასკნელ ღამეს მინდოდა საჩუქარი მიმერთმია დეიდა ელისაბედისათვის“. „შენ ხვალ მიემგზავრები?“ თავი დაღუნე. გეგონა იგი ტირილს დაიწყებდა, მაგრამ მშვიდად გამოგლო ხელი და წაგჩურჩულა: „მე მართლა არ შეგიშალე ხელი? არა? რა კარგი ვქენი, რომ მოგაკითხე. ნამცხვრებს მაინც დაგიცხობ. შენ ხომ ასე გიყვარს ნამცხვრები...“ უცებ იგი გულზე მიიკარი და აკოცე. იგი გაწითლდა, საშინლად გაწითლდა და მაშინვე ჩამოვიცილა. ქარი სუსხავდა. ნატოს ლოყები გაჰყინვოდა. შენ გაიფიქრე დღეებზე, რომლებიც მან გაჩუქა. გაგაყრუოლა. „გესმის. ნატო. შენ უნდა მაპატიო“. „რა უნდა გაპატიო?“ „ყველაფერი“. თქვენ ახვედით ზევით, სინათლე აანთეთ და დეიდა ელისაბედს ყვავილების თაიგული მიართვით. დეიდა ელისაბედი ტიროდა. „თედომ, — თქვა დეიდა ელისაბედმა, როცა ყვავილების თაიგული გამოგართვათ. — თედომ დილით ფეხი დაჰკრა და სახლიდან წავიდა — ქარხანაში დავიწყე მუშაობაო. ო, ღმერთო ჩემო, დედამისმა კი არაფერი იცის. საწყალი ქალი, ნამდვილად სიხარულით გადაირევა, როცა გაიგებს“. შენ ბუნდად გესმოდა ელისაბედის ნაამბობი. მერე გონება მოიკრიბე და, როცა ნატოს ვაოცებულ მზერას წააწყდი, ყველაფერს მიხვდი. „ჰა, მაშ თედო მუშაობს?“ „აბა, ვინ წარმოიდგენდა, — თქვა ელისაბედმა, — ის ხომ ისეთი სათუთია, ისეთი... სულ სუფთა და გახამებულ პერანგებს ატარებდა. ახლა კი...“ „შორსაა მისი ქარხანა?“ — იკითხა ნატომ. „ქალაქიდან ორი საათის სავალია. თურმე ერთი კვირაა ჩუმჩუმად დადის. დღეს კი ფეხი დაჰკრა და საერთო საცხოვრებელში გადავიდა“. შენ არ იცოდი რა გეთქვა. „თქვენ ნახეთ თედო?“ „არა, მაგრამ მეზობელმა მიაგბო. თანაც წერილი გამომატანა. თქვენს სახელზეა“. შენ გამოართვი. კონვერტი საკმაოდ სქელი იყო, მაგრამ არ გაგიხსნია, ელისაბედს უყურებდი. იგი კიდევ უფრო მოტეხილი გეჩვენა ღამის სინათლეზე. მუქი იასამნისფერი დაჰკრავდა მის სახეს. ეს ფერი ხშირად იცვლებოდა, იშლებოდა მხრებზე და ლურჯ რკალებად ჯდებოდა თვალთა უბეგებში. ის თაიგულები შენ შემოგცქეროდნენ, ხანდახან ნატოს ჩაფიქრებულ სახესაც მიჩერ-

დებოდნენ. შენ კონვერტი საწერ მავიდაზე დადე და ნატოს შეხედე. მერე პაპიროსი გააბოლე. ნატომ თქვა: „ხანდახან მართლაც არაფერი მესმის. თუ ეს მართალია, რაც დეიდა ელისაბედმა თქვა, მაშინ მართლაც არაფერი მესმის“. „მეც მაგ დღეში ვარ“, — თქვი გულდაწყვეტილად. შენ იცოდი, რომ თედო მართალი იყო და ახლა, როცა განვლილ დღეებზე ფიქრობდი, თედოს თანაკლასელი გოგონა გაგახსენდა. გოგონა მშვენიერი იყო, უბრალოდ ეცვა და თედო მუდამ დაბნეული უყურებდა. იქნებ, მასთან წავიდა თედო? აკი ამბობდა, რომ გოგონა რომელიღაც ქარხანაში გაგზავნეს კომკავშირის მდივნად. ქარხანაში თედოს აღარაეინ დაუძახებს კეთილ ტედს. მორჩა, აღარაა კეთილი ტედი. მაშინ გოგონასთან წავიდა? ვინ იცის... ვინ იცის... შენ არ გსურდა ბარათის წაკითხვა. იმ წუთს არ გეცალა წერილისათვის. სარკმელში სიბნელე იწვა და გწყინდა, რომ თავის დროზე ვერ გაუგე ადამიანს, რომელმაც ბოლოს და ბოლოს შეძლო ეპოვა ძალა თავი დაეღწია ფუქსავატური ცხოვრებისათვის. შენ კი... მაგიდის სანათი ჩართე და ოთახი თბილი, ძალზე თბილი შუქით აივსო და უცებ გაგახსენდა უკანასკნელი ღამე, როცა თედომ გითხრა: „გესმის, მოხუცო, შენ ყოველთვის სიყვარულზე უნდა წერო. როცა სიყვარულზე წერ, ეს უკვე რაღაცას ნიშნავს. სიყვარულისათვის ნამდვილად ღირს სიცოცხლე. შენ გესმის ჩემი?“ და ახლა შენ მიხვდი, რომ სიყვარული ადამიანს ბუმბერაზად აქცევს. და რა საცოდავია ის, ვისაც არ განუცდია ნამდვილი სიყვარული. იმ ღამეს თედო ძლივს იდგა ფეხზე, მაგრამ მაინც მოახერხა ამოელო გოგონას სურათი, თანაკლასელი გოგონას სურათი. სურათში გოგონას ლამაზი სახე ჰქონდა. და ამ სახეზე, სილამაზის გარდა, იყო კიდევ რაღაც ისეთი კარგი, რომელიც დიდი ხანია ცოცხლობს და კიდევ დიდხანს იარსებებს მასში.

\* \* \*

წვიმის წვეთები წკანწკარებდნენ მინებზე. მათი ხმაური კიდევ უფრო ამცინებდა განშორების წუთს. და უცებ (ო, ღმერთო ჩემო) ჯერ ბუნდად, მერე კი ნათლად გაიგონე ნაცნობი მელოდია. თითქოს შორს, ძალიან შორს ნატო როიალთან იჯდა და უკრავდა. ცრემლები მოგაწვა. ცრემლები მოგაწვა იმიტომ, რომ ამ მელოდიაში მზე იყო, ქარი იყო და ქარში ნელა ცვიოდნენ ფოთლები. და მღეროდა ყველაფერი, მღეროდა ცა, მღეროდა შემოდგომის წვიმა და უცებ მარადისობაში გადახვედი თითქოს. თითქოს რაღაც მოწყდა, ჩავიხვია, ჩავიტანა. და შენ ფიქრობდი ცხოვრებაზე, ფიქრობდი, რომ ეს ქალი, ახლა სამზარეულოში რომ ფუსფუსებდა, ყველაზე უკეთესი იყო ქვეყნად. ხშირად ამბობენ, რომ ოჯახური ბედნიერება ეს უკანასკნელი წერტილია, ყველაფრის დასასრულია და შენ მიხვდი, რომ ეს ასე არაა. მიხვდი, რომ სწორედ აქედან იწყებოდა ყველაფერი. მთელი დღეები, რომლებიც ერთად გაატარეთ, თურმე არაფერს ნიშნავდა. ნატომ ჩუმად მიგიხმო და შენ მიხვდი, რომ იგი სამუდამოდ გეკუთვნოდა. რომ სწორედ აქედან იწყებოდა ნამდვილი ცხოვრება, რომ უსასრულოა და უბოლოო ცხოვრება.



## აკაკი ჩხაიძე

### ფიქრები პირველ სიყვარულზე

„გაღებულია სამოთხის კარი  
და მე მტკბვნია, რომ ვარ უშენოდ“.  
ტ. ტაბიძე

რაც ჩვენ დავშორდით... გაზაფხულს მერე  
ორჯერ შეასკდა თეთრი კვირტები.  
ო, როგორ მსურდა ლალატი შენი  
გადამეხადა რაღაც სიკეთით.

რადგან მიყვარდი,  
და ფიქრი შენზე  
ახლაც მაწვალებს, გულს კი ვერ ვუღებ.  
და შენც მიბრუნებ ჯვარნაწერ ბეჭდებს,  
რომ აღარ ცოცხლობ, როგორც მეუღლე.

თითქოს ამტკივდა ყველა იარა,  
ტკივილი გულში, იქნებ, შენც ჩაგყვა,  
ჩაგყვა და... ისევ გადაიარა.  
მე კი საოცრად მტკივა, გეთაყვა.

რა ვუყოთ მერე, ესეც ხვედრია,  
ცხოვრებას ჭიდილს კიდევ შევებდავ...  
მხოლოდ ტკივილად ჯერ შემჩნენია.  
რომ სიყვარულის ნაყოფს ვერ ვხედავ.

მკერდზე მაყრია შენი გიშერი  
და სიყვარულსაც გვერდს ვერ ავუვლი.  
„ცერიან ბალახზე თუ ფეხშიშველა  
ვერ გაიარე — რაა მამული“.

მხოლოდ ჯერ მივღევ იმ ორ წელიწადს  
და იმ სიყვარულს, ფერფლად რომ იქცა:

შენც ხომ შეგერყა მყუდრო ჭერი და  
დარჩი მარტოკა, დარჩი შორი ცა.

მაგრამ გულს გული შეენაცვლება,  
გულს, სიცოცხლე რომ უყვარს ესოდენ,  
ჩემს დიდ დარდებსაც, დათვლილს მარცვლებად.  
ცის მნათობები ლახვარს ესროდა.

და ცრემლი თვალებს აწ აღარ უანგავს,  
გულიც ხესა ჰგავს შეკრულს სატივედ,  
მაგრამ რა ეუყო ამ სულის ლაყვარდს,  
წენზე უცრემლოდ რომ ამატირებს.

იქნებ, ცამ წისლი გადაიყარა.  
იქნებ, სიყვარულს არა აქვს ბოლო...  
შენ ჩემი სულის მოიმკე ყანა,  
ნამჯის სურნელსაც შენ იგოძნობ მხოლოდ.

## ჩ ი ტ უ ნ ე ბ ი

ჩიტუნები,  
ეს პაწია ჩიტუნები,  
მიმღერიან და მკოცნიან დარდიანსა:  
ჩიტუნებმა სულში რაღაც დამიამეს  
მამინ. როცა მზის კოცნასაც ვიწუნებდი.

ჩიტუნები,  
ჯადოქარი ჩიტუნები  
ქღურტულეებენ,  
ფრთხიალებენ ფანჯრის ახლოს.  
ვუშინ გულში ერთადერთი მიხუტებდი,  
დღეს კი ლამის ჩიტუნებმა ჩამისახლონ!..



## ნოქა ჯაღლონი

### მ ა მ ა

მივალ და მამის საუბრით ვთბები,  
 იანვარი კი იფერთხავს კალთას...  
 მანას თან შეაქვს სითეთრე თმების  
 მე კი,  
 მე ვტოვებ ოთახის კართან.  
 ღამეა...  
 სარკმელს აწყდება ქარი  
 და ამსხვრევს ღუმილს ჩურჩული მამის:  
 — ნეტავი რისი ბრაღია, ქალო.  
 ბავშვი რომ ხშირად ახველებს ღამით?  
 ზვალ უსათუოდ ვუშოვი წამალს,  
 ეტყობა, ჰქონდა ამაღამ სიცხე.  
 თორემ ზეგ, ალბათ, თავის გზით წავა,  
 იქ მარტოა და დარჩება ისე.  
 სიცივეა და ჩააცვი თბილად,  
 უცხო ოჯახში აკლია მოვლა.  
 ხომ იცი, მუდამ უყვარდა ტკბილი...  
 ვინ იცის კიდევ როდისღა მოვა.  
 ზვალ კი უთუოდ მოვუტან წამალს.  
 ეხ, როგორც იყო, სწავლასაც მორჩა  
 და ბავშვი ახლა არ დაიკარგოს,  
 ცოდვავა, ქვეყნად მარტო რომ დარჩეს,  
 გვენახა ბარემ დიმიტრის გოგო,  
 წასვლამდე თვითონ უთხარი რამე,  
 ბიჭს სახლში თქმისა რცხვენია იქნებ...  
 მამის თვალეებში იელვა ღამემ  
 და ღამესავეით გრძელია ფიქრიც.  
 არ ძინავს მამას და გული მამის  
 დარაჯად უდგას ჩემს გულის ფეთქვას.  
 ეს ერთი ღამეც, ეს თეთრი ღამეც  
 ზვალ, ალბათ, თმებზე შერჩება თეთრად.

და იყო რაღაც საოცრად მწველი  
მამის ჩურჩულით გამტყდარი წამი...  
და მივხვდი, ჩემი სიცოცხლის წლები  
ყოფილა თურმე ჭაღარა მამის.  
მივხვდი, რა იყო ოჯახზე ფიქრი,  
ის თეთრი თმები და დედის კალთა...  
ნამას რად შეჰყვა ოთახში ფიფქი,  
მე რად დავტოვე ოთახის კართან.

## დამიჯერებ თუ არა

როგორც უყვარს ვარდის ქალაქს  
მოდახილი რიონის,  
როგორც რუსთავს საარის ხმა,  
ახალ სამგორს -- იორი,  
როგორც ფარას იალალი  
და მეცხვარეს ლერწამი,  
როგორც ქალაქს გალავანი,  
მტრისგან დაუღეწავი.  
როგორც უყვარს გზებით დაღლილს  
ბინა და სასთუმალი,  
როგორც უყვარს საქართველოს  
სიმღერა და სტუმარი,  
ო. მეც ისე, ისე მიყვარს  
შენი ტკბილი სიცილი,  
მაგ თვალების სითბოცა და  
მაგ თვალების სიცივეც.  
მიყვარს შენი ღიმილიც და  
მიყვარს შენი უარიც...  
ის კი შენი ნება არის,  
დამიჯერებ თუ არა.



## დომნიკარ უკანაი

### პ რ ტ რ ე ტ ი

სარდაფი, რომელშიც ისინი ბერლინის დაცემისა და ომის დამთავრების შემდეგ ცხოვრობდნენ, ამერიკულ სექტორში მდებარეობდა. დანგრევას გადაარჩენილი ხუთი სართულის ოდენა ოთხი კედელი, თითქმის მთელი დღის განმავლობაში უღობავდა გზას მზის სხივებს. ამის გამო ღრმა სარდაფში ზაფხულშიაც კი გრილოდა. სარდაფის ბინადრებმა დაღეწილი კარებისაგან ერთი მაგიდა, რამდენიმე სკამი და ოთხი საწოლი შეკრეს. საწოლებს მათივე ზომის პატარა სახურავები გაუკეთეს. ბოლოს თხრილიც გაიყვანეს. წვიმის დროს თხრილში წყალი მიედინებოდა და იქვე, ყუმბარით ამოთხრილ ღრმა ქაბრში ეშვებოდა.

სარდაფი მშრალი, გრილი და მყუდრო იყო, ზემოდან კი ცა ეხურა. ერთ კუთხეში ნაგვისა და ნანგრევების უზარმაზარი — თ მეტრზე მაღალი გროვა იდგა; იქედან ყოველ ღამით, ზოგჯერ კი დღისითაც, გამოძვრებოდა ხოლმე ნკლავის სიგრძე მსუქანი ვიროხა, რომელსაც რატომღაც განსაკუთრებით მოსწონებოდა ეს სარდაფი.

ვილი, „სიმენს და ჰალსკეს“ ყოფილი ზეინკალი, რამდენიმე წუთს ჩაფიქრებული იდგა ნაგვის გროვასთან, სადაც აქა-იქ, ნესტიან ადგილებზე, ბალახი ამოწვერილიყო.

ფილოსოფიის დოქტორმა, სამოცდაცამეტი წლის ოტომ, ღიმილით ჰკითხა ვილის, ასე ღრმად რაზე ჩაფიქრებულხარო. ვილი ამაოდ ცდილობდა გაეხსენებინა თავისი ფიქრის საგანი. ბოლოს მიუგო:

„არ ვიცი“.

ვილის სისხლის ნაკლებობა ჰქონდა და ამიტომ ხშირად გონება ეფანტებოდა ხოლმე. მისი რაიონის იატაკქვეშელთა ძლიერი ჯგუფის სამოცდათექვსმეტი წევრიდან ფაშისტებმა ჩვიდმეტს თავი მოჰკვეთეს, ოცდაშვიდს კი საკონცენტრაციო ბანაკებში ამოხადეს სული.

ომის დამთავრებისთანავე ვილი ამერიკელ სამხედრო ხელისუფალთ წარუდგა და თავისი სამსახური შესთავაზა. იმედი მალე გაუტრუვდა; მისი თხოვნა, ისევე როგორც ნაციზმის ბევრი სხვა მოწინააღმდეგისა, უარყოფილ იქნა. იგი ვერ ეგუებოდა იმ ამბავს, რომ ნაციტებს, რომლებსაც თორმეტი წელი ებრძოდა და რის გამოც მისი სიცოცხლე მუდამ ბეწვზე ეკიდა, ისევ

მაღალი თანამდებობები ეკავათ. ბოლოს, სულიერად მოტეხილმა ყველა-  
ფერზე ხელი ჩაიქნია.

ტანმორჩილ და ჯმუხა ვილას მრუდე ფეხები, ქერა თმა და ნაოჭებით.  
დაღარული სახე ჰქონდა. ოცდათხუთმეტი წლისა თუ იქნებოდა. მან თავი  
ასწია და თქვა:

„აჰა. ახლა მომაგონდა! ვფიქრობდი, ორი-სამი საზიდი რომ მიწით  
აგვევსო, მოგვეტანა და ამ ნაგავზე დაგვეყარა, ბოსტნის გაშენებას შევძლებ-  
დით-მეთქი. პაპიდორი... სტაფილო... ჭამაც ხომ გვინდა“.

ლოქტორი იწვა და შობენჰაუერის გაქონილ წიგნს „სამყარო როგორც  
ნება და წარმოდგენა“ კითხულობდა. მან თავაუწევლად მიუგო:

„არა“.

„როგორ თუ არა?“

„ჩემი აზრით, საჭირო არაა“. გაიმეორა მან და კითხვა განაგრძო.

ფილოსოფოსს ყველაფერი, რის წაკითხვაც კი შეიძლებოდა. შესწავ-  
ლილი და გადამუშავებული ჰქონდა, თავად კი ერთი ფილოსოფიური შრომაც  
არ დაუწერია. მთელი თავისი ცხოვრება ბერლინის რომანულ-კაფესა და პა-  
რიზის „კაფე დე დომში“ გაეტარებინა, სადაც იგი თავისი შიშველდარი ლოკი-  
კით უმოწყალოდ ანადგურებდა ხოლმე მოწინააღმდეგეებს, ამ პაექრობათა შე-  
დეგები შემდეგ ფილოსოფიურ ჟურნალებში იბეჭდებოდა მისივე მოწინააო-  
მდეგეთა სახელით. ფილოსოფოსის სათუთ პატიემოყვარეობას სახსებით აკმა-  
ყოფილებდა მისი აზრების ამ სახით გამოქვეყნება. საერთოდ მას არავითარი  
მოთხრენილება არ გააჩნდა. ამიტომ ადვილად ეგუებოდა ხოლმე ადამიანთა  
ცხოვრების ყოველგვარ შორალს.

იქვე გვერდით მხატვარი ვოლშტაინი წამომჯდარიყო თავის საწოლზე.  
იგი ლოქტორ ოტოს პორტრეტის ხატვით იყო გართული. ვოლშტაინი ყოველ-  
ოლე მოშაობდა სისხამ დილიდან საღამომდე. იგი სახატავ მანქანას ჰგავდა.  
შეუჩიერებლად რომ მოშაობდა წლების განმავლობაში და განურჩევლად ყვე-  
ლაფერს ხატავდა.

ომის დროს სახლვარგართულ პრესაში გამოქვეყნდა წერილი გერმანელ  
ანტიფაშისტ მხატვართა ჯგუფზე, რომელთაც აკრძალული ჰქონდათ თავიანთ  
წაწარმოებთა გამოფენა. ვოლშტაინი ამ ჯგუფს ეკუთვნოდა. მწითური თმები  
მუდამ შუბლზე ჰქონდა ჩამოყრილი. სახე თითქოს არც კი გააჩნდა; ჰქონდა  
მხოლოდ ცხვირი და ფანატიკურად ანთებული ღიაომწვანო თვალები. მხა-  
ტვარი ფოლადის მავთულივით მაგარი და ჯიუტი ვინმე იყო.

სარდაფში დუმილი გამეფებულები. უცებ სოფის საწოლქვეშ, მიწაზე,  
ნოგრძო ჩრდილი გაცურდა და მოშორებით კუთხეში მიიძალა.

„ფუჰ, დაწყევლილი!“, გულგრილად წამოიძახა სოფიმ და არც კი განძ-  
რეულა. იგი რამდენიმე კვირის წინ, ერთ წვიმიან დღეს, შემოვიდა ამ სარდა-  
ფში და მთლად გაწუწული კუთხეში მიწვა. ამის შემდეგ ისიც აქ ცხოვრობ-  
და.

ვირთხამ საწოლის ქვემოდან თავი გამოყო. აქეთ-იქით მიაწყდა, თითქოს  
აღლიაშია გამომწყვდეულიო; შემდეგ უეცრად ნაგვის გროვისაკენ გაექანა და  
ზედ აცოცდა. ვოლშტაინმა ფილოსოფოსის სურათის გვერდით რამდენიმე  
შტრიხით ვირთხაც ჩახატა.

სოფი წამოდგა და მოშვეებული, ათრეული ნაბიჯებით სივრძივ გადას-  
ჭრა სარდაფი. ჯერ რაღაც სითხე გადაასხა ნაგვის გროვას, შემდეგ უბადლო  
გულგრილობით კაბა მკერდამდე აიწია და წელზე შემოკრული სარტყლის

მსგავსი ძონძები ზევით აქანა. პერანგი არ ეცვა. მას, საერთოდ, არც კი ჰქონდა პერანგი.

ფილოსოფოსმა, რომელიც არასოდეს არ წოლილა ქალთან, დარცხვინით გაიღიმა და განზე გაიხედა.

სოფის კაბის კალთები კბილებით ეჭირა; მან ორივე ხელით მოქაჩა სარტყელი, ოღნავ უფრო შემოიჭირა და ისევ ჩამოუშვა კაბა.

ვოლშტაინმა მყისვე ჩახატა ეს სანახაობა ფილოსოფოსისა და ვირთხის გვერდით.

„ეს ფურცელი სულ უფრო და უფრო საინტერესო ხდება“, სერიოზული კვლავით თავისთვის ჩაილაპარაკა მან და ფილოსოფოსის პორტრეტზე ნუშაობა განაგრძო.

სოფი ოცდაორი წლისა იყო, ჯანმრთელი და ავახასავით მოქნილი. ნატიფი ნაკვებები და ველური გამომეტყველება ჰქონდა. იგი დასცინოდა ხოლმე „მალალი საზოგადოების ქალბატონებს“, ამჯერად მეძავეებს რომ უწევდნენ კონკურენციას. სოფი არავის არ უწევდა კონკურენციას, ის მეძავე არ იყო. მისთვის სულერთი იყო — სურდა იგი რომელიმე მამაკაცს თუ არა. ზოგჯერ კილი წვებოდა მასთან. სოფის სულაც არ ეჩიოთებოდა ეს ამბავი. მისთვის ხომ ყველაფერი სულერთი იყო. ზოგჯერ ქუჩიდან რაიმე საჭმელს ან რამდენიმე მარკას მოიტანდა ხოლმე და უსიტყვოდ დადებდა მაგიდაზე. ასე შეჰქონდა თავისი წვლილი საერთო საშინაო სალაროში.

ვირთხა ნაგვის გროვაზე დარბოდა, მოუსვენრად ყნოსავდა ნაგავს, თითქოს რაღაცის სუნი აიღოთ და წრიბინებდა. დაღამდა, სინათლე კი არ ჰქონდათ. ცხრა საათზე ყველამ დაიძინა. სარდაფის ერთადერთ ბატონ-პატრონად კვლავ ვირთხა დარჩა.

იმ ღამით ქალაქს ქარტახილმა გადაუარა. ეს ქარტახილი დიდხანს არ დაეწიყებიათ უსახლკარო ბერლინელებს. რამდენიმე უბანში შენობათა გაუმაგრებელი კედლები ჩამოინგრა და სარდაფებში მძინარე მცხოვრებლები ცოცხლად ჩამარხა.

ქარიშხალი ჩრდილოეთიდან მოდიოდა. სარდაფების ბინადრები საწოლთა სახურავებმა დახველებისაგან ვერ იხსნა. მაშინ საწოლები კბეებივით მიაყუდეს კედლებზე და თავი ქვეშ შეაფარეს. ჭექა-ქუხილი ყველაფერს აყრუებდა და ხუთი სართულის ოდენა სამხრეთის კედელი ისე ჩამოინგრა, არც კი გაუგიათ. კედელი გარეთ გადაიქცა და სარდაფი გადარჩა.

მეორე დღეს ივლისის ცხელი მზე აჭერდა კუთხეში ახროვილ ნაგვისა და ნანგრევების გროვას, რომელსაც რაღაც საეჭვო სუნი აუფიდა.

ვილიმ თქვა: ახლა ისეთი დროა, რომ სადაც კი ვირთხა გამოჩნდება, იქ აუცილებლად გვამიც უნდა იყოსო. თოხითა და ბარით იგი ნაგვის გადმოყრას შეუდგა. პირველად ცეცხლგამძლე სალაროს კარადას წააწყდა. ამის შემდეგ სავარძლის ზურგი გამოჩნდა, მალე კი ადამიანის თავიც.

ამ საკმაოდ საინტერესო აღმოჩენამ სხვებიც აიტყუა საწოლებიდან. ისინი ცნობისმოყვარეობით შესცქეროდნენ. თუ როგორ თხრიდა ვილი ნანგრევებიდან ცხედარს.

მიცვალებული რენესანსისდროინდელ მაღალზურგიან სავარძელზე იჯდა. ეს იყო ჭაღარათმიანი მოხუცი ქალის ცხედარი. ქალი საკმაოდ ფაშფაშა და ვეტყობოდა, ნაპატივები ვინმე უნდა ყოფილიყო. ორივე ხელით სავარძლის სახელურებს ჩაფრენოდა. თითქოს კბილის ექიმს უზის წინაო. საფეთქლები მიჰყლეთოდა და თვალები გადმოცვენოდა. ეცვა აბრეშუმის შავი ფეხსაცმ-

ლები და ძვირფასი თეთრი ხელთათმანები. ვოლშტაინმა თავისთვის ჩაიღებ

პარაკა: „ეს ხომ რენესანსისდროინდელი ნამდვილი, საოცრად მშვენიერი სავარძელია“.

ისინი ცხედარს თვალს არიდებდნენ და საუბრობდნენ იმაზე, რომ ქალმა, ალბათ, საჭაერო თავდასხმის დაწყებამდე მოიკალათა სარდაფში, იქვე განუტევა სული და ნანგრევებქვეშ ჩაიმაჩნდა; ან შეიძლება თავის ოთახში იმყოფებოდა და ბომბის ჩამოვარდნისას სავარძლიანად, ოთახთან და კარადასთან ერთად პირდაპირ სარდაფში ამოჰყო თავი. ამჯერად ვოლშტაინიც ჩაერია საუბარში.

„რენესანსის ძვირფასი სავარძლები სარდაფებში არა დგას ხოლმე. ან ვინ ჩაიცვამს აბრეშუმის კაბასა და ძაღლის ტყავის თეთრ ხელთათმანებს სარდაფში თავის შესაფარებლად ჩასვლისას?“.

ფილოსოფოსი თავდაპირველად გაუბედავად და მორცხვად იღიმებოდა; იმ ადამიანის გამომეტყველება ჰქონდა, რომელსაც ეშინია თავისი აზრი გამოთქვას იქ, სადაც სხვები უკეთ ერკვევიან საქმეში. ბოლოს, დაძლია წიში, ხელი ასწია, თითქოს საპაექროდ ემზადებოდა, და თქვა:

„კეთილი, ვთქვამთ, თავის ოთახში იჯდა. მაგრამ, როგორ გგონიათ, სავარძელზე მოკალათებული იმ სიმაღლიდან სარდაფში ჩამოვარდა და როგორც იჯდა ისევე დარჩა, თითქოსდა სულაც არაფერი მომხდარაო? განა ასეთი რამ შესაძლებელია?“

ამოცანა ამოუხსნელი დარჩა. სოფი, როგორც ყოველთვის, ახლაც გულგრილად იდგა და აბრეშუმის შავ ფეხსაცმლებს მისჩერებოდა.

„ყოველ შემთხვევაში, ახლაც უნდა განვაცხადოთ სადაც ჯერ არს“, თქვა ვილიმ, რომელსაც უეცრად გაეღვიძა სულის სიღრმეში მიმალული წესრიგის დაცვის მოვალეობის გრძნობა.

ვოლშტაინი თვალგაშტერებული იდგა: გაძვალტყავებულ სახეზე მკრთალი სილურჯე გადაჰკვროდა. იგი შემოქმედებით ჰვრეტას გაეტაცნა. მან ხელის მკვეთრი მოძრაობით შეაჩერა ვილი:

„ცხედარი აქ დარჩება!“

რამდენიმე წუთის შემდეგ მხატვარს წინ ედგა მოლბერტი. ჩარჩოზე მიხსი უკანასკნელი ორმეტრიანი ტილო იყო გადაჭიმული. სანამ მთლად არ ჩამოზნულდა, მუშაობა არ შეუწყვეტია.

დილის ხუთ საათზე ისევ შეუდგა მუშაობას. სხვებს ჯერ კიდევ ეძინათ. ის მარტოდმარტო იყო თავის მოდელთან, რომელიც მკვდრის მარადიული მოთმინებით იჯდა მის წინ. ვირთხა მხოლოდ შუადღეზე დაბრუნდა. მზე მწვავედ აჭერდა მტვრიან კაბაში მჯდარ ცხედარს.

ვოლშტაინს ცოტა დრო ჰქონდა. ამიტომ მთელი დღის განმავლობაში შესუსვენებლად მუშაობდა. შესაღამოვდა თუ არა, დადლილობისაგან გამოფიტულს ღრმა ძილმა წაართვა თავი. ერთი საათის შემდეგ კვლავ მოლბერტის წინ იდგა. ჯერ კიდევ არ იყო მთლად დაღამებული და მაშინვე შეამჩნია, რომ აბრეშუმის შავი ფეხსაცმლები სადღაც გამქრალიყო. რამდენჯერმე მიიხედ-მოიხედა და ისევ მიაშტერდა მკვდრის მოხრილ, გადაჯვარედინებულ ფეხებს. რომლებიც მათიას გრიუნვალდის ხატზე გამოსახულ იესოს ჯვარაცმულ ფეხებს ჰგვანდნენ ახლა.

სოფი მხატვარს მიუახლოვდა და ფეხები აჩვენა. მას მიცვალებულის ფეხსაცმლები ეცვა.

„სწორედ ჩემი სარგოა; მას კი უკვე აღარ სჭირდება“.

სოფიმ გულგრილად ჩამოიღო ლურსმნიდან ჩანთა და გარეთ გავიდა. იგი დილას-ლა დაბრუნდა სარდაფში.

სამ დღეში მორჩა ვოლშტაინი თავის საქმეს. სურათის ფონი მთელი ბერლინი იყო: ასიათასობით თავდია სახლები ჩალეწილი უსიცოცხლო ფანჯრებით, უზარმაზარი, ნანგრევებად ქცეული შენობები და მილიონობით გვამი. და ამ უდაბურ ფონზე სამეფო ტახტზე იჯდა ცხედარი. ეს არ ყოფილა მხოლოდ და მხოლოდ მიცვალებულის სურათი. ეს იყო მხატვრის თვალით დანახული მეორე მსოფლიო ომი.

ვილის უკვე განეცხადებინა ხელისუფალთათვის, ცხედარი ვიპოვეთ. ოთხი კაცი მოვიდა. მათ მდნობელი აპარატის საშუალებით გახსნეს კარადა, რომელშიც ქვითრების სქელ შეკვრათა გარდა არაფერი იყო. ეს ქვითრები ადასტურებდნენ, რომ ორგანიზაციებს „ძალა სიხარულშია“ და „საზამთრო დახმარება“ ამ ქალისაგან შეწირულებები მიუღიათ. სახლის პატრონიც ეს ქალი აღმოჩნდა.

ფილოსოფოსმა საჩვენებელი თითი დაადო შოპენჰაუერის წიგნის იმ სტრიქონებს. სადაც კითხვა შეწყვიტა. შემდეგ ხელი ქვითრებისაკენ გაიშვირა და ღიმილით თქვა:

„ეტყობა, ჩვენს დიასახლისს უკანასკნელი გროშებიც კი თავისი ფიურერისათვის შეუწირავს“.

მზიდავეები თათბირობდნენ, თუ რანაირად გაეტანათ გვამი. სატვირთო მანქანა ვერ მოადგებოდა სარდაფს — ქუჩა სულერთიანად ყუმბარებით იყო გადათხრილი.

ვილიმ თქვა:

„ეს ქალბატონი რომ სავარძლიდან აიყვანოთ, მაშინვე, ალბათ, ნაფლეთებად იქცევა. სჯობია სავარძლიანად წაიღოთ და სატვირთო მანქანაზე დადოთ“.

მზიდავებმა მხარზე გადებული კეტებით ცხედარი სავარძლიანად გარეთ გაიტანეს და ქუჩაში წაიღეს, სწორედ ასე, როგორც მიჰყავთ ხოლმე კაცობრიობის კეთილდღეობისათვის მლოცველი პაპი. ნანგრევებს შორის მიაბიჯებდნენ. ნანგრევები ორივე მხარეზე მიჰყვებოდა გზას. აქ ოდესღაც სახლები და ქუჩები იყო.

მზიდავეები დახერგილ ნანგრევებზე მიბოროძიობდნენ, სავარძელს შებრდილი გაშეშებული ცხედარი კი აქეთ-იქეთ ირხეოდა და ამ სურათის ფონიც ბერლინი იყო — დაბომბილი სახლები უსიცოცხლო, ხახადაღებული ფანჯრებით, რომლებიც უხმოდ გაჰკიოდნენ: „პიტლერ!“

„ეს ორმო ისევე უნდა ამოვავსო. მთელ ამ ნაყარ-ნუყარს გადავასწორებ და ზედ ბოსტანს გავაშენებ“, უთხრა ვილიმ ფილოსოფოსს, „კვლებს ტერასებით განვალაგებ; თქვენ რა აზრისა ხართ?“

ფილოსოფოსი წამოწოლილი იყო და „სამყარო როგორც ნება და წარმოდგენას“ კითხულობდა. მან თავაუწევლად მიუგო:

„ო კეი“.

**გერმანულიდან თარგმნა გიორგი კეჭალაძემ.**



აგაპე სიკაძე

რევიზიონიზმი და ლოგიატიზმი  
შეუთავსებელია მარქსიზმ-ლენინიზმთან

1.

გასული წლის 10 ნოემბრიდან პირველ დეკემბრამდე მოსკოვში მიმდინარეობდა მსოფლიოს ოთხმოცდერთი ქვეყნის კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირი, რომელიც ისტორიული მნიშვნელობის მოვლენას წარმოადგენდა.

თათბირის მთავარი ამოცანა იყო კომუნისტური და მუშათა პარტიების სტრატეგიისა და ტაქტიკის ძირითადი ხაზების შემუშავება იმ ცვლილებების გათვალისწინებით, რაც მოხდა მსოფლიო ასპარეზზე ძალთა თანფარდობაში მოსკოვის 1957 წლის თათბირის შემდეგ.

თათბირის მთელი მუშაობა მიმდინარეობდა ვაგბედილი რევოლუციური შემოქმედების, ჩვენი დროის აქტუალური პრობლემების კოლექტიური დამუშავების სულიკეთებით. თათბირის განცხადებაში ჩამოყალიბებული ახალი თეორიული დებულებანი და დასკვნები მოასწავებენ დიდ ნაბიჯს მარქსისტულ-ლენინური თეორიის განვითარებაში.

ისტორიულ დოკუმენტებში — განცხადებასა და მთელი მსოფლიოს ხალხებისადმი მიმართვაში, რომლებიც თათბირმა მიიღო, მოცემულია პასუხი თანამედროვეობის ყველაზე მწვავე და საარსებოდ მნიშვნელოვან საკითხებზე, რომელთა გადაწყვეტაზეც დამოკიდებულია კაცობრიობის ბედი და მისი შემდგომი განვითარების გზები. ეს საკითხებია: თანამედროვე ეპოქის შეფასება და პერსპექტივები, რომლებსაც იგი სახავს; ომი და მშვიდობა; შესაძლებლობა, რომ თავიდან ავიცილოთ ატომური ომი, რომელსაც იმპერიალიზმი ამზადებს; სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანარსებობისა და განიარაღების შე-

საძლებლობა; სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური პარტიებისა და ხალხთა მთავარი ამოცანები; კაპიტალიზმის ქვეყნების მუშათა კლასისა და ყველა მშრომელთა მთავარი ამოცანები; ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შემდგომი განვითარების გზები.

თათბირმა დიდი წვლილი შეიტანა საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის შემდგომ შემკვიდრებაში. მან სერიოზული ყურადღება დაუთმო ბრძოლას ორ ფრონტზე — რევიზიონიზმის, როგორც მთავარი საფრთხის წინააღმდეგ, და ღოგნატიზმისა და სექტანტობის წინააღმდეგ. „კომუნისტური და მუშათა მოძრაობის შემდგომი განვითარების ინტერესები მოითხოვს. — ნათქვამია კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის განცხადებაში, — რომ კვლავაც, როგორც აღნიშნულია მოსკოვის 1957 წლის დეკლარაციაში, გრძელდებოდეს გადაწყვეტი ბრძოლა ორ ფრონტზე — რევიზიონიზმის წინააღმდეგ, რომელიც მთავარ საშიშროებად რჩება, და ღოგნატიზმისა და სექტანტობის წინააღმდეგ“.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში ბურჟუაზიული იდეოლოგიის გავლენის წინააღმდეგ ბრძოლა განუწყვეტლივ წარმოებს რევოლუციური მარქსისტული მოძღვრების წარმოშობის პირველი დღეებიდანვე. ოპორტუნიზმთან გააფთრებულ ბრძოლაში ყალიბდებოდა და თავის რიგებს განამტკიცებდა ყველა მარქსისტულ-ლენინური პარტია, რომლებიც ახლა მსოფლიო პროლეტარიატის მოწინავე მებრძოლთა მრავალრიცხოვან არმიას შეადგენენ.

კომუნისტურ პარტიებს განვითარების სხვადასხვა ეტაპზე უხდებოდათ იდეოლოგიური ბრძოლა ერთსა და იმავე დროს ორ ფრონტ-



ზე — მემარჯვენე ოპორტუნიზმის წინააღმდეგ, რომელიც მუშათა მოძრაობაში ბურჟუაზიული იდეოლოგიის შეღწევის შედეგად წარმოიშვა, და „მემარცხენე“ ოპორტუნიზმის — დოგმატიზმის, სექტანტობის წინააღმდეგ, რომელსაც წარმოშობდა თვითონ მუშათა მოძრაობის განვითარების განსაკუთრებული პირობები.

მარქსიზმ-ლენინიზმის რევოლუციური მოძღვრების დაჩლუნგების ყოველი ცდის დაუბედურებლად მხილება. მტკიცე, გადამწყვეტ ბრძოლას მუშათა მოძრაობაში რეფორმიზმისა და შემთანხმებლობის წინააღმდეგ კომუნისტები ყოველთვის მიიჩნევენ თავიანთ უპირველეს ამოცანად.

უკანასკნელ წლებში რევიზიონისტები განსაკუთრებით გააქტიურდნენ და კომუნისტურმა და მუშათა პარტიებმა ახალი ძალით გააჩაღეს ბრძოლა მათ წინააღმდეგ. რევიზიონიზმის გამოცხადება განაპირობა საერთაშორისო ასპარეზზე პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობაში მომხდარმა ცვლილებებმა.

2.

თათბირის საპროგრამო დოკუმენტი — განცხადებაში მოცემულია თანამედროვე ეპოქის ღრმა მეცნიერული მახასიათება. „ჩვენი ეპოქა, — ნათქვამია მასში, — რომლის ძირითად შინაარსს შეადგენს კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა, რაც დაიწყო დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, არის ერთმანეთისადმი დაპირისპირებული ორი საზოგადოებრივი სისტემის ბრძოლის ეპოქა, სოციალისტური რევოლუციებისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი რევოლუციების ეპოქა, იმპერიალიზმის ნგრევის, კოლონიური სისტემის ლიკვიდაციის ეპოქა, სოციალიზმის ვაზზე ახალი და ახალი ხალხების გადასვლის, მსოფლიო მასშტაბით სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვების ეპოქა“.

მეურნეობის მსოფლიო სოციალისტური სისტემა, რომელიც წარმოიშვა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ისტორიული განვითარების, ობიექტური ეკონომიური კანონების მოქმედების საფუძველზე, შევიდა თავისი განვითარების ახალ ეტაპში. სსრ კავშირში ხორციელდება კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობა, ხოლო სოციალისტური ბანაკის სხვა ქვეყნები წარმატებით უყრიან საფუძველს სოციალიზმს, ზოგიერთი მათგანი კი განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის პერიოდში შევიდა. ჩქარი ტემპით წარმოებს სოციალისტური ქვეყნების საწარმოო ძალების განვითარება. თუ ამ ქვეყნების მრეწველობის პროდუქციის საშუალო წლიურმა ტემპმა 1956-1959 წლებში 94.8 პროცენტი შეადგინა, კაპიტალისტურ ქვეყნებში იგი მხოლოდ 3.5 პროცენტს უდრდა. სამრეწველო წარმოება 1959 წელს ომამდელ დონესთან შედარებ-

ბით გაიზარდა: მსოფლიო სოციალისტურ სისტემაში — 6-ჯერ, კაპიტალისტურ სისტემაში კი — 2.2-ჯერ.

სოციალიზმის მიზიდულობის ძალა დღითიდღე იზრდება. საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობა, აგრეთვე დემოკრატიული მოძრაობა, გადაიქცნენ სოციალისტური პროგრესის მძლავრ ფაქტორებად. „ჩვენი დროის მთავარი განმახვევებელი ნიშანი, — ნათქვამია კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის განცხადებაში, — ის არის, რომ მსოფლიო სოციალისტური სისტემა ადამიანთა საზოგადოების განვითარების გადამწყვეტი ფაქტორი ხდება“.

შემდგომი დაქვეითებისა და ნგრევის ხანაში შევიდა მსოფლიო კაპიტალისტური სისტემა. იმპერიალიზმის შინაგანმა და გარეშე წინააღმდეგობებმა დააჩქარეს მონოპოლისტური კაპიტალიზმის გადაზრდა სახელმწიფო-მონოპოლისტურ კაპიტალიზმად, მონოპოლიების სწრაფმა მაქსიმალური მოგების მიღებისაკენ მკვეთრად გაამწვავა კლასობრივი და ეროვნული ანტაგონიზმი. თანამედროვე კაპიტალიზმი სულ უფრო მეტად ამფლავებს თავის უფუნარობას გამოიყენოს საწარმოო ძალები და მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები სოციალური პროგრესისათვის, პირიქით, უახლოეს აღმოჩენებს იგი იყენებს კაცობრიობის წინააღმდეგ.

კაპიტალიზმის ღპობა უდიდესი ძალით იჩენს თავს თანამედროვე იმპერიალიზმის უდიდეს ქვეყანაში — ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომელიც ყველაზე მსხვილ საერთაშორისო ექსპლოატატორი გახა. სულ უფრო ღრმავდება კაპიტალიზმის სისტემის საერთო კრიზისი, რომელიც შევიდა თავისი განვითარების ახალ ეტაპში. ამ ეტაპის თავისებურება ის არის, რომ იგი წარმოიშვა არა მსოფლიო ომთან დაკავშირებით, არამედ ორი სისტემის შეჯიბრებისა და ბრძოლის პირობებში, ძალთა თანაფარდობის სოციალიზმის სასარგებლოდ შეცვლისა და იმპერიალიზმის ყველა წინააღმდეგობის მკვეთრად გამწვავების ბაზაზე. სულ უფრო მეტად ვიწროვდება იმპერიალიზმის ბატონობის სფერო. იმპერიალიზმის პოზიციები ისე შესუსტდა, რომ უკვე აღარ შეუძლია განსაზღვროს მსოფლიო განვითარების მიმართულება. დააბრკოლოს მსოფლიო სოციალისტური სისტემის მზარდი გავლენა საზოგადოების ცხოვრების განვითარებასა და ხასიათზე.

3.

ასეთ საერთაშორისო ვითარებაში, როცა სოციალიზმის მსოფლიო სისტემა სულ უფრო ვითარდება, ხოლო მსოფლიო კაპიტალისტური სისტემა თანდათან სუსტდება, იმპერიალიზმის აპოლოგეტები სულ უფრო მეტი გაბოროტებით ებრძვიან მარქსიზმ-ლენინიზმს.

და ქმნიან ფართო იდეოლოგიურ აგენტურას — ცდილობენ ძირი გამოუთხარონ საერთაშორისო მუშათა მოძრაობას. ამ ანტიხალხურ, საძრახის ამოცანას ისახავს მიზნად თანამედროვე რევო- ჰიონიზმი — მარქსიზმის თეორიისა და პრაქტი- კის მეტად შენიღბული და სახიფათო მტერი.

„რაც უფრო მეტია სოციალისტური სისტე- მის წარმატებანი, — ამბობს ამხანაგი ნ. ს. ზრუჭიანი, — რაც უფრო იზრდება კომუნისტ- თა საერთაშორისო არმია, მით უფრო მძვინვა- რებს ბურჟუაზია. იგი გადადის მმართველობის ფაშისტურ მეთოდებზე. ტირანულ რეჟიმებზე: იგი ახდენს მთელ თავის პროპაგანდისტულ საშუალებათა მობილიზაციას, ცდილობს გაამარ- თლოს კაპიტალისტური წყობილება, სახელი გა- უტუტუნოს სოციალიზმს, ჩვენს კომუნისტურ იდეებს. ბურჟუაზიული პროპაგანდა სულ უფ- რო ვაჟინო ხდება, სოციალისტური ბანაკის, კომუნისტური პარტიების წინააღმდეგ ბრძო- ლაში ბურჟუაზიული პროპაგანდის ძირითადი იარაღია ანტიკომუნისტური. ჩვენ გადაჭრით უნდა ეამხილებოდეთ ამ ანტიმეცნიერულ, თავიდან ბოლომდე ყალბ იდეოლოგიას.“

რამი მდგომარეობს რევოიონიზმის, დოგ- მატიზმისა და სექტანტობის საფრთხე, როგო- რია მათი არსი?

თანამედროვე რევოიონისტები მარქსიზმის ფალსიფიკაციას ეწევიან. ისინი აყალბებენ მარქსის ეკონომიურ მოძღვრებას, მარქსიზმის ფილოსოფიურ საფუძველს — დიალექტიკურ და ისტორიულ მატერიალიზმს. მეცნიერული სოციალიზმის თეორიას.

რევოიონისტები აცხადებენ, რომ თითქოს ისინი მარქსისტები არიან და შემოქმედებით დიალექტიკას ემხრობიან. მაგრამ ეს მხოლოდ ლიტონი სიტყვებია. საქმით ისინი მარქსიზმის დაუძინებელი მტრები არიან და დიალექტიკას ცვლიან მეტაფიზიკით. იუგოსლაველი რევოი- იონისტის მ. მარკოვიჩის მიხედვით, დიალექტი- კასა და მეტაფიზიკას შორის თითქოს აღარ უნდა არსებობდეს განსხვავება. „ამჟამად, — წერს იგი, — დიალექტიკისა და მეტაფიზიკის, როგორც ორი ძირითადი ფილოსოფიური მე- თოდის, განსხვავებას სულ უფრო და უფრო ნაკლები მნიშვნელობა აქვს.“

ბუნებისა და საზოგადოების მოვლენებს რე- ვოიონისტები განიხილავენ არა დიალექტიკურ მთლიანობაში, არამედ მეტაფიზიკურად. ისინი უგულვებელყოფენ მოვლენათა შინაგან კავშირ- სა და ურთიერთგანპირობებულობას, საგნებსა და მოვლენებს განიხილავენ აბსტრაქტულად, დროის, ადგილისა და პირობების გაუთვალის- წინებლად. მოვლენათა კანონზომიერი, ობიექ- ტური კავშირების ღრმა ანალიზის ნაცვლად იძლევიან ეკლექტიკურ-სოფისტიკურ კონს- ტრუქციებს.

ვ. ი. ლენინის განმარტებით სოფისტიკა წარ-

მოდგენს „...საგნის განცალკევებულ, ესე იგი ცალმხრივსა და უმსგავსოდ დამახინჯებულ გან- ხილვას“ (თხზ., ტ. 21, გვ. 277). რევოიონიზმი ამა თუ იმ საზოგადოებრივი მოვლენის შეფა- სებისას იფარგლება მოვლენის ცალმხრივი, არაარსებითი მხარის განხილვით. ცდილობს რა მიაღწიოს თავის მიზანს — ძირი გამოუთხაროს მარქსისტულ-ლენინურ რევოლუციურ მოძღვ- რებას. რევოიონისტები უარყოფენ მარქსის- ტულ მეცნიერებაში დადგენილ ძირითად დებუ- ლებებს. აი, მაგალითად, როგორია თანამედ- როვე რევოიონისტების სოფისტიკური ლოგი- კა: იმოწმებენ რა იმ ფაქტს, რომ კაპიტალიზ- მის საწარმოო ძალები ერთ ადგილზე გაყინული არ არიან. ქადაგებენ კაპიტალიზმის „საერთო აყვავებას“.

ამერიკელი რევოიონისტები ბიტელმანი და მისი თანამოაზრენი, რომლებსაც არ გაეგებათ საზოგადოებრივი განვითარების დიალექტიკა, არასწორად განმარტავენ კრიზისების ცალკეულ შემთხვევებს, სოფისტიკურად აცალმხრივებენ მათ და ასკენიან, ამერიკული კაპიტალიზმის განვითარება მუდამ უკრიზისოდ იწარმოებსო.

რევოიონისტები დამახინჯებულად განმარ- ტავენ პარტიისა და პროფკავშირების როლს მუშათა მოძრაობაში. მათი აზრით. კომუნისტუ- რი პარტია მხოლოდ აღმზრდელია მუშაობას უნდა ეწეოდეს, და მუშათა მოძრაობის ძირი- თად ორგანიზაციულ ფორმად მიაჩნიათ არა პარტია, არამედ პროფკავშირული ორგანიზა- ცია. სახელმწიფო კაპიტალიზმს აიგივებენ სო- ციალიზმისათვის დამახასიათებელ მოვლენებში და ამ საფუძველზე ავითარებენ სოციალიზმში კაპიტალიზმის შეზრდის ყბადღებულ თეორი- ას. ასევე ყალბად განმარტავენ ისინი სოცია- ლიზმის სისტემისა და ცალკეული სოციალის- ტური ქვეყნების ძირეულ შინაგან პროცესებს. საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა ხმაური ატე- ხეს რევოიონისტებმა საბჭოთა კავშირის კო- მუნისტური პარტიის XX ყრილობის დადგე- ნილებათა გამო. მათ „პიროვნების კულტის“ კრიტიკის ნიშნით საერთოდ უარყვეს სოცია- ლიზმის დიადი გამარჯვებანი საბჭოთა კავ- შირში.

ამკარად ბურჟუაზიულია რევოიონისტების შეხედულება სოციალისტური სახელმწიფოს განვითარების საკითხში. კომუნისტების ფუძე- მდებლემმა მოგვეცეს მეცნიერული მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ, განსაზღვრეს სახელმწი- ფოს მომავალი და ბოლო მოუდეს ქაოსსა და თვითნებობას ამ საკითხის გაგებაში. მარქსიზმ- ლენინიზმის თანახმად, კომუნისტების სრული გა- მარჯვების შემდეგ სახელმწიფო აღარ იარსე- ბებს. ეს უდიდესი სოციალური აქტი განხორ- ცილდება მატერიალურ წარმოების უაღრესი განვითარებისა და საზოგადოებრივი კლასების გაქრობის კვალობაზე.



რევიზიონისტები, რომლებიც არ ითვალისწინებენ მოვლენებისადმი კონკრეტულ-ისტორიული მიდგომის დიალექტიკურ პრინციპს, მოითხოვენ სოციალისტური სახელმწიფოს კვდომას შესაბამისი პირობების მოუშვადებლად. მათ არასწორად მიაჩნიათ სოციალისტური სახელმწიფოს განმტკიცების ჩვენი პოლიტიკა და მას მარქსიზმის სტალინურ დამახინჯებად აცხადებენ. რევიზიონისტების აზრით, სახელმწიფოს კვდომა უნდა მოხდეს მისი დასუსტების, დაუძღვრების გზით. ასეთი თვალსაზრისი მარქსიზმ-ლენინიზმთან სრულიად შეუთავსებელია. „ახლანდელ პირობებში, — განაცხადა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა პარტიის XXI ყრილობაზე, — სოციალისტური სახელმწიფოს შესუსტება ნიშნავს იმას, რომ დავეხმარო მტრებს. თუ იმპერიალისტებს ახლა არ შეუძლიათ ჩვენი დამარცხება, რევიზიონისტები, არსებითად, გვთავაზობენ თვითონ განვიარაღდეთ. მოვსაოთ სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც უზრუნველყოფენ ჩვენი ქვეყნის თავდაცვას, და ამრიგად მივენდით მტრის მოწყალებას“.

მართალია, ახლა ჩვენში წარმოებს სახელმწიფო ორგანოების ცალკეული ფუნქციების საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის გადაცემა, მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს კომუნისმის მშენებლობაში სოციალისტური სახელმწიფოს როლის შესუსტებას.

რევიზიონისტები უარყოფენ მატერიალისტური დიალექტიკის ერთ-ერთ ძირითად კანონს — რაოდენობრივი ცვლილებების თვისობრივი ცვლილებებში გადასვლის კანონს, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მეცნიერული შემეცნებისა და პრაქტიკულ-რევოლუციური მოქმედებისათვის. თავიანთი მტრული ზრახვები რომ დაფარონ, ისინი ამ კანონს ახასიათებენ, როგორც „გამოგონილს ბოლშევიკური რევოლუციის ვასამართლებლად“. მაგრამ ეს ხომ აშკარა სიცრუეა. მატერიალისტური დიალექტიკა გვასწავლის, რომ სამყაროში მოვლენებისა და საგნების განვითარება მიმდინარეობს ორგვარი — ევოლუციური და რევოლუციური ფორმით. ევოლუციური, რაოდენობრივი ცვლილებები ამზადებენ საგნის თვისობრივი ცვლილებებს. განვითარების პროცესში არსებობს ერთი თვისობრივი მდგომარეობიდან მეორე თვისობრივ მდგომარეობაში გადასვლის, მარტივიდან რთულსაკენ სვლის გარეშე. ეს თავის მხრივ მოასწავებს თანდათანობის გაწყვეტას, ძირეულ გარდატეხას, ნახტომს. ძირეული შემობრუნება მოვლენათა განვითარებაში მიმდინარეობს ახალი თვისობრივი ელემენტების თანდათანობითი დაგროვებისა და ძველი თვისობრივი ელემენტების თანდათანობითი კვდომის საფუძველზე, ან ძველი თვისობრივი

ბის ერთბაშად მოსპობისა და ახალი თვისობის შექმნის გზით, აფეთქების გზით.

მარქსისტულ-ლენინური დიალექტიკის ეს კანონზომიერება ობიექტურად მოქმედებს სინამდვილის ყველა სფეროში. რევიზიონისტებუსწორედ იმიტომ ვერ ეგუებიან რაოდენობრივი ცვლილებების თვისობრივი ცვლილებებში გადასვლის კანონს, რომ მის ბაზაზე მწიფდება და ხორციელდება საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნის აპოკალიფსა.

თანამედროვე რევიზიონისტები უარყოფენ აგრეთვე მატერიალისტური დიალექტიკის უმნიშვნელოვანეს კანონს — დაპირისპირებულთა ერთიანობისა და ბრძოლის კანონს. და ამას იმიტომ სჩადიან, რომ თანამედროვე მსოფლიოს ეკონომიური, პოლიტიკური და იდეოლოგიური ცხოვრების სურათი დახატონ ყოველგვარი წინააღმდეგობისა და დაპირისპირების გარეშე, უარყონ იმპერიალისტურ სამყაროში კლასობრივი ანტაგონიზმი, ჩამოაშორონ მშრომელები კაპიტალიზმის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლის საპირობების შეგნებას. მაშასადამე, ისინი უარყოფენ კლასობრივი ბრძოლის მარქსისტულ-ლენინურ თეორიას და თვლიან, რომ თანამედროვე კაპიტალიზმში არ არსებობს კლასთა ბრძოლის გამომწვევი მიზეზები, მიზანშეუწონლად მიაჩნიათ პროლეტარიატის ბრძოლა ბურჟუაზიის წინააღმდეგ პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვებისათვის.

თანამედროვე რევიზიონისტების „თეორიების“ კონცენტრირებულ გამოხატულებას წარმოადგენს საერთაშორისო კომპრტუნისმის იუგოსლავური ნაირსახეობა. უღალატეს რამარქსიზმს, გამოაცხადეს რა იგი მოძველებულად, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ხელმძღვანელებმა 1957 წლის დეკლარაციის დაუპირისპირებს თავიანთი ანტილენინური რევიზიონისტული პროგრამა, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირი დაუპირისპირეს მთელ საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობას, მოსწყვიტეს თავიანთი ქვეყანა სოციალისტურ ბანაკს და იგი დამოკიდებული გახადეს ამერიკელი და სხვა იმპერიალისტების ეგრეთწოდებულ „დახმარებაზე“. ცხადია, ამით მათ შექმნეს იუგოსლაველი ხალხის გმირული ბრძოლით მიღწეულ რევოლუციურ მონაპოვრთა დაკარგვის საფრთხე. იუგოსლაველი რევიზიონისტები ძირგამომთხრელ მუშაობას ეწევიან სოციალისტური ბანაკისა და მთელი მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის წინააღმდეგ. ბლოკგარეშე პოლიტიკის საბაბით ისინი აჩაღებენ საქმიანობას, რომელიც ზიანს აყენებს ყველა მშვიდობისმოყვარე ძალთა და სახელმწიფოთა ერთიანობას. მუშათა მოძრაობაში დიდი ხანია გაჩნდა აგრეთვე დოგმატიზმი და სექტანტობა. მათი ოპორტუნისმი უწინარეს ყოვლისა ელინდება კონკრეტული სინამდვილისადმი მარქსისტულ-



ლენინური მეცნიერების ზოგადი დებულებებისა და დასკვნების მიყენების უუნარობაში, ამ დასკვნების სქოლასტიკურ დაზვიადებაში. დოგმატიკოსები და სექტანტები შეურიგებელ წინააღმდეგობაში არიან რევოლუციური თეორიის შემოქმედების განვითარებასთან და პრაქტიკაში მის შემოქმედების გამოყენებასთან; ისინი მოწყვეტილი არიან საზოგადოებრივ ცხოვრებას, მასების რეალურ მოთხოვნილებებსა და ინტერესებს, კომუნისტებს სწვევტენ მშრომელთა ფართო ფენებისაგან და განუშლადებენ მათ პასიურ ლოდინს ან მომემარცხენო ავანტიურისტულ მოქმედებას რევოლუციურ ბრძოლაში.

დოგმატიზმსა და სექტანტიზმს. თუ მათ მიეცა თავისუფალი განვითარების საშუალება, შეუძლია დიდი ზიანი მოუტანოს ჩვენს საქმეს. ამიტომ ლენინიზმი შეურიგებელია დოგმატიზმთან. ვ. ი. ლენინი წერდა: „...საჭიროა შევეითოთ ის უდავო ჭეშმარიტება, რომ მარქსისტმა ანგარიში უნდა გაუწიოს ცოცხალ ცხოვრებას, სინამდვილის ზუსტ ფაქტებს, და კვლავინდებურად არ ჩაებლაუქოს გუშინდელი დღის თეორიას, რომელიც, როგორც ყოველი თეორია, უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ სახავეს ძირითადს, ზოგადს, მხოლოდ უახლოვდება იმას, რომ მოიცავს ცხოვრების სირთულე“ (თხზ. ტ. 24, გვ. 31).

4.

მსოფლიო კომუნისტური მოძრაობა ჰევენდროის ყველაზე გავლენიანი პოლიტიკური ძალა და საზოგადოებრივი პროგრესის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. იმპერიალისტური რეაქციის წინააღმდეგ, მუშათა კლასისა და ყველა მშრომელის ინტერესებისათვის მშვედობის. ეროვნული დამოუკიდებლობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის გააფთრებულ ბრძოლაში კომუნისტური მოძრაობა განუხრცლად მიდის წინ, ირანშმება და იწრთობა.

ამჟამად მსოფლიოს ოთხმოცდაშვიდ ქვეყანაში მოქმედებენ კომუნისტური პარტიები. ისინი თავიანთ რიგებში ოცდათექვსმეტ მილიონზე

მეტ კაცს აერთიანებენ. ეს მარქსიზმ-ლენინიზმის შესანიშნავი გამარჯვებაა. მუშათა კლასის უდიდესი მონაპოვარია.

კომუნისტებმა თავიანთ რიგებში იდეურად გაანადგურეს რევიზიონისტები, რომლებიც ცდილობდნენ მარქსისტულ-ლენინური გზიდან გადაეცდინათ ეს პარტიები. რევიზიონიზმის, მემარჯვენე ოპორტუნიზმის, დოგმატიზმისა და სექტანტობის წინააღმდეგ ბრძოლაში მოხდა თითოეული კომუნისტური პარტიისა და მთელი საერთაშორისო კომუნისტური შოიარობის შემდგომი იდეური და ორგანიზაციული განმტკიცება. „ღრმა კმაყოფილების გრანობით შეიძლება აღენიშნოთ, — ამბობს ანხ. ნ. ს. ხრუშჩოვი, — რომ რევიზიონისტული სიბილწე მხილებულ და პარტიის რიგებიდან გავდებულ იქნა. რევიზიონისტების წინააღმდეგ ბრძოლიდან კომუნისტური პარტიები უფრო მტკიცენი და გამოცდილებით გამოზრამედილნი გამოვიდნენ“.

კომუნისტურმა და მუშათა პარტიებმა ასევე ერთსულოვნად დაგმეს და გაანადგურეს დოგმატიზმი და სექტანტობა.

კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმატებანი რევიზიონიზმის, დოგმატიზმისა და სექტანტობის წინააღმდეგ ბრძოლაში უაღრესად თვალსაჩინოა. მაგრამ ეს მაინც არ ვაძალებს თვითდამშვიდების უფლებას. საჭიროა მუდამ ფხიზლად ვიყოთ და არ შევანელოთ ყურადღება მარქსიზმ-ლენინიზმის სოქმინდის დასაცავად, არ შევასუსტოთ ბრძოლა გადახრების წინააღმდეგ. სწორედ ამიტომაც განცხადებაში ხაზგასმული, რომ აუცილებელია კვლავაც გრძელდებოდეს გადამწყვეტი ბრძოლა ორ ფრონტზე — რევიზიონიზმის წინააღმდეგ, რომელიც მთავარ საშიშროებად რჩება, და დოგმატიზმისა და სექტანტობის წინააღმდეგ.

კომუნისტური და მუშათა პარტიების, ყველა კომუნისტის წმიდათა-წმიდა მოვალეობაა მაღლა ევიროთ შემოქმედებითი მარქსიზმ-ლენინიზმის ძლევაშოსილი დროშა.





აღ. ჩავდიხვლი

## პოეტური მადლისა და ლიტერატურული კრიტიკის საკითხები

მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკა აღიარებს პოეტური მადლის, უნარის ობიექტურად არსებობას. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველი ადამიანი არ არის პოეტი ან მწერალი და არც შეიძლება იყოს. „რასაკვირველია, მხატვარ-მწეომქმედს არ გააჩნია არავითარი საიდუმლო განსაკუთრებულობა, მაგრამ შექმნის ხელოვნების უნარი. გარდა სკოლითა და პრაქტიკით შექმნილი გაწაფულობისა, მოითხოვს განსაკუთრებულ ნიჭიერებას... ნამდვილად, მხატვარი რომ იყო, საჭიროა გქონდეს შესაბამისი ბუნებრივი ნიჭი“ (იხ. „მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის საფუძვლები“, რუს. გამ. 1960 წ. გვ. 354-355). ამ აზრს იზიარებს ცნობილი ქართველი მწერალი შ. დადიანი. მის ერთ კერძო წერილში ნათქვამია: „ყოველ ადამიანს არ შეუძლია გახდეს მხატვრულ ნაწარმოებთა მწერალი, თუნდ სათანადო პირობებიც ჰქონდეს ამისათვის... მხატვარ მწერალს უნდა ჰქონდეს განსაკუთრებული პოეტური ნიჭი, მადლი, უნარი“ (იხ. „ლიტერატურული აპარა“, 1961 წ., №1, გვ. 70). მხოლოდ მას შეუძლია გამოავლინოს მხატვრული მადლი, ვისაც იგი გააჩნია. რასაკვირველია, ამა თუ იმ დოზით პოეტური მადლი ყოველ პიროვნებას დაჰყვება, მაგრამ ხელოვან ადამიანში ის ელინდება „განსაკუთრებულად განვითარებული და კონცენტრირებული სახით“. პოეტს არა აქვს არც ერთი ისეთი ფსიქიკური ფუნქცია, რომელიც არ ახასიათებდეს საერთოდ ადამიანს, მიუხედავად იმისა, ხელოვანი იგი თუ მეცნიერი. პოეტის თავისებურების საფუძველი ადამიანის ისევე საერთო, ზოგადი ფსიქიკური შემადგენლობაა, მაგრამ გამოირჩევა ამ ელემენტების ინტენსივობით.

განსაკუთრებული გამაზვიებებით, თავისებური კონცენტრირებით და მოჭარბებულობით. აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პოეტური მადლი არ არის რაღაც ტრანსცენდენტური. ზეადამიანური მოვლენა. მართალია, თანამედროვე ადამიანისათვის იგი მოცემულობაა, მაგრამ ისტორიულად მან გაიარა მოცემულობის რთული პროცესი. თუმცა ჯერჯერობით მთლიანად არ არის გამოჩვეული, თუ როგორ ხდებოდა ისტორიულად მხატვრული ნიჭის, უნარის გამოუმუშავება. მაგრამ მარქსიზმ-ლენინიზმი გვაძლევს მისი შესწავლის სწორ მეთოდოლოგიურ საფუძველს. მხატვრული ტალანტის წარმოშობას კი მარქსიზმის პროცესს უკავშირებდა და იგი შრომის განაწილების შედეგად მიიჩნდა. მასთან დამე, პოეტური მადლი ადამიანისათვის თანდაყოლილია მხოლოდ როგორც შესაძლებლობა, რომელსაც, ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, „უნდა პატრონობა. ხელისშეწყობა, გაზრდა და დაეხეცება“. პატრონობა კი მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ არის საპატრონო, ე. ი. თუ მწერალს პოეტური მადლი აქვს. ჩვენი აზრით, პოეტური მადლის დაუფასებლობის შედეგია ზოგჯერ ისეთი ნაწარმოებების გამოქვეყნება, რომელთაც არაფერი სცხიათ პოეტური. როგორც დიდი ლენინი გვასწავლის, მწერალს ნაწარმოები არამხატვრული მაშინ გამოუდის, როცა იგი მისთვის უცნობ თემას ეხება. არამხატვრულობა მიზეზი ისიც შეიძლება იყოს, რომ ავტორი არ არის ბუნებით მხატვარი, ხელოვანი და მაინც მხატვრობას ეტანება.

ამ ბოლო დროს ბევრი ნიჭიერი და პოეტური მადლით დაჯილდოებული ახალგაზრდა მწერალი შემოემატა ჩვენს ლიტერატურას, მაგრამ

ცოტა როდია ისეთებიც, რომლებიც პოეტური მადლით არ არიან დაჯილდოებულნი, მაგრამ მაინც არ ეშვებიან მწერლობას. ამის შესახებ მათ პირდაპირ უნდა უთხრან უპირველეს ყოვლისა იმ მწერლებმა, რომლებიც ჭეშმარიტი შემოქმედნი არიან და მხატვრული სიტყვის ნამდვილ ოსტატებად ითვლებიან. მათს მოუ-რიდებელ, პირდაპირ და მართალ სიტყვას შეუ-ილია დიდად შეუწყოს ხელი ჩვენი მწერლო-ბის ხარისხის გაუმჯობესებას. ახალგაზრდას, რომელსაც მწერლობის უნარი არა აქვს, თავიდან-ვე პირდაპირ უნდა უთხრან, რომ სხვა საქმეს მოჰკიდოს ხელი. ასეთი პირდაპირი და გულახ-დილი რჩევის მაგალითს იძლევიან ჩვენი დიდი კლასიკოსები ი. ტოლსტოი, თ. ბალზაკი, ი. ჰეკეაძე, ა. წერეთელი, მ. გორკი, ა. ფა-დევი, შ. დადიანი და სხვები. აქ მთლიანად მომაქვს ის წერილი, რომელიც მ. გორკიმ მისწერა ვ. ნ. ბაგოვს 1930 წლის 1 აპრილს: „ვასილ ნიკოლოზისძე — მიიღეთ მეგობრუ-ლი რჩევა: მიატოვეთ წერა. არაფერი არ გა-შოგივთ, ამაოდ ირჩებით, ტუფილად დროს ჰკარგავთ. თქვენთვის უფრო სარგებელიანი და უკეთესი იქნება, თუ იმ დროს წიგნებს კითხვას მონადომებთ. იმისათვის, რომ ლიტე-რატურის სასარგებლო მუშაი იყოთ, საქირთა კარგად იცოდეთ წერა-კითხვა. შენ კი იგი ცუდად იცი. შენთვის აგრეთვე უცნობია ლიტერატურული ენა. მთავარი მაინც ის არის, რომ თქვენ არ გაქვთ ლიტერატურული შრომის არავითარი უნარი. თქვენი მოთხრობის გასწორება მე არ შემიძლია, რადგან ვასასწო-რებელი მასში არაფერია. — არ არის მასალა, ხოლო მასალა იმიტომ არ არის, რომ თქვენ არ გრძნობთ, თუ რაზე უნდა სწეროთ. ნუ გაჯა-ვრდებით — ლიტერატურა სერიოზული და ძნელი საქმეა. სხვაგვარად არ შემიძლია გითხ-რათ თქვენი მოთხრობის შესახებ“ (იხ. „ლი-ტერატურნაია ვაზეტა“. 1959 წ., 28 მარტი. ხაზგასმა ჩემია — ა. ჩ.).

ასეთი პირდაპირი და მართალი სიტყვის იშვიათი ნიმუშია აგრეთვე ი. ჰეკეაძის წერა-ლი „პოეზიის ახალგაზრდა მოყვარულთ“. ავ-ტორი მთელი გულანდილობით სწერდა პოე-ზიის მოყვარულ იმ ახალგაზრდებს, რომლებიც ლექსებს უზგანდინდენ გაზეთში გამოსაქვეყნე-ბლად: „ჩვენი აუარბელი ლექსები მოგვდის დიდს თხოვნითა, რომ დაგვიბეჭდეთო. ჩვენდა სამწუხაროდ და დამწერთა არა-სასიქაღლედო, ათასში ერთი ძლივს გამოდგება ისეთი, რომელზედაც შესაძლო არ იყოს სამართლიანად თქმა: რაზედ მომცდარა დამწერიო. ჩვენ ჩვენ-ნის მოვალეობისამებრ, რასაკვირველია იძულე-ბული ვართ გადავიკითხოთ ხოლმე ყოველთავე ეს წარამარად კუდ-გადაბმული მწყობრსიტყვა-ობა, რომელიც გაუსაზნავ ურემსავით ჭრჭი-

ნებს ყურისათვისაც და გულისათვისაც... ხმე-რად მთელ დასტა ქალაქს გადაიკითხავთ ერთ სტრიქონსაც ვერა ნახავთ. „ღვთაებურის ცეცხლით“ გამოთბარს. სანაწერი მარტო ეს ჩვენი ამ გადაკითხვაში დაკარგული დრო არ არის: ეგ ჩვენი მოვალეობაა, მართალია, მეტად უსიამოვნო და შემაწუხებელი, მაგრამ მაინც მოვალეობაა. ხოლო საკვირველი ეს არის. — **დამწერი რათა სცდება, რათა კარგავს დროს, ხარკავს ქალაქს, მეღანს, მაშინ როდესაც არავისგან დავალებული არ არის...** ამიტომაც ჩვენი პატარა მეგობრები ნუ გვიწყენენ პირ-დაპირს სიტყვად. **პირდაპირი სიტყვა სკობია ტუფილ-უბრალოდ წაქეზებას...** ლექსი იმიტომ არ ლექსობს, სიტყვების ბოლოები ერთმანეთისა-თვის შეუწყვიათ. ლექსი პოეზიის შეილია... **პოეზია უცნაური მადლია და პოეტი ამ მად-ლით მოსილი კაცია“** (ტ. III, 1953 წ., გვ. 98-91. ხაზგასმა ჩემია — ა. ჩ.).

ერთხელ ა. ლუნჩარსკი სწერდა ა. ბარკოვს, თუ თქვენ „მხატვრული ფეხმომობა“ არ შე-გიძლიათ, მაშინ სტენოგრაფია შეისწავლეთ. სხვისი აზრები ჩაიწერეთ და ამით მოიპოვეთ პური თქვენი არსობისათვის. სწორედ ასეთი პირ-დაპირი სიტყვაა საჭირო. ამ მხრივ საგულის-ხმოა შ. დადიანის სიტყვები: „უნიჭო კაცს პირდაპირ უნდა უთხრა, რომ ის უნიჭოა და კომენტარიებს უნდა დავეთხოვოთ, რადგან იგი ამ შემთხვევაში სრულიად გამოუსადეგა-რია“. მაგრამ ეს მართალი სიტყვა ოდნავადაც იმას არ ნიშნავს, რომ არ წაეხალისოთ პოე-ტური მადლით დაჯილდოებული პიროვნება. გულისხმიერი დამოკიდებულების იშვიათი ნი-მუშია თვით შ. დადიანის წერილი ახალგაზრ-და მკითხველისადმი, რომელსაც გრიგოლი ჰქვია და გვარი კი უცნობია. შ. დადიანი ჯერ პირუთვნელად აკრიტიკებს გრიგოლის ლექ-სებს: „დუდაზორი და შინარსი თქვენი ლექსე-ბისა დიდად მართებული, რევოლუციურ-პა-თოსიანი და ჩვენი დროის შესაფერისია, მხო-ლოდ ყველა ესენი რითმოვან სიტყვებში გამო-თქმულია პუბლიცისტურად. ეს პოეზიის ნაკ-ლია. რა თქმა უნდა, შეიძლება პოლიტიკური, ტენდენციური ლექსების წერა. ამის მაგალი-თები ბევრია და ძალიან კარგი მაგალითებიც წარსულში, მაგალითად, ნეკრასოვი რუსეთში და აკაკი ჩვენში, ან თანამედროვე მიაკოესკი რუსეთში და ჩვენში მანაშვილი, მოსაშვილი და სხვ. მაგრამ ყველა ესენი პოეტური ხერხებით გამოთქამენ პოლიტიკურ აზრებს, სახეებში გვაძლევენ ზოგჯერ თვით სალოზუნგო ფრა-ზასაც... თქვენ თქვენს ლექსებში ერთი სახეც არ გაქვთ პოეტური... შეიძლება გაიკვირდეთ, საყვარელო გრიგოლ, რომ ცოტა არ იყოს სა-სტიკად ვეპყრობი თქვენს ლექსებს, მაგრამ რაკი შემეკითხეთ, მოვალე ვარ სიმართლე გითხრათ. ამიტომაც გამოგიტყდებით, ასეთი



სახით ვერც ერთ თქვენს ლექსს ვერც ერთ ჟურნალს ან გაზეთს მე ვერ გადაცემ“.

აქ შ. დადიანი გრიგოლის ლექსებს ასე სასტიკად მოეპყრო. მაგრამ თვითონ გრიგოლი როდი გასწირა, შუამჩნია პოეტური მადლი და ამიტომ მისცა მას მთელი რიგი სასარგებლო დარიგებანი: „ძვირფასო ამხანაგო! თქვენ აღიანი ვარგ აზრს ადვიხართ. უმაღლესი სწავლა გინდათ მიიღოთ... ყველაფრის წამალი სწავლაა, ჩემო კარგო. ცოდნა გამასწორებელია ყოველგვარი ნაკლისა. თქვენც ამ გზას ნუ დააგდებთ. უნივერსიტეტამდე და შემდეგაც მუდამ უნდა ცდილობდეთ თვითგანვითარებას. ბევრი უნდა იკითხოთ საუკეთესო ოსტატები, რაკი მხატვრული ლიტერატურა გაინტერესებთ; უნდა გადაიკითხოთ და შეისწავლოთ უდიდესი მსოფლიო პოეტები... და შეისწავლოთ იმიტომ კი არა, რომ მათ მიჰბაძოთ, არამედ იმიტომ, რომ შეისწავლოთ მათი წერის ტექნიკა, ხერხი, გამოთქმა, მუსიკალობა, სიტყვის სიფაქიზე, გამჭვირვალობა, იდეის სურათებსა და სახეებს ში მოცემა“.

ახალგაზრდა მწერლისადმი ასეთი გულსახიერი დამოკიდებულება იმ ჩანსალი ტრადიციის გამოვლენაა, რასაც მ. გორკი ნერგავდა თავის დროზე. მ. გორკი დიდი მონადომებითა და ყურადღებით კითხულობდა ახალგაზრდა მწერლების უამრავ ხელნაწერს. აძლევდა მათ ავტორებს სასარგებლო დარიგებებს. თუ შუამჩნევდა ოდნე პოეტურ მადლს, მას წინ წამოსწევდა, დამწყებ მწერალს გაამხნევებდა და წაახალისებდა. 1934 წლის 19 ნოემბერს მ. გორკი სწერდა ლ. ნ. სეიფულინას: „თქვენ გაქვთ სავსებით განსაზღვრული თავისებურა ნიჭი და უფლება არა გაქვთ იგი უგულვებელყოთ. კიდევ ერთხელ გიმეორებთ: თქვენ ხართ ადამიანი, რომელიც ტალანტურად გრძნობთ, და ყოველი მონაცემი გაქვთ იმისათვის, რომ ტალანტურად იცოდეთ; ტალანტურად განასხვავოთ საკირო არასაკიროსაგან და ცხოვრების ნეხში მისი მარგალიტის მარცვლები იპოვოთ“ („ლიტერატურა და გაზეთი“, 1957 წ. № 38).

მ. გორკი დაუცხრომლოდ ნერგავდა მწერლებში შრომის სიყვარულს. ასე, მაგალითად, ნ. ნოვისელოვისადმი გავაზნვილ წერილში მ. გორკი წერს: „ყველაფერი შექმნა და ქმნის შრომა. ტალანტები და გენიოსები — ესენი არიან უბრალო ადამიანები, რომლებსაც შეეძლოთ ემუშავნათ შრომის პროცესის, შრომის მიზნისა და ადამიანების უდიდესი სიყვარულით“ (იქვე).

ჩვენმა დიდმა მგოსანმა ვაჟა-ფშაველამ გენიალურად ჩამოაყალიბა ნიჭიერი მწერლის დამახასიათებელი არსებითი ნიშნები. მნიშვნელოვანია ნიჭი და უნარი არა თავისთავად.

არამედ მისი საზოგადოებრივი ეფექტი. ნიჭის უნარის, მადლის ღირსებას ის განსაზღვრავს, თუ რაზე იხარჯება იგი. ნიჭიერი მწერალი ყოველთვის მწერლობის საგნად ისეთ რაიმეს აირჩევს, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, რაზეც დამოკიდებულია „ბედი და უბედობა, სიკვ და სიკეთე ადამიანთა სიცოცხლისა, ცხოვრებისა. წარმოუდგენელია ნიჭიერი მწერალი, გენიოსი უმისოდ, რომ იმას არ აწუხებდეს ტყვილი ადამიანთა ცხოვრებისა“, — წერს ვაჟა-ფშაველა თავის ცნობილ სტატიაში, რომელსაც ეწოდება „ნიჭიერი მწერალი“. აი კიდევ ზოგიერთი ადგილი ამ შესანიშნავი წერილიდან: „გენიოსს არ შეუძლია იგრძნოს ეს ცხოვრება ნახევრად, მესამედად ან მეოთხედად. არამედ გრძნობს მთლად, ერთობლივ... დიდად საკიროა მწერლისათვის პატრიოტიზმი, თავის ენის და ერის სიყვარული... როგორც უოროტქლოდ მანქანა არ დაიძვრის. ისე პოეტის შემოქმედება დუნება, თუ იგი ამ სიყვარულმა არ ააქოძრავს... რამდენადაც დიდი ნიჭის პატრონია მწერალი, მით უფრო მკიდროდ არის იგი დაკავშირებული ცხოვრებასთან. მის მწვევე საკითხებთან“ (თხზ., ტ. VII, 1959 წ., გვ. 209-212).

მასწავლამე, კარგი ხელოვნებისათვის არ კმარა მხოლოდ მხატვრული მადლი, ზოგიერთს კი ხელოვნება მხოლოდ მადლი ჰგონია. აკაკი წერეთელი წერდა: „ჩვენ მართო ხელოვნებას არ ვეძებთ (ხელოვნურად ნათქვამი სისულელე და ოცნება მაინც სისულელე და ოცნება იქნება), — ჩვენ ვეძებთ ჭკვიან აზრებს. ციური ნიჭი ქვეყნის სამსახურად და არა საპირადო რამედ ეძლევა კაცს“ (თხზ., ტ. VI, 1957 წ., გვ. 82). მეტად დამაფიქრებელი აზრია და ახალგაზრდა მწერლებისათვის გაკეთილის მიმცემი. ზოგიერთი ახალგაზრდა დამწყები მწერალი ხომ თავის პოეტურ მადლს ახმარს არა საქვეყნო საქმეს, არამედ ფუქსავატურ და მეშხანურ გემოვნებას ემსახურება. ჩვენი საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითი შრომა, ჩვენი პარტიის დაუღალავი ბრძოლა მშვიდობის შენარჩუნებისათვის არ აღელვებს და არ აღაფრთოვანებს ზოგიერთ მათგანს. ცხადია, მათ არა აქვთ იდეოლოგიური სიმტკიცე და ვერ იყენებენ ბუნებრივ ნიჭს ქვეყნის საკეთილდღეოდ. „ნიჭი რაც უფრო დიდია, — გვასწავლის აკაკი წერეთელი, — უფრო მეტი ზრდა და წვრთნა ეჭირკება, რომ თავის დროზე ჯერონად გაიწვრთნას და შეცდომა არ მოუვიდეს“ (იქვე, გვ. 132).

ნიჭის წვრთნის საქმეში კი, როგორც აღვნიშნეთ, დიდ როლს ასრულებენ და შემდგომშიც შეუძლიათ შეასრულონ მხატვრული სიტყვის ცნობილმა ოსტატებმა, მაგრამ ეს დახმარება მხოლოდ ისეთ პოეტებს უნდა



გაეწიოს, რომლებსაც ნამდვილად გააჩნიათ პოეტური მადლი, ხოლო ამის შეფასება ყველაზე მეტად შეუძლიათ თვით სახელმწიფოებრივ კეშმარტ მწერლებს. რასაკვირველია, ჩვენი ცნობილი მწერლები ვულოდგინედ მუშაობენ ახალგაზრდა დამწყებ მწერლებთან, მაგრამ სამწუხაროდ არ ხდება ამ მუშაობის განზოგადება, ამ მუშაობის შესახებ თითქმის არაფერი იწერება ჩვენს ბეჭდვითს ორგანოებში. რუსეთში კი სულ სხვა მდგომარეობაა. იქ დიდი მუშაობა ტარდება მხატვრული შემოქმედებითი შრომის შესასწავლად და უკვე გამოქვეყნებულია ოთხი დიდი ტომი „რუსი მწერლები ლიტერატურული შრომის შესახებ“. სისტემატურად გამოდის აგრეთვე ისეთი კრებულები, რომლებშიც შეტანილია ცალკეული მწერლების შეხვედრებიანი ლიტერატურის შესახებ. ბევრი წიგნი ქვეყნდება იმაზე, თუ როგორ მუშაობდნენ პუშკინი, ტოლსტოი, ვოგოლი, ლერმონტოვი, გორკი, მაიაკოვსკი და სხვები. ყურნალებში შემოღებულია განყოფილება „ლიტერატურული სწავლება“ და ა.შ. ჩვენში კი თითქმის ვერ შეხედვით ასეთი სახელწოდების სასურველ და სანატრელ წიგნებს. ასევე არ იქნებოდა ურიგო, რომ ჩვენს ყურნალებს „მნათობს“, „ციცკარსა“ და „ლიტერატურულ აქარას“ შემოეღოთ ლიტერატურული სწავლების განყოფილება, სადაც გამოქვეყნდებოდა წერილები მწერლის შრომის თავისებურების, ლიტერატურული სწავლების, მხატვრული ოსტატობის შესახებ. ეს, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობდა იმ აზრის უფრო საფუძვლიან გაერყელებას, რომ ლიტერატურული შემოქმედება ერთობ რთული და პასუხსაგები საქმიანობაა. ასეთი რამ, პოეტობის უნარით დაჯილდოებულ ახალგაზრდებს უთუოდ დაეხმარებოდა პოეტური დაოსტატობის საქმეში, ხოლო პოეტური მადლის არმქონე, ან მარტო ფულით გატაცებულ, ე. წ. კომერსანტ ახალგაზრდებს ჩამოაშორებდა ლიტერატურას.

ასეთი პოეტ-კომერსანტების შესახებ შესანიშნავად ამბობს ჩვენი სახალხო პოეტი ი. გრიშაშვილი: „გულს მტკენს ზოგიერთი ახალგაზრდა დამწყები მწერლის ქცევა და განწყობილება. შეხედვებით ისეთ ახალგაზრდა პოეტს, რომელიც ჰონორარის შექმნის მიზნით სტრიქონებს განგებ ამტერვებს, რომ ამით ჰონორარის რაოდენობა ხელოვნურად გააღიდოს. ლექსის ტაქტი უნდა გატეხოს რიტმის სიმძიმე და არა ჰონორარის ძალამ. ერთ ჰქვიან კაცს უთქვამს: ფული რომ მწერალს ქმნიდეს, როტმილდი შექსპირი იქნებოდაო... ამას წინათ ერთმა ჩემმა ნაცნობმა თავისი 12 წლის ვაჟი მომიყვანა: ერთი გადახედე ჩემი შვილის ლექსებსო, მითხრა. მე ვურჩიე ერთი ლექსის დაბეჭდვა ყურნალ „დილაში“. მერე ფულს მომცემენო, მითხრა ახალგაზრდამ. მე ვავოცდი“ („ლიტე-

რატურული აქარა.“ 1960 წელი, № 5, გვ. 63)

დიდი მგოსნის ეს გაოცება მეტად დამაფიქრებელი და ჭკუის მასწავლებელია. მით უფრო, რომ ი. გრიშაშვილის დახმარება ახალგაზრდა მწერლებისადმი ყოველმხრივ მისაბამია. ამასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ პოეტის შემდეგი სიტყვები: „ძალზე ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა მწერალი შემოემატა ჩვენს პოეზიას, მოდიან ახალი საიმედო კადრები, რაც ჩვენთვის ძალზე სასიხარულოა. ბარაქლა მათ! შეძლებისდაგვარად ყველას ვეხმარებოდი, ბევრი ახალგაზრდა პოეტის ნათლია ვყოფილვარ (მათი პირველი წიგნის რედაქტორი). ეს ჩვენი ძველი თაობის ღვიძლი საქმეა“ (იქვე). პოეზიის ახალგაზრდა კადრებისათვის ასეთი გული-სხმიერი მზრუნველობის ნათელი მაჩვენებელია ი. გრიშაშვილის რედაქტორობით ახლახან გამოსული ალ. ბეგაშვილის წიგნიც „ახალი ლექსები“. ამ პატარა წიგნში დიდი გრძობები და აზრებია.

\* \* \*

პოეტური მადლის მქონე პიროვნებისათვის ხელის შეწყობა, რათა მან გამოავლინოს მთელი თავისი მხატვრული ნიჭი, აიმაღლოს მხატვრული ოსტატობა და ამით მიაღწიოს შემოქმედებით წარმატებას, არის ბრძოლა მხატვრული ლიტერატურის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. ამ კეთილშობილურ საქმეში დიდი წვლილი შეაქვს ლიტერატურულ კრიტიკას. კრიტიკა იძლევა ლიტერატურის სფეროში მიმდინარე პროცესების ღრმა მეცნიერულ ანალიზს, ამხილებს აშკარა იდეოლოგიურ ჩაყვრებებს, გზას უკაფავს ახალს, ავითარებს მკითხველის მხატვრულ გემოვნებას, იძლევა რა მხატვრული ნაწარმოების ღრმა, დასაბუთებულ ანალიზს. ამით იგი დიდად ეხმარება თვით მწერალსაც მის შემოქმედებით წინსვლაში.

ლიტერატურა და კრიტიკა ყოველთვის ხელი-ხელჩაიდებულად ვითარდებოდა. ბელინსკის გენიალური კრიტიკული სტატიები დაიწერა ლერმონტოვის, პუშკინის, გოგოლისა და სხვათა გენიალურ ნაწარმოებებზე. მხატვრული ნაწარმოების ანალიზის გარეშე ლიტერატურული კრიტიკა დაემსგავსებოდა იმ ფანტასტიკურ თოფს, რომელიც ისე ვარდებოდა, რომ არ იტენებოდა. ისტორიაში ჯერ არ ყოფილა ეპოქა, რომელშიც არ იყოს გენიალური მხატვრული ნაწარმოებები და იყოს გენიალური კრიტიკული წერილები. ჰეშმარტი კრიტიკული წერილი ისაა, რომელიც ისევე ორიგინალური და განუთქმობელი ქმნილებაა, როგორც არომელიმე ქეშმარიტი მხატვრული ნაწარმოები. ასეთი კრიტიკული ნაწარმოები თვითონაა შემოქმედება. დობროლიტოვის კრიტიკული სტატია „რა არის ობლომოველობა?“ ისეთივე თვითმყოფადი და ორიგინალური



წამრომი. როგორცა თვით გონჩაროვის „ობლომოვი“. ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში მრავალი ღირსშესანიშნავი წერილი, სტატია, წიგნი მოგვეპოვება, რომლებიც შეიცავენ ჩვენი მწერლების შემოქმედების ღრმა შეცნირულ განზოგადებებს. მაგრამ არ შეიძლება ისიც არ აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ გამოდის მდარე ღირსების წიგნები. ზოგჯერ ჩვენ, კრიტიკოსები, ვაქვეყნებთ ისეთ ნარკვევებს, რომლებშიც ბევრი არაფერია მიყვლეული და გარკვეული. კრიტიკული ნარკვევების საგრძნობ ნაწილს ეტყობა სხვა მკვლევართა მიერ გამოთქმული აზრების იგნორაციის ტენდენცია. ნამდვილად კი ყოველი კეთილსინდისიერი კრიტიკოსის უპირველესი მოვალეობაა ჯერ აღნიშნოს ის შეხედულებანი და აზრები, რომლებიც სხვებს გამოუთქვამთ მოცემულ საკითხზე და ამის შემდეგ გადმოსცეს, თუ რაიმე ახალი აქვს სათქმელი. ზოგჯერ ამ ურყევ წესს არ იცავენ და ამიტომ თანდათანობით ფეხს იყიდებს გაუპიროვნება. ამის გამო კრიტიკოსობა, ლიტერატურულ-თეორიული სტატიების წერა ადვილ საქმედ მოჩანს. მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ წიგნის ავტორობა ყოველთვის როდი ნიშნავს ახალი აზრებისა და შეხედულებების ავტორობას. ჩვენი ლიტერატურული კრიტიკის ამ ჩრდილოვან მხარეს გამოასწორებს უპირველეს ყოვლისა თვით კრიტიკოსის კეთილსინდისიერი დამოკიდებულება კრიტიკოსის პროფესიისადმი. ამასთან დაკავშირებით უნდა მოვიტანო ერთი ციტატა პ. ნ. ბერკოვის წიგნიდან: „ლიტერატურისმცოდნეობითი კვლევის ტექნიკის შესავალი“. აქ ავტორი მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობდა ზოგიერთი ლიტერატურისმცოდნე და წერს: „დიდ ლიტერატურისმცოდნეებს გამოუმუშავდებათ ისეთი დამოკიდებულება მასალისადმი, რასაც შეიძლება ვუწოდოთ „პრობლემის გრძნობა“... ისინი არასოდეს არ წერდნენ ისე, თუ არ გრძნობდნენ, რომ მათ შეუძლიათ მოცემული საკითხის შესახებ თქვან რაღაც ახალი, საჭირო, მანამ დი უცნობი და მეცნიერების რამდენადმე წინ წამწევი. ისინი გამოდიოდნენ სწორედ მაშინ, როდესაც პქონდათ სათქმელი“ (იხ. დასახ. წიგნი რუსულ ენაზე, გვ. 42, კურსივი ჩემისა — ა. ჩ.). თავისთავად ცხადია, თუ ამ შესანიშნავ პრინციპს მტკიცედ დაცავს როგორც დიდი, ისე პატარა ლიტერატურისმცოდნე, მაშინ ჩვენი ლიტერატურული კრიტიკა უფრო სწრაფად წავა წინ.

ლიტერატურული კრიტიკის ქმედით ხასიათს

დიდად ზრდის ლიტერატურის საკითხებზე მომზადებული და მიზანშეწონილი დისკუსიები. ამის ტიპური მაგალითია მოსკოვში ამასწინათ ჩატარებული დისკუსია რეალიზმის შესახებ. სამწუხაროდ, ამ ზოგად თეორიულ პრობლემას საქართველოში მაშინ არ გამოხმაურება არც ერთი ლიტერატურული ორგანო, მოკლე მიმოხილვითი წერილიც კი არ დაბეჭდილა დისკუსიის მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ. დისკუსიის გაუშლელობის ერთ-ერთ მიზეზს, ჩვენი აზრით, წარმოადგენს ის გარემოება, რომ ზოგჯერ ეკამოფილდებით რუსეთში ჩვენი წარმომადგენლების თვაზიანი მიწვევით. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ესთეტიკის საკითხები რუსეთში ილია ქავკავაძის დროსაც ირკვეოდა, მაგრამ ამ გარემოებას არასოდეს არ შეუწელებია თერგაღლეულთა ინიციატივა. მაშასადამე, საჭიროა უფრო მეტი თოსნობა და მონდომება.

სინანულით უნდა აღვნიშნოთ აგრეთვე, რომ ამ ბოლო დროს იშვიათად გამოდის ლიტერატურისმცოდნეობისა და ესთეტიკის ცალკეული პრობლემებისადმი მიძღვნილი კრებულები, მაშინ როცა მოსკოვსა და ლენინგრადში ამ მხრივაც ფრიალ სახარბიელო მდგომარეობაა. სამეცნიერო დაწესებულებები, მწერალთა ორგანიზაციები ხშირად სცემენ სტატიების სხვადასხვა თემატიკურ კრებულებს ლიტერატურისა და ესთეტიკის აქტუალურ საკითხებზე. მართალია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურის ინსტიტუტი, უმაღლესი სასწავლებლები პერიოდულად სცემენ სამეცნიერო შრომებს, რომლებშიც შეტანილია წერილები ესთეტიკიდანაც. ქვეყნდება ცალკეული ავტორების მნიშვნელოვანი წიგნებიც ესთეტიკის საკითხებზე, მაგრამ ჯერჯერობით არც ერთი თემატიკური კრებული არ გამოსულა. ამ საქმის მოგვარება, ჩვენი აზრით, მწერალთა კავშირმა უნდა ითავოს.

ყველა ამ ნაკლისა თუ ჩამორჩენის მიზეზად ვერ დავსახელებთ რაიმე ობიექტურ პირობებს, რადგან იმდენი ბეჭდვითი ორგანო, პოლიგრაფიული ბაზა და მომზადებული კადრები, რამდენიც ახლაა, არასოდეს არ ყოფილა საქართველოში. მაშასადამე, ნაკლისა თუ ჩამორჩენის მიზეზი სუბიექტური ხასიათისაა. საჭიროა მხოლოდ უფრო უნარიანად ვიმუშაოთ, ფართოდ გავაჩალოთ კრიტიკა და თვითკრიტიკა, მთელა ძალების დარაზმვით ქართული ლიტერატურულ-კრიტიკული აზროვნება გაბედულად წავწიოთ წინ და ავიყვანოთ იგი ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე.



## შოთა ქაჩიძე

# კატრიოტული მოტივი გალაკტიონ ტაბიძის რევოლუციამდელ ლირიკაში

„მთელი ლაშქარი სახეებისა. უღვევი სხვადასხვაობა“. ასე დაახასიათა გამოჩენილმა ქართველმა მწერალმა ვასილ ბარნოვმა გალაკტიონ ტაბიძის ლირიკა და ამით ხაზი გაუსვა მისი პოეზიის ერთ-ერთ ძირითად თავისებურებას — გასაოცარ მრავალფეროვნებას. და მართლაც, დიდი ქართველი პოეტის შემოქმედება იმდენად მდიდარია და უხვი თემებითა და მოტივებით, რომ იგი თამამად შეგვიძლია შევადაროთ ვრცელსა და ღრმა ოკეანეს, რომელშიც ღელავს და ბობოქრობს ჩვენი საუკუნის ადამიანის სულ სხვადასხვა ფიქრი და გრძნობა.

თემებისა და მოტივების ასეთი ნაირფერობა, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, თითქოს გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში არ შეინიშნებოდეს რამდენიმე ძირითადი წამყვანი რკალი თუ ნაკადი. მათგან ერთი უპირველესი და უმთავრესია პატრიოტული მოტივი, პატრიოტული ნაკადი. ეს არც საკვირველია. სამშობლოს სიყვარული, მისი ღირსებისა და თავისუფლებისათვის ბრძოლა მუდამ შთააგონებდა და აღაფრთოვანებდა ქართველ მგოსნებს. ამ მხრივ განსაკუთრებით საგულისხმო იყო XIX საუკუნე. ჯერ ქართველმა რომანტიკოსებმა, ხოლო შემდეგ თერგდალეულებმა ილია ჭავჭავაძის მეთაურობით წინა პლანზე წამოსწიეს ეროვნული საკითხი და სამშობლოს ზედი თანვინათი ყურადღების ცენტრში მოაქციეს.

მართალია, გალაკტიონ ტაბიძე პოეტურ ასპარეზზე გამოვიდა ჩვენი საუკუნის ათიან წლებში, ვ. ი. გაცილებით უფრო კვიან. ვიდრე თერგდალეულები, მაგრამ საქმე ის იყო, რომ ამ დროისათვის ბევრი პრობლემა, რომლებიც ილიამ და აკაკიმ აღძრეს,

ეკლავ დღის წესრიგში რჩებოდა, მათ შორის ეროვნულიც. ამიტომ გასაგებია, რომ გალაკტიონ ტაბიძეს, როგორც თავისი ხალხის ღვიძლ შვილს, არ შეეძლო და არც უფლება ჰქონდა გვერდი აეველო ეროვნული საკითხისათვის. და მან არა მარტო ფართოდ გაუღო კარი თავის პოეზიაში პატრიოტულ მოტივებს, არამედ გაჰყვა კიდევაც ილიასა და აკაკის გაკვალულ გზას. ერთ-ერთმა პირველმა ჩაიბარა მეცხრამეტე საუკუნის მოწინავე მოღვაწეთა მიერ მალა შემართული ქართული პატრიოტული ლირიკის დროშა.

გალაკტიონ ტაბიძე რომ ილიასა და აკაკის პატრიოტული ლირიკის ღირსეული მემკვიდრეა, ამას უპირველეს ყოვლისა მოწმობს მათი საერთო იდეური პოზიცია ეროვნულ საკითხში. სამშობლოს მომავლის, მისი ბედნიერების თითოეულ კონკრეტულ პრობლემას იგი განიხილავდა ქართული ლიტერატურისა და, კერძოდ, თერგდალეულთა მოწინავე ტრადიციების შესაბამისად. საკმარისია ითქვას, რომ მამულის სიყვარული გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში არასოდეს არ დამცირებულა და არ დასულა ვიწრო-ვეგოსტურ გრძნობამდე, ნაციონალიზმამდე. პოეტისათვის ორგანულად უცხო და მიუღებელი იყო ყოველგვარი შოვინისტური მისწრაფება, სხვა ერების სიძულელი და მტრობა. ეს კი მთავარი და განმსაზღვრელია. ის ძირითადი იდეური რგოლია, რომელიც გალაკტიონის პატრიოტულ ლირიკას მჭიდროდ აკავშირებს წინა საუკუნის პროგრესულ პოეზიასთან.

პატრიოტ პოეტს. ისევე როგორც მის დიდ წინამორბედებს, განსაკუთრებით ესახელებოდა სახელოვან წინაპართა თვდადებული

ზრძოლა სამშობლოს ღირსებისა და დამოუკიდებლობისათვის. რა მძიმე დღეებიც არ უნდა ჰქონოდა საქართველოს, რა მომაკვდინებელი განსაცდელის წინაშეც არ უნდა ყოფილიყო იგი, მუდამ ნახულობდა თავის თავში წინააღმდეგობის უნარს, მუდამ საარაკო შეუპოვრობას იჩენდა და გამსჭვალული იყო ბედთან შეუთრგვბლობის სულისკვეთებით. მუდამ და ყოველთვის იგი მზად იყო გაეღო ყოველგვარი მსხვერპლი, ოღონდ არ დაეკარგა თავისუფლება და დამოუკიდებლობა. ოღონდ გადამთიელთა ურდოებს არ ეთვლათ მისი მშენებელი მიწა-წყალი, და ყველა ჭირს გაუძლო, ყველა ჭირი გადაიტანა:

მოდიოდა ერთზე ასი,  
გზა გვეწვენოდა დიდების, —  
ჩვენ დავცალოთ ყველამ თასი  
ბედთან არ დარიდების.

სადღეგრძელო იყოს მისი,  
ვინც შიშმა ვერ დაჰხარა.  
ავდგეთ ფეხზე! ჩვენ თბილისი  
ვადღეგრძელოთ ჭალარა.

(„სადღეგრძელო იყოს მისი“)

ჭალარა თბილისის ეს სადღეგრძელო მთელი საქართველოს სადიდებელია, რადგან სწორედ იგი, თბილისი, მიანდა გალაკტიონ ტაბიძეს ქართველთა უტყვის ნებისყოფიანა და „ბედთან არ დარიდების“ სულისკვეთების ყველაზე მეტყველ მაგალითად. დაარსების პირველი წლებიდანვე ხომ მასზე მიჰქონდა იერში ჩვენი სამშობლოს ყველა მტერს, ხომ მას უმიზნებდნენ შხაზიან ისრებს, როგორც საქართველოს გულსა და სულს. მართალია, მტერმა დიდი ვნება და ზიანი მიაყენა თბილისს, მრავალჯერ იაიარყო იგი, მაგრამ მაინც ვერ დაიმორჩილა, მაინც ვერ გატეხა მისი სული და ბოლომდე ვერაინ შესვა მისი „სისხლიანი თასი“. დამწვარი და დაფერფლილი, აოხრებული და გაპარტახებული, იგი ზღაპრული ფენიქსივით ცოცხლდებოდა და შენდებოდა. ამიტომაც უწოდა მას პოეტმა „ქალაქი ფენიქსი“. ამავე დროს გალაკტიონ ტაბიძეს ღრმად სჭეროდა, რომ შორს აღარ იყო ის ბედნიერი დღე, როცა სამუდამოდ ბოლო მოეღებოდა თბილისის (და, ნაშასადამე, მთელი საქართველოს) ტანჯვა-წამებას, რომ მის აღსადგენად მოეიდოდა ახალი ძალა:

შენ ოცდაათჯერ  
გადაციდი იმ ფონს.  
სწვავდი ხიდებს,  
ცვლიდი რუბიკონს,  
შენს სისხლიან თასს  
ცვლიდა შაჰაბას  
და ვერ დასცალა.

აწ აღსადგენად  
მოვა სხვა ძალა!

(„შენი სიბერე...“)

თბილისისადმი მიძღვნილი ორივე ეს ლექსი ცხადყოფს, რომ გალაკტიონ ტაბიძე განაგრძობდა და შემდგომ ავითარებდა ილიასა და აკაკის ტრადიციას, საქართველოს ისტორიულ წარსულს იყენებდა გარკვეული საავტორო მიზნებისათვის, კერძოდ, მებრძოლი პატრიოტული სულისკვეთებით ქართველი ხალხის აღზრდისათვის. მაგრამ უფრო ხშირად იგი მაინც ქართველ რომანტიკოსთა ტრადიციებს მისდევდა, რაც იმით აიხსნება, რომ პოეტს მძლავრად დაეუფლა რუსეთის პირველი რევოლუციის დამარცხებით გამოწვეული უიმედობისა და სასოწარკვეთილების განწყობილება. აწმყოთი გულგატეხილს, წარსულის გახსენება კიდევ უფრო უძლიერებდა სევდასა და კავშანს. დიას, ამბობდა თითქოს იგი, საქართველოს დიდი და სახელოვანი წარსული ჰქონდა, არტუთ იშვიათად უგემნია თავისუფლები-სა და დამოუკიდებლობის სიყეთე, მაგრამ მერე რა! ათას მქონდას ხომ ერთი მაქვს სჯობია? დრონი იცვალნენ და დიდი წარსულისაგან თითქმის არაფერი დარჩა:

იცვალნენ დრონი. წარსულის დიდ-ს  
დიდებას ვხედავ არასაკმარისს.  
ელავს ფაზისი და მტკვარის მშვიდის  
ამოხოვრაა მიდამო არის;  
ძველია ჩარჩო ჩატეხილ ხიდის,  
გული ერევა ზვირთების რონინს.  
რაილა დარჩა წარსულის დიდის?  
იცვალნენ დრონი.  
იცვალნენ დრონი.

(„იცვალნენ დრონი“)

აქ იმდენად თვალსაჩინოა ქართველ რომანტიკოსთა სულისკვეთება, რომ კომენტარება სავესებით ზედმეტია.

საგულისხმოა ისიც, რომ დიდი ქართველა პოეტი ფართოდ იყენებდა იმ მხატვრულ სახეებს, რომლებმაც მეცხრამეტე საუკუნის კლასიკოსთა შემოქმედებაში გარკვეული სიმბოლური მნიშვნელობა მიიღეს. ცნობილია, მაგალითად, რომ აკაკის პატრიოტულ ლირიკაში კავკასიის მთებზე მიჯაჭვული ამირანი განასახიერებდა ცარიზმის მიერ დამონებულ და განთავისუფლებისათვის მებრძოლ საქართველოს. ამავე სიმბოლური მნიშვნელობით შევიდა ეს ძველთა-ძველი მითოლოგიური სახე გალაკტიონის პოეზიაშიც. ამას ნათლად მოწმობს გალაკტიონის ერთ-ერთი ბრწყინვალე ლექსი „მშობლიური ეფემერა“, რომელშიც ნათქვამია: ველარ ვცნობილობ მშობლიურ ხეებს, ზამთარს ბილიკი დაუტანია... „დიდი ხანია?“ — მივმართავ ტყეებს და ტყე გუგუნებს: — დიდი ხანია...

შეხვედები კლდეები კლდეებს,  
 იქ ვილაც კენესის დიდი ხანია.  
 „ამირანია?“ — მივმართავ ტყეებს  
 და ტყე გუგუნებს: — ამირანია.  
 ეს მძაფრი კენესა მიწამლავს დღეებს,  
 ის გული ისევ ჩემი გულია...  
 „დაჯარგულია?“ — მივმართავ ტყეებს  
 და ტყე გუგუნებს: — დაჯარგულია.

ცხადია, ამირანი აქ ტანჯული საქართველოა, ხოლო მისი მძაფრი კენესა ქართველი ხალხის კენესაა. ასევე იყენებს ვალაკტიონი ვაჟას სიმბოლურ დაპირად არწივს ლექსში „არწივებს ჩასძინებლად“. ყველაფერი ეს ცხადყოფს, რომ ვალაკტიონ ტაბიძის პატრიოტული ლირიკა უშუალოდ უკავშირდება მეცხრამეტე საუკუნის პატრიოტულ პოეზიას და აგრძელებს მის საუკეთესო ტრადიციებს.

მაგრამ უსაფუძვლო იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს ვალაკტიონ ტაბიძემ უბრალოდ გაიმეორა ძველი, უკვე ნაცნობი მოტივები თუ იდეები და ახალი არაფერი შეუტანია ქართულ პატრიოტულ ლირიკაში. ასე რომ იყოს, იგი ჩვენს ლიტერატურაში ვერ დაიკავებდა ესოდენ თვალსაჩინო ადგილს, ვერ გაძღვებოდა ქართული ლექსის ნოვატორი. მაგრამ არც ის უნდა დაეიციფროთ, რომ ნოვატორობა არ ნიშნავს მარტო ძველის უარყოფას, ან უფრო ზუსტად — იგი არ არის მარტო ძველის უარყოფა. კემზარიტი ნოვატორი ხელაღებით, პირწმინდად კი არ უარყოფს ძველს, არამედ გამოარჩევს მასში პროგრესულსა და ჩამორჩენილს და იმას, რამაც უკვე მოჰპა დრო, უტუავდებს, ხოლო იმას, რაც ახალ ვითარებაშიც ინარჩუნებს ცხოველმყოფელობას, რაც პროგრესულია, სალთუად იღებს და შემდგომ ავითარებს. ასე მოიქცა ვალაკტიონ ტაბიძეც და ამით აიხსნება, რომ მეცხრამეტე საუკუნის პოეტებისა და მის პატრიოტულ ლირიკას შორის ბევრ მსგავსებასთან ერთად შეინიშნება მეტად თვალსაჩინო სხვაობანიც, არსებითი თავისებურებანიც.

ამ სხვაობათაგან პირველ რიგში აღსანიშნავია ერთი ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება. მართალია, ვალაკტიონ ტაბიძემ საკმაოდ დიდი ადგილი დაუთმო პატრიოტულ ნაქადს, სამშობლოს ბედს, მაგრამ მაინც არ შეიძლება ითქვას, რომ იგი მის რევოლუციამდელ პოეზიაში ისეთივე წამყვანი და ძირითადი მოტივი იყო, როგორც, ვთქვათ, აკაკის შემოქმედებაში. ამის პირველი მიზეზი, რასაკვირველია, ეპოქა, დრო იყო. ჩვენს საუკუნეში, როცა განმათავისუფლებელ მოძრაობას სათავეში ჩაუდგა ყველაზე რევოლუციური კლასი — პროლეტარიატი, ეროვნულ საკითხს აღარ ჰქონდა დამოუკიდებელი მნიშვნელობა. იგი გახდა ხალხის სოციალური განთავისუფლებისათვის ბრძოლის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, ე. ი. დამოუკიდებ-

ბელი, ცალკე პრობლემიდან, როგორც იგი წინათ ჩანდა, იქცა დამოკიდებულ, დაქვემდებარებულ პრობლემად. და თუ თერგდალეულები ეროვნულ პრობლემას ზოგჯერ სოციალურზე მაღლაც კი აყენებდნენ და მის მოგვარებას პირველი რიგის ამოცანად თვლიდნენ, მეოცე საუკუნის დამდეგს, განსაკუთრებით 1905 წლის რევოლუციის პერიოდში უკვე სავესებით აშკარა გახდა, რომ ვითარება საგრძნობლად შეიცვალა, რომ ხალხი მხოლოდ იმ შემთხვევაში გადაიგდებდა კოლონიური ჩაგვრის უღელს, თუ სოციალურ თავისუფლებას მოიპოვებდა, და რაკი თვითონ ეპოქამ, დრომ სოციალურს მიანიჭა გადამწყვეტი უპირატესობა და ეროვნული მას დაუქვემდებარა, ბუნებრივია, ამ გარემოებამ გამოხატულება პოვა ვალაკტიონ ტაბიძის პოეზიაშიც და მასში პატრიოტულმა ლირიკამ ვერ დაიკავა ისეთი წამყვანი ადგილი, როგორც აკაკი წერეთლის პოეზიაში.

აქედანვე მომდინარეობს ვალაკტიონ ტაბიძის რევოლუციამდელი პატრიოტული ლირიკის ძლიერ საგულისხმო თავისებურება: პოეტის ბევრ ლექსში პატრიოტული მოტივი დამოუკიდებელი, „წმინდა“ სახით კი არ გვხვდება, არამედ ერწყმის სოციალურს, ქმნის ერთ მომენტს საერთო განწყობილებაში, თუ ილია ქავჭავაძის „ბაზალეთის ტბა“, აკაკი წერეთლის „განთიადი“, ვაჟა-ფშაველას „არწივი“ გადმოგვცემენ მათი ავტორების მხოლოდ ერთ, პატრიოტულ გრძნობას, ასე როდია ვალაკტიონის ისეთ ლექსებში, როგორცაა „უღაბნო“, „სად?“, „გურგის მთები“ და სხვ.

ვალაკტიონ ტაბიძის რევოლუციამდელი პატრიოტული ლირიკის, თავისებურებანი თავს იჩენს აგრეთვე მის რამდენადმე განსხვავებულ თემატიკასა და მთელი რიგი პრობლემებისადმი სპეციფიკურ დამოკიდებულებაში. თუ ილია, აკაკი და მეცხრამეტე საუკუნის სხვა კლასიკოსები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნების ზრდას, ანუ როგორც ილია წერდა, „ზღვაებრ ფართო საკითხის — ვინა ვართ და რანი ვართ“ გარკვევას და ამ მიზნით ფართოდ გამოიყენეს საქართველოს წარსული, ვალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში ეს საკითხი მეორე პლანზე აღმოჩნდა. მეორე პლანზე აღმოჩნდა, რამდენადაც უკვე 1905 წლის რევოლუციამ თვალნათლივ ცხადყო ქართველი ხალხის წინათ არნახული ერთიანობა და დარაზმულობა, მის წინაშე მდგომი სოციალური თუ ეროვნული პრობლემების საკმაოდ მაღალი შეგნება. ასეთ ვითარებაში ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისათვის ზრუნვა პოეტს აღარ მიაჩნდა აქტუალურ პრობლემად და ამ თემას თითქმის მთლიანად აუარა გვერდი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ორიოდ ნაწარმოებს, რომელთა-

გან უპირველს ყოვლისა აღსანიშნავია გალაკტიონის ერთი უმშვენიერესი ლექსი „სალამო“.

ეს ლექსი უოთუოდ მრავალმხრივ საინტერესო და საგულისხმოა. ჭერ ერთი, იგი ურთიშოა, მეორეც, მას აქვს დიალოგური ფორმა და პოეტი არსად არ ერევა ორთა საუბარში, გარდა პირველი სტროფისა, სადაც უბრალო რემარკით კმაყოფილდება. ორივე ეს მხატვრული ხერხი ძლიერ იშვიათი და გამონაკლისია გალაკტიონის პოეზიაში, რაც გვაფიქრებინებს, რომ პოეტმა მათ შეგნებულად მიმართა, რათა ხაზი გაესვა ქართული ენის სიმდიდრისა და ძარღვიანობისათვის. ეჩვენებინა მისი დიდი გამომსახველობითი ძალა. და მართლაც, თუ კი ამ ენაზე ურთიშოდაც შეიძლება დაიწეროს ბრწყინვალე ლექსი, განსაკვირებელი თავისი მუსიკალობით, და გარედან ჩაურეკლად, რაიმე განსაკუთრებულ განმარტებათა გვერდის ავლით გადმოსცეს ორთა საუბარი, მაშინ რატომ უნდა ეთავილებოდეს ვინმეს ილაპარაკოს ქართულად და, აკაკის გამოთქმა რომ ვინმართ, სხვათა ენით იელტრულოს? ლექსის დედააზრიც ხომ ეს არის?

„სალამო“ მეტად საინტერესოა იმ მხრივაც, რომ მასში გალაკტიონი ერიდება ტენდენციის აშკარად გამოხატვას და ამჯობინებს თავისი პოზიცია ვაგვაცნოს შეფარვით. ქვეტექსტის შემწეობით. სხვანიარად რომ ეთქვას, იგი ხაზს არ უსვამს მოვლენის სოციალურ ბუნებას და ლექსში არ შეაქვს საზოგადოებრივი მომენტი. ამის გამო შეიძლება მოგვეჩვენოს, თითქოს პოეტი იკეტება პირადულის ჩარჩოებში, მაგრამ ეს ღრმა შეცდომა იქნებოდა. „სალამო“ პირადული მხოლოდ თავისი ფორმით, შინაარსით კი უაღრესად საზოგადოებრივი. ისევე როგორც ყოველი დიდი ლირიკოსის ნაწარმოები, რადგან თუ მოვლენა ასახულია სისწორითა და სიმართლით, ეს იმას ნიშნავს, რომ ასახულია მისი სოციალური არსიც. გამოთქმა-გამოხატვის პირადული ფორმა არ ვნებს ლექსის საზოგადოებრივ ხასიათს. ამავე ღრის ნამდვილი ხელოვანის ხელში იგი მას აძლევს უშუალობასა და ინტიმურობას. არაჩვეულებრივ ემოციურობას და ზრდის ნაწარმოების ზემოქმედების ძალას.

უაღრესად პირადულია თავისი ფორმით, მაგრამ უაღრესად საზოგადოებრივი თავისი შინაარსით გალაკტიონ ტაბიძის მეორე შესანიშნავი ლექსიც „მამული“.

ცკრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა  
არ გავიარე — რაა მამული!  
წინაპართაგან წავიდა ყველა,  
სხვა ხალხის ისმის აქ ყრიამული.  
გაშალა ველი ნელმა ბიავმა  
და მელანდება მე მის წიაღში,

მოხუცი მამა, მოხუცი მამა  
სასსლავეთ ხელში დადის ვენახში.  
აქ თითო ლერწი და თითო ყლორტი  
მასზე ოცნებას დევგანება,  
ისევ ამწვანდა მდელი და ყორღი!  
დავდივარ... ვწუხვარ და მენანება!

ეს არის და ეს. პოეტი თითქოს არავითარ საზოგადოებრივ პრობლემას არ აღძრავს. თითქოს არც აინტერესებს იგი და ერთი სიტყვივითაც კი პირდაპირ არაფერს ამბობს იმაზე, თუ რა დღევნა მისი სამშობლო. მაგრამ თუ კარგად ჩაუვყვირდებით მთელ ლექსს, მის საერთო განწყობილებას, სავსებით აშკარა გახდება, რომ აქ ინტიმურ-პირადული განუყოფელია საზოგადოებრივისაგან და მას ისევე უკავშირდება, როგორც რგოლი რგოლს ერთიან ჯაჭვში. ამას ცხადყოფს პირველივე სტროფი, სადაც პოეტი სინანულით აცხადებს, რომ დაერღვა სამშობლოსთან უშუალო და გულითადი კავშირი. ურომლისოდაც არ არის და არც შეიძლება იყოს ნამდვილი სიყვარული ერთისა მეორისად. მაგრამ რა არის ამის მიზეზი, რატომ ვეღარ გრძნობს პოეტი სიახლოვეს მამულთან? იმიტომ, რომ წინაპართაგან არავინ აღარ დარჩენილა და „სხვა ხალხის ისმის აქ ყრიამული“. აი სად იღებს სათავეს ის ჩუმი ნაღველი, ის მწვავე სევდა, რომლითაც გამსჭვალულია მთელი ლექსი თავიდან ბოლომდე, აი რატომ ამბობს პოეტი „დავდივარ... ვწუხვარ და მენანება!“ ეს კი იმას ნიშნავს, რომ ინტიმური აქ საზოგადოებრივი ხდება, პოეტის პირადული განცდა სოციალურ ქვრადობას იჭრება.

რა თქმა უნდა, გალაკტიონ ტაბიძე ყოველთვის ასე შეფარვით, ქვეტექსტით როდი გადმოგვეცმდა იდეას — მას არ გაუფიქრებია არც ერთი მხატვრული ხერხი. ბევრ ლექსში იგი პირდაპირ, შეუფარავად გადმოგვეცმდა სათქმელს, აშკარად გვაცნობდა გულის ტკივილს, თავის ფიქრებსა და გრძნობებს. მისთვის მთავარი იყო საკუთარი განწყობილებით განემსჭვალა მითხველი, ხოლო თუ რა გზით, რომელი მხატვრული ხერხის მომარჯვებით, ამას განსაზღვრავდა სათქმელის, აგრეთვე აუდიტორიის სპეციფიკა. ამით აიხსნება, რომ ზოგჯერ პოეტი ერთსა და იმავე თემას სხვადასხვანიარად ამუშავებდა, სხვადასხვა მხატვრული ხერხის მომარჯვებით გადმოგვეცმდა მსგავს იდეებს. ასე, მაგალითად, თუ „მამულში“ მან ქვეტექსტს მიანიჭა უპირატესობა, სამაგიეროდ ერთ უსათაურო ლექსში („იქ ნაკადული...“) შეფარვით კი არა, აშკარად, პირდაპირ გამოთქვა სათქმელი. ერთ შემთხვევაში პოეტი მხოლოდ მიგვინიშნებს, რაკი ჩემს მამულს სხვა ხალხი დაპატრონებია, მდელი-ყორღის აყვავება გულს ვერ გამოხარებსო.



მეორე ლექსში კი პირდაპირ აცხადებს, რადენტარებსო საქართველოს ბუნება იმ დროს, როცა ადამიანები გმინავენ და იტანჯებიან სანუჯარი თავისუფლების დაკარგვის გამო.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ქართველი რომანტიკოსი პოეტებისაგან განსხვავებით გალაკტიონ ტაბიძე ეტრფოდა არა მშვიდ, წყნარ, უშფოთველ ბუნებას, არამედ იგი მხოლოდ მაშინ უყვარდა, როცა მქუხარებდა და თავის ძალას, შეუპოვრობას და ბრძოლის ეინს ამეღავენება. ერთ აღრინდელ ლექსში („ახალი ტალღა“, 1910 წ.), რომელსაც ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს ნიკოლოზ ბარათაშვილის ცნობილი ტაუი „აქა ყოველი არემარე იყო მოწყენით“, გალაკტიონ ტაბიძე აშკარა უქმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ მძიმე ფიქრებით გამსჭვალულმა ამოდ სცადა შვება ეპოვა უკიდვანო ზღვის ხილვით. რადგან იგი არ ბობოქრობდა და ტალღებს არ აგრიანებდა — „ნაპირი ზღვისა იმეჯ სევილი მშვიდად სუნთქავდა“. არა, გალაკტიონს არ იზიდავდა წყნარად მსუნთქავი ზღვა, უშფოთველი ბუნება, იგი შეტრფოდა და ეძიებდა ქარტახის, ტალღათა გრიას, რომლებსაც უნდა შთაენთქათ როგორც ყოველივე ძველი და დრომოკმული, ისე პოეტის სევედა და განცდათა ერთფეროვნება.

ერთი სიტყვით, გალაკტიონ ტაბიძეს იდეალად მიაჩნია ბუნებისა და ადამიანის ისეთი ურთიერთობა, როცა ორივე გამსჭვალულია არა მშვიდი და წყნარი, არამედ მეგრძოლი განწყობილებით, ავბედთან შეუფრგებლობისა და დაუმორჩილებლობის სულსკვეთებით. ყველაზე უკეთ, ყველაზე მკაფიოდ ეს იდეალი პოეტმა ვეჩივენა საყოველთაოდ ცნობილ ლექსში „გურიის მთები“, რომელიც თავიდან ბოლომდე გამსჭვალულია საუკეთესო პატრიოტული მისწრაფებებით და ფრიად თვალსაჩინო ადგილი უკავია გალაკტიონ ტაბიძის ლირიკაში. მაგრამ იგი საინტერესოა არა მარტო იდეურად. უპირველეს ყოვლისა ყურადღებას იპყრობს ლექსის თავისებური კომპოზიცია და არაჩვეულებრივი ექსპრესიულობა. იგი იმით იწყება, რომ პოეტი გვაცნობს გურიის თავისი მოგზაურობის მიზანს — გაიქარვოს მძიმე დარდი თუ ფიქრები, შემდეგ კი მკითხველს წარმოუდგენს გურიის ულამაზეს ბუნებას, გაზაფხულის დიდებულ სურათებს, რომლებიც შესრულებულია კემმარიტი მხატვრული ისტატობითა და აღმაფრენით.

მაგრამ ჭერ კიდევ არ ჩანს ადამიანი, ამ ადგილების მკვიდრი და მეუფე. მკითხველი ელის, რომ იგი უთუოდ გამოჩნდება, თუმცა პოეტს ჭერ საჭიროდ მიაჩნია გავაცნოს გურიის ზოგიერთი სოფელი თუ ადგილი, ამასთან უბრალოდ კი არ ჩამოთვლის მათ, არა-

მედ ხაზს უსვამს ერთ მეტად ნიშანდობილ თვისებას — მათს დაუცხრომელ მისწრაფებას არსებული ცხოვრების გარდაქმნისა და განახლებისაკენ:

ვხედავ სურებს, ვხედავ დაფნარს,  
 ვხედავ მღუმარ ნასაკირალს.  
 ვხედავ სოფლებს სიცოცხლისას,  
 განახლების თვალთ მზირალს.

ეს სტრიქონები არა მარტო კომპოზიციური ხილია, რომელმაც ერთმანეთს უნდა დაუკავშიროს ბუნება და ადამიანი, მოამზადოს ადამიანის შემოსვლა ლექსში, არა! იგი ამავე დროს განმარტავს, თუ პოეტმა რატომ მაინც და მაინც გურია აირჩია სამოგზაუროდ. ცნობილია, რომ რუსეთის პირველი სახალხო რევოლუციის პერიოდში ყველაზე თვალსაჩინოდ სწორედ გურიაში გადმოხეტა „უკმარობის ნიაღვარმა“, ძლიერად იჩინა თავი ხალხის რევოლუციურმა მისწრაფებებმა, და შემთხვევით როდი ასახელებს პოეტი დაფნართან და სურებთან ერთად სახელოვან ნასაკირალს, იმ ადგილს, სადაც შეიარაღებული შეტაკება გაიმართა მეფის რეგულარული ჯარის ნაწილებსა და აჯანყებულ მშრომელ გლეხობას შორის. ნასაკირალის ეპოპეა უთუოდ ერთი უმშვენიერესი ფურცელია 1905 წლის რევოლუციის მატთანეში. მართალია, იმეამად, როცა პოეტი მალაღი მთიდან გადაპყურებდა გურიას, ნასაკირალი დუმდა, მაგრამ ეს დუმილი დროებითი, წარმავალი იყო, იგი იყო შტილი ზღვაზე ქარიშხლის წინ. გალაკტიონი ხომ გარკვევით ხედავდა „განახლების თვალთ მზირალ“ სოფლებს, სადაც სიცოცხლე დულდა და გადმოდულდა.

ამ რწმენით არის გამსჭვალული, სახელობრ, ლექსის მომდევნო სტრიქონები, რომლებიც პოეტმა უკვე ბუნებას კი არა, გურიას ადამიანებს მიუძღვნა. მათში იგი საგანგებოდ, ვრცლად განმარტავს, თუ რატომ უწოდა გურიის სოფლებს „განახლების თვალთ მზირალნი“. საინტერესოა აგრეთვე, რომ გურიის მკვიდრი პოეტმა ლექსში სიმღერით შემოიყვანა, მაგრამ არა მარტო იმის გამო, რომ გურულისათვის სიმღერა ისეთივე სტიქიაა, როგორც, ეთქვათ, ფშაველისათვის პოეზია. არა. საქმე ის არის, რომ სიმღერა ამ შემთხვევაში ბედის დაუმორჩილებლობის, მომავლის, განახლების რწმენის თავისებური სიმბოლოა. პოეტს იტაკებს გურიის მკვიდრთა რევოლუციური შვმართება, მონობასთან შეუფრგებლობა, ცხოვრების გარდაქმნისაკენ დაუცხრომელი მისწრაფება. აქ ადამიანებიც ისე მოუსვენარი, სიცოცხლთ სასე და მეგრძოლი სულსკვეთებითა გამსჭვალული, როგორც ლამაზი და დაუდგვარი ბუნება, ბუნება და ადამიანი აქ თითქოს

ერთმანეთს ავსებენ, სრული ჰარმონიით ცოცხლობენ, ორივენი გამსჭვალული არიან ბრძოლის, შეურიგებლობისა და დაუმორჩილებლობის სულისკვეთებით.

თავისთავად ცხადია, ქარბზლისა და ბობოქარი ტალღების, მშფოთვარე და დაუდევარი ბუნების სიყვარული, რომლითაც ესოდენ გამსჭვალულია გალაკტიონ ტაბიძის მთელი რიგი პატრიოტული ლექსები, სრულიადაც არ არის შემთხვევითი და მას სავსებით გარკვეული სოციალური საფუძველი აქვს. ლექსში „არასდროს ისე არ მენატრება თავისუფლება“ პოეტმა თვითონ მიუთითა ამ საფუძველზე და განმარტა, თუ რატომ უყვარს ასე ძლიერად გაზაფხული და ხმაურიანი, ბრძოლის ყინით გამსჭვალული ბუნება:

არასდროს ისე არ მენატრება  
თავისუფლება, ვით გაზაფხულზე,  
როცა ბუნება ახმაურდება

დედამიწისა გაყინულ გულზე.

მაშასადამე, დაუდევარი, მშფოთვარი ბუნებას სიყვარულში გალაკტიონ ტაბიძემ გამოხატა თავისი დაუცხრომელი მისწრაფება თავისუფლებისაკენ. გაზაფხული და მისი შეუპოვარი ბრძოლა ზამთრის ხუნდების დასამსხვრევად, გაყინული დედამიწის გასათბობად პოეტს მოაგონებდა 1905 წლის რევოლუციას, იმ დაუვიწყარ დღეებს, როცა მთელი ხალხი თავდადებით იბრძოდა მონობის წინააღმდეგ, თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის. სხვანაირად რომ ვთქვათ, ბობოქარი ბუნების სიყვარული გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში წარმოიშვა როგორც იმ სიხუმისა და დუმილის რეაქცია, რომელმაც საზოგადოებაში დაისადგურა რევოლუციის დამარცხების შემდეგ. მეტბრძოლ პოეტს, რომელიც აცხადებდა: „ბრძოლაში ვეძიებ თავდავიწყებას, ბრძოლის ქუხილში მიიტვის სული“, მთელი სულითა და გულით, მთელი არსებით სურდა ადამიანთა საზოგადოებაც დამსგავსებოდა დაუდევარ ბუნებას, სურდა საზოგადოებაშიც ეხილა ისეთივე ბრძოლა და შეხლა-შემოხლა. როგორსაც ბუნებაში, როგორსაც გაზაფხულზე ხედვდა და ამის გამო, ცხადია, ვერ გეტყვობდა რევოლუციის დამარცხების შემდეგ ჩამოწოლილ სიხუმეს და გულს უკლავდა იგი. გულს უკლავდა, რადგან მასში ხედავდა ბედის მორჩილებას, მონობასთან შეგუებას, ამა ქვეყნის ძლიერთა წინაშე ქედის დადრეკას, ე. ი. მონობის გახანგრძლივებას. ამიტომ ამბობდა პოეტი:

სულს ის მიშფოთებს და გულსაც ის  
ჰკლავს,  
რომ ამ დუმილში ყოფნა ვერ იღბნეს,  
თუ ქარიშხალიც არ გადაიფრენს,  
სანამ სიკვდილი ქვეყანას ჰფარავს.  
(„ქარიშხლის შემდეგ“)

მართალია, ზოგჯერ პოეტი ფიქრობდა, რომ ამ სიხუმეში „იღუმალ ძალით“ ძინავდათ „ახალ ჭაოსებს“ და „მასში დეღვაა დაფარული, უჩინარ ცეცხლისო“ („თითქო არ აქ“). მაგრამ ჩვეულებრივ იგი მიაჩნდა იმის კონკრეტულ გამოხატულებად, რომ ხალხი შეურიგდა მონობას, შეურიგდა უსისხარული ბედს და ზურგი აქცია რევოლუციას. რა თქმა უნდა, აქ თავი იჩინა გალაკტიონ ტაბიძის მსოფლმხედველობის კლასობრივმა შეზღუდულობამ. პოეტს მაშინ ჯერ კიდევ არ ჰქონდა მკიდრო კავშირი ხალხთან და ეგონა, რომ თითქოს ახალი რევოლუციის მომზადების პერიოდი არ შეიცავდა ბრძოლის პათოსს, თითქოს ხალხმა დაკარგა გამარჯვების რწმენა და ჯეროვნად ვერ აფასებდა თავისუფლების სიკეთეს. აქ იღებს სათავეს სამშობლოდან გაქცევისა და უთვისტომობა-უსამშობლობის მოტივი. რაც ესოდენ შესამჩნევია გალაკტიონ ტაბიძის მთელ რიგ ლექსებში.

მე, უთვისტომო და გარეწარი  
თქვენ გაგისხენებო და დავლონდები.  
(„შინდისის ჭადრებს“)

რადგან არა მქვს სამშობლო, რადგან არა  
მყავს არავინ.

ისევ უცხოეთისაკენ მიმაფრენენ ნაევები!  
(„მზადება გასამგზავრებლად“)

პოეტის ეს სიტყვები შეიძლება რამდენადმე უცნაურად მოგვეჩვენოს. მართლაც, ერთი მხრივ, როგორც დავინახეთ, გალაკტიონ ტაბიძის ლირიკა გამსჭვალულია სამშობლოს მხურვალე სიყვარულით. თავისუფლებისა და ბრძოლისაკენ მისწრაფებით. ხოლო მეორე მხრივ, იგი შეიცავს უსამშობლობისა და უთვისტომობის საკმაოდ ძლიერ მოტივებს. ამის გამო ბუნებრივად ისმის კითხვა: როგორ შეეახა-მით ერთმანეთთან ეს ორი, ერთმანეთის გამომრიცხველი მოტივი?

საქმე ის იყო, რომ პოეტს კიდევაც ჰქონდა სამშობლო და არც ჰქონდა იგი. ჰქონდა იმდენად, რამდენადაც არსებობდა საქართველო და თვითონაც ქართველი იყო („წვეთი სისხლის არ არის ჩემში არა ქართული“, წერდა იგი ერთ ლექსში), მაგრამ არც ჰქონდა იმდენად, რამდენადაც საქართველო მიაჩნდა ისეთ ქვეყნად, სადაც განუკითხვად ბატონობდა მონობა და ოცნებასაც კი ბორკილი ედო, ოცნებაც კი მითოლოგიური ამირანივით კავკასიის მთებზე იყო მიჯაჭვული და სისხლში თრთობდა და კენესოდა („ოცნება ბორკილებში“, „ოცნება კლდეზე“). ხოლო ეს იმას ნიშნავს, რომ უსამშობლობის მოტივი გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში განჩნდა როგორც მონობის სიტუაციის მკაფიო გამოხატულება და, მაშასადამე, საფუძვლად ედო პოეტის საუკეთესო პატრიოტული მისწრაფებანი. ამას მკაფიოდ მოწმობს

გალაქტიონის ისეთი საყოველთაოდ ცნობილი ლექსები, როგორცაა „დარიალისა ვიწრო კლდეებში“, „ციხის ნანგრევებთან“, „სამშობლოში“ და სხვ. მათში პოეტმა არა მარტო ცხადყო ის მიზეზები, რომლებიც აიძულებდნენ მას დაეტოვებინა სამშობლო, არამედ ანასთან ერთად დიდი მხატვრული ძალით გადმოგვცა საყვარელ მამულთან განშორების სიმკაპილო.

გაეისხენოთ თუნდაც გალაქტიონ ტაბიძის ბრწყინვალე ლექსი „დარიალისა ვიწრო კლდეებში“. მასში პოეტმა დიდი გულისტკივილით განაცხადა, რომ იძულებულია დატოვოს სამშობლო, დატოვოს საყვარელი საქართველო და უცხოეთს შეაფაროს თავი. რადგან მთელი არსებით ძულს მონობა, არ შეუძლია და არ სურს შეუტრიადეს მას, ადამიანის ღირსების აბუჩად აგდებას:

„მსულხარ, მონობა!“ — ეამბობდი და ხმებს

ცელქი ნიაგი სათუთად ჰყრებდა,  
„მძულხარო“ — ასე უთვლიდა ზვირთებს,  
„მძულხარო“ — თერგი იმერეთისა.

თავისი მახვილით მონობის წინააღმდეგაა მიმართული აგრეთვე გალაქტიონის აღრიცხული ლექსი „სამშობლოში“. მაგრამ მასში პოეტი უპირველეს ყოვლისა ჰკიცხავს იმ მონებს, იმ ადამიანებს, რომლებსაც ქედი დაედრიკათ და უდრტვიწელად იტანდნენ მძიმე ხეგრს. ზომ საზიზღარი და საძულველია მონობა, მაგრამ კიდევ უფრო საძულველი და საზიზღარია მონა, რომელსაც ხელი ვერ აღუმართავს ბორკილების დასამსხვრევად და რომელსაც არ ესმის თავისუფლების დიდი სიკეთე. საქართველო კი, პოეტის აზრით, სწორედ ის ქვეყანაა, სადაც მორჩილი მონები ცხოვრობენ, ე. ი. სადაც, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „დღეს მშვენიერი თავისუფლება იქ არის ძალუმ იგრანოს და იცნოს“. რამდენადაც გადჰარბებული არ უნდა ჩანდეს პოეტის ეს განცხადება, იგი მაინც ფრიადნიშანდობლივია, რადგან გამოხატავს თავისუფლების დაუოკებელ წყურვილს და მონობასთან შეუტრიადლობის პათოსს. თვითონ პოეტი ზომ მზად არის ყოველგვარი მსხვერპლი გაიღოს, ოღონდ არ იწოდებოდეს მონად, ოღონდ დაიბრუნოს სამშობლო და ის დრო, როცა სარულია ახალგაზრდა იყო და არ ესმოდა, არ გრძნობდა მონობის სირცხვილს.

ამრიგად, სამშობლოში გაბატონებული მონობა იყო, სულს რომ უხუთავდა პოეტს და აიძულებდა დაეტოვებინა სამშობლო, თავშესაფარი და „მყუდრო სამარე“ ეძებნა სხვა ქვეყანაში. უცხოეთში, მით უმეტეს, რომ მისი საყვარელი მამული „უზრუნველ ძილს“ მისცემოდა და ქედი მოეხარა მონობის წინაშე. აი ამიტომ ამბობდა პოეტი, „მე ამ მონებში ცხოვრება არ მსურს, — არ მსურს, რომ

მათში მეც ვითვლებოდეთ“, აი ამიტომ ევედრებოდა იგი ზედს, „გთხოვ, დამიბრუნე ჩემი სამშობლო“, რადგან დამონებული და მით უფრო მონობას შეგუებული საქართველო არ შეეძლო თავის ნამდვილ სამშობლოდ მიეჩნია.

და მაინც, პატრიოტ პოეტს თავდავიწყებამდე უყვარდა თავისი შრავალტანჯული სამშობლო, მონობის მძიმე ხუნდებში რომ გმინავდა და კვნესოდა, — და უდიდესი გულსტკივილით ეთხოვებოდა მას, მაგრამ თან მიჰქონდა მამულის მხურვალე სიყვარული, რომელსაც არც ათაფეთი გააცლოდა და რომელიც არც არასოდეს აღმოიფხვრებოდა მის ტანჯულ, მარტობით დასეტყვილ გულში. და მართლაც, სამშობლოდან შორს პოეტი მუდამ ნაზი სიყვარულით იგონებდა მას, იგონებდა „შფოთიან თბილისს“, თუ შინდისის ობოლ ჰადრებს. არა, მას არ შეეძლო ერთი წუთითაც კი დაევიწყა სამშობლო, რომელიც კოლონიური მონობის უღლის ქვეშ გმინავდა, და იქაც, უცხოეთშიც, ცოცხლობდა სამშობლოს სიყვარულის, მისი თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის ზრუნვით. ამ მხრივ განსაკუთრებით დამახასიათებელია გალაქტიონის ერთ-ერთი უბრწყინვალესი ლექსი „შინდისის ჰადრებს“, ჩვენი ქართული პატრიოტული ლირიკის ნამდვილი მშვენიება. ამ პატარა, მინიატურულ ლექსში, როგორც სამართლიანად წერს აკად. გ. ჯიბლაძე, „პოეტი ძალიან ბუნებრივად ახერხებს უცხოეთში განცდილი სამშობლოსადმი ტრეფი ალბა გვიჩვენოს ბავშვობასთან დაკავშირებული ორი ჰადრის მოგონებით“:

ორი ჰადარო, წყვილი ჰადარო,  
შემოხვეულნო შექთა ბადრებით, —  
ო, მე არ ვიცი რას შევადაროთ,  
ან უცხოეთში რად მინატრებოთ?  
კვლავ გახვევით ოქროს ზეწარი  
და შემოდგომის მკრთალი ბლონდები?  
მე, უთვისტომო და გარეწარი  
თქვენ გაგისხენებთ და დაეღონდები.  
თქვენთან რბიოდნენ ნათელნი დღენი,  
ლოცვა ბავშვური, ფერი გედური,  
ესლა რად მისამის შოილი თორნი.  
როგორც ტირილი და საყვედური?

ძნელია, ძალიან ძნელი უკეთ გამოთქვა სამშობლოდან გადახვეწილი პატრიოტის აოლისნადები. მწუხარება და სიმკაპილო, პატრიოტისა, ვისთვისაც მამულის თავისუფლება ყველაფერია — პირადი ბედნიერებაც და სიცოცხლის სისარულიც. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სამშობლოს სიყვარულისა და მონობის სიძულვილის დაპირისპირება გალაქტიონ ტაბიძის შემოქმედებაში გულისხმობდა არა სამშობლოს, არამედ მონობის უარყოფას. სრულიად უეჭველია, რომ პოეტს უსაზღვროდ, თავდავიწყებამდე უყვარდა თავისი ტანჯული

და დამცირებული სამშობლო, მაგრამ რა ექნა, თუ კი მონობა კიდევ უფრო სძულდა და არ შეეძლო მისი ატანა, თუ კი ნაცვლად რევოლუციური ქარცეცხლისა, რომელსაც ესოდენ მოუთმენლად მოელოდა, როგორც თავისუფლების დამამკვიდრებელს, მშობლიურ მხარეში სიჩუმესა და დუმის დავსადგურებინა? ლექსში „ციხის ნანგრევებთან“ მან ხომ პირდაპირ მიგვითთა, რომ სამშობლოსთან განშორების ერთადერთი მიზეზი ახალი რევოლუციის დაგვიანება იყო? („გემშვიდობებით, მძინელება ეს განშორება, როგორც ლოდანი ბრძოლების მკაცრის...“). არა, ეს არ იყო სამშობლოდან გაქცევა, იგი არც იმას ნიშნავდა, რომ პოეტს განახლების იმედი გადაეწერა და საბოლოოდ დაკარგა გამარჯვების, სამშობლოს მომავლის რწმენა. პირიქით, უცხოეთში მიმავალს თან მიჰქონდა დიდი იმედი, რომ შორით მაინც ისმოდა ცეცხლის ხმა, რომ ხვალ თუ არა ზეგ გრიგალი — რევოლუცია აუცილებლად ამოიჭრებოდა და გაფანტავდა იმ ბურჟუსს, სამშობლოს რომ თავს მოხვეოდა.

ყველაფერი ეს საბოლოო ანგარიშით იმას ნიშნავს, რომ გალაკტიონ ტაბიძემ როგორც სამშობლოს, ისე პირადად თავისი ბედი და მომავალი უმკიდროესად დაუკავშირა რევოლუციას. ცხოვრების გამოცდილებამ პატრიოტი პოეტი დაარწმუნა, რომ უბრძოლველად, ურევოლუციოდ მისი საყვარელი სამშობლო ვერ მოიშორებდა მონობის უღელს, ვერ მოიპოვებდა ნანატრ თავისუფლებასა და ბედნიერებას. სამშობლოს ბედი და რევოლუცია რომ განუყოფელი გახდნენ, როგორც სიამის ტყუილები, რომ მარტო რევოლუციას შეეძლო მიენიჭებინა ქართველი ხალხისა და საქართველოსათვის „სიმშვენიერე“, ე. ი. ლაღი, ბედნიერი ცხოვრება, ეს აზრი გალაკტიონ ტაბიძემ პირდაპირ, შეუფარავად გამოთქვა პოპულარულ ლექსში „წერილი მეგობრებისადმი“, სადაც იგი აშკარა სინანულით წერდა:

განა არ არის საშინელი საცოდავობა,  
ისეთ ქვეყანას — როგორც ჩვენი  
საქართველოა

რევოლუცია არ აძლევდეს სიმშვენიერეს?

მართლაც საცოდაობა იყო და გალაკტიონ ტაბიძემ გაბედულად უმდგრა რევოლუციას, მხურვალედ მოუწოდა თანამემამულეებს მალე, სულ მალე აეწიათ მზე — განახლების, სიცოცხლისა და რევოლუციის დროშა. პოეტი ხშირად მოაგონებდა მათ იმ დაუვიწყარ დღეებს, როცა საქართველოში რევოლუცია გუგუზნებდა და თავისუფალი სამშობლო ხარობდა, — მოაგონებდა, რათა კვლავ აღენ. თო ისინი ბრძოლის ცეცხლით, ბრძოლის ყინვით. მართალია, გარკვეული მიზეზების გამო იგი ყოველთვის ვერ მალდებოდა ბრძოლის

იდეამდე, მაგრამ ასე იყო თუ ისე, რევოლუცია მუდამ მიაჩნდა უდიდეს ბედნიერებად, ხოლო მისი დამარცხება — ღრმა უბედურებად. არაკითარ საბრძოლო მოწოდებას არ შეიცავს. მაგალითად, გალაკტიონ ტაბიძის ერთი უსათაურო ლექსი („სქელი ღრუბელი“, 1908 წ.), მაგრამ მასში მაინც სავსებით მკაფიოდ ჩანს, რომ პოეტი მთლიანად იწონებდა რევოლუციას, ხოლო თუ წუხს და იტანჯება, მხოლოდ იმიტომ, რომ მისმა სათაყვანო სამშობლომ კვლავ დაკარგა ის თავისუფლება, რომელიც რევოლუციამ მოუტანა.

მეორე ლექსში „ზევით ასწიეთ მზე, ზევით!“, რომელიც 1910 წელს გამოაქვეყნა, გალაკტიონ ტაბიძემ არა მარტო გვიჩვენა რევოლუციის სიკეთე, არამედ ამასთან ერთად ახალი მეთოდი მკითხველებს მოეზადებინათ მხოლოდ სახალხო აზროვნება. წარმოიდგინს რა რევოლუციას მზის სახით, იგი მთელი არსებით შენატრის მას. როგორც სიცოცხლისა და განახლების სიმბოლოს. იქ, სადაც მზეა, აშობს პოეტი, უსასოება და სიკვდილი სწრაფად ნადგურდება. იქ ბნელი იფანტება და მკვიდრდება ნათელი, ხალისიანი ცხოვრება. მარტო მზეს, ე. ი. რევოლუციას შეუძლია მოსპოს აღამანათა მწუხარება და სევდა, მიანიჭოს მათ თავისუფლება და ბედნიერება. ამიტომ ნატრობს პოეტი მზის ამოსვლას, ამიტომ მოუწოდებს თანამემამულეებს შეერთდნენ და ზევით, სულ ზევით ასწიონ მზე.

ბრძოლს, ახალი რევოლუციური შემართების აპოლოგიასთან ერთად გალაკტიონ ტაბიძის რევოლუციამდელ შემოქმედებაში, როგორც ცნობილია, ეხედებით იმედგაცრუებისა და გულგატეხილობის. მარტოობისა და სევდიან-პესიმისტურ მოტივებსაც, რაც იმით აიხსნება, რომ პოეტი განიცდიდა წვრილბურჟუაზიული იდეოლოგიის საკმაოდ ძლიერ გავლენას, იდეოლოგიისა, რომელსაც საერთოდ ახასიათებს უკიდურესობანი და განწყობილებათა ვაორება. გალაკტიონ ტაბიძემ თავი ვერ აარიდა შინაგან წინააღმდეგობებს და მის პოეზიაში არცთუ იშვიათად ეხედებით სრულად საპირისპირო სულიერ განწყობილებებს. მაგრამ მისი შემოქმედების მთლიანობაში განხილვა უდავოდ დაგვარწმუნებს, რომ გალაკტიონის რევოლუციამდელი პატრიოტული ლირიკის ძირითადი და განმსაზღვრელი მოტივი უთუოდ ოპტიმისტურ-რევოლუციური იყო, რომ პოეტს მუდამ ხალხის, თავისუფლების მხარე ეჭირა, მას უმღეროდა და ეტრფოდა. თვით ის ფაქტი, რომ უიმედობისა და სევდიან-პესიმისტური განწყობილებანი გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში გაჩნდა რუსეთის პირველი სახალხო რევოლუციის დამარცხებისა და რეაქციის შევზნელი ძალეების გამარჯვების შედეგად, თავისთავად



მოწმობს, თუ ვის მხარეზე იყო პოეტი, რა მისწრაფებანი და იდეალები ასაზრდოებდა მას, როგორც მოქალაქესა და შემოქმედს. განა ასე მტკიცენულად განიცდიდა იგი 1905 წლის რევოლუციის დამარცხებას, ცხოვრებისა და მოღვაწეობის უმადლეს მიზნად სამშობლოს ბედნიერება და თავისუფლება რომ არ დაესახა? რასაკვირველია, არა. და როცა რევოლუციის ქარიშხალმა კვლავ დაჭროლა, როცა დაემხო საქულველი მეფის თვითმპყრობელობა, გალაკტიონ ტაბიძე ამ უდიდეს მოვლენას აღფრთოვანებით შეხვდა და თავიანი დიდი სიხარული მაშინვე შეუერთა ხალხის უსახლვრო აღტაცებასა და სიხარულს:

გათენდა. ცეცხლის მზე აენთო, აცურდა...  
დროშები ჩქარა!

თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა,  
ვით დაჭრილ ირმების გუნდს — წყარო  
ანკარა...

დროშები ჩქარა!

მაგრამ სიხარული ნადრევი გამოდგა. მალე პოეტი იძულებული იყო განეცხადებინა, რომ 1917 წლის თებერვლის რევოლუციამ ვერ გაამართლა იმედები, რომ მენშევიკური საქართველო სრულიადც არ წარმოადგენდა იმ იდეალს, რომელსაც თვითონ და მთელი მისი მშობლიური ხალხი ესწრაფოდა. აქ ისევ, როგორც რევოლუციამდე, თვითმპყრობელობის დროს. განუყოფად დათარეშობდნენ ექსპლოატატორები, მშრომელი ხალხი კვლავ უფლებებო რჩებოდა და სასტიკ ექსპლოატაციას განიცდიდა. პატრიოტი პოეტი, ცხადია, ამას ვერ შეურიგდებოდა, ვერ შეურიგდებოდა ექსპლოატატორთა დაუსჯელ თარეშს და გაბედულადაც გაილაშქრა მათ წინააღმდეგ. ევროპად, მენშევიკური „სამოთხის“ მეტად მკაფიო სურათი დახატა გალაკტიონ ტაბიძემ თავის ერთ-ერთ ლექსში, რომელსაც „ტალახში“ ჰქვია და რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში პოეტი მაშინდელი სოფლის ჩამორჩენილობასთან ერთად გვიჩვენებს, თუ როგორ მარცვაგდნენ ხალხს ჩარჩ-ვაჭრები „ახალ“ საქართველოში, ხოლო მეორე ნაწილში გადმოგვცემს ხალხის განწყობილებას, მის აღშფოთებას ექსპლოატატორებისა და მათი დამცველების განუყოფელი თარეშის გამო.

ამავე დროს პოეტი გარკვევით ხედავდა, თუ რა უსასტიკესი დატინებით სპობდა ახალი, საბჭოთა რუსეთი ყოველგვარ მონობას და,

მიუხედავად შინაური და გარეშე კონტრარეკოლუციური ძალების შემოსევისა, გააფთრებით იცავდა თავისუფლებას, ნერგავდა ექსპლოატატორთა ბატონობისაგან თავისუფალ ცხოვრებას. მაშინ როცა საქართველოში, რომელიც მენშევიკებმა ძალით მოსწყვიტეს საბჭოთა რუსეთს, თითქმის არაფერი შეცვლილა. და, ბუნებრივია, გალაკტიონ ტაბიძემ მზერა მიაპყრო საბჭოთა რუსეთს, რომელმაც მსოფლიოს ხალხებს უჩვენა თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრების მშენებლობის ერთადერთი სწორი გზა. ამას მოწმობს შესანიშნავი ლექსი „გემი „დალანდი“, რომელშიც რუსეთიდან სამშობლოს მომავალმა პოეტმა საქართველოს ბედი და მომავალი პირველად ჩვენს პოეზიაში მკიდროდ დაუთქვა-შირა ახალ რუსეთს, ლენინსა და კრემლს:

გემით „დალანდი“ მოვდიოდი

სამშობლოსაკენ

და მთვარისაგან გაღვიძება გულს

დარდად ჰქონდა:

მაგრამ სამშობლოს ძველი გზებით

ველარ მოვაკენ

და არ მახსოვდა: მქონდა იგი, თუ

მომავონდა?

გახსენებების მომძახოდა მტანჯველი

ლანდი:

შენ და მოსკოვი, პეტროგრადი, ლენინი,

კრემლი!

შავი ზღვის ზვირთებს მიაპობდა გემი

„დალანდი“

და თვალზე მადგა განშორების მსუბუქი

კრემლი.

განშორების ეს მსუბუქი კრემლი დიდ დარდად გადაეჭა პოეტს მას შემდეგ. რაც მენშევიკური საქართველოს ყოფა გაიცნო. იგი მძაფრად განიცდიდა „უამილობას“, მის პოეზიაში ისევ გაჩნდა სევდიან-პესიმისტური მოტივები, მაგრამ შორს აღარ იყო საქართველოს ოქტომბერი. და როცა საბჭოთა ხელისუფლებამ მის სამშობლოშიც გაიმარჯვა, გალაკტიონ ტაბიძე უდიდესი სიხარულითა და აღფრთოვანებით შეხვდა ამ უმნიშვნელოვანეს მოვლენას საქართველოს ისტორიაში. იგი შინაგანად სავსებით მზად იყო იმისათვის, რათა მხურვალედ მისალმებოდა ახალ საქართველოს, „ახალ გზით გაერთიანებულ საქართველოს“, და ემღერა მისი სადღეღებელი საგალობლები.



## შევიჩენს და საქართველო

### ტ. შევიჩენს ბარდაცვალების ასი წლისთავის გამო

„იგი იყო ყმა გლეხი და გახდა გიგანტი მსოფლიო კულტურის სამეფოსა“, — ასე წერდა დიდი უკრაინელი მწერალი ივანე ფრანკო ტარას შევიჩენკოს შესახებ.

ტარას შევიჩენკო... ეს ამაყი და დიდი სახელი მახლობელი და საყვარელია არა მარტო უკრაინელი ხალხისათვის. იგი ასევე მახლობელი და საყვარელია ჩვენი დიდი და მრავალეროვანი სამშობლოს ხალხებისა და მთელი პროგრესული კაცობრიობისათვის. სწორედ ამიტომ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტმა მშვიდობის დაცვის ეროვნულ კომიტეტთან ერთად დაადგინა მიმდინარე წლის 10 მარტს მთელ მსოფლიოში აღენიშნათ ტარას შევიჩენკოს გარდაცვალების ასი წლისთავი.

ქართველმა ხალხმა დიდი ხანია გულწრფელად შეიყვარა მოძმე უკრაინელი ხალხის გენიალური პოეტი, რევოლუციონერი დემოკრატი, ხალხთა მეგობრობის მომღერალი და დიდი ჰუმანისტი ტარას შევიჩენკო. მისი პირველი ქართველი ნაცნობი და მეგობარი იყო მხატვარი გ. მაისურაძე, რომელიც შევიჩენკოსთან ერთად სწავლობდა პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში. ტ. შევიჩენკოს შემოქმედებას კარგად იცნობდნენ მოწინავე ქართველი საზოგადო მოღვაწეები ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში. მაშინდელი პეტერბურგელი ქართველი სტუდენტები ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, დიმიტრი ყიფიანი, კირილე ლორთქიფანიძე ხშირად ესწრებოდნენ ლიტერატურულ საღამოებს, რომლებშიც თვითონ ტარას შევიჩენკოსაც მიუღია მონაწილეობა.

„გუშინ ვიყავი ლიტერატურის საჯარო კითხვაზე, — წერს დიმიტრი ყიფიანი ერთ თავის კერძო წერილში. — კითხულობდნენ: ბენედიქტოვი — მშვენივრად, პოლონსკი — კარგად, მაიკოვი — მშვენივრად, დოსტოევსკი და პისემსკი — საშუალოდ, ხოლო შევიჩენკო, მალოროსიელი პოეტი და მხატვარი — საუცხოოდ“. ჩვენი სასიქაღულო პედაგოგი იაკობ გოგე-

ბაშვილი მგზნებარედ მოუწოდებდა ქართველ მწერლებს გაემდიდრებინათ ქართული ლიტერატურა შევიჩენკოს ნაწარმოებების თარგმანებით. სტატიაში „პატარა ბარათი დიდი პოეტის შესახებ“ იგი წერდა: „მიუხედავად შესაზარის ბედისა, რომელიც წილად ხვდა შევიჩენკოს, მან შეტყმნა თავის საყვარელ დედაენაზე იმისთანა პოეტური ქმნილებანი, რომ იგი ახლა გადათარგმნილი არიან ყველა მთავარ კულტურულ ენაზე და დიდის სიხარბით იკითხებიან. მხოლოდ არ ამშვენებენ იგი იმ ერთ ენას, რომლის მდგომარეობასა და ტანჯვა-წვალებაზე ზედ გამოჭრილი არიან, — ამ სამწუხარო გამოკლებას შეადგენს ქართული ენა. ქართული ლიტერატურა, რომელსაც შევიჩენკოს უკვდავი ქმნილებანი, ვიმეორებ, ბევრად უფრო შეესაბამებინ. ვიდრე სხვა ენებსა და ერებს. აღენიშნავ რა ამას, ვერჩევ ჩვენებურ პოეტებს, გაამდიდრონ ჩვენი ლიტერატურა შევიჩენკოს ქმნილებათა თარგმანებით“.

ნიკო ლომოთრმა პირველმა თარგმნა ქართულ ენაზე შევიჩენკოს პოემა „ნაიმიჩკა“ („მუშა ქალი“), რომელიც დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის „ივერიის“ მე-5 ნომერში 1881 წელს. ტ. შევიჩენკოს ლექსები თარგმნეს აკრეთეე მამია გურიელმა, დ. თომაშვილმა, დ. თურდოსპირელმა, იასამანმა და სხვ. მაგრამ ტარას შევიჩენკოს ნაწარმოებების სრული და სრულყოფილი თარგმნა ქართულ ენაზე მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ განხორციელდა.

„ლექს საქართველოს წიგნის ოქროს კარადაში სათუთად დევს „კობზარის“ ნატიფი თარგმანი ქართულ ენაზე, — წერს საქართველოს სახალხო პოეტი იოსებ გრიშაშვილი. — რაზედაც ოცნებობდნენ უბრწყინვალესი იდეალების გამომხატველნი ჩვენი წინაპრები. ჩვენმა საუკეთესო საბჭოთა პოეტებმა უკრაინის მოძმე ხალხს უძღვნეს შევიჩენკოს წიგნი ქართულ ენაზე (12 ათასი სტრიქონი) სწორედ ისევე, როგორც უკრაინელმა პოეტებმა უკრაინულად



თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“ ჩამოგვიტანეს რუსთაველის საიუბილეო პლენუმზე“.

ჯერ კიდევ რევოლუციამდე ქართველმა ხალხმა ღირსეულად აღნიშნა ტარას შევჩენკოს დაბადების ასი წლისთავი. მიუხედავად იმისა, რომ მეფის მთავრობამ აკრძალა შევჩენკოს იუბილე, იგი მაინც დიდი სახალხო ზემოთ აღინიშნა მთელ მაშინდელს რუსეთის იმპერიაში. შევჩენკოს იუბილე ქართველებმა აღნიშნეს არა მარტო საქართველოში, არამედ ისინი აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ უკრაინაში გამართულ საიუბილეო ზეიმშიც.

კიევიში, შევჩენკოს ბულვარში, წარმტაცად გამოიყურება მწერლის დიდებული სასახლემუზეუმი. მის მრავალრიცხოვან ექსპონატებს — სურათებს, სკულპტურებსა და დოკუმენტებს შორის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ზეთის საღებავით შესრულებული შესანიშნავი სურათი, რომელზეც აღბეჭდილია საქართველოსა და უკრაინის კულტურული ურთიერთობის მეტად ამაღლებელი და მნიშვნელოვანი ფაქტი — ჯერ კიდევ ახალგაზრდა ქართველი პოეტის აკაკი წერეთლისა და ტარას შევჩენკოს შეხვედრა.

ეს იყო 1859 წელს პეტერბურგში, პროფესორ კოსტომაროვის ბინაზე. ტ. შევჩენკოს, რომელიც აკაკის მეშვეობით გაეცნო ქართველი ერის ისტორიას, უთქვამს: „რამდენი რამაა საერთო უკრაინელი და ქართველი ხალხების ბედში“.

ამ შეხვედრის შესახებ აკაკი წერეთელმა 1911 წელს ტ. შევჩენკოს გარდაცვალების ორმოცდაათი წლისთავზე გამოაქვეყნა სპეციალური სტატია. „ტარას გრიგოლისძე შევჩენკო, — წერს აკაკი. — მე ვნახე მხოლოდ ერთხელ ჩემს სიცოცხლეში... ჩვენი საუბარი გავრძელდა დამის სამ საათამდე. ჩვენ დავშორდით როგორც მეგობრები და პირობა დავდევით, რომ უფრო ხშირად შევხვდებოდით ერთმანეთს. მაგრამ ვაი, რომ ჩემს ბედნიერებას აღარ ეღირსა განხორციელება... მხოლოდ ეს პირველი და უკანასკნელი შეხვედრა დამრჩანათელ მოგონებად მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე. აღვიარებ, რომ მე პირველად მისი სიტყვებიდან გავიგე, თუ როგორ უნდა სამშობლოსა და საყუთარი ხალხის სიყვარული“.

საიუბილეო საღამოზე, რომელიც 1914 წლის 15 აპრილს გაიმართა თბილისში, მგზნებარე სიტყვით გამოვიდა აკაკი წერეთელი. აკაკის სიტყვებმა იმის შესახებ, რომ იგი პირადად იცნობდა ტარას შევჩენკოს, შექუხარ ტაში გამოიწვია. აქ დამსწრე უკრაინელები სიყვარულით ეხვეოდნენ ქართველებს, ხოლო ქართველები — უკრაინელებს. აკაკიმ თავისი გამოხსენება შემდეგი სიტყვებით დაამთავრა: „გიყვარდეთ თქვენი სამშობლო და, დედა ენა ისე, როგორც განსვენებულ შევჩენკოს უყვარდა, რადგან მი-

სი ხსოვნისათვის ეს საუკეთესო ჯილდო და ხელთუქმნელი ძეგლი იქნება“.

აკაკი წერეთლის „სიტყვა უკრაინელებისადმი“ ავტორგაფის სახით ინახება საქ. მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში (№ 1425). ავტორგაფი დაწერილია რუსულად, რომლის ქართული თარგმანი გამოაქვეყნა საქართველოს სახალხო პოეტმა იოსებ გრიშაშვილმა.

„მრავალფეროვანია ბუნება, — ასე დაიწყო აკაკიმ, — მაგრამ ამ მრავალფეროვანებაშია მთელი ქვეყნიერების სიძლიერე და სიმშვენიერე. დედამიწას ჩვენ ოთხ მხარედ ვყოფთ. ეს მხარეები არ ჰკვანან ერთმანეთს, ყოველი მათგანი თავისებურებით განირჩევა, მაგრამ ამ თავისებურებებით ისინი ურთიერთს ავსებენ. შეუძლებელია წასვლა ბუნების წინააღმდეგ. მაგალითისათვის ავიღებ ჩემს თავს: მე დაბადებით ქართველი ვარ. ამიტომ უწინარეს ყოვლისა უნდა ვცდილობდე ჩემი ეროვნულ თავისებურებებს, ე. ი. ენის, სკულის, ისტორიის და სხვათა განვითარებას და მხოლოდ ამის შემდეგ გავხდები ღირსეული თანამომე. ხოლო თუ მე უარს ეიტყვი საყუთარ მეზე, თუ ჩავკლავ ჩემში ქართველობას, როგორ უნდა გადავიქცე საუკეთესო ადამიანად? ესევე უნდა ითქვას ყველა იმაზე, ვინც განაპირა ქვეყნებში ცხოვრობენ. თქვენ, უკრაინელები, როგორც სლავთა ტომი, უფრო ახლო ხართ რუსებთან, მაგრამ საკმაო ხელი აიღეთ თქვენს ეროვნულ თავისებურებაზე, ისტორიაზე და სხვაზე, ჩაპლათ თქვენში უკრაინელობა, რომ ვერ გახდეთ კარგი პატრიოტი. აი ქუმარიტება, რომელსაც ასე წლის წინათ ქადაგებდა დიდი და სიმპათიური წინასწარმეტყველი შევჩენკო... ასეთ დიდ ადამიანს წარმოშობს მხოლოდ დიდი ერი. მაგრამ ეს დიდი ადამიანი თავისი ერის გარდა, სხვა ერებსაც ეყუთვნის. ამიტომ ნება მოგვეცით, რომ ჩვენც, ქართველებიც, შევუერთდეთ თქვენს ზეიმს და პატივი მცეთ დიდ უკრაინელს“.

ქართველი და უკრაინელი ხალხების ამ ორი დიდი წარმომადგენლის მსოფლმხედველობაც და პოეზიაც მეტად ახლობელია. ხანდახან შევჩენკოსა და წერეთლის შემოქმედებაში საკვირველი მსგავსებაც არის. მაგალითად, თავის შესანიშნავ პოემაში „აკაკის“ უკრაინელმა პატრიოტმა მგოსანმა დიდი მხატვრული ძალით გადმოსცა კავკასიის ხალხთა ტანჯვა-წამება.

მთების იქით მთები, შებურვილი ნისლით, მწუხარებით სავსე და მორწყული სისხლით.

ძველთაგანვე პრომეთოსს აქ არწივი სძიმგნის, გულს უკორტნის, მოთქრიალებს ნაკადული სისხლის. ეწაფება და ვერ აშრობს სისხლის ცხოველ წყაროს,

გული ისევ მოცოცხლდება,  
ძველებურად ხარობს.  
ასევე მგზნებარე სიყვარულით უმღერის აკაკი წერეთელი პრომეთეს მებრძოლ სულს ხალხური გმირის ამირანის სახით თავის შესანიშნავ პოემაში „თორნიკე ერისთავი“.

კავკასიის ქედზე იყო  
ამირანი მიჯაჭვული,  
ყვავ-ყორანი ეხვეოდა,  
დაფლეთილი ჰქონდა გული,  
ქვეყნად ცეცხლის მოტანისთვის  
გულს ცეცხლი არ ჰვნელდებოდა  
და რალაცა მანქანებით  
გული ისევ მთელდებოდა.

შევჩვენოს ღრმად სწამდა, რომ აუცილებლად დადგებოდა დრო, როცა მისი მხურვალედ საყვარელი სამშობლო საძულამოდ განთავისუფლდებოდა. ამავე შეხედულებას ავითარებდა აკაკი წერეთელი საქართველოს მომავალზე:

მოვა დრო და თავს აიშვებს,  
იმ ჭაჭვს გასწყვეტს გმირთა გმირი!...  
სიხარულით შეეცვლება  
იმდენი ხნის გასაჭირი!

ისევე, როგორც შევჩვენოს, აკაკი წერეთელ-

საც მიაჩნდა, რომ მისი სამშობლოს ნათელი მომავალს მშრომელი ხალხი გამოსჭედდა.

ტარას შევჩენკომ სიცოცხლეშივე მოიხვეჭა სახელი და რევოლუციურად განწყობილი ლექსებით ფართოდ ცნობილი გახდა რუსეთის იმპერიის ყველა კუთხეში. თავისი ღრმა პოეტური ინდივიდუალობითა და ცხოვრების განსაკუთრებული ბედით იგი მსოფლიო მნიშვნელობის პოეტი გახდა. ამის შესახებ შესანიშნავად უთქვამს უკრაინელი ხალხის მეორე დიდ შვილს ივანე ფრანკოს:

„ავბედი სდევდა მას მთელი ცხოვრების მანძილზე, მაგრამ ეანგით არ დაფარა მისი სულაერი ბაჯალო, არ გადააქცია კაცობრიობისადმი მისი სიყვარული სიძულელიად, მისი რწმენა — გულგატეხილობად. ბედი არ იშურებდა მისთვის ტანჯვა-წამებას, მაგრამ არ ჩაუხშო მას სიხარულის გრინობა, რომელიც მასში ჩქეფდა ჯანსაღი სიცოცხლის წყაროდ.“

მაგრამ ბედმა მას სიკვდილის შემდეგ არ გუხნა უკვდავი სახელი იმ მუდამ ახალი სიტკბოების გამო, რომელსაც მილიონობით ადამიანის გული განიცდის მისი ნაწარმოებებით“.

ამირან შამკვაშიძე.



# ქვეყნის

## საკაცო მუშაობები

### შეხვედრები ქართულ მოღვაწეებთან

როდესაც ნახულობთ დიდუბისა და შთაწმინდის პანთეონებს, მღვთაბრუნულ გაჩერდებით საფლავებთან, სადაც განისვენებენ ჩვენი ძველი მოღვაწენი ხელოვნების და მწერლობის დარგში.

მძიმე სიზმრად მოგეჩვენებათ ჩვენი დუხჭირი წარსული, როდესაც სასტიკად იღვევებოდა ქართული ენა, ხელოვნება, კულტურა.

და ამით უფრო ნათელი ხდება დღევანდელი საბჭოთა ეპოქა, როდესაც სხვა დარგებთან ერთად ასე დიდ-

ბულად ვითარდება ჩვენი კულტურა, შიშააოსით სოციალისტური, ფოოპიოთ ეროვნული, როდესაც ხელოვნება და მწერალს შეოძლია თავისუფლად, მთელი ძალღონით მიეცეს თავის საყვარელ საქმეს — საბჭოთა ხელოვნებას, საბჭოთა მწერლობას.

...შევჩერდეთ ორიოდე წუთით წინაპართა ხსოვნაზე, რომლებმაც განვლეს ესოდენ მძიმე და სახელოვანი გზა.

იაკობ ნიკოლაძე

— თქვენს გარდა კიდევ ვინ არასაქართველოში მოქანდაკე? — შევეკითხე 1912 წელს იაკობ ნიკოლაძეს.

— ახლა ჩვენთან ისეთი უმუშევრობაა ხელოვნების დარგში, რომ თუ საქართველოში გამოჩნდა მეორე მოქანდაკე, მაშინ ერთმა ჩვენგანმა თავი უნდა ჩამოიხრჩოს შიმშილისგანო, — მიპასუხა ნახევრად ხუმრობით მოქანდაკემ.

იმ შევხვედრებში, როდესაც ახლობდნენ ყოველგვარ ეროვნულ წამოწყებას, ეს სევდიანი სიტყვები ჭეშმარიტებას როდი იყო მოკლებული.

მხოლოდ საბჭოთა ეპოქაში განვითარდა საქართველოში სხვა დარგებთან ერთად ხელოვნება და მათ შო-

რის მოქანდაკეობა, რომლის ერთერთი ფუძემდებელი იყო იაკობ ნიკოლაძე.

მან დაგვიტოვა მრავალი ნამუშევარი, რომელთაგან ყველაზე მეტყველია მარმარილო „ლენინი „ისკრის“ ხანაში“.

იაკობი გარდაიცვალა 75 წლისა, ფილტვებით დაავადებული. კვდებოდა ცრემლმორეული, რომ ნაადრევად შორდებოდა თავის საყვარელ საქმეს.

— ჯერ კიდევ შემოიძლია მუშაობა, — კვენესოდა სიკვდილის წინ დიდი მოქანდაკე და საბჭოთა პატრიოტი.

საინტერესოა იაკობის სახლმუზეუმი, სადაც მოქანდაკე დაუღალავად ძერწავდა თავის შესანიშნავ ნაწარმოებებს. აქ დაცულია მისი სამუშაო

იარაღები და ნამუშევართა ასლები.  
აქვეა გამოფენილი მოქანდაკის  
მშობლების ფოტოსურათები, მათგან  
დედის სურათი ნამდვილია, მამისა კი...  
მაგრამ მოვუსმინოთ მუზეუმის გამ-  
გეს, იაკობის შვილს მაია ნიკოლაძეს:  
— მამაჩემი ოთხი წლისა იყო, —  
გვიამბობს ის, — როდესაც მამა გარ-

დაეცალა. პაპაჩემს თურმე სიცოცხ-  
ლეში სურათი არ გადაუღია. ამიტომ  
მიცვალებული წამოაყენეს სარეცილი-  
დან და გადაიღეს სახის ფოტო. თვა-  
ლები კი ხელით ჩაუხატეს.  
ობლად დარჩენილმა იაკობმა თვი-  
თონ გაიკაფა გზა ხელოვნებაში, გზა  
უკვდავებისაკენ.

### მ ა კო ა ბ ა შ ი ძ ე

...1938 წელს ვეწვიეთ ბინაზე  
ჩვენს მეზობლად მცხოვრებ მაკო სა-  
ფაროვა-აბაშიძეს მე და დედაჩემი,  
რომელიც ახალგაზრდობიდანვე მოხი-  
ბლული იყო მაკოს უბაღლო თამაშით.  
მაკო მეტად ყურნაკლული იყო. ამი-  
ტომ დედამ უსიტყვოდ გადასცა ეს  
ლექსი:

სცენის დიდი მოღვაწეა  
საფაროვა ჩვენი მაკო.  
ფუსტურვით მას დღევრძელობა,  
ლირსი არის მუდამ ვაქოთ.  
ქართულ თეატრს საქირველი  
ძველ დროს მაკომ ჩაუყარა,  
თითონ გახდა დედაბობი,  
მხარი მხარში გაუყარა.

თავის დაზრდილ წიწილებსა  
დედასავით დასცქერს მაკო,  
წიწილებიც შესახიან:  
ჩვენო ბებო, ჩვენო კარგო!  
იმ ძველ დროდან საქართველოს  
შერჩა ახლა მხოლოდ მაკო,  
ვაშა, ვაშა შენს ქალობას,  
ლირსი ხარ, რომ მუდამ ვაქოთ...

მაკომ წაიკითხა ეს გულუბრყვილო  
ლექსი თავისი თანამედროვე, წლო-  
ვანობით თანატოლი მაყურებლისა და  
თვალცრემლიანი გადაეხვია. იცრემ-  
ლებოდა ორი ქალარამოსილი ოთხმო-  
ცი წლის ქალი — სახალხო არტიტი  
და უბრალო მაყურებელი.

### ნ ი კო ნ ი კო ლ ა ძ ე

ლირსშესანიშნავი იყო ნიკო ნიკო-  
ლაძის გამოსვლები საჯარო კრებებზე.  
ტრიბუნაზე იდგა თითქმის უძრავად,  
ლაპარაკობდა დინჯად, დალაგებით,  
აუჩქარებლივ. ხელები ზურგს უკან  
ჰქონდა დალაგებული, რომ სიტყვის  
წარმოთქმისას აქეთ-იქით არ ექნია,  
როგორც ამას სჩადიან ზოგიერთები,  
რომლებსაც არ ესმით, რომ ხელების  
შლა და რხევა ხელს უშლის მსმენელს  
სიტყვის ათვისებაში.

— ახლა რასა წერთ, პატივცემულო  
ნიკო? — შევეკითხე 1926 წელს, რო-  
ცა მის სამუშაო ოთახში საწერ მაგი-  
დაზე შევნიშნე წვრილი ხელით ნაწერი

სქელი მოცულობის რვეული (მოგონე-  
ბანი მიგონა).

— ჩემი მომავალი მუშაობის ხუთ-  
წლიან გეგმას. — მივიღე მოულოდ-  
ნელი პასუხი.

ამას ამბობდა XIX საუკუნის სამო-  
ციანი წლების მოღვაწე, „თერგდალე-  
ულთა“ სახილოვანი თანამებრძოლი,  
ამბობდა საბჭოთა საქართველოში 83  
წლის მოხუცი, მუშაობის დაუშრეტე-  
ლი უნარით აღსავსე, სამწუხაროდ, არ  
დასცალდა მას თავისი ხუთწლიანი გე-  
გმის შესრულება.

1928 წელს 85 წლის ასაკში შეწყდა  
დიდი საზოგადო მოღვაწის, მწერლისა  
და პუბლიცისტის მაჯისცემა.



# ხელოვნება

## ბიოგრაფიული

### კ რ ი მ ა ნ ჭ უ ლ ი

კრიმანჭული ხალხური მუსიკის ერთ-ერთი ურთულესი მოვლენაა. ამას ისიც ადასტურებს, რომ მისი ჩაწერა, სანოტო სისტემაში გადატანა მუსიკოსებს დღემდე ვერ მოუხერხებიათ.

როგორც ურთულეს ხმას, კრიმანჭულს თავისი სპეციფიკური წარმომშობი მიზეზები აქვს და, ჩვენი აზრით, უშუალოდ უკავშირდება ძველი ბერძნული და ქართული კულტურის ურთიერთობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს.

\* \* \*

ძველ ბერძნულ მითოლოგიაში ცნობილია ქალღმერთი იო, მაგრამ მისი გენეალოგია დღემდე საკმაოდ გარკვეული არ არის. საქმარისია ითქვას, რომ იოს მამად ასახელებენ ხეთ სხვადასხვა მითოლოგიურ გმირსა თუ ღმერთს.

იოს შესახებ საყოველთაოდ გავრცელებული მითის მოკლე შინაარსი ასეთია: უკვე სრულსაყოფანი ქალღმერთი იო ავიდა ოლიმპოს მთაზე, სადაც თავისი სილამაზით მოხიბლა თვით ზევსი. მალე ზევსმა გული აიყარა მუდღეუ ჰერაზე და მიჯნურ მშვენიერ ევროპაზეც, რა თქმა უნდა, ეს შენიშნა ჰერამ. მუდღელის ინტრიგებისაგან რომ ეზნა, ზევსმა იოს საზე შეუცვალა და ქროხად აქცია. მაშინ ქროხადქცეულ იოს ჰერამ მიუჩინა კრაზანა, რომელიც ჩხვლედდა იოს და მთელ მსოფლიოში არბენინებდა. ამით ჰერამ ზევსსა და იოს მოუსპო შეხვედრისა და სიყვარულის განხორციელების საშუალება. კრაზანის ჩხვლექცია და სირბილით განაწამები, ქანცვამოცილი იო კავკასიონის მთაზე მიჯაქველ პრომეთესთან მივა და თხოვს უპასუხოს: როდის მოედება ბოლო მის ხეტი-ალს და როდის დაუბრუნებენ მშვენიერ ადამიანურ სახეს. პრომეთე-ამირანი იოს ეუბნება: დედაჩემმა თემიდემ გიწინასწარმეტყველა, რომ მომავალშიც წამებით გადაიბრუნებ ბევრ

ქვეყანას, მაგრამ საბოლოოდ ეგვიპტეში დამკვიდრდები, სადაც ზევსი ისევ დაგობრუნებს ადამიანურ სახეს და მისი შეხებით შეგვიძინება შვილი ეპაფიო. ეს ეპაფი იქნება ეგვიპტის პირველი მეფე, მის შთამომავლობაში დაიბადება გმირი ჰერაკლი, რომელიც შემდეგ იხსენის, ჯაქვებისაგან გაათავისუფლებს ამირანს.

საბოლოოდ, მითოლოგიის ისტორიით, ამირანის დედის ეს წინასწარმეტყველება გამართლებია.

თუ ამ საინტერესო ძველბერძნულ მითს განვანალიზებთ, ჩვენს წინაშე წამოიჭრება ორი კითხვა: 1. რატომ მაინცდამაინც მიჯაქველ პრომეთე-ამირანს მიაკითხა იომ? მაწ ხომ მთელი მსოფლიო შემოიბრინა და შექმლო იმავე კითხვებით მიემართა სხვა მითოლოგიური გმირისა თუ ღმერთისათვის? 2. რატომ მაინცდამაინც პროხად გადააქცია ზევსმა იო? ხომ შეიძლებოდა იგივე იო ექციათ ქვად, ღრუბლად, მთად, მდინარედ?

საქმე ეს არის, რომ ჩვენი აზრით, იო არ უნდა იყოს ბერძნული წარმომშობის ქალღმერთი. მითის იმ ელემენტში, რომ იო მაინცდამაინც პირტყვად აქცია ზევსმა, აისახა ერთი ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება: ბერძნულ მითოლოგიაში იო სხვა ხალხის, კერძოდ ქართველი ხალხის მეცხოველეობისა და მუდღენობის ქალღმერთი იყო. ამას მოწმობს ძველი ქართული ქრომითი სიმღერები, შემორჩენილი შრომითი რიტუალები და სხვ.

ისეთ ქართულ ხალხურ სიმღერებში, როგორცაა სვანური „ნადური“, მეგრული „ოპოპოია“, გურული „ელესა“, „ნადური“ და ბევრი სხვა, ვადაძახილის, მოძახილის სახით იხსენის სიტყვა იო: „ოპოპოია“, ან „ოპოპოია-ოპოპოპო“. ამ სიმღერების, თითოეულის ცალ-ცალკე და ყველასი ერთად, მეცნიერული ანალიზი გვეუბნება, რომ ეს „ოპოპოია“...

\* განხილვის წესით.



„იო-ო-პო-პო“, უბრალო სასიმღერო ბგერა-ამოძახილები კი არ არის, არამედ ძველი ქართული სიტყვები, რომელთა შინაარსი შემდეგში მდგომარეობს: მოგვეცი ხევე! ბარაქა, იო, ან: რა, იო, გვიმრავლე, გვიმრავლე (იგულისხმება, რა თქმა უნდა, პირუტყვი).

გარდა ამისა, რომ იოს უმღერაინ ძველ ქართულ ხალხურ შრომით სიმღერებში, დასავლეთ საქართველოში დღესაც შემორჩენილია გამოთქმა „იოზე გადასვლა“. „იოზე გადავიდაო“. იტყვიან ხოლმე მაშინ, როდესაც რიგი აირევა და ფიზიკური ძალით მიიწევენ წინ. გურულ „ნადურში“ ხომ მართლაც გადადიან იოზე, როდესაც სიმღერის ფინალში, როგორც სიმღერის ტაქტი, ისე თვით შრომის პროცესი — თონის მოსმა ჩქარდება და მაქსიმალურად ხშირდება? ამ დროს საკუთრივ სიმღერაში მეორდება მხოლოდ შემდეგი სიტყვები „იო-ოა; იო-ოა“.

ჩოხატურის რაიონის იმ სოფლებში. სადაც იზაბელა და სხვა ჯიშის მალღარი ვენახი ხარობს, დღემდე შემორჩენილია ჩვეულება, როდესაც ნაღი ყურძენს კრეთს, ნაღის ყოველი წვერი ცდილობს პირველად, სხვებზე ადრე აავსოს გიდელი. ვინც პირველი აავსებს გიდელს, მაღალი ხმით დაიძახებს „ა-გიდელა-იო“. ამ სიტყვებს ყურძენის მკრეფავეები ერთად იმეორებენ და ხშირად ამ გადაძახილს მთელი სოფელი ეხმაურება ამავე სიტყვებით. ეს გავფიქრებინებს, რომ პირველად ავსებული გიდლის ყურძენი მეურნეობის ქალღმერთს იოს მიერთმეორდა, როგორც შესაწირავი!

საქართველოს ყოველ კუთხეში არის ცნობილი აგრეთვე „აგუნობა“. ამ რიტუალის შინაარსი ასეთია: ახალ წელიწადს, ანუ კალანდას, საღამოს აიღებენ ხელში ღვინით სავსე დოქს ან ჭიქას, ხაჭაპურს, ღორის თავს, ცულს, წალდს (შრომის იარაღს). ზურგზე ნაბადს ან სხვა რაიმეს, საბანსაც კი წამოისხამენ, მოიკიდებენ ბავშვებს და ასე მივლენ საწნახელთან. იქ ჭიქას აავსებენ ღვინით და დაილოცავენ, წმინდა ბასილს თხოვენ ყოველივე კარგს... უხვ მოსავალს, ყურძენს ხეავს. შემდეგ მეაგუნეები ღორის თავს, ცულს, წალდს და სხვ. ერთდროულად ურტყამენ საწნახელზე და ხმამაღლა გაიძახიან:

აგუნა იო!  
 აგუნა იო!  
 ჩენს მამულში ყურძენია!  
 სხვის მამულში ფურცელია!  
 ჩენს ქალებს ჩერიე და კვირისთავი!  
 ... ..  
 ორჩხუში და ორკობი ვადმოვიტანე“...

და სხვ.

I ამ ჩვეულების არსებობის შესახებ მაცნობებს ჩოხატურის რაიონის სოფ. ბუკისციხის მშრომელებმა პ. გურგენიძის მეშვეობით, რისთვისაც მათ მადლობას მოვასხენებ.

არა გვეგონია აქ კომენტარები იყოს საჭირო, რადგან სიმღერა პირდაპირ შეიცავს მიმართვის იოსადმი, რომელსაც სთხოვენ ყურძენის ხეავსა და ბარაქას, მატყლის, ბამბისა და სხვა დასართავი ნედლეულის სიუხვეს (უამაოდ ჩერიისა და კვირისთავის თხოვნას აზრი არ ექნებოდა).

როდესაც მეაგუნეები ზურგზე მოიკიდებდნენ ბავშვებს და წამოისხამდნენ ნაბადს, ამას ის მიზანი ჰქონდა, რომ ვენახებიც ნაბდებივით შემტევენებულნიყვნენ, ბავშვებივით მძიმე მტევენები გამოეხსათ. საველისხმოა, რომ საქართველოს ზოგიერთ სოფელში დღესაც კი ასრულებენ ამ რიტუალს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში იგი მასობრივად სრულდებოდა გურიაში და ერთ-ერთი პატარა მეაგუნე მეც ვყოფილვარ.

ყველა შემოთ აღნიშნული არგუმენტის გამოით და კიდევ სხვა არგუმენტებით, რომლებსაც აქ ვერ შევხვებით, სავსებით ცხადია, რომ იო არა მხოლოდ ძველ ქართველთა, არამედ ქართველთა წინაპარი ტომების მეურნეობის (მათ შორის მეცხოველეობისაც) ქალღმერთი ყოფილა. გარდა ქართულისა, ამ თვალსაზრისს მხარს უჭერს ბერძნული წყაროებიც.

ბერძნულ მითოლოგიაში, მაგალითად, ცნობილია კრეტის ზევსისადმი მიძღვნილი სარიტუალო ჰიმნი-ლექსი. მაგარ ამის კითხვისას არ შეიძლება გაკვირება არ გამოთქვათ იმის გამო, რომ იგი ზევსის ჰიმნად მიაჩნიათ დღესაც კი, თუმცა ჰიმნის ყოველი სტროფი იწყება იოსადმი მიმართვით. როგორ შეიძლება იგი ზევსის ჰიმნი იყოს, როცა ზევსი მასშიარც კი იხსენიება?

აქ მოვიტან მხოლოდ მეხუთე სტროფს:  
**Ио!**  
**Прыгни (устремись с оплодотворением) нам в наши (винные) чаши,**  
**И прыгни в наши прекраснорунные стада,**  
**И прыгни на наши плодовые поля**  
**И в урожайноносные ульи!**

სრულიად აშკარაა, რომ „აგუნას“ ლექსისა და ამ ჰიმნის მეხუთე სტროფის შინაარსი ერთმანეთს ემთხვევა. ეს დამთხვევა, აგრეთვე ის გარემოება, რომ ჰიმნში ზევსს კი არა, იოს მიმართავენ, უდავოდ ხდის, რომ იგი ქალღმერთ იოს ჰიმნია და ქართული აგუნობის ერთ-ერთი ვარიანტის ბერძნულ სახედ ჩანს.

გარდა ამისა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბერძნული მითოლოგია იოს მამად ასახელებს ხუთღმერთსა თუ მითიურ გმირს, მათ შორის მიჩაჰველ პრომეთეს, იგივე ამირანს. ყველა შემთქმულის შემდეგ, ცხადია, რომ ქალღმერთ იოს მამა მხოლოდ მიჩაჰველი პრომეთე-ამირანია. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მთელ

<sup>1</sup> Проф. А. Ф. Лосев, «Античная мифология», Москва, 1957 г., стр. 109.

დედამიწაზე ხეტილით გაწამებული იო სწორედ მიჯაჭვულ პრომეთეს და არა სხვა რომელიმე ქვეყნის სხვა ღმერთს ან მითითურ გმირს ეკითხება თავისი მომავლის შესახებ.

მიჯაჭვული პრომეთე რომ იოს ნამდვილი მამაა, ამ ფაქტითვე აიხსნება მათი ახლობლური ურთიერთობა, რაც სოფოკლეს „მიჯაჭვულ პრომეთეში“ იგრძნობა, და ნათესაური კავშირიც, რომელსაც პრომეთე-ამირანი არაპირდაპირ უმხვლს ქალღმერთს იოს.

ერთი სიტყვით, ქალღმერთ იოს ბერძნული მითის იმ დეტალი-ელემენტით, რომ იგი მაინცდამაინც ძროხად აქცია ზევსმა, მითოლოგიაში აისახა სინამდვილის ფაქტი, სახელდობრ ის გარემოება, რომ იოზე ბერძნული მითის შექმნამდე იო მეცხოველეობის ქალღმერთი იყო.

აქედან გამომდინარე, კრიმანჭულის წარმოშობის სოციალური საფუძვლების შინაარსი ჩვენ ასე წარმოგვიდგება: მიმართავდნენ რა შრომის დროს მეურნეობის ქალღმერთ იოს თხოვნით, ხვავი და ბარაქა მიეცა ხალხისათვის, ამ მიმართვას მოძახილის ფორმას აძლევდნენ (დაეუკვირდეთ თვითონ სიტყვა მოძახილის ეტიმოლოგიას), ადამიანი, რომელსაც მაღალი ტენორი ჰქონდა, იოს მიმართავდა სხვებთან ერთად, მაგრამ მაღალი ხმით: იო-უუ... ო... იო-უუ... თუ შუა და დაბალი, ბოხხმიანი ადამიანების მოძახილით სიმღერის წყება და ბანი-ხმები იქმნებოდა, მაღალი ტენორის მქონე ადამიანის მოძახილით, გამყივანი ხმით იქმნებოდა კრიმანჭული. კრიმანჭული სხვა არაფერია, თუ

არა მაღალი ტონალობის ვოკალი. სადაც სიტუაციანაწეარა ძლიერ სწრაფად გადადის ერთი სიმალლიდან მეორეზე და ა. შ. სიტყვებით: „იო-უ-ო“... ანდა „ო-იო, ო-უ-ო“... ეს ქმნის სასიმღერო ხმის ხვეულს, კლანდს.

ქართული ხალხური სიმღერების ანალიზს საერთოდ, კერძოდ კი იმ სიმღერების ანალიზს, რომლებშიც იოს უმღერიან (ამათ რიგს განეკუთვნება ყველა კრიმანჭულიანი სიმღერა, საბოლოოდ მიეყავართ ერთ დასკვნამდე, რომ კრიმანჭულის სანოტო სისტემაში ჩაწერა სავსებით რეალურია, სავსებით შესაძლებელი და აუცილებელი.

თუ კრიმანჭულის ყველა ვარიანტს ყველა სიმღერიდან ამოვიღებთ და ფირზე ჩაეწერთ ცალხმად, ხოლო შემდეგ, შესრულების დროს, ფირფიტას ძლიერ ნელა ვაბრუნებთ, აღმოჩნდებათ ასეთი ფაქტის წინაშე: კრიმანჭულა, როგორც სასიმღერო ხმა, სხვა არაფერია თუ არა მაღალი ტენორი. მისი შესრულების დროს ერთი ნოტიდან მეორეზე გადასვლა ხშირად წარმოებს უსწრაფესად 1/16 ნოტით ან იქნებ უფრო სწრაფადაც. ამის სანოტო სისტემაში ფიქსირება და აღწარმოება, წაყიხვა და ნოტებით შესრულება კი სავსებით შესაძლებლად მიგვაჩნია. კრიმანჭულის ნოტებით შესრულებისათვის შეიძლება საჭირო გახდეს მხოლოდ სა-ნოტო ნიშნებს მიეწეროს დამატებითი ნიშანი „იო-ეო“ ან „აო-იო“, „ო-ეო“. ეს იქნება კრიმანჭულის, როგორც სპეციფიკური ხმის, განმასხვავებელი აუცილებელი ნიშანი, რათა კრიმანჭული შესრულდეს მისთვის დამახასიათებელი ვარიანტებით.



# აჭაგის ხარხარი

## 1844 წლის აჯანყება აჭარაში

თურქ დამპყრობთა უღელქვეშ მოქცეული აჭარის მოსახლეობა საუკუნეთა მანძილზე არ სწყვეტდა ბრძოლას განთავისუფლებისათვის. ყოფილა შემთხვევები, როცა აჭარაში დაწყებულ აჯანყებას მთელი სამხრეთ საქართველოც გამოხმაურებია. ამ აჯანყებებმა გარკვეული როლი შეასრულეს ოსმალთა ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ჩვენს ისტორიაში აჭარის მოსახლეობის რამდენიმე აჯანყებაა ცნობილი. თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ 1878 წელს. აჭარის დატოვების დროს, ოსმალებმა თან გაიტაცეს არქივები და, წყაროების უქონლობის გამო. არც ერთი აჯანყება ჭარბობით სპეციალური კვლევის საგანი არ გამხდარა. ხოლო ბევრი მათგანი ჯერ კიდევ სრულიად უცნობია. ამიტომ ყოველგვარი ახალი ცნობა, რომელიც ეხება აჭარის მოსახლეობის ბრძოლას ოსმალთა დამპყრობთა წინააღმდეგ, უფაოდ საინტერესო და ყურადღების ღირსია.

საქართველოს ცენტრალურ ისტორიულ არქივში, თბილისის სამოქალაქო გუბერნატორის ფონდში (№ 16) აღმოჩნდა საქმე (№ 8085), რომელიც ვაჟაფშაის ცნობებს აჭარის 1844 წლის აჯანყების შესახებ. საქმეში 25-მდე დოკუმენტია. იგი ფოცხოვის სანჯაყ ქემალ ბეგის წერილებს შეადგენს ახალციხის უფროსისადმი, ხოლო ეს უკანასკნელი მათ თბილისს ატყობინებდა.

საქმეში გვხვდება აგრეთვე ცნობები იმ პირობებზე, რომლებიც რუსეთის სარდლობამ აჭარაში სპეციალურად გაგზავნა.

რამ გამოიწვია 1844 წლის აჭარის აჯანყება? რა თქმა უნდა, ოსმალთა ბატონობის მძიმე რეჟიმმა. როგორც ცნობილია, ოსმალეთის მთავრობამ აჭარის მოსახლეობას შეაწერა მრავალნაირი გადასახადი. მათგან უველაზე მძიმე იყო „თახშირი“ (გლეხი სახელმწიფოს უხდიდა ყოველგვარი მოსავლის 1/10 ნაწილს). მძიმე ტვირთად აწვა მოსახლეობას აგრეთვე გადასახადი „სალიანი“, რომელიც დაწესებული იყო აღმოსავლეთის აპარატის შესანახად. მას ოს-

მალეთის მთავრობა განსაზღვრავდა ყოველწლიურად, ხოლო შემდეგ ნაწილდებოდა სოფლებზე კომლთა რაოდენობის მიხედვით. აჯანყების მიზეზი იყო სწორედ ამ გადასახადის გადიდება და აჭარიდან 200 კაცის ნაცვლად 800 კაცის ჯარში გაწვევა.

ჩვენ არ მოგვეპოვება ცნობა, თუ რამდენს იხდიდა გლეხი სალიანის სახით 1844 წლამდე და შემდგომ რამდენად გაიზარდა იგი. მაგრამ ამის შესახებ გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს 1874 წლის ცნობები.<sup>1</sup>

ამ წელს ზემო აჭარის მოსახლეობა აღწევდა 2000 კომლამდე და სალიანის გადასახადის სახით იხდიდა 2170 მანეთს. ე. ი. ერთი კომლი წლიურად 1 მანეთსა და მ კაპიკს. უდავოა, 1844 წელს მოსახლეობის რიცხვი ნაკლები იქნებოდა. აქედან გამომდინარე, გადასახადის რაოდენობაც, ნაჯარ კომლზე გაწერილი თანხა პროპორციულად დიდ სხვაობას არ მოგვეცემდა, მით უმეტეს, რომ იგი ყოველთვის ძირითად გადასახადად რჩებოდა. სალიანის გადასახადი 1876 წელს შეიცვალა „ემილით“, რომელიც ქონებაზე იწერებოდა: რამდენი 100 ყურუშიც ღირდა ქონება, იმდენ 4 ყურუშს იხდიდა პატრონი.<sup>2</sup>

სალიანის გადასახადის აკრეფისა და ჯარში ხალხის გაწვევის მიზნით 1844 წლის მარტის შუა რიცხვებში ყარსის ფაშამ აჭარაში გაგზავნა ოფიცერი სოლალასი, რომელსაც თან ახლდა რამდენიმე ჯარისკაცი.

სოლალასი პირველად ზემო აჭარაში ჩავიდა. აქ იგი დაუკავშირდა ახმედ ბეგ ხიშნიაშვილის (გარდაიცვალა 1836 წ.) ქვრივს, იმ დროს აჭარის მმართველ დედი სანუმს. უკანასკნელის დახმარებით, ზემო აჭარის მოსახლეობა დათანხმებია გადასახადის შეტანაზე და ჯარში გასაწვევად სათანადო კონტინგენტი მიუტცია, მა-

1. Г. Казбек, Три месяца в турецкой Грузии, გვ. 36-37.  
2. თ. სახოკია, მოგზაურობა — ვურია, აჭარა, სამურზაყანო, 1930 წ., გვ. 180.

გრამ ქვემო აჭარის მოსახლეობამ ამაზე კატეგორიული უარი განაცხადა.

აღიღებულმა ხალხმა სპეციალური წარმომადგენლები გაგზავნა ზემო აჭარაში და მოსახლეობას აჩანყებისაკენ მოუწოდა. მღელვარება ზემო აჭარასაც მოედო და მალე აჩანყებულები კიდევ შეერთდნენ — სულ შეიკრიბა 5000 მებრძოლი. აჩანყებას სათავეში ჩაუდგა მერისელი ჯინჭორილი და დანდალოელი სული ბეგი. გაერთიანებულმა ძალებმა ოსმალო მოხელეს ერთხელ კიდევ განუცხადეს, რომ არც გადასახადს გადაიხდიან და არც ჯარში მისცემენ არაფერს. სოღასანი გაიქცა ხულოში. დღე-ღამე ხანუშთან და სათანადო დახმარება სთხოვა. აჩანყებულებმა მას კვალდაკვალ მისდევს და ალყა შემოარტყეს დღეი ხანუშის სასახლეს. დაშინებული ოსმალო მოხელე ღამით ყარსში გაიბარა. მაგრამ აჩანყებულები არ დაიშალნენ. მათ დაქინებით მოსთხოვეს დედოფალს ეშუამდგომლა ყარსის ფაშასთან, რათა შეემცირობინათ სალიანის გადასახადი და ჯარში გასაწვევთა კონტინგენტი. თხოვნაში მოსახლეობა ყარსის ფაშას აღუწყებდა: „თუ ოდესმე ომის შემთხვევაში საჭირო იქნება ღრობით ჯარში წასვლა, 200 რეკრუტის ნაცვლად 2000 მისცემენ“.

21 მარტს აჩანყებით დაშინებულ დღეი ხანუშს მცირეწლოვანი შვილები შერიფ ბეგი და კახუჯი ბეგი ფოცხოვის სანჯაყ ბეგისათვის გაუგზავნია, ხოლო იქიდან — ყარსის ფაშასთან.

აჭარის მოსახლეობას 1843 წელსაც განუცხადებია უარი გადასახადებზე. უნდა ვიფიქროთ, რომ მას საკმაოდ სერიოზული მღელვარება მოჰყოლია, რადგან ამბავი სტამბოლამდე მისულა. აჭარლების დასჯის მიზნით სულთანს 12 ქვეშევრდნი ჯარით გამოუგზავნია. იგი 1844 წლის მარტში, აჩანყების პერიოდში, უკვე ტრაპიზონში მოსულა ზღვით და მოქმედება უნდა დაეწყო ქვემო აჭარიდან, ხოლო ყარსის ფაშა ფოცხოვის სანჯაყის გავლით ზემო აჭარიდან დიფუცებდა შერთებს.

22 მარტისათვის მღელვარება ზემო აჭარის ყველა სოფელს მოედო. 24 მარტს დღეი ხანუშის სასახლესთან შეკრებილი ხალხი ღორჯომსა და რიყეთში წავიდა. აქედან მათ ფოცხოვის სანჯაყში გადასვლა უცდიათ, რათა იქაური მოსახლეობაც აემხედრებინათ, მაგრამ ფოცხოვის მმართველს ახმედ ქემალ ბეგს უარი განუცხადებია აჩანყებაში მონაწილეობაზე. ამასთან ზომები მიუღია კიდევ აჩანყებულთა წინააღმდეგ. საარქიო საბუთში ნათქვამია: „თუ აჩანყებულები ფოცხოვის სანჯაყში გადმოვილენ, აქ მე მზად ვარ და ალაპის დახმარებით იმედი მაქვს გავდევნი და დავამარცხებ მათ, რამდენიც არ უნდა იყვნენ ისინი“.

26 მარტს ღორჯომში მახლობელ სოფლებიდან 1500 კაცი შეიკრიბა, რომლებიც მეორე დღეს ჭვანაში ჩავიდნენ. იქ მათ უკვე შეკრები-

ლი დახვდათ მახლობელი სოფლების მოსახლეობა. ჭვანაში რამდენიმე დღეს გრძელდებოდა მსჯელობა, თუ რა ზომებისათვის მიემართათ, რათა არც გადასახადი შეეტანათ და არც შეიკრიბებინათ არც ერთი ჯარში. 30 მარტს აჩანყებულებმა საბოლოოდ გადაწყვიტეს თხოვნა გვეგზავნათ სერასკირისა და სულთნისათვის.

წერილში დახასიათებული იყო აჭარის მოსახლეობის მძიმე ეკონომიური მდგომარეობა, რომ აჭარაში მეტად მცირე საქონლები და სათესი ფართობებია და რომ მათ სხვა შემოსავალი არ გააჩნიათ. ამიტომ ხალხი თხოვდა სულთანს შეემცირობინა სალიანის გადასახადი და გაეუქმებინა ჯარში გაწვევა. ისინი თანახმა იყვნენ ჯარში გაეწვიათ ყველგან მჭერთზე ორი კაცი, როგორც ეს წინათ იყო.

თხოვნის პირადად სულთნისათვის გადასაცემად უმაღლესი სასულიერო პირებიდან ამოარჩიეს დეპუტატები: სოფელ ჭვანიდან ქურა ეფენდი და სოფელ მერისიდან სულიმან ეფენდი. დეპუტატები კონსტანტინეპოლში გაემგზავრნენ ზღვით, ტრაპიზონზე გავლით.

დეპუტატ სულიმან ეფენდის მძა ამ დროს კონსტანტინეპოლში ცნობილი სასულიერო პირი იყვნენა ყოფილა. მას სთხოვდა ხალხი თავისი სახელით ეშუამდგომლა სულთნისა და გავლენიანი პირების წინაშე.

ამავე დროს, ანალოგიური თხოვნით, აჩანყებულებს ორი კაცი გაუგზავნიათ არზრუმის სერასკირთან. ერთი მათგანი ყოფილა სოფ. ჭვანიდან, ხოლო მეორე — სოფ. დანალოდან.

ამრიგად, დანდალოში დაწყებული სტიქიური აჩანყება მთელ ზემო აჭარას მოედო. მაგრამ აჩანყებულებს არ ჰყავდათ საერთო ხელმძღვანელი, არ ჰქონდათ მოქმედების ერთიანი გეგმა და მოთხოვნულების გაგზავნის შემდეგ ხალხის ნაწილი აჩანყებას ჩამოშორდა, თუმცა აცხადებდნენ, რომ საჭიროების შემთხვევაში პირველ დაიხმარებენ გამოვალთ. აჩანყებულთა ნაწილი კვლავ სოფლიდან სოფელში დადიოდა და ხალხს ბრძოლისაკენ მოუწოდებდა.

აჩანყების ერთ-ერთი ხელმძღვანელი ჩინკორილი 1844 წლის 11 აპრილს ხულოში აჭარის მმართველ დღეი ხანუშთან გამოცხადებულა და სასახლის ორი ქვეშევრდნი თხოვია. ხანუშს უარი განუცხადებია.

აპრილის 12-ა რიცხვებში არზრუმის სერასკირს აჩანყებულთა დასახველად მზად ჰყავდა ექსპედიცია ბეგრი ფაშის მეთაურობით. მაგრამ მოქმედების დაწყებას ის აყოვნებდა, რომ გოდერძის უღელტეხილზე ჯერ კიდევ დიდი თოვლი იყო.

უდავოა, ვიდრე ოსმალების ჯარი აჭარაში არ ჩვიდოდა, აჩანყებულებს ბრძოლა არავისთან არ მოუხდებოდათ. ამავე დროს სოფლებში ხენათესვა იწყებოდა და ისინი ძირითადად შინ ელოდებოდნენ სულთნისა და არზრუმის სერასკირის პასუხს. ამერიდან ხალხი მხოლოდ

დროგამოშვებით იყრიდებოდა და მსჯელობდა მომავალზე. ერთ-ერთ შეკრებაზე ქედასა და სხვა დიდ სოფლებში ხალხს ფული შეუგროვებია იმ დებუტატებისათვის გასაგზავნად, რომლებიც სულთანსა და სერასკირს აახლეს მოსალაპარაკებლად.

20 აპრილს აქარაში ხმა გავრცელებულა, სულთნის დამსჯელი ექსპედიცია მოდისო. 23 აპრილს აქარის მოსახლეობა ქედიდან და მის ზემოთ მდებარე სოფლებიდან შუახევისაკენ წაიქცა, სადაც აჯანყებულები უკეთ შემოღებდნენ თავდაცვას. ზემო აქარა კვლავ ფეხზე დადგა. მნიშვნელოვნად გაიზარდა აჯანყებულთა რიცხვი. დაიწყო აქტიური მზადება ბრძოლისათვის. მალე აჯანყებას ისეთი სერაოხული ხასიათი მიუღია, რომ ფოცხოვის მმართველი ქემალ ბეგი რუსეთის სარდლობას სთხოვდა ჯარს. იარაღს და ტყვია-წამალს თავისი საზღვრების დასაცავად. ქემალ ბეგს აწინებდა ის, რომ თუ აჯანყებულები მის სამფლობელოში გადავიდოდნენ, ფოცხოვის მოსახლეობაც მხარს დაუჭერდა მათ. ამისათვის კი იგი სასჯელს მიიღებდა სულთნისაგან. უკიდურეს შემთხვევაში, ახალციხის მაზრის უფროსის სიტყვებით, ბეგს რჩებოდა ერთი საშუალება — იგი უნდა გაქცეულიყო მეზობელ მხარეში. ასეთად მას რუსეთი აღჩვენია.

აჯანყება ამჟამადაც კვლავ ორი ხელმძღვანელის ხელში რჩებოდა, მაგრამ ჩინკორ ოღლი და სული ბეგი დამოუკიდებლად მოქმედებდნენ, რაც აჯანყების შემდგომ ბედზე უარყოფით გავლენას ახდენდა. აქარის მფლობელ დუდი ხანუმს სპეციალური პირები გაუგზავნია აჯანყებულთა ხელმძღვანელებისათვის ჩასაგონებლად, რომ ამბოხება მათ კარგს არაფერს მოუტანდა და საკუთარ ოჯახებს დაბრუნებოდნენ. ჩინკორ ოღლი კი დაჟინებით უმტკიცებდა დუდი ხანუმს, რომ ბრძოლას იგი აგრძელებდა აქარის სრული განთავისუფლებისათვის. წინააღმდეგობა არ შენელებულა აჯანყებულებსა, ხელმძღვანელებსა და დუდი ხანუმს შორის. ხალხი ერთხმად აცხადებდა, რომ ისინი მზა იყვნენ თავისუფლებისათვის ყველაფერი შეეწყიათ. რომ არავითარ შემთხვევაში არ გადაიხდიან გადასახადს და არც ჯარს მისცემენ არავის, ხოლო თუ რსმალის ჯარი ვარს შემოერთებოდა აქარას, „მაშინ თავს დაიცავდნენ უკანასკნელ ძალამდე და როდესაც დააწყებდნენ ბრძოლას, რომ ვერ უმკლავდებიან, მაშინ რუსებისაკენ გადავლენ, ან წყალში დაიხრჩებიან“.

დოკუმენტში ნათქვამია, თუ სულთანი ხალხის თხოვნას არ დაკმაყოფილებს, „მათ არ სურთ

მისი ქვეშევრდომობა და რომ იგი მათთან იყოს“.

მაისში დანდალოელი სული ბეგის მაგიერ აჯანყების ხელმძღვანელად მერისელი აქინ ოღლი აღჩვენდა. უბრველხად მას იმ ბეგების დასჯა ვანუზრახას, რომლებიც აჯანყებაში მონაწილეობაზე უარს იტყობდნენ. აქინ ოღლის აქარის მმართველობის სისტემის შეცვლაც დაუსახავს მიზნად. მისი განცხადებით, აქარა ერთია, ხოლო მმართველი ძლიერ ბეგია. აქინ ოღლის აზრით, აქარაში მხოლოდ ორი მმართველი უნდა ყოფილიყო: ქვემო აქარაში სანჯაყ ბეგი, ხოლო ზემო აქარაში ახმედ ფაშას შვილი — შერიფ ბეგი.

მაისის შუა რიცხვებში აჯანყებულები მზად იყვნენ ოსმალეთის ჯართან შესახვედრად. ისინი ძირითადად ვანაჯვრული იყვნენ წაბლანაში, დარჩიძეებში, აგარაში, ღორჯომში, რიყეთში, ხიხაძირში და სხვ.

1844 წლის 22 მაისს აჯანყებულთ მოუვიდათ არზრუმის სერასკირის პასუხი. იგი უბრძანებდა აქარის მოსახლეობას, წინააღმდეგობა არ გაეწია მთავრობის არც ერთ მოთხოვნაზე, არც გადასახადზე და არც ჯარში გაწვევაზე. უკიდურეს შემთხვევაში სერასკირი აქარის მოსახლეობას მოსპობით ემუქრებოდა.

მოსახლეობამ განიხილა არზრუმის სერასკირის ბრძანება და უპასუხა, რომ ისინი თანახმა არიან მხოლოდ იმ გადასახადზე, რასაც წინათ იხდიდნენ; ჯარში ორასზე მეტ კაცს არ მისცემდნენ და კვლავ იმეორებდნენ, რომ „არ შეუძლიათ ეს მოთხოვნა შეასრულონ“. ასეთი პასუხით არზრუმში გაგზავნეს ორი სასულიერო პირი, რომელთაგან ერთი იყო სახუმ ეფენდი ოღლი. ხალხმა ამავე დროს განაცხადა, რომ თუ სერასკირი მათ თხოვნას კვლავ არ დააკმაყოფილებდა და ჯარს გამოგზავნიდა, იბრძოლებდნენ უკანასკნელ შესაძლებლობამდე. ამავე შეკრებაზე ახალი საერთო ხელმძღვანელი აირჩიეს — იმ დროს აქარაში გავლენიანი პირი კოლომპარ ოღლი.

ამ პერიოდში აქარა ადმინისტრაციულად ტრაპიზონის საფაშოს გადაეცა. სულთნისა და არზრუმის სერასკირისადმი გაგზავნილი მოთხოვნის პასუხი დუდი ხანუმმა ტრაპიზონის ფაშისაგან მიიღო. ფაშას შეუცვლია ძველი გადასახადების რაოდენობა, ხოლო სალიანის სახით სამი ყურუში გაუწვია კომლზე, ამასთან გაუუქმებია აქარელთა ჯარში გაწვევა. მოსახლეობა დაკმაყოფილებულა და აჯანყებულებიც დაშლილან.

**წ. მიხრაილიძე,  
ს. მაღლაკელიძე.**



## მახინჯაურის ეტიმოლოგიისათვის

მახინჯაურის ეტიმოლოგია დიდი ხანია იყვარობს მკვლევართა ყურადღებას. ამის თაობაზე არსებობს რამდენიმე ხალხური გადმოცემა. თითო-ორთა ცნობა შემოუნახავს ქართულ და რუსულ სამეცნიერო ლიტერატურასაც.

ამ საკითხის შედარებით საფუძვლიანი მიმოხილვა მოგვცა ი. სიხარულიძემ,<sup>1</sup> თუმცა იმასაც ზეპირსიტყვიერ ვარიანტთან მხოლოდ ის მოაქვს, რომელიც ისევ მახინჯს უკავშირდება. ი. სიხარულიძის მიერ ხინჯის (ხიდი) ამოკითხვაც დამაჯერებლად არ გვეჩვენება. ისიც უნდა ითქვას, რომ ჭანურ-მეგრული ხინჯი ქართულად ხიდს ნიშნავს, მაგრამ, ვფიქრობთ, მახინჯაურის ეტიმოლოგიის ასახსნელად ეს სიტყვა არ გამოდგება. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ აქ საკუთრივ ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობის გამო, ისიც წარსულში, რაიმე ხიდის არსებობაზე ლაპარაკი კი ზედმეტია. მეორეც, თვით ხინჯს (ხიდს) მა და ურ მაწარმოებლების დართვა სემასოლოგიურად გაუგებარს ხდის.

რას გვეუბნება ამ სახელწოდების წარმოშობის შესახებ ზეპირსიტყვიერი გადმოცემა?

ერთი მათგანი გვეუწყებს, რომ თურქმა მოძალადეებმა მედგარი წინააღმდეგობისათვის ამ მიწის მკვიდრი ქართველები დასაჯეს დასახირებით და მათ უწოდეს მახინჯაური (ნი); ქამათსვლელობაში ამ სიტყვიდან „გი“ ამოვარდა და ამრიგად დავერჩა მახინჯაური.

მეორე გადმოცემის მიხედვით აქ ყოფილა ვიღაც მახო, მახია,<sup>2</sup> ჯავრიანი (ბრაზიანი) და სახელწოდებაც აქედან წარმოსდგა: მახო ჯავრობს, მახი-ჯავრიანი-მახინჯავრი-მახინჯაური.

მესამე გადმოცემა ამბობს, რომ აქ ცხოვრობდა ერთი ბრძენი ადამიანი. სახელად მახინჯი,

რომელთანაც რჩევა-დარიგების მისაღებად მახლობელი სოფლებიდანაც მიდიოდნენ თურბე. არსებობს გადმოცემის კიდევ რამდენიმე ვარიანტი.

შესაძლოა ვიფიქროთ, რომ მახინჯაური მახას და მეგრულ-ჭანური ჯირის (ჯურის) შეერთებით წარმოსდგა (შდრ. ჯიხანჯური). მახა, საბას განმარტებით, მცენარეა, „ყანაა ასლსა ჰგავს“. მახინჯაურში მცენარულთა აღმნიშვნელი ტოპონიმები უნვად გვხვდება (ომბალური, ნაპურვალი, ნაქ(ვ)ავარი, ოჯინჯი და სხვ.). თუმცა ახლა ტოპონიმი მახა არ გვხვდება ცალკე, მაგრამ, საფიქრებელია, იგი ადრე არსებობდა და შემდეგ მასთან ჯურის (ჯირი, ძირი) შეერთებით მივიღეთ სოფლის სახელწოდება მახანჯური. ასეთი იყო, ალბათ, მახინჯაურის თავდაპირველი სახელწოდება, რომელიც შემდეგ შეიცვალა. რაც შეეხება ნს, იგი ჯს წინ ფონეტიკურად არის განვითარებული,<sup>3</sup> რაც ჩვეულებრივი მოვლენაა ჭანურ-მეგრულისათვის. ამ სახელწოდების წარმოშობას ისიც ვვაფიქრებინებს, რომ ისტორიკოსი დ. ბაქრაძე, მოგზაურობდა რა აჭარაში და აღწერდა რა ბათუმისაკენ მიმავალ გზას, მახინჯაურს იხსენიებს როგორც მახენჯურს, არა გვერდია, რომ დ. ბაქრაძეს ან მის ინფორმატორებს არ სცოდნოდათ მახინჯაურის სწორი სახელწოდება. მით უმეტეს, რომ იგი ამბობს: „...გეოგრაფიულ ნომენკლატურას და საერთოდ ადგილის სახელწოდებას უმთავრესად ადგილობრივი ფორმით გადმოგვცემთ“.<sup>3</sup> ამდენად სავარაუდოა, რომ ბაქრაძის მოგზაურობის დროს (1873 წელს) ამ ადგილს უწოდებდნენ მახენჯურს-მახანჯურს, საიდანაც ვღებულობთ მახინჯაურს. მიუხედავად ამისა, ეს მოსაზრება მაინც ნაკლებ სარწმუნოდ მიგვაჩნია.

1 ი. სიხარულიძე, „ტოპონიმია“, II, 1959, გვ. 94-95.

2 ქართულ ონომასტიკონში ასეთი სახელები ცნობილია. იხ. ალ. ყაზბეგის „ხვეისბერი გოჩა“, კ. გამსახურდიას „დავით აღმაშენებელი“ და სხვ.

1 ს. ორბელიანი, „სიტყვის კონა“, 1949 წ.

2 ს. ქლენტი, ჭანურ-მეგრული ფონეტიკა, 1953, გვ. 86-96.

3 დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, რუსულ ენაზე, 1878 წ., გვ. 13.



კიდევ ვიტყვით: თუ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე „ჩერქეზული ტოპონიმია“ უდავოდ დადასტურებულად უნდა ჩაითვალოს... და ...აქ ჩერქეზული მოსახლეობის ოდინდელი არსებობის ნაკვალევია“<sup>1</sup> მაშინ შესაძლოა, მახინჯაურშიც ამ ენათა „ოდინდელი ნაკვალევი“ ამოვიკითხოთ.

ივ. ჯავახიშვილის თქმით, **მახო.** **მახუა** დღეს, ნათელს ნიშნავს,<sup>2</sup> ხოლო კ. ფ. განის მიხედვით **მახი** ხეტორია. მსგავსი სახელწოდების სოფელი ბათუმის რაიონში ახლაც გვხვდება **მახოს** სახით. ამდენად საფიქრებელია, რომ **მახინჯაურ**-საც თავდაპირველად ასეთი სახელწოდება ჰქონდა და შემდეგ დაემატა (ჯირი) **ჯური-ჯაური** (შდრ. **ჯიხანჯური**, **ციხისძირი**, **ხიხაძირი**), ხოლო რაც შეეხება **ნ-ს**, იგი გაჩნდა იმავე გზით, როგორც ეს ზევით აღვნიშნეთ (შდრ. **ციხისძირის** ხალხური სახელწოდება **ციხისძირი**).

უფრო სარწმუნოდ და უცილობლად მიგვაჩინა **მახინჯაურის** საკუთარი სახელიდან — ონომასტიკონიდან წარმომავლობა, მით უმეტეს, რომ მსგავსი სახელის არსებობას ქართულ სახელთა ნომენკლატურაში გვიდასტურებს „ქართლის ცხოვრება“. უამთაღმწერელი, ლაპარაკობს რა ვინმე ალათემურის შემოსევაზე (XIII ს. მეორე ნახევარი) „სამცხის კერძო“, ამბობს: მოიწივნეს ქუენა არტანს... და მუნ დახვდა მურვან გურაკელელი, **მახუნჯავის ძე**, წინა შეემთხვა ნადირობას მიმავალი, რომელი შეიპყრეს

თათართა და კნინდა მოაყუდინეს“. **მაშასადინ** სახელი **მახუნჯავ** ქართულ საკუთარ სახელთა ნომენკლატურისათვის დამახასიათებელი ყოფილა და იგი იხსენიება ისეთ საისტორიო წყაროში, როგორიცაა „ქართლის ცხოვრება“.

ზემოთ დასახელებულ ზეპირსიტყვიერ ცნობათაგან შესამე (და ნაწილობრივ მეორეც) თავსებურად ეხმაურებიან და ამტკიცებენ ამ დებულებას. იქაც ლაპარაკია ვილაც კაცზე, **მახინჯზე** (**მახუნჯზე**), რომელიც, ალბათ, **მახუნჯავის** სახენაცვალი ფორმაა.

ეფიქრობთ, ამავე სახელიდან უნდა წარმოდგებოდეს სოფელ **მახუნცეთის** სახელწოდებაც. ოღონდ იქ ურის ნაცვლად ეთ მაწარმოებელი დაერთო და მივიღეთ **მახუნჯ-ეთი** — **მახუნცეთი**.

ამრიგად, **მახინჯაური** მივიღეთ **მახუნჯ** ურ სუფიქსის დართვით და რიგი ფონეტიკური ცვლილებების შედეგად — **მახუნჯა(გ)ური-მახუნჯაური-მახინჯაური**.

აქვე შევნიშნავთ, რომ ამავე აზრისაა პოეტ-აკადემიკოსი გ. ლეონიძე, რომელიც ამბობს: „**მახინჯაური**“ ხალხური ეტიმოლოგიით წარმოსდგება „**მახინჯი**“-დან. ჩვენის ფიქრით კი საკუთარი სახელიდან „**მახუნჯავ**“ (ეურნ. „**მნათობი**“, № 9, 1960 წ., გვ. 157).

ამგვარად, **მახინჯაური** საკუთარი სახელიდან წარმოშობილი სახელწოდებაა.

ახლა მნელია იმის თქმა, თუ რა დროს შეერქვა **მახინჯაურს** ეს სახელწოდება. ყოველ შემთხვევაში, მისი ტოპონიმის, ონომასტიკონისა და მატერიალური კულტურის ზოგიერთი ნაშთის ზერევე შესწავლაც კი გვაფიქრებინებს, რომ იგი (სოფელი, დაბა) უძველესი წარმოშობისაა.

## აზ. ახვლედიანი.

1 ს. ჯანაშია, შრომები, III, 1959, გვ. 122.

2 ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს, კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, 1950, გვ. 62, 93, 154.



## ჰაიდარ აბაშიძის „წერილები“

აჭარის ასსრ სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა ცნობილი საზოგადო მოღვაწის ჰაიდარ აბაშიძის „წერილები“, რომელსაც წამძღვრებული აქვს ხ. ახვლედიანის შესავალი სტატია. კრებულში მოთავსებული წერილები ქრონოლოგიურადაა დალაგებული (გარდა მცირე გამონაკლისისა) და ასახავს დედა-საქართველოსთან აჭარის შეერთებისათვის თანმიმდევრულ ბრძოლას.

ჰ. აბაშიძის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო წერილი „ხმა ქრისტიან მოძებებს“ პირველად დაიბეჭდა 1913 წლის 17 თებერვალს „ბათუმის გაზეთში“.

ამ სტატიაში ჰ. აბაშიძე ღრმად ანალიზებს მაჰმადიანი ქართველების ჩამორჩენის მიზეზებს და დიდი მადლობის გრძნობით იხსენიებს რუს ხალხს, რომლის ძმურმა დახმარებამ საშუალება მისცა აჭარას შეერთებოდა დედა-საქართველოს. შემდეგ იგი ქრისტიან ქართველებს სთხოვს მეტი დახმარება აღმოუჩინონ მაჰმადიანური საქართველოს მცხოვრებლებს, ხოლო თავის ერთმორწმუნე თანამოძმეებს მოთმინებით განუმარტავს, რომ სარწმუნოება სხვაა და ეროვნება სხვა, რომ სარწმუნოებრივმა სხვაობამ ხელი არ უნდა შეუშალოს ეროვნულ მთლიანობას. საქართველოს ეროვნული გამთლიანება მას მიაჩნდა გადაუდებელ ამოცანად, რასაც საქმითა თუ კალმით უნდა გაროდ ემსახურებოდა და თავგამოდებით ებრძოდა გარეშე თუ შინაურ მტრებს, რომლებიც უკან ეწეოდნენ ხალხის წინსვლას ეროვნული გაერთიანებისა და ცივილიზაციის გზაზე.

ეროვნული ერთიანობის დიადი მიზნით ხელმძღვანელობდა ჰაიდარ აბაშიძე, როცა ცდილობდა ქრისტიან და მაჰმადიან ქართველებს შორის ნდობისა და სიყვარულის აღდგენას, ე. წ. სამუსლიმანო საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შეგნების ამაღლებას. კერძოდ, იგი განსაკუთრებული მონღომებით იბრძოდა სარწმუნოებისა და ეროვნების ერთმა-

ნეთში აღრევის წინააღმდეგ და ძლიერ სამწუხარო ჩვეულებად მიაჩნდა, როცა კითხვაზე „ვინა ხარო“, აჭარელი თუ ახალციხელი უბასუბებდა „თათარი“ ან „მაჰმადიანი ქართველიო“. „...არ არის მიღებული, რომ როდესაც ეროვნებაზე გეკითხებიან, სჯულიც დაუსახელო,“ — წერდა ერთ-ერთ სტატიაში იგი. მაგალითად... ქრისტიან ქართველს რომ ვკითხოთ „ვინ ხარო“, ის ხომ არ გეპასუხებს — ქართველი ქრისტიანო, არამედ მოკლედ გვეტყვის — „ქართველიო“ და თუ სარწმუნოებაზე ეკითხავთ, მაშინ კი გვეტყვის — „ქრისტიანო“. საჭიროა ჩვენ, ქართველ მაჰმადიანებმაც... ვუბასუხოთ „ქართველიო“ და თუ სარწმუნოებაზე გეკითხეს — „მაჰმადიანო“.

ასეთი ღრმა პატრიოტული წერილებისა და მოღვაწეობის გამო ჰ. აბაშიძეს ხშირად უხდებოდა ცილისმწამებლებისაგან თავის დაცვა. წერილი „ქართველი მუსლიმანების საყურადღებოდ“ (და ზოგიც სხვა) მან დასწერა მხოლოდ იმის გამო, რომ ბრალი დასდეს, თითქოს იგი მაჰმადის რჯულს ებრძოდა და ქრისტიანობას ქადაგებდა. სტატიაში „მაჰმადიან ქართველთა ფანატიკოსობა და ეროვნული გრძნობა“ ამის თაობაზე ვკითხულობთ: „...ამაში არ არის არაფერი სჯულის წინააღმდეგი, არამედ ეს იქნება (ეროვნული გაერთიანება — **ვ. გ.**) თქვენი (მაჰმადიანი ქართველების — **ვ. გ.**) განკაცება, გადაამიანება, მოქალაქური და ეროვნული ცხოვრების შეგნება“.

ჰაიდარ აბაშიძე იყო მაჰმადიანი და ქრისტიან ქართველთა შემეერთებელი ხიდი. იგი ერთნაირი პირდაპირობით აკრიტიკებდა მაჰმადიან თუ ქრისტიან ქართველებს, როდესაც ერთი ან მეორე რაიმე შეცდომას ჩაიდენდა ეროვნული გაერთიანების წმინდა გზაზე.

ჰაიდარ აბაშიძე ერთ-ერთი პირველი საზოგადო მოღვაწე იყო, რომელმაც ხმა აღიმალა ქართველი მაჰმადიანი ქალების არაადამიანური ჩაგვრის წინააღმდეგ და მოითხოვა მათი უფლებრივი გათანასწორობა მამაკაცებთან.



ჰაიდარ აბაშიძის კალამი გაბედულად ამხილვდა ყველას, ვინც კი ცდილობდა სწორი გზიდან აეცდინა მაჰმადიანი ქართველობა და ჩამოეშორებინა იგი დედა-საქართველოსაგან. მან მიწასთან გაასწორა არაბი ვასფი-ეფენდი და ბოლომდე გამოააშკარავე სულთნის ამ აგენტის ანტიქართული ზრახვები. ასევე გაბედულად ამხილა მან ყარაღაზადე (ზაქარაძე), რომელიც მხარში ამოუდგა ვასფი-ეფენდის და ამტკიცებდა, რომ მაჰმადიანი ქართველებისათვის აუცილებელია თურქული სკოლა, რადგან უმეტესი წიგნები მათი სარწმუნოებისათვის არულიაო. მერე რაო, უპასუხებდა მას ჰაიდარ აბაშიძე, განა არ შეიძლება ისინი ჩვენი ხალხისათვის გასაგებ ენაზე, ე. ი. ქართულად ვთარგმნოთ, განა ამას ვინმე გვიკრძალავსო?

ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნია მან ყარაღაზადეს მტკიცება, რომ თურქული ენის შესწავლა აუცილებელია კიდევ იმიტომ, რომ თითქოს ქართული ლიტერატურა თურქულსავეთ მდიდარი არ არის და ქართველებს თითქოს თურქებსავეთ ძველი განათლება არა აქვთო.

„ესთქვათ, რომ თურქებს მდიდარი ლიტერატურა და ძველი განათლება აქვთ, — წერდა ამის პასუხად ჰაიდარ აბაშიძე, — მერე ჩვენ, ქართველ მუსულმანებს რა? თუ განათლებაზე და ლიტერატურის სიმდიდრეზე ვილაპარაკებთ, საფრანგეთის განათლება ბევრად სჯობდა ოსმალეთისას და ნემცეთა ლიტერატურისთანა მდიდარი ლიტერატურა არამც თუ თურქებს, არამედ უფრო განათლებულ ევროპის სხვა ერებსაც არა აქვთ. მარა საქმე ამაში კი არა, არამედ იმაშია, რომ ყოველ ერს, როგორი ლიტერატურაც უნდა ჰქონდეს მას, თავისი უნდა ერჩიოს სხვისას, ვინაიდან თავისი ლიტერატურის საშუალებით ვითარდება და წინ მიდის კულტურულად ესა თუ ის ხალხი. სხვისი მდიდარი ლიტერატურით უნდა ვისარგებლოთ, მხოლოდ მშობლიური ჩვენი არ უნდა დავივიწყოთ“.

ასეთი სიმტკიცით იცავდა ჰაიდარ აბაშიძე ქართულ ენას, სკოლას, თეატრს და მთელი სამუსლიმანო საქართველოს სახელით აცხადებდა: „ჩვენ, ქართველი მაჰმადიანები არავის მივცემთ ნებას, რომ ჩვენ საყვარელ დედა ენაზე იერიში მოიტანოს!“

სტატიამი „სამუსლიმანო საქართველოს მშრომელი ხალხის მიმართ“ ჰ. აბაშიძე წერდა:

საქრისტიანო საქართველოსთან ჩვენი შეერთება და კავშირი იქნება „მომასწავლებელი ჩვენი... ფეხზე წამოდგომის, წელში გამაგრების და მით ჩვენი ბეგების და აღების ბატონობის დაცემის... სწორედ ამას გაურბიან ჩვენი ბეგები და მუქთახორები. ამიტომ ისინი არავითარ პროვოკაციას და დემაგოგიას არ ერიდებიან ამ ორი იმების გათიშვისათვის..

დადგა დრო, რომ ჩვენმა ქართველ მუსლიმანთა მშრომელმა ხალხმაც გამოიღვიძოს... მისი ბედი მანვე აიღოს ხელში... გასწიოს წინ ტანჯულთა და მამვრალთა ბედნიერების და კეთილდღეობის მოსაპოვებლად“.

ასეთი მეტრძოლი წერილები, რომლებიც გაბნეული იყო პრესაში, დიდ შთაბავთვებულ და გამათვითცნობიერებელ გავლენას ახდენდა მაჰმადიან ქართველებზე, ფესვებამდე აწიშვლებდა და ლახვარს სცემდა სულთნის აგენტებს, რომლებიც ცდილობდნენ საქართველოსათვის სამუდამოდ ჩამოეცილებინათ სამუსლიმანო საქართველო.

კრებულში შეტანილია აგრეთვე უახლოესი წლების სტტიები და სიტყვები (სიტყვა ი. იმედაშვილის დაკრძალვაზე 1952 წელს, ი. ჯავახიძისა და ა. წერეთლის დაბადების 120 წლისთავის იუბილეებზე. კრებულს დართული აქვს აგრეთვე წერილი „ცოტა რამ აჭარაში ჩემს მოღვაწეობაზე“).

უთენესი იქნებოდა, ეს უცანასკნელი წერილი უფრო ვრცელი ყოფილიყო, მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჰაიდარ აბაშიძე, ალბათ, დასწერს მეშუარებს, რომლებშიც დაწერილებით მოგვიყვება იმ პერიოდზე, როცა იგი აქტიურად მოღვაწეობდა საზოგადოებრივ სარბიელზე.

დასასრულ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ „წერილების“ რედაქტორებს ხ. ახვლედიანსა და კ. რუსიძეს უთუოდ დიდი მუშაობა გაუწევიათ დაკისრებული მოვალეობის პირნათლად შესრულებისათვის. მხოლოდ გაკვირვებას იწვევს, როგორ მოხდა, რომ წიგნი სარჩევის გარეშე გამოვიდა!

სასურველი იქნება, აჭარის სახელგამმა განაგრძოს დაწყებული კარგი საქმე, ასევე მოუყაროს თავი და ცალკე წიგნებად გამოსცეს სხვა პროგრესულ მაჰმადიან ქართველ მწერალთა, პუბლიცისტთა და ჟურნალისტთა ნაშრომები.

**ვასო გოგოლაძე.**

**წიგნი ღვინო ბურამიშვილზე**

„ვერც ფიზიკურად სამუდამოდ შორს ყოფნამ, ვერც იობის ტანჯვამ, რომელიც მან თავს გადაიტანა, — ვერ მოსწყვიტა ის ქართული მიწის ფესვებს, ვერ მოაშორა საქართველოს, ვერ დაშრიტა მისი დაუცხრომელი სულის დუდილი,

ვერ გაანელა მისი გულის ცეცხლი“. ასე იწყებს კრიტიკოსი გ. ნატროშვილი თავის მონოგრაფიულ გამოკვლევას დავით გურამიშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე; ეს გამოკვლევა ცალკე წიგნად გამოსცა „ნაკადულმა“.

დავით გურამიშვილზე ბევრი რამ დაწერილა როგორც ჩვენში, ისე რუსეთსა და უკრაინაში, მაგრამ გ. ნატროშვილის მონოგრაფია „ვითა და-ვლამდი, ისე გავთენდი“ მათგან გამოირჩევა სა-ძიებელ პრობლემათა დაყენებისა და გადაწყვე-ტის, აგრეთვე წერის მანერის ორიგინალობით. იგი არც რომანია და არც ბიოგრაფია ამ სიტყ-ვის ნამდვილი მნიშვნელობით და ერთგვარ მხა-ტრულ გამოკვლევას წარმოადგენს.

ნაშრომი ყურადღებას იპყრობს იმიტაც, რომ მასში დავით გურამიშვილის ცხოვრების აქამდე ცნობილი სურათი შეესებულა ახალი ფაქტე-ბით, ზოგიერთი ახალი მოვლენის აღწერით; ამა-ვე დროს ყველაფერი ეს განათებულია შემოქ-მედებითი წარმოსახვის შუქით და მსჯელობაც ლოგიკური სიმწყობრით ხასიათდება.

წიგნის პირველ თავებში („პოეტის საფლავის ეპიტაფია“, „ქვეყანას ვარ უტყოსა, დაკარგული ტყვეო“...) გამოქმედებულია დავით გურამიშვილის გვარის გენეალოგია, რომელიც პოეტმა სიცოც-ხლის უკანასკნელ დღეებში გაიხსენა და მხატვ-რულად აღბეჭდა „საფლავის ქვაზედ დასაწე-რის“ სახელწოდებით. შემდეგ გ. ნატროშვილი დამაჯერებლად არკვევს პოეტის ტყვედ გატაცე-ბას და ბოლოს ტყვეობიდან გაქცევას, როცა გუ-რამიშვილმა „ჩრდილოეთის ვარსკვლავს, რომე-ლიც ყველაზე უფრო ბრწყინავს ვარსკვლავთა შორის, მიანდო თავისი მომავალი და გეზიც მის-ვენ აიღო“.

მონოგრაფიის მესამე თავი „რამდენ ხანს იმ-ყოფებოდა პოეტი ავარიის მთებში“, რომელიც დაწერილია სიმონ ჩიქოვანთან ერთად, მიზნად ისახავს გაარკვიოს დ. გურამიშვილის პირველი დატყვევებისა და ტყვეობიდან გაქცევის თარი-ღები. ეს საკითხი ჯერ კიდევ არაა დადგენილი და მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ამიერიდან კი შეიძლება დამტკიცებუ-ლად ჩაითვალოს, რომ „დ. გურამიშვილი დაღეს-ტნელთა ტყვეობაში ერთ ზაფხულზე მეტხანს არ დარჩენილა“. ამ საკითხის გარკვევისას გ. ნატ-როშვილი ძირითადად ეყრდნობა დ. გურამიშვი-ლის ნაწერებს, უპირველეს ყოვლისა იშველიებს „ქართლის ჭირსა“ და ე. წ. პირადი ხასიათის ლირიკულ საგალობლებს, რომლებსაც პირობი-თად „დაღესტნურ ციკლს“ უწოდებს.

ტყვეობიდან გაქცეული დ. გურამიშვილი ემი-გრანტ ქართველებთან ერთად ასტრახანიდან მოსკოვს გამგზავრებულა. იქ ვახტანგ მეფის ამა-ლაში მოხვედრილა და აქტიური მონაწილეობა მიუღია იმ საქმიანობაში, რასაც ქართული ემი-გრაცია ეწეოდა.

დ. გურამიშვილს მოსკოვში ყოფნის დროს დიდი ყურადღება და პატივისცემა დაუმსახურე-ბია. იქ დაუწყებია მას ბევრი ლირიკული ლექსი და ზმიანი შაირი. ერთ-ერთი მათგინდელი ზმიანი შაირი „მოსკოვს ქალაქს მზეს ველოდით“ სიმ-

ბოლურად გამოხატავს ქართველთა მისწრაფებებს საქართველოს ხსნისა და თავისუფლებისაკენ.

ვახტანგ მეფის გარდაცვალების შემდეგ ძირ-ფესვიანად შეიცვალა ემიგრანტი ქართველების ცხოვრების ბედი. მათ ისლა დარჩენოდათ, რომ შეედგინათ ჰუსართა პოლკი და რუსეთის არმიის მეომრები გამხდარიყვნენ.

ამ მომენტიდან იწყება დ. გურამიშვილის ახ-ლებური ცხოვრებაც. როგორც წარჩინებულ გვარიშვილსა და რუსეთის არმიის მეომარს, მას უკრაინაში (მირგოროდის მახლობლად) აძლევენ სამკვიდრო მამულს, სადაც პოეტს მშვიდობიანი ცხოვრება როდი ხვდა წილად.

დ. გურამიშვილს მონაწილეობა მიუღია მრავალ ბრძოლასა და ომში, რასაც მისი ლექსებიც ადასტურებენ. პოეტის საბრძოლო თავგადასა-ვალი, აგრეთვე დიდი სამხედრო დამსახურება მკითხველისათვის ნათელი ხდება გ. ნატროშვი-ლის წიგნის მომდევნო თავებიდან „ბესარაბი-იდან ჰელსინკამდე“ და „ვროს-ვეგერსდორფის ბრძოლებში“.

ომგადახდომ პოეტს კვლავ უგემნია ტყვეო-ბის მძიმე ხვედრი („ისევ ტყვეობაში“), მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ტყვეობიდან განთავისუფ-ლებულა და სამუდამოდ დაბრუნებია თავის ად-გილსამყოფელს („მირგოროდის მოქალაქე“), სა-დაც მას ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობა გაუჩაღებია.

დ. გურამიშვილმა უკრაინაში შექმნა თავისი უკედავი „დავითიანი“ და მხატვრული აზროვნე-ბის სხვა შედეგები, რომლებმაც საყოველთაო აღიარება და სახელი მოუხვეჭეს სამშობლოდან გადახვეწილ პოეტს.

გ. ნატროშვილი ვრცლად და საფუძვლიანად ანალიზებს დ. გურამიშვილის პოეზიას, მიუთითებს მის ფოლკლორულ წყაროებზე; იმ წეს-ჩვეულებებზე, რომლებიც ასე თუ ისე გამოძა-ხილს პოულობენ დ. გურამიშვილის შემოქმედე-ბაში. ამ საკითხებზე მსჯელობისას მკვლევარი ხაზს უსვამს დ. გურამიშვილის ნაწარმოებთა იდეურ-თემატიკურ შეხვედრებს რუსული და უკრაინული მწერლობის ნიმუშებთან. გ. ნატ-როშვილი არ ივიწყებს აგრეთვე იმ ორ მთავარ წყაროს („ვეფხისტყაოსანი“ და „ბიბლია“), რომელთაც ცხოველმყოფელი გავლენა მოუხდე-ნიათ დ. გურამიშვილის შემოქმედებაზე.

სხვათაშორის, აქვე ლაპარაკია ვახტანგ მეექვ-სის თხზულების „სიბრძნე მალაღობელის“ შე-სახებ. ეს თითქოს გადახვევაა ძირითადი თემი-დან, მაგრამ როგორც ავტორი გვარწმუნებს, ვახტანგის წიგნს მნიშვნელოვანი როლი შეუეს-რულებია დ. გურამიშვილის პოეტურ ფორმირე-ბაში. გარდა ამისა, იგი ერთგვარად ნათელს ჰფენს ანტიკური სამყაროსადმი დ. გურამიშვი-ლის დამოკიდებულებას.

„ქართლის ჭირსა ვერცინ მოსთვლის“ და „სი-



კვდილისა და კაცის შელაპარაკება“ მკაფიო წარმოდგენას გვაძლევს დ. გურამიშვილის პოეზიის წამყვან თემებსა და პრობლემებს. ამ თავებში მკვლევარი არკვევს, თუ რა არის ყველაზე მთავარი და არსებითი დ. გურამიშვილის პოეტური აზროვნების სფეროში, რით ხიბლავს ის დღევანდელ მკითხველს და სხვ.

გ. ნატროშვილის, როგორც მკვლევარის, დიდი ღირსებაა, რომ იგი პოეტის ცხოვრების გზას განიხილავს ისტორიული განვითარების ასპექტში, გვიჩვენებს მისი შემოქმედების ორგანულ კავშირს თანამედროვე ლიტერატურულ ცხოვრებასთან („დ. გურამიშვილი და თანამედროვეობა“).

აქ წიგნის ავტორი ფართოდ მიმოიხილავს დ. გურამიშვილის ცხოვრების თემაზე შექმნილ ქართულ პოეტთა ლირიკულ და ეპიკურ ნაწარმოებებს. მათგან, როგორც ცნობილია, უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია გამოჩენილი ქართველი პოეტის სიმონ ჩიქოვანის პოემა „სიმღერა დავით გურამიშვილზე“, რომელმაც „მთელ საბ-

ჭოთა ლიტერატურაში ყურადღება მიიქცია“ რედ იმის გამო, რომ აქ დაინახეთ მეტად თავისებური და ახლებური მიდგომა ისტორიისადმი, როცა ისტორია ნამდვილად ცოცხლდება, გაძნობილი თანამედროვეობაში, თვითონ ხდება თანამედროვეობად, როცა „ბნელში მდებარე“ და „დაღამებული“ გურამიშვილი, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, გამოდის ბნელი მღვიმიდან გარეთ, ისევ თენდება მზიან დილასავით“...

სწორედ ამიტომ შეეძლო წინასწარმეტყველურად ვთქვა დ. გურამიშვილს „ვითა დავლამდი, ისე გავთენდილი“...

აქვე გააანალიზებულია ქართველი პოეტების გ. ლეონიძის, გრ. აბაშიძის, კ. კალაძის, ხ. ბერულავასა და სხვათა ლირიკული ლექსები, რომლებიც დ. გურამიშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებას ახალი დეტალებითა და შტრიხებით ავსებენ.

გ. ნატროშვილის წიგნი „ვითა დავლამდი, ისე გავთენდილი“ ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში ფრიად სასიამოვნო მოვლენაა. განსაკუთრებით სასარგებლოა იგი ჩვენი ახალგაზრდობისათვის.

**სიმონ არველაძე.**

## შალვა იოსელიანის „რჩეული“

ხანმოკლე იყო ნიჭიერი პოეტის შალვა იოსელიანის შემოქმედებითი ბიოგრაფია, მაგრამ საკმაოდ ნაყოფიერი. ჯერ კიდევ მოსწავლე იყო იგი, როცა მისი ლექსი დაბეჭდა გაზეთმა „ახალგაზრდა ლენინელი“ (1934 წ.), ხოლო ოცდასამი წლის ქაბუკი ლექსების კრებულით წარსდგა მკითხველის წინაშე. ორი წლის შემდეგ (1939 წ.) გამოვიდა მისი ლექსების მეორე წიგნი, მომდევნო წელს კი პოემა „დაბრუნება“. მალე დაიწყო დიდი სამამულო ომი და შალვა იოსელიანი პირველი დაახილისთანავე საყვარელი სამშობლოს გმირ დამცველთა რიგებში ჩადგა. მან გაიზიარა მამულისათვის თავდადებული ახალგაზრდა ქართველი პოეტების — ძვირფას თანამოკალმეთა მირზა გელოვანისა და სევერიან ისიანის ბედი, ომიდან საქართველოს აღარ დაბრუნება.

შ. იოსელიანის პოეზიის ლირიკული გმირი ნამდვილი საბჭოთა მოქალაქეა, მგზნებარე პატრიოტი და შემოქმედი, რომელსაც ახალგაზრდა პოეტი ასე მიმართავდა:

შენ გამოგზარდა მშობელმა კერამ და დავილოცა ვაჟკაცის მკერდი.  
შენ გმირობაზე რომ არ გემდირა,  
რა იქნებოდი ლაჩარის მეტი.

ეს გმირული სულისკვეთება და ვაჟკაცური შემართება წითელი ძაფივით გასდევს შ. იოსელიანის მთელ პოეზიას. განსაკუთრებული ძალით იჩინა მან თავი ისეთ ლექსებში, როგორც

რიცაა „ახალგაზრდობა“, „გათენებისას სუბტროპიკებში“, „ზღვის სილურჯეში“ და სხვ.

მთელი გულწრფელობითა და სიყვარულით უმღერა შ. იოსელიანმა განახლებულ და აყვავებულ აჭარას. პოეტის თქმით, თავოსა და პერანგს მთებში კი სიხარულის საზეიმო ყვავილებით მოიქარვა. უხვი მოსავლით აიცხოვრებდა გლეხის ბედელი: „ნალოები გაიქეჭა, ტემპებს ითხოვს შრომა“. ახალი, საბჭოური აჭარის ყოფაცხოვრების მშვენიერი სურათებია ლექსებში „გაზაფხული“, „აჭარული პეიზაჟი“, „ლიმონების ბაღი“, „მთაში“, „ფორთოხლის ქარავანი“, „გაზაფხული აჭარაში“, „დიდაჭარის დილა“, „ვარუდილა“, „შემოდგომა“, „სურათები“.

ბევრი საინტერესო პოეტური სიმღერა შექმნა შ. იოსელიანმა სამშობლოს სიყვარულზე. გმირულ საბჭოთა პატრიოტიზმზე. პოეტის რწმენით, საბჭოთა აღმშენებლის ისევე უყვარს თავისი სოციალისტური სამშობლო, როგორც მშობელი დედა, და დიდი სამამულო ომის ფრონტიდან ქართველ დედებს მიმართავდა: „მე დღეს სამშობლოს ვეძახი დედას, თქვენ შემოგვევლო — შენ და სამშობლოს“.

შ. იოსელიანს დრამა სჭაროდა, რომ ფაშისტურ გერმანიასთან ომში საბჭოთა ხალხი აუცილებლად გაიმარჯვებდა და მონობის უღლისაგან იხსნიდა ევროპის ხალხებსაც. ასეთი რწმენა პოეტის ლექსებს აძლევდა დიდ ძალას

და ბევრი მათგანი საკმაო პოპულარობით სარგებლობდა მკითხველთა შორის, ხოლო ზოგიერთი სიმღერადაც კი აქცია ხალხმა, როგორც, მაგალითად, ცნობილი ლექსი „ჩემო მიწავ!“

ბავშვობის დღიდან კვალდაკვალ მღვედა გამბრობის ცეცხლი ჩაუქრობელი. ჩემს ვეკაცობას მოესწრო დედა, მამულისათვის მზრდიდა მშობელი. და მეც მოვდივარ, მტერო ტიალო, მოვდივარ რისხვით, ვით ქარიშხალი, რომ შენს გულღვიძლში დავატრიალო სააკაძის და ერეკლეს ხმალი.

საბჭოთა მებრძოლის პატრიოტულ გრძობებს გამოხატავენ აგრეთვე ლექსები „სიმღერა სამშობლოზე“, „დედას“, „დედის მოწოდება“, „ძმას“, „ამაგდარი ხალხი“, „წერილი დედას“ და სხვ.

შალვა იოსელიანისათვის უცხო არ იყო არც ჯანსაღი სატრფიალო ლირიკა. მისი თქმით, სიყვარულიც გაზაფხულის ყვავილია, „სიყვარულიც გაზაფხულს მოაქვს“ და იგი უნდა იყოს ისე ფაქიზი, სვეტაკი და ისე პატოსანი, რო-

გორიც გაზაფხულის პირზე იის პირველი გამრღვიძება. ამავე ღროს პოეტმა ეს დიდი ადამიანური გრძობა უნარიანად დაუკავშირა საერთო-სახალხო საქმეს და განაცხადა, რომ სიყვარული ხელს უნდა უწყობდეს მის წარმატებას, ქალ-ვაჟთა სულიერი სამყაროს გამდიდრებასა და გაყეთილშობილებას. სწორედ ამით იქცევეს ყურადღებას პოეტის სატრფიალო ლირიკა, რომლის რკალში შედის ლექსები „სახლთან“, „ერთი ღამე“, „ლოდინი“, „წვიმიანი დღე“, „პატარა ქოლგა“ და სხვ.

გარდა ლირიკული ლექსებისა, „რჩეულში“ წარმოდგენილია სამი ეპიკური ნაწარმოები. მათგან „რამდენიმე სურათი ერთი კაცის ბიოგრაფიიდან“ უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ მონახაზია ვრცელი პოემისა. უფრო საინტერესოა პოემები „გმირი ვაჟას მთიდან“ და „დაბრუნება“.

შ. იოსელიანის „რჩეულს“ წინ უძღვის წიგნის რედაქტორის გ. სალუქვაძის მოკლე შესავალი წერილი.

**ი. გიბილიაშვილი.**



ბრიზოლ ჩხაიძე

ს ა ნ თ ე ბ ე ლ ა

მატარებელი ჩამოდგა.

ქიშვარდიმ სადგურის ბუფეტში ალავერდი მოპირდაპირეს გადააწოდა და ნაბახუსევი ბაქანზე გავიდა.

ჩამოსული მგზავრები მალე მიმოიფანტნენ. მხოლოდ ერთი ჩემოდნისანი მანდილოსანი იდგა შუა ბაქანზე.

— ოჰო, ეს რა ფარშევანიგი მოფრენილა? — შორიდან მუშტრის თვალი შეავლო ქიშვარდიმ და „ჩიტი-გვრიტი მოფრინავდას“ ნელი ღიღინით შემოუარა, ურცხვად აათვალ-ჩაათვალიერა და იქვე ახლოს გაიჭვიმა.

მანდილოსანს ქიშვარდისათვის ყურადღება არ მიუქცევია.

ქიშვარდის გულმა აღარ მოუთმინა. ცნობის-მოყვარეობამ ძლია. ცოტა ღვინომაც წაუბიძგა, ერთხელ კიდევ შორიდან შემოუარა წრე და, რაკი ახლაც ვერ დაიმსახურა ყურადღება, ახლოს მიიწია.

— უკაცრავად, ქალბატონო... გამარჯობათ! თქვენ, ალბათ, ვინმეს ელოდებით?

— უნდა დამხვედროდნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, ვერ მოახერხეს. ცოტას კიდევ დავუცდი-თუ არ მომაკითხეს, რა გეწყობა, მარტო უნდა წავიდე. სოფელი მთისპირეთი არც თუ ისე შორსაა, ხომ?

— როგორ, ამ ღამით? არ გეშინიათ? დარჩით, ხალხნი ვართ, ღამის გასათევს როგორმე გიშოვი-თ.

— გმადლობთ, დარჩენა არ მეწყობა. მთვარიანი ღამეა, არაფერი მიშავს. თუ პატივს მცემთ და სადმე ამ ჩემოდანს შემანახენებთ, დიდი მადლობელი ვიქნები.

— შეუძლებელი არაფერია, ქალბატონო. მაგრამ შეიძლება დატოვება არ დაგვირდეთ. მთისპირეთში დილით მინდოდა წასვლა, თქვენი ხათრისთვის შემიძლია ამალამვე წამოვიდე.

\* \* \*

სავსე მთვარე ტყით დაბურულ გორაკს იქიდან ამოგორდა და ერთიანად გაიბადრა. ქიშვარდი ქალის ჩემოდანს დასწვდა და მხარზე ძლიეს-ძლიობით შეიდგა.

— აბა, წავიდეთ, გენაცვალე! უკაცრავად, თქვენი სახელი?

— ქეთევანი.

— ოო, რა კარგი სახელია. ქეთევან დედოფალი!

— თქვენ რა გქვიათ?

— ქიშვარდი, გენაცვალე.

— თქვენც კარგი სახელი გქონიათ.

— რა მაგის პასუხია. მაგრამ ქალაქიდან მოღიხართ, ხომ?

— ქალაქიდან.

— კარგი მთვარეა, ხომ?

— ძალიან მომწონს შემოდგომის მთვარიანი ღამეები.

— როგორი ამინდია ქალაქში?

— არა უშავს, კარგი.

— ჰმ, ეე... ქმარი გყავს?

— არა, უქმრო ვარ.

— კაია.

— რაა კაი. უქმრობა? თქვენ საიდან იცით?

ქიშვარდის ენა დაება, სიტყვას თავი ვერ მოაბა. დაღუძმა. მალე გზაჯვარედინს მიადრწის.

— ქეთევან, გენაცვალე, აი, აქიდან წავიდეთ, მოკლე გზაა და მალე მივალთ. — ქიშვარდიმ ქეთევანს ბილიკზე მიუთითა.

— როგორც ჯობდეს, — დაეთანხმა ქეთევანი. ბილიკი მართლაც მოკლე იყო სოფლამდე, მაგრამ ტყით დაბურული.

ქიშვარდისაც ეს უნდოდა.

ქეთევანმა ფეხს აუჩქარა. ჩემოდნით დამძიმებულმა ქიშვარდიმ თავს ძალა დაატანა, მაგრამ თანამგზავრის დაწვევა გაუჭირდა. ოფლში გაი-

წურა. უნდა დაუბახოს, შეაჩეროს, მაგრამ ენა არ ემორჩილება, ქეთევანი კი უკან არ იხედება. „აი შერცხვენაც ესაა. თვალი სად გაეახილო, თავი სად გამოეყო, ყველანი ლაჩარს დამიბახებენ“, — გაიფიქრა აქოშინებულმა ქიშვარდომ და გზა უყელა, ჩემოდანი მიწაზე დააგდო და ქეთევანს წინ გადაუდგა. ქალი თითქოს ელოდა ამას და დამცინაუად გადაიციქისა.

— რა მოგივიდა, ქიშვარდი? ჩუქ. ვიღაც მოდის. — ქეთევანმა აულღელებლად გადაუწია შუბლზე ჩამოგენჯილი შავი ქიჩორი. ქიშვარდი დაიბნა, აქეთ-იქეთ მიმოიხედა, გაუგებრად ალულღულდა.

— დაწყნარდი, ქიშვარდი. დაწყნარდი! ტყეში კი ხარ, შე კაცო, მაგრამ მხეცი ხომ არ ხარ? ხელი გამოშვი, დამილურჯდება. ხალხი რას იტყვის! ჩაივლეთ სოფელში და...

ქიშვარდომ შეგუბებული სული მოითქვა. ჩემოდანზე ჩამოჯდა. ერთხანს მომღურაგებებით ღუმდნენ. მერე სიჩუმე ისევ ქეთევანმა დაარღვია.

— ხომ დაისვენე? ახლა წაივლეთ, უკვე გვიანია, — დაუყვავა ქალმა.

ქიშვარდი ქალის ალერსიანმა ხმამ მორაბილა. „არ უნდა გამიანჩხლდეს“, — იმედიანად გაივლო გულში. წელისთრევით წამოდგა, ჩემოდანს ზანტად დააგდო ხელი. ქეთევანი მიეშველა, მხარზე შეადგმევინა, ბილიკი უხმოდ გაირეს და შარავზაზე გავიდნენ.

პირბადრი მთვარე მორცხვად იღიმებოდა. ღამის მყუდროებას კალიების ჭრიჭინი და ძალღუბის ყეფა კაწრავდა.

ქეთევანი სრული ნაბიჯით კვლავ წინ მიდიოდა. ქიშვარდის გზადაგზა ფეხები ეკაცებოდა. ქირის ოფლში გაიღვარა.

შარაზე ერთ ეზოსთან მანქანას გზის მაჩვენებელი ქეის ბოძი მოეთხარა. ქეთევანი იმ ბოძთან შეჩერდა. ქიშვარდი მიუახლოვდა და მხრიდან ჩემოდანის ჩამოღება დააპირა.

— აი, აქ ჩამოდგი ჩემოდანი, ქიშვართან! — ხმამალა უბრძანა ქეთევანმა. — ქიშვარდი არ მოელოდა. დაიბნა. ჩემოდანი უხმოდ ჩამოდგა. ხალათის სახელოთი სახიდან ოფლი ჩამოიწმინდა და ქეთევანს ხელი ნაბიჯით მიუახლოვდა, რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ქეთევანის მრისხანე თვალებმა უკან დაახევინა. ესეც არ იყოს, ხელში რევოლვერი შენიშნა და... შეკრთა. უკან დაიხია. ენა დაება. ხელ-ფეხი აუკანკალდა.

— რას დგებარ! შენც ნამუსის ქული გხვარავს, არა?.. აიღე ეს ქვა, მხარზე გაიდე, სახლში ისე მიიტანე, უკან არ მოიხედო, თორემ იცოდე შუბლში დავახლი. აბა, გასწი! ხვალ შენსას დამხვდეს. ვიცი სად დგებარ.

ქიშვარდი ცოტა შეყოყმანდა, რევოლვერის

ლულას კვლავ შეავლო თვალი. ქვას ნელ-ნელა დასწვდა. მხარზე უსიტყვოდ ძლივსძლიობით შეიღო და თვალის საწიერამდე დიდის ვიკავლახით მიიტანა. შემდეგ უეცრად გადააგდო და უკანმოუხედავად, უხმოდ სახლისაკენ მოკურცხლა.

ქიშვარდის ღებინო მალე გამოუქარდა. ღამე უძილოდ გატეხა. თავს შეურაცხყოფილად თვლიდა, დიაცმა როგორ შემაშინაო, თან თავისთავს აიშვდებდა, „სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობსო“.

ღილით ცუდ ხასიათზე იყო. მაგრამ სამსახურში მაინც წავიდა. ძალიან აინტერესებდა ქეთევანის ვინაობა. უნდოდა საღმე შორიდან, მალულად მაინც მოეკრა თვალი, მაგრამ სად?..

მალაზიაში პაპიროსი იყიდა და სუფთა ჰაერზე გამოვიდა. დიდხანს იქაც ვერ გაძლო. საათს დახედა, ერთხელ კიდევ მიმოიხედა და კოლმე-ურნეობის კანტორაში ფეხათრევით შევიდა. თავმჯდომარის კაბინეტიდან ხმამალაი ლაპარაკი მოესმა. კარი ფრთხილად შეაღო. თავმჯდომარე ბრიგადირებში ჩამდგარიყო და რაღაცას ხმამალლა ყვებოდა. დაინახა თუ არა კაბინეტში ცხვირშეყოფილი ბულალტერი, საუბარი შეწყვიტა და მიამახა:

— ქიშვარდი, აქ მოდი!

ქიშვარდი გაუბედავად მიუახლოვდა და იქვე, თავმჯდომარის გვერდით, მოღიმარ ქეთევანს შეასწრო თვალი.

— რა მოიცხვ სასიძოსავით დგებარ? მოდი, ბიჭო, იცნობდე, ცენტრიდან მომავრებული ამხანავია. ეკონომისტი ქეთევან...

— ოო, ჩვენ უკვე ვიცნობთ ერთმანეთს, გამარჯობა, ქიშვარდი! როგორ გიკითხოთ? — ქეთევანმა დიდი ხნის ნაცნობივით მოიკითხა ქიშვარდი და ორივე ხელი ჩამოსართმევად გაუწოდა. ქიშვარდი სახეზე აილენწა, თავმჯდომარეს ქურდული მზერა შეაპარა.

„ნუთუ ყველაფერი იციან?“ — გაიფიქრა ქიშვარდომ და, მღელვარება რომ დაეფარა, პაპიროსი ამოიღო, ჯიბეში ასანთი მოიძებნა. ქეთევანმა დაასწრო, პორტფელი თვალის დახამხამებაში გახსნა და ქიშვარდის ცხვირწინ დილის მზის სხივებზე მონიკელებული რევოლვერი ალაპლაპდა.

ქიშვარდი ბალღივით შეხტა და პაპიროსი გაუვარდა. ქეთევანმა სასხლეტს თითი გამოკრა და „რევოლვერის“ ლულიდან ცეცხლის ალი გამოვარდა.

— სანთებელა! — ყრუდ ჩაილაპარაკა თავდახრილმა ქიშვარდომ და ბაგე მოიკვინტა.

— სანთებელა! — იმეორებდნენ სხვებიც და ხარხარებდნენ.





## შაქვა შუბლაძე

### უოჩივარდა

ის თავზე ტყისპირს მშვიდად  
გაშლილიყო ყოჩივარდა.  
მზის ნათელი დაებინდა  
ხშირ ფოთლების მწვანე ფარდას.

ია ეტყვის:

— „მეც მზით ეხარობ.

ცოტა გაწზე, მეგობარო!“

ის კი თხოვნას და მუდარას  
ყურს არ უგდებს, სულაც არა.

ვარდმა უთხრა:

— ყოჩივარდავ.

სიჯიუტე როდი ვარგა.

აი, ცოტა გადიხარე,

ტურფა იაც გაახარე.

ნუ წაართმევ იმ შუქს იას.

რაც მზეს მისთვის მიუცია.

ხმას არ იღებს ყოჩივარდა.

არ სურს სმენა მომჩივანთა.

მამინ ვარდმა ტოტით ფრთხილად

გადუხარა ყლორტი წინა.

იამ თვალი გაახილა,

მზეს შესცინა. ვარდს შესცინა.

ბრაზი ახრჩობს ყოჩივარდას.

მისკენ მკაცრად მოტრიალდა:

— სხვას პატივი რად ვცე ნეტა.

თუ მან ჭირში ჩამახედა?

ვარდმა უთხრა:

— ცდები, კარგო.

კი მინდა, რომ შენც იცოდე.

შეიძლება სხვას რამ არგო

ისე, რომ არ შევიწროვდე?



## ჩაუბო მიხვედაძე

### საგავერო ნაწარმოები

მოგვხსენებთ, უკვე დაოჯახებული კაცის ფიქრები ყოველთვის ცოლ-შვილს დასტრიალებს, მით უმეტეს, თუ ისეთი ქვეიანი მეთულე შეხება, როგორც ჩემი მარინეა, და ისეთი ნიჭიერი შვილი, როგორც თემურია.

დღესაც მე და ჩემი მეგობარი, დაღლილები, სამსახურიდან მოვდივართ და ისევ ამ თემაზე ვსაუბრობთ.

ვსაუბრობთ და ჩვენს გაბადრულ სახეებზე დაკვირვებული გამკლელი ყველაფერს ამოიკითხავს. მეგობარი მუდამ ჩემს ცოლ-შვილს აქებს (აბა რისი მეგობარია!), არც მე ვრჩები ვალში და ასე მეორდება ყოველდღიურად.

კარგია, რომ ცოლ-შვილის უკეთეს-უარესობაზე არასოდეს არაფერი გვითქვამს. გულში რასაც ვფიქრობთ, ეს ჩვენი საქმეა (მოგვხსენებთ, ყვავსაც თავისი ბახალა მოსწონს) და, თუ ოდესმე ერთმანეთს ორიოდ სიტყვით მაინც ვანიშნეთ, მე უკეთესი ცოლ-შვილი მყავსო, ალბათ, მაშინვე დაესმება წერტილი ჩვენს მეგობრობას.

ჯერჯერობით, სინდისია თუ აღამიანური ეთიკა, ამის ნებას არ გვაძლევს. ეს-ეს არის თემური ქებით მეშვიდე ცამდე ავიყვანეთ. მე, კმაყოფილი მამა, მორცხვად ვუქნევ თავს და ვიღიმები, რომ...

— პატივცემულო გიორგი, თქვენთან სასაყვედურო მაქვს!

შუბლზე ცივი ოფლის წვეთები ვერცხლისწყალივით ამითამაშდნენ, როცა ჩემს წინაშე დავინახე ის, ვისზეც დიღად იყო დამოკიდებული თემურის ახლანდელი მდგომარეობა მეგობრის თვალში.

ხელი გავუწოდე და თითებზე მრავალმნიშვნელოვნად მოვუქირე.

— ვერ მიცანით? მე თემურის მასწავლებელი ვარ.

— გიცანით, როგორ ვერ გიცანით, თვითონ პატივცემული ქეთევანი ბრძანდებით! — მივუ-

მლიქნელე მე და ხელი კიდევ უფრო მაგრად მოვუქირე.

— დაახ, სასაყვედურო მაქვს. აი თემურის შესახებ უნდა მოგახსენოთ.

რა გაეწყობა, სიტყვის ბანზე ავდება უკვე გვიანაა, თვალები დავხუტე და განაჩენს დავლოდე.

— კლასგარეშე ლიტერატურის კითხვაში ძალიან ვემდღეო.

ბოდიშის მოსახდელო ტყბილი სიტყვები მოვიზაღე.

— აბა რასა ჰგავს ეს? ჯერ მხოლოდ მეოთხე კლასშია და უკვე ღრეიხერს, პლობერს და ხემანგუეის კითხულობს.

ბრალდებას რომ ჩავუქვირდი, ჩემს მხარეზე აშკარა სიმართლე შევნიშნე და ხმა აღვიმადლე.

— პატივცემულო ქეთევან, მამატიეთ, მაგრამ ამ საკითხში... ერთი სიტყვით, მხატვრული ლიტერატურის კითხვაში ჩემს ბავშვს ვერ დაემდურებოთ. პატიოსნებას ვფიცავარ, ჩემი თვალთ დავინახე გუშინ ჯეკ ლონდონი დაამთავრა და რემარკი დაიწყო. მართალია, წიგნებს ჩქარა ვერ კითხულობს, მაგრამ რასაც წაიკითხავს, გულდასმით, დაკვირვებით და წაკითხულის შინაარსსაც ხშირად მიახმობს.

ალბათ, არქიმედეს თავისი ცნობილი კანონის აღმოჩენა ისე არ გახარებია, როგორც ქეთო მასწავლებელი ჩემმა ნათქვამმა გაახარა.

— აი თურმე რაში ყოფილა საქმე! — ნიშნისმოგებით მითხრა თვალგაბრწყინებულმა. — თქვენ ყოფილხართ მთავარი დამნაშავე ამ საქმეში. მე ჩემი პედაგოგიური სინდისი და სამსახურეობრივი მოვალეობა მაიძულებს მიგი-თითოთ. კატეგორიულად აუკრძალეთ თქვენს ბავშვს ასეთი წიგნების კითხვა. იკითხოს მხოლოდ და მხოლოდ საბავშვო ნაწარმოებები. რაც შეეხება პლობერს და ხემანგუეის, ესენი, თემურის კი არა, დარწმუნებული ვარ, ზოგი-

ერთ მის მასწავლებელსაც არ ექნება წაკითხული (შწარედ უკბინა კოლეგებს).

რაღა მეტიმოდ! „გმადლობთ, თქვენს ნათქვამს აუცილებლად შევესრულებ-მეთქი“, ეუბასუხე და ერთი ქართული მწერლის ახლად გამოცემული და კარგად გაფორმებული „საბავშვო მოთხრობებით“ დაებრუნდი შინ.

— რა ჰქენი, მამა? რომ შემპირდი „აივენგოს“ მოგიტანო, ვერ იშოვე?

ხმა არ გამოიცია, ისე გაუფწოდე თემურის ახლად შეძენილი წიგნი. განხრებულმა წიგნი გამომართო და, „აივენგოს“ მაგივრად „საბავშვო მოთხრობები“ რომ შერჩა ხელში, არც მას გაუცია ხმა, თავის მაგიდას დაუბრუნდა და რემარკის კითხვა განაგრძო.

— აი რა, შვილო... (მკითხველს თავს არ მოვაწყენ, ქეთევანის სიტყვები ზუსტად გაეუშვორე).

თემურმა გულდასმით მომისმინა, რემარკი გვერდზე გადადო და ახლად შეძენილ წიგნს მორჩილად დაუწყო კითხვა.

აი ზის და კითხულობს.

მე ჩემს საქმეს ვაკეთებ და ზოგჯერ მზრუნველად გადავხედავ. მაგრამ, ჰოი საკვირველებზე! მის სახეზე ვერც ჩვეულებრივ გაოცებას ვხედავ, ვერც კმაყოფილების გრძნობას, გულწრფელი ამბებით და ლამაზი სტრიქონებით გამოწვეულს.

გავიდა ერთი საათი.

მეორე დაიწყო.

თემურმა ამოიხარა. წიგნი გვერდზე გადადო.

მოდარით სავსე თვლები ჩემსკენ გამოაპარა და ისევე რემარკს დაუბრუნდა.

— დაამთავრე?

— დიახ!

— ასე მალე?

— ჰო.

— მაშ მოდი და რომელიმე მოთხრობის შინაარსი მიაშვებ.

თემური მიახლოვდება. „საბავშვო მოთხრობებს“ მაგიდაზე მიდებს და მისგან პირველად მესმის:

— ვერაფერი გავიგე.

ყურებს არ ეუჯვრებ.

როგორ, ჩემმა შვილმა, რომელმაც „დიდოსტატის მარჯვენაც“ კი მშვენივრად მიაშვო, საბავშვო მოთხრობის შინაარსი ვერ გაიგო?

— შვილო, ავად ხომ არა ხარ?

— არა.

ცოტა არ იყოს, ვავბრაზდი.

— ვერ გავიგე! ვერ გავიგე იმიტომ, რომ გულდასმით არ წავიკითხავს. აქაოდა, საბავშვო მწერალიაო. დიახ, დღეიდან შენ სულ საბავშვო ნაწარმოებები უნდა იკითხო. გესმის?!

თემური თავს მიქნევს და თაროზე მარჯვნივ ათვალავს.

— და შენ მაინც ამბობ ვერაფერი გავიგეო, არა?! აბა მოდი, ერთად წავიკითხოთ და ვნახოთ, გავიგებთ თუ არა.

შემდეგ სათვალეს ვისწორებ, თემურის გვერდით ვისვამ და „საბავშვო მოთხრობების“ მესამე გვერდიდან ვიწყებ კითხვას.

## მ რ ი მ ე მ მ ბ ა რ ი

ხომალდში არ ჩაალაგო ყველაფერი, რაც გაქვს.

**პესიოდე.**

სამსახური იქნებოდა! — მიუგო ვანომ და წითელ ყელსახვევზე დაიხედა.

— უი მართლა, სულ დამავიწყდა! ყოჩაღ ვანო, მეგობარიც ასეთი უნდა, კარგად მოიქეცი, რომ არ მიკარნახე, — უთხრა კმაყოფილმა ნიკომ.

...აი, ახლა დილაა. მისის მშვენიერი დილა. მზე ზეციდან ღიმილით იხედება. ხეებს თეთრი ტანსაცმელი ეს-ეს არის გაუხდიათ და მწვანედ შემოსილან. კარგი სანახავია ამჟამად ბუნება.

შემოდგომაზე კი... შიშველ-ტიტველნი საცოდავად რომ დგანან და კბილების კაწკაწით ეგებებიან მრისხანე ზამთარს... მაშინ არ არის კარგი სანახავი.

ზამთარში თოვლი მოდის.

თოვლი თეთრია.

ზუსტად ისეთი ფერისაა, დედა რომ საბანს დაგვახურავს და ჩვენ იმ საბანს ზოგჯერ იატაკზე რომ გადმოვავდებთ, თეთრი სარჩულით გულადმა გადაბრუნებულს.

ვანო და ნიკო განუყრელი მეგობრები არიან. ეს კი უბრალო ენით ნიშნავს: ისინი ერთად მიდიან სკოლაში, ერთ მერხზე სხედან (ე. ი. ერთად ესწრებიან გაკვეთილებს), ერთად ბრუნდებიან შინ, ერთად ამზადებენ გაკვეთილებს და ერთმანეთს ყოველთვის ეხმარებიან საოჯახო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

ვანო და ნიკო არასოდეს არ ჩხუბობენ, არ ცელქობენ და ამხანაგებში დიდი სიყვარულით და ნდობით სარგებლობენ.

გუშინწინ რუსულის გაკვეთილზე მასწავლებელმა ნიკო გაიძახა. ნიკოს გაკვეთილი მომზადებული ჰქონდა, მაგრამ ერთ ადვილზე ცოტა დაავიწყდა და შეჩერდა. ვანოს გადახედა და ფეხით ანიშნა მიკარნახეო.

ვანომ არ უკარნახა.

ნიკომ სამიანი მიიღო და შესვენებაზე მეგობარს უსაყვედურა.

— არ გრცხვენია, ნიკო? ეს ხომ დათვური



ჩემს დანჯარასთან ასფალტს ამჯამად რუხი ფერი დაჰკრავს, მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, ზამთარში თოვლისგან ისიც კი თეთრდება.

ეს ზამთარში.

წელიწადს სულ ოთხი დრო აქვს. გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა და ზამთარი.

ახლა კი მშვენიერი გაზაფხულის დილაა.

ვანო და ნიკო „პადიფილიდან“ გამოდიან და ხალისით მიჰყვებიან სოფლის დაკლანძლულ შარაგზას, რომელიც სკოლისაკენ მიდის.

ვანო და ნიკო საუბრობენ.

— ვანო!

— რა იყო?

— ვანო, როცა გავიზრდები, მე მფრინავი მინდა გავხდე. რა ჯობია ჰაერში იქროლო არწივივით, ლაქვარდებს სერავდე. მაღლიდან დაჰყურებდე ქვეყანას, სახლებს, კომუნისტების ხარაჩოებს, ადამიანებს!

— ჩემი ოცნება კი ტრაქტორისტობაა. რა სჯობია, ბიჭო, რკინის საჭესთან იჯდე. ტრაქტორის მონოტონურ გუგუნს ყურს უგდებდე. ბელტი ბელტზე გადმოაწვინო და დოვლაითანი მოსავლით ასახელო ჩვენი ქვეყანა.

— ერთი სიტყვით, ჩვენს ქვეყანაში ყველა პროფესია სასახელო და საამაყოა.

— ოღონდაც, ძმაო, ოღონდაც.

— ვანო, დღეს ფეხბურთი არ ვითამაშოთ!

— სად მცალა, კაცო. დრო არა მაქვს. რაზმის შეკრებისათვის მოხსენება მაქვს დასაწერი ჩვენი რგოლის მუშაობის შესახებ.

— თევზაქმ დაგავალა?

— ჰო.

— შეგვიკლა ხელში პირდაპირ ამდენმა კრებებმა.

— იცი? გუშინ რაზმის საბჭოს სხდომაზე შევეულოძეს შავი დღე დააყარეს — ცუდად მუშაობ, ბიუროკრატი ხარ, მთელი რიგი ორგანიზაციული საკითხები გადაუჭრელი გაქვს და გეგმებს და ოქმებს მხოლოდ ფორმალურად ადგენო.

— არა უშავს რა, ჩემო ვანო! ხომ გავიგია ხალხური ნათქვამი: „რაცა ვის რა ბედმა მისცეს, დასჯერდეს და მას უზნობდესო“. ჩვენ თუ ვმუშაობთ, ძალიან კი გვიფასებენ, შვილოსა.

— კედლის გაზეთისათვის თან პატარა წერილი მიმაქვს. იქნებ ამ ნომერში მომიხერხოს ვაშაძემ.

— კაცო, მე მაგათი ვერა გავიგე. მიიტანე ჩილის, უფრო კონკრეტული უნდა იყოს, ძალიან ზოგადიაო, მეორეს მიიტან, უფრო ზოგადი უნდა იყოს, ძალიან კონკრეტულიაო... ერთი სიტყვით...

— ერთი სიტყვით, ჩვენი კედლის გაზეთის რედაქციაში ნაცნობობა და ნათესაობა წყვეტს ყველაფერს.

ამასობაში ყმაწვილები სკოლას უახლოვდებიან. იწყება ორმოცდახუთწუთიანი გაკვეთილი, რომელიც ზოგჯერ მთელი საუკუნე გრძელდება, და ხუთწუთიანი შესვენება, რომელიც თვალის დახამხამებაში თავდება.

და აი ორ საათსა და ოცდაათ წუთზე ვანო და ნიკო შინ ბრუნდებიან.

— ნახვამდის, ნიკო! სახლში მიმეჩქარება. ხვალისათვის დღის რეჟიმი არ შემიდგენია.

— ნაკვეთზე სამუშაოდ არ წავედით? ხომ გაიგონე, დიდის ამბით რომ დაგვავალა თევზაქმ, ათ დღეში უნდა გათოხნოთო. არ ღირს მაგისტვის საყვედურის მიღება.

— ჰო... მართლა.

— ჰოდა, წავედით ახლავე, ცოტა დღეს წავიშუშაოთ, ცოტა ხვალ და ხომ მოგეხსენება. „ზღვა კოვზით დაიღია და პწეენა-პწეენაში მესობლის ქალიშვილს შვილი შეეძინაო“.

და ყმაწვილები მიდიან.

მიდიან კომუნისტების მშენებლობის ერთ პატარა უბანზე თავიანთი მცირე წვლილის შესატანად.

დაახ. მათ კარგად იციან ძველი რომაული ანდაზა — უბი პიგრიცია იბი ინობია (სადაც სიზარმაცეა, იქ სიღარიბეა).

\* \* \*

დავამთავრე.

— დანარჩენ მოთხრობებშიც სხვა სიტყვებით ზუსტად ეს ამბავია! — წამოცდა თემურის და. ჩემს მრისხანე მზერას რომ წააწყდა, ენა მოიკვინტა.

ოთახში სიჩუმეა.

ვზივართ ახლა მე და თემური და ვფიქრობთ, ვფიქრობთ და სიჩუმის დარღვევის ორივეს გვემინია. თემური შიშობს სხვა მოთხრობის კითხვა არ დავიწყო, მე ვეშობ არ მკითხოს წაკითხულის შინაარსი.

— ვახშობის დროა!

ისევ ჩემმა მუღღლემ გვიხსნა გასაკრისიდან.



# საზოგადოებრივი

## უცხოეთის კულტურული ცხოვრების ქრონიკა

### ამერიკის შეერთებული შტატები

#### კლიფტი უარს ამბობს ბასამარჯვლოზე

მონტგომერი კლიფტს ჰოლივუდში „თავისებური“ კაციის სახელი აქვს. ეს აზრი კიდევ უფრო განამტკიცა ამასწინანდელმა შემთხვევამ, როცა მან უარი თქვა როლზე, რომელიც უკვე კვირაში ასი ათას დოლარს მიცემდა. საქმე ისაა, რომ ფილმში „ნიუნბერგის განაჩენი“ მას უნდა ეთამაშა ერთ-ერთი მთავარი როლი (ამერიკელი ბრალდებლისა). მაგრამ პროდიუსერებს განუცხადა, ეს როლი არ შემეფერებაო და ტყვე ებრაელის სახის განხორციელება ამჯობინა. ამ ებრაელს საკონცენტრაციო ბანაკში შეუყვარდება ერთ-ერთი ტყვე ქალი, როლი ისე პატარაა, რომ კლიფტი მხოლოდ რამდენიმე წუთს მოიხანს ეკრანზე. ფილმის ტიტრებში მისი გვარიც კი არ იხსენიება.

პროდიუსერი სტენლი კრამერი დაეთანხმა როლების ასეთ შეცვლას, მაგრამ არტისტს ჰონორარი სამასი ათასი დოლარიდან ოცი ათასამდე შეუმცირა. მაშინ კლიფტმა სწორად განსაჯა: უფასობრჯელოდ თამაში პრესტიჟს ამიწვევსო და სავსებით უარი თქვა ჰონორარზე.

#### მოდების დედოფალი

მსოფლიოს 2500 სპეციალისტმა გამოაქვეყნა 1960

წელს ყველაზე უფრო ლამაზად ჩაცმული ქალების სია. მასში პირველ ადგილზეა ამერიკის შეერთებული შტატების ამჟამინდელი პრეზიდენტის მეუღლე — 31 წლის უაკლინ კენედი. მან აჯობა ფრანგ გრაფის ასულ დერივსა და პოპულარულ ამერიკელ კინოვარსკვლავს ოდრი ჰეპბერნს. სიაში პირველად გამოჩნდა სიამის ახალგაზრდა დედოფალი სირიკიტი, რომელმაც მე-12 ადგილი დაიკავა.

პრეზიდენტის მეუღლე უაკლინ კენედი ფურორს ახდენს ამერიკაში. იგი მღერის ძალზე პოპულარულ სიმღერას „უაკლინი“. ქალები მთელი მონღოლებით ცდილობენ მიბაძონ ამერიკის „პირველ ქალს“. ისინი შავად იღებავენ თმას (ქერა ქალები მოდაში აღარ არიან). ამ სეზონის ამერიკელი ქალი საკმაოდ მაღალი უნდა იყოს, ჰქონდეს წაბლისფერი თმები და სპორტული ფიგურა, დიდრონი თვალები და მოკლედ შეკრებილი თმა.

### ი ტ ა ლ ი ა

#### მსახიობი-დოქტორი

ცნობილმა იტალიელმა კინოვარსკვლავმა უულიეტა მარჯინა, რომელიც ფილოსოფიის დოქტორია, ამ რამდენიმე ხნის წინ რომის უნივერსიტეტში სოციოლოგიის დოქტორის წოდება მიიღო.

#### აღდგენილი „ლაოკოონი“

ვატიკანის მუზეუმში კვლავ მოათავეს განთქმული „ლაოკოონის“ ქანდაკება, რომელიც ორ წელზე მეტია რესტავრაციაში იმყოფებოდა.

1905 წელს არქეოლოგ ჰოლაკის მიერ ნაპოვნი მკლავი ბოლოს და ბოლოს იმ მკლავად აღიარეს, 1506 წელს აღმოჩენილ „ლაოკოონის“ ჯგუფს რომ აკლდა. ასე, რომ მიქელანჯელოს მიერ დაშენებული მარჯვენა მკლავი ზედმეტად მიიჩნეის.

რესტავრირებული ქანდაკების შედარება ჩვეულებრივი ვარიანტის თაბაშირის ასლთან ცხადყოფს, რომ იგი უფრო ძლიერ შთაბეჭდილებას ტოვებს.

### ს ა ფ რ ა ნ გ მ ე თ ი სამუელ ბეკეტის ახალი რომანი

სამუელ ბეკეტმ გამოაქვეყნა ახალი რომანი „ეს რას ნიშნავს“. რომანის მთავარი გმირი სახიჩარი და მანანაა. საკითხავია, რას აკეთებს იგი? კაცმა რომ თქვას, არაფერს. მხარზე მოუვლია კონსერვების ტომარა და დაეხტება ამ ქვეყნად. ბეკეტის პერსონაჟებიდან იგი ყველაზე უფრო პესიმისტიურია, თითქმის არა აქვს ადამიანური სახე — ნივთია და მეტი არაფერი.

რომანი სამი ნაწილისაგან შედგება. „პიამიდის“, „პიმთან ერთად“, „პიმის შემდეგ“. პირველ ნაწილში გმირი მარ-



ტოა, მეორეში ზედება პიშს. მიფორთხავს მასთან ერთად და დასცილის მას. მესამე ნაწილში კვლავ მარტო რჩება. შემდეგ იგი ზედება ბოშს, რომელიც თავის მხრივ ისევე დასცილის მას, როგორც ოდესღაც თვითონ დასცინოდა პიშს. რომანის სამივე პერსონაჟი ძალზე გვიან ერთმანეთს. შესაძლებელია, ბეკეტს ამით უნდოდა სიმბოლურად ეთქვა, რომ ყოველი ადამიანი ერთსა და იმავე დროს მსხვერპლიცაა და თავისთავსაც დასცილის.

რომანი ერთი სულის მოთქმითაა დაწერილი, არა აქვს სასვენი ნიშნები და ერთ მთლიან მონოლოგს წარმოადგენს.

ადამიანის ბედის ანალიზის მიხედვით, ბეკეტის ეს რომანი აბსურდია და უკიდურესი პესიმიზმითაა გაუღენთილი. იგი შეიძლება განვიხილოთ, როგორც ადამიანური უბედურების ჩვენების ცდა. ყველაფერი ეს გადმოცემულია ტკივილნარევი იუმორის გრძნობით. ბეკეტი რბილად დასცილის თავის გმირს.

სამუელ ბეკეტი წარმოშობით ირლანდიელია და ფრანგულ ენაზე წერს. პირველი წიგნი თორმეტი წლის წინათ გამოსცა ინგლისურ ენაზე. ამჟამად ორმოცდაჩვიდმეტი წლისაა.

**განსხვავებული გეოგრაფია**

ფრანგულ ფილმს „სან-ფრანცისკოელი კაცი“ სამ ვარიანტად იღებენ.

ამ ფილმის ერთ-ერთ სასიყვარულო სცენაში მთავარი როლის შემსრულებელი დანიელი მსახიობი ქალი დანიკ პატისონი დივანზე წევს, მაგრამ ფრანგულ ვარიანტში იგი დამის პერანგის ამარაა, გერმანულ ვარიანტში მაქმანიანი კომბინო მოსავს, ხოლო კანადურში ნაშუადღევს გამოსახვლელი კაბა აცვია.

**ჩეკლამა და სინამდვილე**

მალე მივატოვებ ეკრანს. ვიცხოვრებ ისე, როგორც სხვები ცხოვრობენ ამ ქვეყანაზე, — განაცხადა ამას წინათ ბრიჟიტ ბარდომ. ფრანგული კინემატოგრაფიის ვარსკვლავის ასეთი განცხადება პირველი როლია და ამიტომაც ეს არც არავის მიუღია სერიოზულად.

ამჯერად „მალე“ იმით გამოიხატა, რომ ბარდომ მთავარ როლს ასრულებს დეიუტანტი რეჟისორის უან ორელის ფილმში. მაგრამ მსახიობმა მოთხოვა, რომ მისმა ყოფილმა ქმარმა როჟე ვალიმმა მხატვრული ხელმძღვანელობა გაუწიოს ფილმს. ვალიმი ისე ენერგიულად შეუდგა საქმეს, რომ რეჟისორს სრულიად შეაცვლევინა თავდაპირველი განზრახვა და, როგორც ჩანს, ორელის მოუხდება სავსებით აილოს ხელი ფილმზე.

ამის გარდა, ბრიჟიტ ბარდომ აპირებს მონაწილეობა მიიღოს კიდევ ორ სურათში. ამათგან ერთ-ერთს დადგამს როჟე ვალიმი.

**ესპანეთი**

**პიკასო... ნათლიაა**

პაბლო პიკასომ მონათლა პაოლა, ცნობილი ესპანელი ტორეადორის ლუის დომინგენისა და კოპულარული იტალიელი მსახიობის ლუჩია ბოსეს მესამე ბავშვი. პიკასომ, რომელსაც მალე ოთხმოცი წელი შეუსრულდება, განაცხადა, ძალიან მინდა პაოლას ბავშვის ნათლიობაც მე მერგოსო.

**პოლონეთი**

**შმაგლევისკას რომანის მკრანეზაცია**

პოლონელი მწერალი ქალის სვერენა შმაგლევისკას ახალი წიგნის „მშვენიერი დღის გაღვიძება“ მიხედვით იღებენ ფილმს.

რომანის თემა ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკის ევაკუაცია.

წიგნთან შედარებით ფილმში ხაზი გაესმება დოკუმენტურ მომენტებს.

**ტუნისი**

**შეუბრძნოვნილი ზნეობა**

„ალადინის ჯადოსნური ლამპარის“ (ფრანგულ-ამერიკული ერთობლივი ნაწარმოები) გადაღების დროს ჩარლი ჩაპლინის შვილის სიდნეი ჩაპლინის მეუღლეს ნოელ ადამს იმდენად მსუბუქად ეცვა, რომ ქუჩაზე თავმოყრილმა ხალხმა ეს ამორალობად ჩათვალა და ენერგიული პროტესტი განაცხადა.

მაშინ საქმეში ჩაერია პოლიცია და, როგორც იტყობინებია, საშინელი ცემა-ტყეპა გაიმართა.

**უნბრეთი**

**„ირკუტსკის ისტორია“ ბულაპეშტის სცენაზე**

ცნობილი საბჭოთა დრამატურგის არბუჯოვის პიესა „ირკუტსკის ისტორია“ ამას წინათ დადგა ბულაპეშტის სახალხო თეატრმა. უფრო ადრე იგი დადგეს ჩეხოსლოვაკიისა და რუმინეთის თეატრებმა, ხოლო ამჟამად მას ამზადებენ ბულგარეთში დასადგმელად. საინტერესო პრობლემატიკითა და მსახიობების საუცხოო თამაშის მეოხებით პიესამ მაყურებლის აღტაცება გამოიწვია.

**ტატი**

**ტატიტა — ჰოლივუდში**

კუნძულ ტატიტის მკვიდრი 19 წლის მოცეკვავე ქალიშვილი ტარიტა ტერიტაია მთავარ როლს შეასრულებს ამერიკულ ფილმში „აჯანყება“.

მოცეკვავე ქალიშვილი კინოსათვის ინგლისელმა რეჟისორმა კ. რიდმა „აღმოაჩინა“.



---

ხელმოწერილია დასაბეჭდად 5/IV, 1961 წ. საბეჭდი 6 (პირობითი 8), საგამომცემლო  
7 თაბახი. შეკვეთის № 2737, ემ 00602. ქალაქის ზომა 70X108, ტირაჟი 2.000.

\*\*\*

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს  
მთავარბიბლიოგრაფსამმართველოს ბათუმის სტამბა-ლითოგრაფია  
(ბათუმი, ლუქსემბურგის, 22).

Батумская тилография Главполиграфиздата  
Министерства культуры Грузинской ССР  
Батуми, ул. Р. Люксембург, 22.



333 40 333.

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ  
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ  
*„Литературули Аджара“*  
ОРГАН АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ  
СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ